CMYK

# საერთო გაზეთი

№28 (212) ● 20-26.VI.2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



ozurgeTi, 17 ivnisi, 2012 w.

**ბიძინა ივანიშვილი:**

„განსხვავებულ აზრს ებრძვის სწორედ ეს ხელისუფლება და ავიწყდება, რომ ეს კრიმანჭულის, ხასანბეგურას სამშობლოა, აქ ყველა სხვადასხვა ხმას და მელოდიას მღერის, მაგრამ ერთად ისეთი პოლიფონია იქმნება, მსოფლიოში ბადალი რომ არ მოეპოვება!

ასეთებად უნდა დარჩეთ, გურულებო, საქართველოს ასეთები უყვარხართ“...

**რეზო ამაშუკელი:**



arc amerikeli minda da arc rusi, magram maT Soris, ici, ra gansxvavebaa? _ rusi ar maZalebs, coli moiyvane da isic kacio!

**ზაზა შათირიშვილი:**



saakaSvilma Zalian kargad icis, rom `mkvdaria~, magram is ar icis, rogor gaasvenos es `mkvdari~?

**ზაალ კასრელიშვილი:**



mTeli pasuxismgeblobiT vacxadeb: biZina ivaniSvili ruseTis proeqti aris. ruseTis proeqti vincaa, is jer ar gamoCenila, magram aucileblad gamoCndeba...

**გელა ნიკოლაიშვილი:**



ISSN 2233-3983

არ გამიკვირდება, ხელისუფლებამ მიიღოს ახალი „კანონი“, რომ ბიძინა ივანიშვილი ერთბაშად 6.4 მილიარდი დოლარით დააჯარიმოს...

**ზაქარია ქუცნაშვილი:**



kontrolis palatis qmedebebi absurdSi gadaizarda

**სოსო მანჯავიძე:**



didi tyuili did sisxlis-Rvras iwvevs xolme...

## რედაქტორის სვეტი

ნეტავ ახლა ივნისი კი არა ოქტომბერი იყოს და საპარლამენტო არჩევნებიც მომთავრებული გვქონდეს.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით, მაინც ივნისია და ოქტომბრამდე კიდევ სამი თვე და ათი დღე რჩება, თუმცა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ოქტომბერი, თავის არჩევნებიანად, მგონი, აქეთ, ივნისში, გადმოიტანა და ხელისუფლებას ორთაბრძოლა პირწმინდად მოუგო.

ოქტომბრის არჩევნები, ფაქტობრივად, ივნისში ჩაატარა „ქართულმა კოალიციამ“, ოქტომბერში კი ამ არჩევნების შედეგების „ნოტარიალურად“ გაფორმება უნდა მოხდეს მხოლოდ.



ისეთი რა უნდა მოიმოქმედოს „ნაცმოძრაობამ“ ამ სამი თვის განმავლობაში, ან „ქართულმა ოცნებამ“ ისეთი რა შეცდომები უნდა დაუშვას, რომ ივნისის „არჩევნების“ შედეგები ოქტომბრის არჩევნებში მკვეთრად შეიცვალოს?

ჭორები დადის — ოქტომბერში სააკაშვილი არჩევნებს გააყალბებს, გაყალბებულ არჩევნებს კი აშშ „გაუპრავებსო“.

თუ ოქტომბერშიც ეს სიტუაცია შენარჩუნდა, რაც ახლაა, არჩევნებს ვერც ვერავინ გააყალბებს და ვერც ვერავინ „გააპრავებს“.

თვით ყოვლისშემძლე აშშ-ც კი უძლური იქნება ეს გააკეთოს...

ასე რომ ივნისის „არჩევნების“ მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ოქტომბრის არჩევნებში „ქართული კოალიციის“ გამარჯვება გარდაუვალია, თუმცა ამ გამარჯვებამდე მძიმე და ხიფათით სავსე დარჩენილი.

როგორც დანაღმულ ველზე ისე უნდა გაიაროს ქართველმა ხალხმა ეს დრო — სულ რაღაც ასი დღე, მაგრამ თავისი მნიშვნელობით ასი წლის სადარი, რომელმაც ქართული სახელმწიფოს ბედი წაღმა უნდა შემოატრიალოს...

**ვახტანგ ხარჩილავა**

# politikuri koalicia `qarTuli ocnebis~ gancxadeba



როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, კოალიცია “ქართულმა ოცნებამ” ამა წლის 27 მაისს დაიწყო საარჩევნო კამპანია, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია უამრავი ღონისძიება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

მიუხედავად იმისა, რომ ათეულ ათასობით ჩვენი თანამოქალაქე მზად არის ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, დახმარება გაგვიწიოს ჩვენს საქმიანობაში, არის ორგანიზაციული საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც გარკვეული მომსახურების მიღების გარეშე შეუძლებელია.

ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მეწარმე სუბიექტებმა ვერ გაბედონ ჩვენთან ამ საკითხებში თანამშრომლობა, ან თუ გაბედეს, ისინი მკაცრად ისჯებიან. შესაბამისად, როდესაც მივმართავთ ამა თუ იმ კომპანიას მომსახურების მიღების მიზნით, ისინი ან პირდაპირ უარს გვეუბნებიან, ან გვთავაზობენ საბაზროზე რამდენჯერმე მაღალ ფასებს. ის კომპანიები კი, რომლებიც მიუხედავად ზეწოლისა გვაწვდიან მომსახურებას საბაზრო ღირებულებით, ცხადდებიან დაკავშირებულ პირებად და ყოვლად წარმოუდგენელი თანხებით ჯარიმდებიან.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი იმდენად კარგად ჩანს, რომ მტკიცება არ სჭირდება, ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს ასეთი ტიპის უკანონონო ქმედებებს და ცდილობს ჩვენთვის მაქსიმალური პრობლემების შექმნას.

**ვაცხადებთ, რომ უახლოეს დღეებში ჩვენს მიერ გამოცხადდება ტენდერი მომსახურების მიღების მიზნით სამი მიმართულებით – პოლიგრაფიული მომსახურება, სატრანსპორტო მომსახურება, სარეკლამო მომსახურება. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში მოქმედ ყველა კომერციულ სტრუქტურას. ჩვენს მიერ მიღებულ იქნება საუკეთესო წინადადებები და საზოგადოებას ეცნობება შედეგების შესახებ.**

მოხარული ვიქნებით, თუ ამ პროცესში მონაწილეობას მიიღებს კომპანიათა მაქსიმალური რაოდენობა.

თუ ეს ასე არ მოხდა, ეს იქნება იმის დადასტურება, თუ რა ბერკეტებს იყენებს ხელისუფლება კომერციული სტრუქტურების მიმართ, რომელთა ერთადერთი კანონიერი მიზანი მოგების მიღება უნდა იყოს და არა ხელისუფლების პოლიტიკური დირექტივების აღსრულება.

# politikuri koalicia `qarTuli ocnebis~ gancxadeba

2012 წლის 17 ივნისს, ტელეკომპანია „მაესტრო“-ს არხზე გავიდა სტუდიო GNS-ისა და ნანა ლეჟავას „კვირის რეპორტაჟი“ ზვიად ხვედელიძის საქმესთან დაკავშირებით. ზვიად ხვედელიძე შსს-ს კუდ-ის მიერ, იძულების გზით, „ქართული ოცნების“ კოალიციის ერთ-ერთი პოლიტიკური სუბიექტის - თავისუფალი დემოკრატების რიგებში იქნა ჩანერგილი. ზვიად ხვედელიძის ერთ-ერთი მისია „თავისუფალი დემოკრატების“ ლაგოდეხის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელის ზურაბ გამეზარდაშვილის დაკავებაც უნდა ყოფილიყო. თუმცა, თანამშრომლობაზე დათანხმების შემდეგ, ზვიად ხვედელიძემ მომხდარის შესახებ ზურაბ გამეზარდაშვილს აცნობა, გააფრთხილა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და საქართველო დატოვა.

2012 წლის 18 ივნისს, სარწმუნო წყარომ კოალიციას აცნობა, რომ მოცემული სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ, კუდ-ის ხელმძღვანელმა დათა ახალაიამ კუდ-ის კახეთის სამმართველოს უფროსი - ზურაბ ლალიაშვილი და კუდ-ის ლაგოდეხის ჯგუფის უფროსი - თამაზ ჯავახიშვილი თავისთან დაიბარა და უშვერი სიტყვებით შეამკო იმის გამო, რომ ზურაბ გამეზარდაშვილმა კუდ-ის აგენტი ქალბატონის „გაშიფვრა“ შეძლო და ასევე სააშკარაოზე გამოიტანა ინფორმაცია ზვიად ხვედელიძის კუდ-თან თანამშრომლობაზე იძულების შესახებ. როგორც აღმოჩნდა, კახეთის კუდ-ის ამ შეცდომების შესახებ დათა ახალაიამ ნანა ლეჟავას სიუჟეტიდან შეიტყო. იმავე წყაროს თანახმად, დათა ახალაიამ პირდაპირ დაავალა ზურაბ ლალიაშვილსა და თამაზ ჯავახიშვილს ზურაბ გამეზარდაშვილის დაკავება იარაღის ჩადების ან სხვა გზით და, საჭიროების შემთხვევაში, ზურაბის შვილის - 22 წლის ნიკოლოზ გამეზარდაშვილის დაკავებაც მოითხოვა.

კოალიცია „ქართული ოცნება“ აფრთხილებს ხელისუფლებას და ზურაბ გამეზარდაშვილისა და მისი ოჯახის წევრების პოლიტიკური დევნისგან თავის შეკავებას ურჩევს.

დღესვე, კუდ-ის ხელმძღვანელის მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილების შესახებ მიღებული ინფორმაცია კოალიციამ სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების უწყებათაშორის კომისიას გადაუგზავნა და მისგან, პრევენციის მიზნით, რეაგირება მოითხოვა. იგივე ინფორმაცია მიეწოდათ დიპლომატიურ კორპუსსა და საერთაშორისო დამკვირვებლებს.

2012 წლის 17 ივნისის რეპორტაჟი“ და ინფორმაცია ზვიად ხვედელიძის საქმეზე იხილეთ:

http://www.youtube.com/watch?feature=player_embedded&v=vm7w7rRT3gw#!

http://www.for.ge/print.php?for_id=13301&f_cat=3

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# biZina ivaniSvilis

## gamosvlis teqsti 17 ivnisis aqciaze, ozurgeTSi

მოგესალმებით, გურულებო!

მახსენდება დიდი ფრანგი ფილოსოფოსის სიტყვები: „ვაზროვნებ, ესე იგი, ვარსებობ!“ დარწმუნებული ვარ, დეკარტე გურული რომ ყოფილიყო, პირიქით იტყოდა - ვარსებობ, ესე იგი ვაზროვნებ!

ვერანაირი ოქრო-ვერცხლი ვერ შეედრება ამ სიმდიდრეს - აზროვნებას.

ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, გურული გლეხი ისე იმსჯელებს მსოფლიო პოლიტიკაზე, ბევრ ევროპელ პოლიტიკოსს შეშურდება. ხოლო იმავე გლეხის და მისი რამდენიმე მეზობლის ნამღერი კრიმანჭული, მრავალხმიანი და იმპროვიზაციული სიმღერა, მსოფლიო პოლიფონიის შედევრად რომ არის წოდებული, ყველაზე მაღალი რანგის აზროვნებას გვასწავლის - არადოგმატურს და შემოქმედებითს, უზუსტესს და თავისუფალს.

მე-19 საუკუნის ბოლოს, ცნობილმა ქართველმა ეთნოგრაფმა თედო სახოკიამ გურიაში რომ იმოგზაურა, გაოცებული დარჩა გურულების ნიჭიერებით, სწავლა-განათლებისადმი მიდრეკილებით, ძლიერი ოჯახებით და განსაკუთრებით გურულების სტუმართმოყვარეობით.

დროა, გურულებმა თავისი საკადრისი ადგილი იპოვონ. თქვენი ადგილი კი, საუკეთესოთა შორისაა.

გურულები ყოველთვის გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული იუმორითა და კრიტიკული აზროვნებით და, რაც ყველაზე მთავარია, კრიტიკას არ აკლებენ არც ერთ ხელისუფლებას.

ნოდარ დუმბაძეს უთქვამს, სადაც ორი გურულია, იქ სამი განსხვავებული აზრიაო!

**განსხვავებულ აზრს ებრძვის სწორედ ეს ხელისუფლება, და ავიწყდება, რომ ეს კრიმანჭულის, ხასანბეგურას სამშობლოა, აქ ყველა სხვადასხვა ხმას და მელოდიას მღერის, მაგრამ ერთად ისეთი პოლიფონია იქმნება, მსოფლიოში ბადალი რომ არ მოეპოვება!**

**ასეთებად უნდა დარჩეთ, გურულებო, საქართველოს ასეთები უყვარხართ, ასეთები სჭირდებით!**

დიახ, ჩვენ ისეთი ქვეყანა უნდა ავაშენოთ, როცა ხელისუფლების ღირსების საქმე იქნება, როგორ მოექცევა იგი განსხვავებული აზრის ადამიანებს.

მე ყოველთვის ვოცნებობდი საქართველოზე, სადაც თავისუფალი ადამიანები იცხოვრებდნენ. მე მჯერა, რომ თავისუფლება ქართველი კაცის მთავარი ღირებულებაა და ჩვენ ერთად ავაშენებთ ასეთ ქვეყანას!

დიახ, ასეთი ხალხისთვის ღირს თავგანწირვა. დარწმუნებული ვარ და მჯერა, რომ ქართველები ჩემი განვლილი ცხოვრების გამო მიჭერენ მხარს და არა იმიტომ, რომ სხვაზე მეტი ფინანსური საშუალება მაქვს. თუმცა, ხელისუფლებას ყველა თავისნაირი ჰგონია და თქვენს მხარდაჭერას ანგარებას და გამორჩენის სურვილს აბრალებს. ეს თქვენი შეურაცხყოფაა, ეს ჩვენი შეურაცხყოფაა!!!

**მე მჯერა, ქართველი კაცისთვის ღირსებაა მთავარი და არა ფული. ზუსტად ამას ადასტურებს ამ კუთხის შვილის, ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება.**

როცა პირველად პარიზიდან საქართველოში ჩამოსვლა შესთავაზეს, ექვთიმე თაყაიშვილს უარი უთქვამს, მხოლოდ იმიტომ, რომ კაცს, რომელსაც მთელი ქვეყნის განძი ებარა, პიჯაკი არ ჰქონია რიგიანი. აი, სწორედ ასეთი კაცი, მისი ცხოვრების წესი, სამშობლოსათვის თავდადება და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაა ზნეობის მაგალითი ქართველებისთვის.

მე ვოცნებობ ისეთ სახელმწიფოზე, რომელშიც ყველას ექნება საშუალება საკუთარი ნიჭითა და შრომით მიაღწიოს წარმატებას.

ნიჭი და ნიჭიერება გურულების მოგონილია. ამისი რომ შურს, ალბათ, იმიტომ მიაგდო და მიატოვა ასე გურია ხელისუფლებამ. წლებია არაფერი გაკეთებულა! და რაც იყო, ისიც გაპარტახდა!

უჭირს გურიას, სტუმართმოყვარეობით განთქმულ გურულებს აღარც სტუმრის გამასპინძლება შეუძლია და არც საკუთარი თავის რჩენა. გურული რისი გურულია, ამ გაჭირვებულ ყოფასაც მსუბუქი იუმორით რომ არ უყურებდეს.

სულ რამდენიმე ხნის წინ ასეთი რამ მოვისმინე:

საღამო ხანია, გურული მარტოა სახლში, ნაადრევად დაწვა - ეგება ჩამეძინოს და შიმშილმა გადამიაროსო...

ცოტა ხნის მერე, კარზე ბრახუნმა გამოაღვიძა. წამოხტა და იკითხა: რომელი ხარო?

ყაჩაღები ვართ, გაგვიღე დროზე კარი, სანამ შემოგვინგრევიაო, - გააგონეს გარედან.

უჰ, თქვენ აგაშენათ ღმერთმაო, მე სტუმრები მეგონეთ და გამისკდა შიშით გულიო...

ხუმრობა იქით იყოს და, რომ ვუყურებ დღევანდელ ჩვენს ყოფას და განსაკუთრებით იმას, რაც ხდება გურიაში, სულ ერთი ფრაზა მიტრიალებს თავში - ეს ხომ უნდა მოახერხო, ხომ უნდა მოახერხო და ასეთი მადლიანი მხარე შიმშილის პირას მიიყვანო, უნდა მოახერხო, რომ ასეთი მადლიანი ქვეყანა - საქართველო - სიდუხჭირეში აცხოვრო. ხომ უნდა მოახერხო, რომ ასეთ გულღია და სიცოცხლისმოყვარე ხალხს დაუკარგო მომავლის იმედი და გაამწარო.

ნოდარ დუმბაძის სიტყვებია: „...ქართველები რბილი ხალხია, ჭკვიანი, ალერსიანი, სიმღერა უყვართ, ამხანაგი უყვართ, ამხანაგის გულისათვის სახლს გაყიდიან, ოღონდ შენც სამაგიერო სიყვარულს გთხოვენ.... თავისი ქვეყანა სიგიჟემდე უყვართ, საქართველოს სადღეგრძელოს რომ ამბობენ, ხანდახან ტირიან კიდეც, სამოთხესავით ქვეყანაა საქართველო, სამოთხესავით...“.

რამდენად არ უნდა გესმოდეს არც ეკონომიკა, არც ბიზნესი, არც პოლიტიკა და, რამდენად არ უნდა იცნობდე საკუთარ ხალხსა და ქვეყანას, ბოლოს და ბოლოს, როგორ არ უნდა გიყვარდეს შენი სამშობლო, რომ მისი სხვა ქვეყნად გადაქცევა განიზრახო!

**ასე ექცევა ეს ხელისუფლება საქართველოს, საქართველო მათი სამშობლო კი არა, ძალაუფლების ასპარეზია. ძალაუფლების დაკარგვის შიშით კი, ეს ხელისუფლება ყველაფერზე მიდის, ყველაფერს კადრულობს.**

როგორც კი გაიგო ოზურგეთში „ქართული ოცნება“ იკრიბებაო, სააკაშვილი სასწრაფოდ გამოიქცა ოზურგეთსა და ურეკში და დაპირებების კორიანტელი დააყენა.

ტყუილი რომაა, გურულებო, ეს დაპირებები, თქვენ კარგად იცით. ხომ გახსოვთ, წინა ჩამოსვლაზე რა სპექტაკლი დადგა გურიაში - კალანდობა გაითამაშა საქვეყნოდ, ამისთვის თეატრის მსახიობები ათამაშა, - ნახეთ, რა დალხენილად ცხოვრობენ გურულებიო. მაგრამ არაფერი გამოუვიდა, გურულებს რას მოატყუებ!

ან როგორ უნდა იკადროს ხელისუფლებამ აგდებული და უდიერი მასხარაობა იმ უშიშარ და მებრძოლ ხალხთან, რომელიც ყოველთვის განთქმული იყო უსამართლობასთან ბრძოლის ჟინით. ეს იყო გურიაში ფირალობის ნამდვილი მიზეზი. დროთა განმავლობაში ფირალები მითიურ გმირებადაც გადაიქცნენ. რამდენი ლეგენდა, ლექსი და სიმღერაა ფირალებზე, რაც ჩვენი ისტორიის და კულტურის ნაწილი გახდა.

გურულებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რომ პოლიტიკაა, ამაზე, მგონი, მთელი ქვეყანა შეთანხმებული ვართ. გურულები ყოველთვის იქ არიან, სადაც პოლიტიკაა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დამფუძნებელი კრების წარმომადგენლებს შორის უმეტესობა გურული იყო. თავად დამოუკიდებლობის აქტზე პირველი ხელმოწერაც გურულისაა (ნოე ჟორდანიასი) და ბოლოც (გერონტი ქიქოძის), პირველი 9 ხელმომწერიდან 6 გურულია.

ჩემო მეგობრებო,

რვა წლის წინ, როცა ახალი ხელისუფლება მოვიდა ქვეყნის სათავეში, იმედი გვქონდა, რომ ქართული სახელმწიფო, ბოლოს და ბოლოს, დაადგებოდა ეკონომიკური კეთილდღეობისა და დემოკრატიის გზას. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვენ ერთი უბედურებიდან მეორეში ჩავცვივდით.

**დღეს უკვე ხელისუფლების უგუნურება იქამდე მივიდა, რომ ის სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქართულ სახელმწიფოს. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ ყველანი სამშობლოს დავკარგავთ.**

ეს რომ აშკარად დავინახე, ჩემს მოვალეობად ჩავთვალე, წინ აღვდგომოდი ამ უგუნურებას.

ჩემს ბუნებაშია და ხასიათი მაქვს ასეთი - სანამ გადაწყვეტილებას მივიღებ, კარგად უნდა გავიაზრო და ავწონ-დავწონო ყველაფერი. ამ ხასიათს არც პოლიტიკაში ვუღალატე - გარწმუნებთ, რომ ყველაფერი ისე ვითარდება, როგორც თავიდანვე მქონდა დაგეგმილი და გააზრებული.

4 gv.






















3 gv.

ამ გეგმით ვმოქმედებთ, ყველაფერი გათვლილი გვაქვს. ხელისუფლებამ რაც არ უნდა დაგეგმოს, რაც არ უნდა დაგვიპირისპიროს, დაწყებულ პროცესებს ვერავინ შეაჩერებს და ვერც შემოაბრუნებს. ეს პროცესები აუცილებლად ჩვენი გამარჯვებით დასრულდება. ამის სიტყვას მე გაძლევთ!

**ჩვენ ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ უკეთესობისკენ შეიცვალოს საქართველოს ყოველი მოქალაქის ცხოვრება და ვიცით, რა არის ამისთვის საჭირო!**

მე ეს ძალიან კარგად ვიცი, რადგან ცხოვრებას ჩემთვის ლანგრით არაფერი მოურთმევია. სოფელში დავიბადე და გავიზარდე, ბავშვობიდან ვშრომობ და კარგად ვიცი მისი ფასი, გლეხის შრომის ფასიც ვიცი, წარმატებული ბიზნესიც ხომ მხოლოდ დიდი შრომით მოდის.

მთელი ჩემი ცხოვრება, შეძლებისდაგვარად ვცდილობდი, დავხმარებოდი ჩემს ხალხს, განსაკუთრებით მათ, ვისაც, ჩემი აზრით, ჩვენი ქვეყნის განვითარებასა და კულტურაში წვლილი აქვს შეტანილი; ასევე ვცდილობდი, დავხმარებოდი ახალგაზრდა ხელისუფლებას დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში, მინდოდა ხელი შემეწყო ჯარის, პოლიციისა და განათლების რეფორმებისათვის.

მაგრამ მალე მივხვდი, რომ ჩემი დახმარება არ იყო საკმარისი ჩემი ქვეყნისთვის, რადგან უამრავი ჩემი თანამემამულე უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობს. მივხვდი, რომ, რა სიმდიდრის პატრონიც არ უნდა იყო, ვერასოდეს იქნები ბედნიერი, როცა შენს სამშობლოს ასე უჭირს.

სწორედ ამიტომ მოვედი პოლიტიკაში.

პოლიტიკაშიც, ბიზნესშიც და ყოველდღიურ ურთიერთობებშიც არსებობს ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული პრინციპი - ერთია "დაყავი და იბატონე", მეორე კი - "ძალა ერთობაშია".

ბიზნესში ჩემი წარმატების საიდუმლო ის იყო, რომ ნიჭიერი ხალხი შემოვიკრიბე და გავაერთიანე. და დღეს, საქართველოსთვის ბრძოლაშიც ამ პრინციპის ერთგული ვრჩები - ძალა ერთობაშია. მაგრამ, ამავე დროს ძალა თითოეულ ჩვენგანშია, ესაა თავისუფლების ძალა, სამართლიანობის ძალა, აღმშენებლობის ძალა, რომელიც ჩვენ უდავოდ შეგვწევს და სწორედ ამიტომ არის ძალა ჩვენს ერთობაში!

ახლა ორიოდე სიტყვით იმის თაობაზე, მარტონი ვართ ამ ბრძოლაში, თუ მხარს გვიჭერს ცივილიზებული მსოფლიო. ვიცი, ეს თქვენ განსაკუთრებით გაინტერესებთ, რადგან კარგად გესმით ამის მნიშვნელობა.

**სააკაშვილი ცდილობს, ჩააგონოს ჩვენს მოსახლეობას, რომ დასავლეთის ქვეყნები, განსაკუთრებით კი ამერიკა, მხარს უჭერს პირადად მას და მის გუნდს. ჩვენს მეგობარ ქვეყნებს კი იმას უმტკიცებს, რომ თვითონ და მისი გუნდია პროგრესული, თორემ საქართველოს მოსახლეობა გაუნათლებელია და ჩამორჩენილი.**

აი, ამის დამტკიცებას ცდილობს სააკაშვილი მთელი მსოფლიოსათვის. ამ სიყალბის შექმნას მოანდომა მან წლები და დაახარჯა უამრავი ფული, ბიუჯეტის ფული, ჩვენი გაჭირვებული ხალხის ფული.

აი, ახლა, როცა უკვე ოპოზიციასაც გაუჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ ხმა მიაწვდინოს მთელ მსოფლიოს, და გააგებინოს, რა ხდება რეალურად საქართველოში, ყველამ დაინახა, უფრო ზუსტად, იძულებული გახდა, დაენახა, თუ ვინ არის სინამდვილეში სააკაშვილი. ჩვენი დიდი ძალისხმევით, საბოლოოდ ჩამოვხსენით მას ნიღაბი.

ამ ხელისუფლებაში ბევრია ისეთი, ვინც შოვნას და მოხვეჭას დახარბებული მოვიდა მთავრობაში. კარგადაც მოიხვეჭეს და ახლა მხოლოდ იმის შიში აქვთ, მათ ქონებას რამე არ დაემუქროს. ამ ადამიანებს, ცხადია, ძალიან გაუჭირდებათ ხელისუფლების დათმობა.

მაგრამ ჩვენ მხარესაა სიმართლე, ჩვენ მხარეს არიან დემოკრატიული ქვეყნები. ისინი საქართველოს მხარეს არიან, ისინი ჩვენი ქვეყნის განვითარებას უჭერენ მხარს და არა სააკაშვილს და მის კრიმინალურ ჯგუფს. ჩვენ ვაჩვენებთ მთელ მსოფლიოს, რომ კანონიერი გზით, არჩევნებით გავისტუმრებთ ამ თავგასულ და ახირებულ ხელისუფლებას.

**აკვიატება და ახირებაა, აბა სხვა რა შეიძლება უწოდო, ლაზიკის პროექტს, რომელსაც სააკაშვილი სთავაზობს ჩვენს საზოგადოებას. ახლა აჩემებული აქვს ლაზიკა - თუ ქალაქი! თუ - ტანკი!!! ვის ატყუებს, საინტერესოა!**

კაცმა არ იცის, ვისთვის აპირებს ახალი ქალაქის აშენებას, რა თანხებით უნდა ააშენოს, ან როგორ შეიძლება ჭაობზე აშენებული ქალაქი ვინმესთვის იყოს საიმედო.

რაც შეეხება ტანკს - ლაზიკას, სად არის საქართველოში ტანკის საწარმოებლად საჭირო ერთი დეტალი მაინც, ტანკის წარმოება რომ შეძლო, კილომეტრებზე გადაჭიმული მანქანათმშენებლობის ქარხანა უნდა გქონდეს ქვეყანაში. გინახავთ სადმე ასეთი საწარმო?

ჩვენ არ ვართ ის ხალხი, ამდენ ტყუილს რომ დაიჯერებს. ნუთუ ასეთი ბრიყვები ვგონივართ?!

ამით სააკაშვილი მთელ ქვეყანას აყენებს შეურაცხყოფას, ჩვენს ხალხს აყენებს შეურაცხყოფას, ჩვენს ინტელექტსა და აზროვნებას.

სამეგრელოში ჯერ სხვა ქალაქებია მისახედი, ანაკლია ხომ ააშენა და იურმალას დაუმეგობრა? ახლა ლაზიკას გადაწვდა!

ანაკლიის ხიდს რა ბედიც ეწია, ყველამ კარგად ვიცით. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჯერ ჩვენი ხალხია მისახედი.

თუ ახალი ქალაქის აშენებისთვის რაღაც თანხები შეიძლება გამოინახოს, რატომ არ შეიძლება, რომ ეს თანხები მოხმარდეს ურეკს, რომელიც მთელ მსოფლიოში აღიარებულია როგორც სამკურნალო თვისებების მატარებელი, უნიკალური მაგნიტური ქვიშის მქონე კურორტი.

ურეკს კი მართლა სჭირდება მიხედვა, აქაა საჭირო ინვესტიციების მოზიდვა. ურეკი უნდა გახდეს საერთაშორისო მნიშვნელობის კურორტი, რისი პოტენციაც მას რეალურად აქვს. ჩვენი გამარჯვების შემდეგ ჩვენ ამას შევძლებთ, გპირდებით!

**შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნებში ჩვენ დიდი არჩევანი გვაქვს გასაკეთებელი. ეს იქნება ბრძოლა ჩვენი ქვეყნის დასაბრუნებლად და ჩვენ ამ ბრძოლაში აუცილებლად გავიმარჯვებთ!**

ამ ბრძოლაში ჩვენ მხარესაა ქართველი ხალხი, რომელიც არ მიეჩვევა მონობას და თავის დახრას, ხოლო ჩვენ წინააღმდეგაა ერთი მშიშარა კაცი, რომელსაც სიცრუისა და ძალადობის გარდა სხვა აღარაფერი შერჩენია. ეს უნდა დამთავრდეს!

ამ ბრძოლაში ყველანი ჯარისკაცებად უნდა ვიქცეთ, თანამებრძოლებად, ყველას უნდა ესმოდეს, რომ თვითონ არის მთავარი, რომ მის გარეშე საერთო გამარჯვება ვერ მიიღწევა. ჩვენ ყველანი თანამებრძოლები ვართ!

ჩემო მეგობრებო! ჩემო თანამებრძოლებო!

ჩვენ უკვე გამოვაცხადეთ, რომ „ქართული ოცნების" პრიორიტეტებია სოფლის მეურნეობა, განათლება და ჯანდაცვა.

საქართველოში იმდენად კარგი კლიმატური პირობებია, იმდენია მიწა და სამუშაო ძალა, სირცხვილია, ჩვენი სოფლის მეურნეობა ასე რომ არის გაპარტახებული. ეს ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგია.

**ჩვენ შევცვლით არსებულ პოლიტიკას და ქართულ ბაზარზე კვლავ დაბრუნდება ჩვენს მიწაზე მოყვანილი მოსავალი.**

ჩვენი ბაზრებიდან ხომ თითქმის მთლიანად განდევნილია ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, ხოლო უცხო ქვეყნებიდან შემოტანილმა საეჭვო ხარისხის მდარე პროდუქციამ სადამდეც მიგვიყვანა, ყველამ კარგად ვიცით. აღარაფერს ვიტყვი იმ ადამიანებზე, რომლებიც თავის დროზე ამ სფეროში იყვნენ დასაქმებული, ახლა კი, უმუშევრობისა და სიღატაკისთვის არიან განწირული.

სწორედ ამიტომ, „ქართული ოცნებას" დაგეგმილი აქვსააღორძინოს ქართული სოფელი და შექმნას ერთმილიარდიანი ფონდი, რომელიც მხოლოდ სოფლის მეურნეობისთვის იქნება განკუთვნილი.

ამ გეგმის მიხედვით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოქალაქეები შეძლებენ გრძელვადიანი, ხელმისაწვდომი და შეღავათიანი სესხების აღებას და ამით სარგებლობას; მოწესრიგდება მიწის დაკანონების საკითხები და შეიქმნება სათანადო გარანტიები.

ხელი შეეწყობათ გლეხებს თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებაში, დაფუძნდება კერძო საწარმოები, რომლებიც მომხმარებელს შესთავაზებენ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს - ტრაქტორებს და ყველა საჭირო აღჭურვილობას, ეს საწარმოები ხელს შეუწყობენ მათ მოსავლის აღებაში, დაბინავებაში და, საჭიროების შემთხვევაში, დასაწყობებაში, ბაზარზე გატანასა და გასაღებაში.

გურიაში სოფლის მეურნეობის არა ერთი დარგი იყო განვითარებული, ჩაით, ციტრუსითა და თხილით განთქმული მხარე დღეს თითქმის გაპარტახებულია და მხოლოდ თხილის პლანტაციებია შემორჩენილი.

დღეს გურულებს თხილიღა შემორჩათ ისედაც მწირი შემოსავლის ერთადერთ წყაროდ. მე ვიცი, როგორ თავდაუზოგავად შრომობთ, მაგრამ ამ შრომის შესატყვისი შემოსავალი არა გაქვთ. არა გაქვთ იმიტომ, რომ დღეს მონოპოლიზებულია თხილის ბიზნესი, ჩაბარების ფასები ხელისუფლებისგან ხელდასმული ერთი ჯგუფის ხელშია და ამ ჯგუფის გადასაწყვეტია, რა ფასად ჩაიბარებს თხილს, და თქვენც იძულებული ხართ, ჩალის ფასად ჩააბაროთ. ეს უნდა დამთავრდეს!

ერთი მცირე ჯგუფი ველარასოდეს გადაწყვეტს ვერც ერთი ადამიანის ბედს. ყველას ექნება საკუთა-

6 gv.

# biZina ivaniSvili da mixeil saakaSvili _ paralelelebi SedarebisTvis









ბიძინა ივანიშვილის ტრიუმფალური მოგზაურობა საქართველოში იმდენად უშუალო, ხალისიანი და ძალდაუტანებელია, რომ ის სულაც არ ჰგავს წინასაარჩევნო კამპანიას!

უბრალოდ, ახალგაზრდობის ასაკში სამშობლოდან წასული ადამიანი სამშობლოში თავისიანებთან დაბრუნდა.

დაბრუნდა სახელიანი, წარმატებული, მდიდარი, რომ ახლა თავისიანებს ამოუდგეს გვერდში და, რითაც შეუძლია, დაეხმაროს.

დიდი ხნის უნახავი ნათესავების, ახლობლების, თანასოფლელების და თანაქალაქელების შეხვედრას ჰგავს ეს შეხვედრები თავისი უშუალობით, უბრალოებით და გულწრფელობით.

რაც ამ შეხვედრებზე ხდება, ამის დადგმა, ამის შეთხზვა, ამის მომზადება და ორგანიზება შეუძლებელია, იმდენად ბუნებრივი და გულწრფელია ატმოსფერო, რომელიც ამ შეხვედრებზე სუფევს.

თუ პარალელს გავავლებთ მოსახლეობასთან ბიძინა ივანიშვილის შეხვედრებსა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრებს შორის, ერთ მკვეთრად განმასხვავებელ შტრიხს შევამჩნევთ:

**მიხეილ სააკაშვილი, უდავოდ ნიჭიერი რეჟისორი, ნიჭიერი დრამატურგი და, რაც მთავარია, უდავოდ ნიჭიერი მსახიობი დგამს და თხზავს ამ შეხვედრებს, როგორც სპექტაკლებს, დგამს მაყურებლის განწყობასაც კი... სააკაშვილი თამაშობს, ბიძინა ივანიშვილს თამაში არ სჭირდება — ის ასეთია — უბრალო, თავმდაბალი, გულისხმიერი და გულისყურიანი ადამიანების მიმართ,**

სიდუხჭირისა და გაჭირვების საკუთარ ზურგზე გადამტანი, შრომის ფასის მცოდნე, ბავშვობიდანვე მიწის ყადრს და მადლს ნაზიარები, ვინც საკუთარი ნიჭიერებით და მონდომებით გაიკვლია გზა წარმატებებისკენ.

**ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში რთული და მძიმე ცხოვრებისეული გზის გავლის შემდეგ მოვიდა,** მოვიდა დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებით აღჭურვილი, გამდიდრებული და დაბრძენებული, **მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკაში მოვიდა სრულიად ახალგაზრდა, რომლის ცხოვრებისეული გამოცდილება კომკავშირის მდივნობასა და ეფრეიტორის ჩინს არ გასცილებია.**

მიხეილ სააკაშვილს, ელიტარული ოჯახის შვილს, ბავშვობიდანვე წვრთნიდნენ, აკოწიწებდნენ, აშალაშინებდნენ, რანდავდნენ, ხვეწდნენ და ასე ამზადებდნენ პოლიტიკური კარიერისთვის.

**მიხეილ სააკაშვილი როგორც პიროვნება, შინაური თუ გარეული რეპეტიტორების მიერ შექმნილი „პროექტია", ბიძინა ივანიშვილი კი თვითონ ქმნიდა და თვითონ სრულყოფდა საკუთარ თავს.**

შეიძლება მიხეილ სააკაშვილის პიროვნული დრამის საფუძველი გახდა ის, რომ ეს არამკითხე „რეპეტიტორები" და კონსტრუქტორები მისგან ცდილობდნენ „გაეკეთებინათ" ის, რაც მას შინაგანად არ უნდოდა ყოფილიყო და რაც დისკომფორტს უქმნიდა.

**ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში ცხოვრებიდან მოვიდა, მიხეილ სააკაშვილი — იმ პოლიტიკური სიზმრებიდან, რომელიც მას იძულების წესით სხვებმა დაასიზმრეს.**

მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტობის პარალელურად ცდილობს იმ ურთულესი დარგის შესწავლას, რომელსაც ცხოვრება ჰქვია, მაგრამ არაფერი გამოსდის; პრეზიდენტობის პარალელურად შეთავსებით ამ დარგის შესწავლა შეუძლებელია.

ეს ის დარგია, რომელსაც არ ასწავლიან ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში, ის შენ თვითონ უნდა ისწავლო დამოუკიდებლად, ამას კი წლები სჭირდება.

სააკაშვილს წლები აკლდა, როცა ის, სრულიად ახალგაზრდა განუზომლად დიდ ძალაუფლებას დაეუფლა და ამ ძალაუფლებამ დაამახინჯა და დაასახიჩრა კიდევაც.

ბიძინა ივანიშვილს სააკაშვილთან შედარებით ასაკობრივი უპირატესობა და, აქედან გამომდინარე ცხოვრების ცოდნის და ცხოვრებისეული გამოცდილების დიდი უპირატესობა აქვს, ეს კი, თუ მთლად ერთადერთი არა, ერთ-ერთი უმთავრესი რამ არის სახელმწიფო მართვის ხელოვნებას რომ დაეუფლო.

სააკაშვილი კომპიუტერული ტექნოლოგიების მეშვეობით ახლა „აშენებს" **ვირტუალურ ქალაქ-სახელმწიფოს — „ლაზიკას"**, ბიძინა ივანიშვილმა კარგა ხნის წინათ ააშენა ვირტუალური კი არა თავისი **რეალური „ლაზიკა" — საჩხერე,** „ადმინისტრაციული ცენტრით" — **ჭორვილა.**

**ბიძინა ივანიშვილს საქართველოში კი არა მსოფლიოში ჯერარსმენილი და ჯერუნახავი მასშტაბების ქველმოქმედება უმაგრებს ზურგს — სააკაშვილი 20-30 ლარიანი ვაუჩერებით ცდილობს ადამიანების გულის მოგებას, იმ ვაუჩერებით, რომლის საფასურიც ისევ ამ ადამიანების ჯიბეებიდან არის ამოცანცლული.**

ივანიშვილი მთელი ცხოვრება გასცემს, სააკაშვილი და მისი გუნდი კი ართმევს, რომ ამ წართმეულიდან კაპიკები მიუყაროს დაყაჩაღებულებს.









და ბოლოს, უმთავრესი და უპირველესი, რაც ამ ადამიანებს ერთმანეთისგან დიამეტრალურად განასხვავებს:

**ბიძინა ივანიშვილმა მილიარდები თავისი შრომით და ნიჭიერებით პოლიტიკაში მოსვლამდე იშოვა, სააკაშვილმა პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ.**

ამ ზედაპირული შედარებების შემდეგაც კი, ცხადზე ცხადია, რომ მიხეილ სააკაშვილი ბიძინა ივანიშვილს ვერცერთი ნიშნით, ვერც ერთი პარამეტრით კონკურენციას ვერ გაუწევს.

ეს მკაცრი რეალობაა, რომლისთვისაც თვალის გასწორება სჯობს, ვიდრე ამ რეალობის ძალისმიერი ან სხვა მეთოდებით გადაკეთების მცდელობა.

**ვახტანგ ხარჩილავა**








4 gv.

რი შრომით ოჯახის ღირსეულად რჩენის შესაძლებლობა. მე გპირდებით ამას!

მაშინ როცა, ჩვენთან, გურიაში პლანტაციები გავერანებულია, ჩვენი მოქალაქეები - ჩვენი სისხლი და ხორცი - თურქეთსა და საბერძნეთში ოჯახის სარჩენადაა გადახვეწილი და იქ თხილის, ჩაისა და ციტრუსის პლანტაციებში მუშაობით წელშია გაწყვეტილი. რა გჭირს ასეთი ქართველებს, რა დაგვემართა, რომ ჩვენი ხალხის ადგილი ჩვენსავე სამშობლოში აღარ არის! ეს უნდა დასრულდეს!

ჩვენ გვჯერა, რომ სოფლის მეურნეობის აღორძინების სიკეთე შეეხება თითოეულ ადამიანს, თითოეულ ოჯახს. ამას იგრძნობთ თქვენც, გურულები და თქვენს წვლილს შეიტანთ ქართული სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში.

**ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ჩვენი ხელისუფლებისთვის იქნება განათლება. დღევანდელი ხელისუფლება თავს იწონებს წარმატებული განათლების რეფორმით, თუმცა რა შედეგი მოჰყვა ამას, ჩვენ ყველამ ვიწვნიეთ.**

**ჩვენ ყველა სოფელში აღვადგენთ სკოლას, ყველა მოსწავლეს ექნება ხარისხიანი განათლების მიღების საშუალება და აღარ მოუწევთ ამისთვის სოფელ-სოფელ სიარული. ოჯახებს აღარ ექნებათ სახელმძღვანელოების შეძენის პრობლემა. მასწავლებლობა პრესტიჟული პროფესია გახდება, თავისი შრომის შესატყვისი ხელფასით და სოციალური დაცვის გარანტიებით.**

მჯერა, გურულებს დაგაინტერესებთ, რადგან ცნობილი ხართ განათლების მიღების წყურვილით: ცივილიზებულ ქვეყნებში დიდი ხანია, განავითარეს ასეთი სისტემა - განათლება მთელი ცხოვრების მანძილზე! რაც იმას გულისხმობს, რომ ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეუძლია, შეისწავლოს ის დარგი, ის მეცნიერება, რომელიც აინტერესებს. ყველას უნდა შეეძლოს ახალი პროფესიის შეძენა, ან თავისი პროფესიული განათლების სრულყოფა. ჩვენ ამაში ხელს შეგიწყობთ!

ძვირფასო მეგობრებო!

ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ყველასთვის არის ჯანდაცვის საკითხი. ამ მხრივ ბოლო 20 წელზე მეტია ჩვენი მოქალაქეები უმძიმეს მდგომარეობაში არიან, თითქოს რაღაც იცვლება, საავადმყოფოებიც შენდება, მაგრამ რეალობა ისაა, რომ 21-ე საუკუნეში უექიმობისა და უწამლობის გამო კვდებიან ადამიანები. მკურნალობის ხარჯის გამო კაცს სახლ-კარის გაყიდვა უწევს. მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის სიძვირის გამო შეუძლებელია საავადმყოფოში დაწოლა, ძვირია წამლები, ძვირია ოპერაცია.

გაჭირვებული და წელში გატეხილი ხალხი ადვილი სამართავია - მიუგდებ დახმარებას და მუდამ მადლიერი და მორჩილი გეყოლება, - ასე ფიქრობს სააკაშვილის ხელისუფლება.

**მე და ჩემს გუნდს არ გვინდა, დაბეჩავებული ხალხის ხელისუფლება ვიყოთ, ჩვენ ღირსეული, ამაყი და წელში გამართული ხალხის ხელისუფლება უნდა ვიყოთ. სწორედ ამიტომ, პირველ რიგში, ადამიანს მივხედავთ, ხალხს ადამიანურად ცხოვრების საშუალებას მივცემთ. ამიტომ, ოქტომბერში, საპარლამენტო არჩევნებში ჩვენი გამარჯვების შემდეგ, საქართველოს თითოეული მოქალაქის - უკლებლივ ყველას ჯანმრთელობაზე იზრუნებს სახელმწიფო!**

ჩვენ მივხედავთ თქვენს ჯანდაცვას, გპირდებით!

ჩვენ ყველა დანაპირებს შევასრულებთ, ამის სიტყვას მე გაძლევთ!

ამ ბოლო დღეებში, სააკაშვილის ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ მილიონობით ჯარიმა დამაკისრა. ეს სააკაშვილის უბადრუკი ოინებია! ვიცი, რომ საზოგადოება ღელავს ამის გამო, ხალხი შეშფოთებულია. მაგრამ, ნუ შეგეშინდებათ, მე ამით ვერ შემაჩერებენ, ჩვენ ვერ შეგვაჩერებენ! რადგან ერთად ვართ, ჩვენ ვერავინ გვაჯობებს. არაფერი გამოუვათ, მე ვერ შემაჩერებენ!

მე გპირდებით, რომ ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს გაჭირვებას!

მე გპირდებით, რომ ჩვენ შევამცირებთ გაუმართლებლად მაღალ კომუნალურ გადასახადებს, პენსია არანაკლები იქნება, ვიდრე საარსებო მინიმუმია. თავად საარსებო მინიმუმის ოდენობაც გადაიხედება, შეიცვლება და რეალურ ციფრს მიუახლოვდება!

მე გპირდებით, რომ თქვენთან ერთად ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, სადაც არავის აღარ დასჭირდება ლუკმაპურის საშოვნელად სამშობლოდან გადახვეწა!

მე გპირდებით, რომ ჩვენ ხელს შევუწყობთ საქართველოში კულტურული ცხოვრების აღორძინებას, დავიბრუნებთ ღირსებისა და სიამაყის განცდას!

მე გპირდებით, რომ თქვენთან ერთად ვიბრძოლებთ და არჩევნებით შევცვლით ამ ხელისუფლებას!

ამ ბრძოლაში ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით! მხოლოდ ერთად დგომით მოვიგებთ ამ ბრძოლას!

**ჩვენ გვწამს და მტკიცედ გვჯერა, რომ გავიმარჯვებთ არჩევნებში, ქართველი ხალხი გაიმარჯვებს, საქართველო გაიმარჯვებს, ჩვენ ერთად შევქმნით უკეთეს მომავალს და ერთად ავისრულებთ ქართულ ოცნებას!**

# guriam `daxata~!

ასეთი სტატუსი ჰქონდა სოციალ ქსელში ბიძინა ივანიშვილის შეხვედრას ოზურგეთში გურულებთან — გურიამ „დახატა!“

მართალი გითხრათ, მაგრად ვნერვიულობდი, ვაითუ, ამდენ უბედურებაგადატანილმა, გაპარტახებულმა, ღვთის ანაბარად მიტოვებულმა გურიამ და გურულებმა, ხელი ჩაიქნიონ და არ მივიდნენ აქციაზე-მეთქი...

17 ივნისს გურულებმა აჩვენეს, რომ მიუხედავად არაადამიანური მოპყრობისა, გაბატონებული უსამართლობისა, მათში არ ჩამკვდარა მებრძოლი სული...

1905 წლის ე.წ. „წითელი პარტიზანები“ და მათი თავგანწირული ბრძოლა ხომ ბოლოს იმით დამთავრდა, რომ გურულებმა პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა შექმნეს?!

**დღეს მებრძოლი, ალალი, ლაღი გურულები ნაციონალური მთავრობისგან სულში ჩაფურთხებული და დაბეჩავებული, ვიღაცას ჰგონია, რომ აღარ გურულობენ.**

ამას წინათ საფრანგეთიდან ერთმა ოზურგეთელმა დამირეკა, მის სახელს და გვარს შეგნებულად არ დავწერ, რადგან იმ ადამიანს ცოლ-შვილი და დედ-მამა ჯერ კიდევ ოზურგეთში ჰყავს, თუმცა მათ სრულ გახიზვნას მალე აპირებს.

ეს ახალგაზრდა კაცი, შეიძლება გაგიკვირდეთ და, პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანია.

— რა მექნა, ირანდა, რას შევგუებოდი, უსამართლობას? ჩემს მეზობელს, გაჭირვებულს, ერთი პატარა ჯიხური ედგა სოფელში, დღეში ორ კოლოფ სიგარეტს ჰყიდდა და 3 ცალ პურს. ვის აქვს უფრო მეტი ფული გურიაში. მიადგა საგადასახადო, ჯარიმა დაუწერა და მე და ჩემს ხალხს გვიბრძანა — მიდი, დაუნგრიე ჯიხური, დედა უტირეო. მე იმ კაცის ეზოში ვარ გაზრდილი. სხვა ქვეყნის დამპყრობელი ხომ არ ვარ?! ვერ მოვითმინე ეს და მერე, ჩვენი დიდი შეფის — ვანო მერაბიშვილის დაბადების დღეზე გურიის სამხარეო პოლიცია რომ შეიკრიბა, ერთ-ერთი მაღალჩინოსანი — გია ურიდია სკამზე რომ შედგა, ვანოს გაუმარჯოსო თქვა და ჩვენც გვითხრა: ყველამ სკამზე შემდგარმა დალიეთ მისი სადღეგრძელოო, მაგი ველარ მევითმინე. შევიგინე ერთი მაგრად, გამოვიქეცი და იმის მერე ვიმალები. ჯერ უკრაინაში ჩავედი, მერე სად, მერე სად და ახლა საფრანგეთში ვარ. ჩავბარდი საფრანგეთის ხელისუფლებას.

— დაგვტოვე ხომ ჩვენ ამათ წინაშე მარტო, რაა ეს, ბიჭო, ბრძოლიდან გაქცევა?

— არავითარი გაქცევა. ესენი ცხელ ტყვიას არ ამაცილებდნენ, ახლა არ გეუბნები, თორემ იმდენი რამე ვიცი მაგათზე, მარტო ამის გამო არ გამიშვებდნენ ცოცხალს. დროებით დავიმალე, თორემ დავბრუნდები საქართველოში. რა მინდა აქ, ჩემს გურიას რამე შეედრება? ვენაცვალე ჩემს ხალხს. ჩემმა მტერმა, საქართველოს მტერმა იცოდეს, რომ არ შევარჩენთ მაგათ ჩვენს დაჩაგვრას და გამწარებას. იცოდეთ ყველამ: მე ჩამოვალ საქართველოში და მანდ ვიცხოვრებ ბედნიერ ქვეყანაში!!




რამდენი ასეთი ადამიანი აკლდა 17-ში მიტინგს. რამდენი ასეთი გააქციეს ამ ულმერთოებმა მშობლიური მიწა-წყლიდან...

რამდენი დაიმალება მალე სკამის და მაგიდის ქვეშ?!.

* * *

**გურულები ის ხალხია, ვინც სასტიკი პროტესტი გამოხატა სააკაშვილის მიმართ იმით, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ყველაზე ცოტა რაოდენობის ხმები გურიიდან მიიღო მიშამ.**

რაზეც ისე განრისხებულა სააკაშვილი, საერთოდ აუთვალწუნებია გურიაო და ეტყობა, იმიტომაცაა ატომური ბომბის დარტყმის მერე აოხრებულ ხიროსიმასა და ნაგასაკივით გავერანებული.

— მე რომ სააკაშვილს და მის მთავრობას ვეხმარებოდი და მეგონა, საქართველოს ვედექი მხარში, მე რომ კიდევ მქონდა მიშას იმედი, თქვენ ჩემზე ადრე მიმხვდარხართ, გურულებო, თქვენ გივაჟკაციათ, თქვენ გენაცვალეთო, — თქვა ბიძინა ივანიშვილმა 17 ივნისს ოზურგეთში.

გურულები მგრძნობიარე, ზედმეტი ემოციებით დატვირთული, ანუ ზედმეტად ადამიანური ხალხია. ოზურგეთის აქციაზე ქართულ და უცხოურ სააგენტოებსაც გადაუღიათ არა მხოლოდ თვალცრემლიანი ქალები, არამედ ცრემლით თვალდასველებული გურული კაცებიც...

რა ძაღლთაპირი უნდა იყო და არაადამიანი, ხალხი იქამდე რომ მიიყვანო, რომ აქციაზე ბოლო იმედს ცრემლიანი თვალებით შეეგებონ.

17 ივნისს მიუხედავად ამ არაადამიანური ზეწოლისა გურიამ თქვა თავისი სიტყვა...

17 ივნისს გურიამ საბოლოოდ უთხრა უარი მიხეილ სააკაშვილს...

17 ივნისს გურიამ „დახატა“!..

**ირანდა კალანდაძე**

# me, erTi rigiTi qarTveli, baton biZina ivaniSvils da mTel saqarTvelos aseT lozungs SevTavazebdi: arCevnebi saakaSvilis gareSe!

სააკაშვილისა და მისი გუნდის მიერ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ბოლო დროს განხორციელებული ქმედებები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ საქართველოს ხელისუფლება კვლავ ძალადობის გზას ადგას და ყველანაირად ცდილობს ბიძინა ივანიშვილი საერთოდ გამოაძევოს პოლიტიკური პროცესებიდან.

ცხადია, ეს არის არა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი, არამედ მთელი ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული ცინიკური ქმედება.

ხელისუფლება ხაზგასმული უტიფრობით ავლენს სრულ უპატივცემულობას იმ ასიათასობით მოქალაქის მისამართით, რომლებიც 27 მაისს, 10 ივნისს, 17 ივნისს ქუჩაში გამოვიდნენ და არსებული ხელისუფლებისა და, კერძოდ, მიხეილ სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის წინააღმდეგ ღიად და დაუფარავად გამოხატეს თავიანთი პროტესტი.

პრეზიდენტად წოდებული მიხეილ სააკაშვილი აბუჩად იგდებს ქართველ ხალხს და რეპრესიული მეთოდებით, კანონის სრული იგნორირებით, მის დიქტატს დაქვემდებარებული სასამართლოს და კონტროლის პალატის მეშვეობით ბანდიტური მეთოდებით უსწორდება ბიძინა ივანიშვილს და მის ასიათასობით მხარდამჭერს.

**ნათელი ხდება, რომ სააკაშვილი დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩატარებაზე საერთოდ არ ფიქრობს და მისი ერთადერთი მიზანია ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გაყალბების, თვითნებობის, დაშინების, საყოველთაო ტერორის გზით მიაღწიოს „ნაცმოძრაობის“ გამარჯვებას და ამით შეინარჩუნოს ძალაუფლება, რაც მისთვის ჩადენილ დანაშაულობათა გამო პასუხისმგებლობის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალებაა.**

ფაქტია, თან ისეთი ფაქტი, რომელიც ასპროცენტიანი სიმართლეა და არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ სანამ მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლების სათავეშია, საქართველოში სამართლიანი კი არა სამართლიანთან ოდნავ მოახლოებული არჩევნებიც კი არასოდეს არ ჩატარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო, ქართველი ხალხი შეიძლება ათეული წლების განმავლობაში იყოს ამ დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, მიხეილ სააკაშვილი თავისი ღრმად ეგოისტური ინსტიქტებით, ძალაუფლების მარადიულად დაპყრობის ავადმყოფური, მანიაკალური სწრაფვით, საფრთხეს უქმნის ქართული სახელმწიფოს არსებობას —

**სააკაშვილი დათმობს ყველაფერს — ქართული ტერიტორიების დიდ ნაწილს, ქართული სახელმწიფოს ერთიანობას, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის საფუძვლებს, ოღონდ შეინარჩუნოს სკამი და ამ სკამის ჩასადგმელი თუნდაც მცირე ადგილი.**

ამ მიზნის მისაღწევად ის არა მარტო გააყალბებს არჩევნებს, არამედ, თუ საჭიროდ ჩათვლის, შეეცდება საერთოდ ჩაშალოს ეს არჩევნები და ამის განსახორციელებლად ნებისმიერ პროვოკაციაზე წავა, უკიდურესად გაამწვავებს სიტუაცია „რუსეთთან, მოახდენს სამოქალაქო დაპირისპირების ესკალაციას, გამოაცხადებს საგანგებო მდგომარეობა“, საერთოდ ჩაკეტავს ქვეყანა და საერთაშორისო დემოკრატიულ თანამეგობრობას უბოდიშოდ მიუკეტოს კარს.






მოცემულ სიტუაციაში მე, ერთი რიგითი ქართველი, რომელმაც თავის ზურგზე გადაიტანა ბოლო ოცი წლის განმავლობაში ქვეყანაში მომხდარი ყველა უბედურება, ბატონ ბიძინა ივანიშვილს და მთელ ქართველ ხალხს ასეთ ლოზუნგს შემოგთავაზებთ: არჩევნები სააკაშვილის გარეშე!

ჩვენ ყველას გვახსოვს სხვადასხვა დროს გაჟღერებული მოწოდებები: ყველა — მინუს ერთი!

**„საქართველო შევარდნაძის გარეშე! საქართველო სააკაშვილის გარეშე!“**

ჩემს მიერ შემოთავაზებული იდეა მხოლოდ ზედაპირულად ჰგავს ზემოთნახსენებ ლოზუნგებს, თუმცა შინაარსობლივად ის აბსოლუტურად განსხვავდება მათგან.

— საქმე ის არის, რომ ლოზუნგი **„არჩევნები სააკაშვილის გარეშე“** არ ნიშნავს სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნას (ეს მოთხოვნა კარს მომდგარი არჩევნების წინ უტოპიურია) არამედ ეს ნიშნავს სააკაშვილის განუზომელი ძალაუფლების შეზღუდვას და მის ჩამოშორებას საარჩევნო პროცესებიდან.

**მოგეხსენებათ, მიხეილ სააკაშვილი არამარტო პრეზიდენტია, არამედ „შეთავსებით“ ნაციონალური მოძრაობის ლიდერიც, რომელიც 2003 წლიდან დღემდე უცვლელად ხელმძღვანელობს თავის გუნდს ამ ხნის განმავლობაში ჩატარებულ ყველა საარჩევნო კამპანიის დროს.**

ასევე იყო ედუარდ შევარდნაძეც, რომელიც თითქმის ათი წლის მანძილზე ერთმანეთს უთავსებდა „მოქკავშირის“ თავმჯდომარეობას და სახელმწიფოს მეთაურობას.

სწორედ შევარდნაძის დროს გაიწაფეს ხელი არჩევნების გაყალბებაში, ხმების მოპარვაში და სხვა ათასგვარ მაქინაციებში „მოქკავშირის“ ახალგაზრდა წარმომადგენლებმა, რომლებმაც მოქკავშირში ნასწავლი „მეთოდები ავტომატურად გადმოიტანეს, „ნაცმოძრაობაში“.

მახსოვს, როცა საქმე ძალიან გაფუჭდა და ყველაფერმა ჭაობში იწყო ჩაძირვა, შევარდნაძესაც ბევრნი, მათ შორის მისი კეთილისმყოფლებიც, ურჩევდნენ უარი ეთქვა მოქკავშირის



თავმჯდომარეობაზე და ამით აღედგინა პოლიტიკური ბალანსი, თვითონ კი დაკმაყოფილებულიყო არბიტრის ფუნქციით, მაგრამ შევარდნაძემ არ მიიღო ეს გონივრული რჩევა და საბოლოოდ ამას გადააყოლა პრეზიდენტობაც.

როგორც ჩანს, ისეთი სპეციფიკური მენტალიტეტის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, პრეზიდენტობას პლიუს მმართველი პარტიის ხელმძღვანელობა ნოყიერ ნიადაგს ქმნის ავტორიტარული რეჟიმის დასამყარებლად და ამ სისტემას პირდაპირი გზით, ავტომატურად მივყავართ ტოტალიტარიზმისაკენ.

**არჩევნები სააკაშვილთან ერთად ნიშნავს არჩევნების უპირობო, გარდაუვალ გაყალბებას,**

რასაც შეიძლება დიდი მღელვარება და დაპირისპირება მოჰყვეს.

**არჩევნები სააკაშვილის გარეშე ნიშნავს შედარებით მშვიდი და ნორმალური საარჩევნო გარემოს შექმნას,**

ნაკლებ კანონდარღვევებს, მეტ სამართლიანობას და მეტ დემოკრატიულობას „არჩევნები სააკაშვილის გარეშე“ ეს თვით „ნაცმოძრაობისთვისაც“ ბორკილების ახსნა და სააკაშვილის „ნაცმოძრაობისგან“ გათავისუფლებაა, რაც ამ ორგანიზაციას ახალ შანსს მისცემს ახალი პოლიტიკური ცხოვრების დასაწყებად.

**„არჩევნები სააკაშვილის გარეშე“ შვება და ხსნაა თვით სააკაშვილისთვისაც, რომელმაც დროა არამარტო მოსვლა, არამედ დროულად წასვლაც ისწავლოს, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ კვლავ ჰქონდეს უკან მობრუნების უფლება.**

და ბოლოს, „არჩევნები სააკაშვილის გარეშე“ იდეალური გამოსავალთი იმ უცხოური პოლიტიკური ძალებისთვის, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მის ხელისუფლების სათავეში მოსვლას და დღეს არ იციან, როგორ გამოძვრნენ ამ პასუხისმგებლობისგან, ისე რომ შეინარჩუნონ სახე და იმიჯი.

როგორ შეიძლება ამ იდეის განხორციელება და როგორ შეიძლება მივაღწიოთ მიზანს, რომელსაც „არჩევნები სააკაშვილის გარეშე“ ჰქვია?

ამ მიზნის მისაღწევად მრავალნაირი გზა არსებობს და ყველა ეს გზა მშვიდობიანი და თავისი არსით კონსტრუქციულია, თუმცა ამ მიზნის მიღწევა ქართველი ხალხის მტკიცე და საყოველთაო ნების გარეშე შეუძლებელია.

ქართველ ხალხს კი, დღეს, საბედნიეროდ, ჰყავს ისეთი ლიდერი, რომელსაც ამ პრობლემის გადაწყვეტა წარმატებით შეუძლია.

**მირიან მაისურაძე**

**თბილისი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# mTeli pasuxismgeblobiT vacxadeb: biZina ivaniSvili ruseTis proeqti ar aris. ruseTis proeqti vincaa, is jer ar gamoCenila, magram aucileblad gamoCndeba...

*„საერთო გაზეთის“ სტუმარია საერთაშორისო ორგანიზაცია „კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის“ თავმჯდომარე* ***ზაალ კასრელიშვილი.***



**ზაალ კასრელიშვილი:** „დარწმუნებული ვარ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ჰგონია, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მიხეილ სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის „მიღწევების“ დასადასტურებლად ჩამოვიდა. ხელისუფლების „აღფრთოვანებამ“ კომუნისტების პერიოდი გამახსენა, როცა ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე საბჭოთა საქართველოში საკავშირო ცეკას წარმომადგენელი ჩამოდიოდა, რომელიც რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიღწევებს აღრიცხავდა, რა თქმა უნდა, ერთი-ორ ნაკლსაც მიუთითებდნენ და მერე ერთი ამბავი იყო ატეხილი საკავშირო და ადგილობრივ პრესაში, რომ საქართველოს კომპარტია მოწინავე იყო საბჭოურ ავანგარდში.

**— საქართველოში ვიზიტის რეალური მიზეზის დამალვაზე საუბრობთ. სინამდვილეში რა მიზნით ესტუმრა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ამიერკავკასიის რესპუბლიკებს?**

— რამდენადაც ვიცი, მან სომხებს ამერიკული სომხური ლობის გზავნილი ჩამოუტანა, მაგრამ სომხეთის ხელისუფლებისგან ვერ მიიღო გარანტიები იმის თაობაზე, რომ სომხეთი ყარაბაღის სექტორში პროვოკაციებს არ მოუწყობს აზერბაიჯანს. იმ საყოველთაოდ ცნობილ



ლოკატორს (რადარს), რომელიც აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა განთავსებული, რუსეთი და აზერბაიჯანი ერთობლივად განკარგავდნენ. რუსეთს ამ რადართან დაკავშირებით დიდი დავალიანება დაუგროვდა, რაც ვერ გადაიხადა, ამიტომ აზერბაიჯანი ფიქრობს, ეს ობიექტი აშშ-ს მიაქირაოს. დაახლოებით იგივე სიტუაციაა, რაც ბაიკანურთან დაკავშირებით იყო ყაზახეთში, თუმცა, ამ ობიექტს უფრო ნაკლები სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე აზერბაიჯანის ლოკატორს, მით უმეტეს ახლა, როცა ირანთან ომი გარდაუვალია. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ჩვენს ორგანიზაციას პოლიტიკური პროგნოზი აქამდე არასდროს შეშლია. აქ უბრალოდ იმაზეა საუბარი, ირანთან ომში ისრაელი მარტო იქნება თუ კოალიციაც დაეხმარება. ჰილარი აზერბაიჯანის ხელისუფლებისგან თანხმობას მიიღებს, ოღონდ აზერბაიჯანი აუცილებლად მოითხოვს უსაფრთხოების გარანტიებს, თუმცა, მიჭირს იმის წარმოდგენა, რა გარანტიები შეიძლება მისცეს ამერიკამ აზერბაიჯანის ხელისუფლებას, როცა ეს უკანასკნელი ომშია სომხეთთან, ხოლო საქართველოში ჩვენი ხელისუფლების სახით აშშ-ს არასერიოზული პარტნიორი ჰყავს. ამის პარალელურად რუსეთის ხელისუფლება, როგორც ჩანს, თავს იზღვევს, რომ საქართველოს უსუსურმა ხელისუფლებამ არ გაბედოს აზერბაიჯანისთვის მხარის დაჭერა და ახლა ჯავახეთშიც გვიხსნის ჭრილობას. „ჯავახკის“ რუსულმა ფრთამ რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისგან სამცხე-ჯავახეთის სომხური მოსახლეობისთვის რუსეთში თავისუფლად გადაადგილების უფლება მოითხოვა. ეს პირველი ნაბიჯია, მეორე — რუსული პასპორტების მოთხოვნა იქნება. სწორედ ასე დაიწყო ყველაფერი ცხინვალის რეგიონშიც. ეს ნაბიჯი ჰილარი კლინტონის პასპორტებთან დაკავშირებულ განცხადებას მოჰყვა, რომლის თანახმადაც აფხაზებსა და ოსებს აშშ-ის ტერიტორიაზე ქართული პასპორტით შესვლის უფლება ექნებათ. მერწმუნეთ, ამას ნიშნის მოგებით არ ვამბობ. საქართველოს მოსახლეობას მინდა ვუთხრა, რომ დღეს კავკასიაში ერთადერთი ძალა, ვისაც მიუკერძოებლად, ყოველგვარი ანგარებისა და გარიგებების გარეშე შეუძლია მოსახლეობის ინტერესების დაცვა, „კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია“ და „კავკასიის სამშვიდობო ლეგიონია“. სანამ სერიოზული ძალები არ გვთხოვენ დახმარებას, როგორც საქართველოში, ისე კავკასიასა და მის ფარგლებს გარეთ, მანამ კავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური ხელმძღვანელობები ყოველთვის პაიკების როლში იქნებიან, რადგან ყველა საკუთარ სარგებელზე ფიქრობს და არა ევროკავშირის კავკასიურ ვარიანტზე.

**— იქნებ ორიოდე სიტყვით გვითხრათ, ქართველების გარდა ვინ შედის ამ კონფედერაციაში?**

— აფხაზები, ოსები, ჩრდილოკავკასიელი ერების წარმომადგენლები, აზერბაიჯანი და ამერიკელი სომხები. ისე სომხური ლობიც ორად არის გაყოფილი, პრორუსული ორიენტაციის სომხური ლობი და ამერიკული სომხური ლობი. სხვათა შორის, თავის დროზე ამ ორივე ფრთამ დაუჭირა მხარი მიხეილ სააკაშვილს ებრაულ ლობთან ერთად. ახლა ამერიკული სომხური ლობი პრორუსულისგან სრულიად განსხვავებული მოსაზრებისაა. ის ამბობს, რომ სომხეთი რუსულ ორბიტას უნდა ჩამოსცილდეს და კავკასიურ კონფედერაციაში დაბინავდეს, ხოლო ხსენებული კონფედერაცია ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი გახდეს და ეუთო-ის კონვენციის ფარგლებში შექმნას მობილური არმია, რომელსაც მხოლოდ ერთი დატვირთვა ექნება, გარე ძალების აგრესიისგან ერთობლივი ძალისხმევით დაიცვას კავკასია. ეს რომ გაკეთდეს, მაშინ რუსეთის ჯარი უნდა გაიყვანონ სომხეთიდან. აი, აქ იწყება მათი კონფლიქტი პრორუსულ ლობთან; გიუმრიდან და, საერთოდ, სომხეთიდან რუსული ბაზები რომ გავიყვანოთ, აზერბაიჯანი ისეა გამდიდრებული და გაძლიერებული, რომ გადაგვივლისო. აქ კი საქართველოს ხელისუფლებამ უნდა ივაჟკაცოს ამ ორ სახელმწიფოს შორის გარანტად დადგეს, რომ რუსეთის ჯარის გაყვანის შემთხვევაში ის შეიყვანს ქართულ სამხედრო ქვედანაყოფებს ან „კავკასიის სამშვიდობო ლეგიონს“, რომელიც არ დაუშვებს უღირს საქციელს, შეთანხმების გაუქმებას. ისტორიის მაგალითებიც გვეუბნება, რომ არც ერთ ძლიერ ქართველ მეფეს, რომელიც საქართველოსა თუ კავკასიის გამთლიანებასა და უსაფრთხოებაზე ზრუნავდა, კავკასიელი მებრძოლების გარეშე არ უომია. ნაცხელისუფლებას ეს არ უნდა, რადგან თვითმყოფადობის განცდა არ გააჩნია. აი, ბიძინა ივანიშვილს კი საქართველო აქეთ მიჰყავს, ის უპირველესად ჩვენი ქვეყნის სახელისა და ავტორიტეტის აშენება-გაძლიერებაზე ფიქრობს და თუ ასე გააგრძელა, „კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია“ ბოლომდე გვერდით დაუდგება. ისევ ჰილარი კლინტონის ვიზიტს დავუბრუნდეთ, რომელიც მარტო 3-დღიანი ვოიაჟი კი არა, საბრძოლო მზადყოფნის საკითხი იყო ირანის ომთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვარ, გასაიდუმლოებული საუბრები ამას შეეხებოდა. რახან ამხელა პოლიტიკური ფიგურა ჩამოვიდა, ე.ი. აშშ-ს რაღაცაში სჭირდება საქართველოს ხელისუფლება. ამათაც შანსი ხელიდან არ გაუშვეს და კლინტონის სახელი მოსახლეობის თვალში საკუთარი გაშავებული ავტორიტეტის გასათეთრებლად გამოიყენეს, მიტოვებულები კი არ ვართ, ისევ გვიწევენ ანგარიშს და გველაპარაკებიანო. მერწმუნეთ, ასე არ არის, ხელისუფლებას კატეგორიული მითითებები მისცეს, პირდაპირ გააფრთხილეს, რომ შემოდგომაზე თუ სამართლიან არჩევნებს არ ჩაატარებთ და ამას ექსცესები მოჰყვება, ჩვენ ვერ დაგიცავთო, რაც იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტი ობამა რუსეთთან გრძელვადიან ურთიერთობებს გეგმავს. სააკაშვილს პირდაპირ უთხრეს, რომ ამერიკულ-რუსულ მოლაპარაკებებში თქვენი არამყარი პოზიციების და, ასე ვთქვათ, პატარა შტატის დონის არჩევნების გამო, რუსეთთან ურთიერთობა არ გაგვიფუჭოთო. ქალბატონმა კლინტონმა შემდეგი მესიჯები დაგვიტოვა: აშშ თანამშრომლობდა, თანამშრომლობს და ითანამშრომლებს საქართველოსთან და არა ამ ხელისუფლებასთან, აშშ დაიცავს და დაეხმარება საქართველოს მოსახლეობას და არა ნაცხელისუფლება, აშშ მხარს დაუჭერს ნებისმიერ კანდიდატს, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა შემოდგომაზე აირჩევს.

**— თუ ქართველ ექსპერტებსა და ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს დავუჯერებთ, რუსეთს ყველაზე მეტად საქართველოს ხელისუფლებაში სააკაშვილი და მისი გუნდი აწყობს.**

— რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ 2008 წლის ომის შემდეგ ძალიან ბევრი რამ დაუთმო დასავლეთს, მათ დასათმობი აღარაფერი აქვთ. დასავლეთმაც მიიღო რუსეთისგან ის, რაც უნდოდა, მაგრამ სანამ ამას დაათმობინებდნენ, საქართველო ავი ძაღლის როლში გამოიყენეს. ახლა რუსეთის ხელისუფლებას ერთი მოთხოვნა აქვს, ვითანამშრომლებ, მექნება პარტნიორული ურთიერთობა თქვენთან, ოღონდ ყველა იმ რეგიონში, სადაც შედიხართ, თანაბარი პარტნიორების დონეზე შევალთ, თანაც იმ პირობით, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი ხელისუფლებიდან უნდა წავიდნენ, რადგან ისინი არ არიან საქართველოს მოსახლეობის მიერ არჩეული ხელისუფლებაო. როგორ ფიქრობთ ობამას სააკაშვილის გამო პუტინის განაწყენება ულირს? ხომ ხედავთ რუსეთის დახმარების გარეშე ირანში კი არა, სირიაშიც ვერ შედიან.



რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, რუსეთს სააკაშვილი მართლაც აწყობდა, ოღონდ იქამდე, სანამ პუტინი მეორედ მოვიდოდა პრეზიდენტად. პირდაპირ ვიტყვი იმ რუსულ გამოთქმას, როგორც პუტინი სააკაშვილს წინასაარჩევნოდ მოიხსენიებდა - „მუდაკი“ და ამ „მუდაკის“ ლანძღვა შიდა პოლიტიკური ბაზრისთვის გამოიყენა. პუტინის გუნდმა იგი ამერიკულ და დასავლურ აგრესიასთან გააიგივა, რადგან რუსეთს საქართველოდან შლიდნენ, ისევე როგორც თავის დროზე საბჭოთა კავშირი დაშალეს საქართველოდან. დამთავრდა არჩევნები, პუტინი პრეზიდენტი გახდა და ახლა „დაჩმორებული“, დაბეჩავებული სააკაშვილი, რომელიც 2008 წლიდან ეხვეწება პუტინს შემხვდიო, აღარ სჭირდებათ.

**ჩვენი ორგანიზაციის სახელით მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ბიძინა ივანიშვილი რუსების პროექტი არ არის. საქართველოში რუსული პროექტი ვინც არის, ის ჯერ არ გამოჩენილა, თუმცა აუცილებლად გამოჩნდება.**

მიუხედავად ამისა, ბიძინა ივანიშვილი მათთვის მისაღები პარტნიორია, როგორც წარმატებული, საქმიანი და მსოფლიოს ცივილიზებულ საქმიან წრეებში მიღებული ადამიანი. ბატონ ბიძინას მსოფლიოში ყველაზე სანდო პარტნიორის სახელი აქვს. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ მისი ბანკი გერმანულმა კომპანიამ ისე იყიდა, აუდიტიც კი არ ჩაატარა. ქართველი ექსპერტების პროგნოზებსა და ქართული ტელევიზიების მეპატრონეებზე რა გითხრათ... ისე, სირცხვილი ტელევიზიების მეპატრონეებს (ეს აუცილებლად დაბეჭდეთ), რადგან იმ სიტუაციაში, რაშიც დღეს საქართველოა, სიმართლის დამალვა ღალატის ტოლფასია.

**— როგორ ფიქრობთ, ამერიკა ბიძინა ივანიშვილს, როგორც ეროვნული ღირებულებების პატივისმცემელ და დამცავ კაცს, მართლა დაუჭერს მხარს?**

მეეჭვება, რომ ჰილარი კლინტონის სააკაშვილთან თუ „ნაცმოძრაობასთან“ დაახლოებული ამერიკელების გადასაწყვეტი იყოს, ბიძინა ივანიშვილს დაუჭერენ მხარს თუ სხვა ვინმეს, ეს უკვე სხვა დონეზე წყდება. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ თუ აშშ ბიძინა ივანიშვილს პირდაპირ არ უჭერს მხარს, არც სააკაშვილსა და მის გუნდს უჭერს. გიორგი თარგამაძე რომც გავიდეს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ქვეყანაში სიტუაცია დალაგდება, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დაიბრუნებს, თუ საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს გადაწყვეტს? რაღა თარგამაძე გაპრეზიდენტებულა და რაღა დავით ბაქრაძე ან პეტრე ცისკარიშვილი. ესენი დაახლოებით ერთი პოტენციალის ხალხია. გეთანხმებით, რომ ასეთი ტიპის ჩანაცვლება შესაძლებელია, მაგრამ ეს ბუშის ადმინისტრაციის დროს შეიძლებოდა მომხდარიყო. ახლა სხვა დროა, ამერიკას ბევრად უფრო სერიოზული პრობლემები აქვს, ვიდრე მიშა სააკაშვილია. რუსეთსაც ქვეყნის შიგნით ისეთი პრობლემები უღვივდება, რომ გარედან კიდევ ავი ძაღლი, რომელიც ყოველ წუთს ნერვებს უშლის და დასავლეთს მისთვის საყვედურის თქმის საბაბს აძლევს, არ სჭირდებათ.

**მანანა სუხიშვილი**

# gela nikolaiSvili: ar gamikvirdeba, xelisuflebam miiRos axali `kanoni~, rom biZina ivaniSvili erTbaSad 6.4 miliardi dolariT daajarimos _ parlamenti ar daamtkicebs Tu kontrolis palata ar aRasrulebs?!

გვესაუბრება უფლებადამცველი, იურისტი **გელა ნიკოლაიშვილი**

**— ბატონო გელა, ოპოზიციის მტკიცებით ხელისუფლება ისე როგორც არასდროს, აგონიაშია. თუმცა ეს უკანასკნელი დროს არ კარგავს, არც ამერიკას უშინდება და არც არავის და კონკურენტების მიმართ რეპრესიულ მანქანას მძლავრად ამუშავებს. რა პერსპექტივა აქვს მოვლენების ამგვარ განვითარებას?**

— ხელისუფლება რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვინაიდან მას აქამდე რეალური კონკურენტი არ ჰყოლია, რომელსაც ამდენი პოლიტიკური და ფინანსური კაპიტალი, ასევე დასავლეთის და ქვეყნის შიდა მხარდაჭერა ექნებოდა. მსგავსი მხარდაჭერა ცხრა წლის მანძილზე არც ერთ ოპოზიციურ ძალას არ ჰქონია. ამიტომ ხელისუფლებისთვის ეს სიახლეა და ახალ მეთოდებს, გზებს იგონებს, რათა მისთვის მოულოდნელ საშიშროებას ებრძოლოს. ეს ხელისუფლებისთვის უბრალო კი არა, არამედ სასიკვდილო საშიშროებაა, ვინაიდან ყველამ ვიცით, რომ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებების გამო, არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში მათი აბსოლუტური უმრავლესობა წავა არა ოპოზიციაში, არამედ ციხეში. აქედან გამომდინარე, ბრძოლის ფორმები, მეთოდები დაიხვეწა, განიცადა მოდერნიზაცია. მაგალითად, სრული სიახლეა კონტროლის პალატის მეშვეობით დაწესებული ბრძოლის ახლებური მეთოდი, რაც ყოველგვარი სამართლის, გონიერების, კანონიერებისგან სრულიად დაშორებულია. ხელისუფლებისთვის მთავარია — მიზანი ამართლებდეს საშუალებას. ეს მიზანი კი თავის გადარჩენა, ხელისუფლების შენარჩუნებაა. აქედან გამომდინარე, მომავალშიც ბევრ სიურპრიზს უნდა ველოდეთ — ეს შეიძლება იყოს ფიზიკური ზემოქმედებაც, ქვეყნიდან გასახლების მუქარა. ის, რომ სოფლებში თავიანთ ტაშისმკვრელებს, ზონდერ-ბრიგადებს ახვედრებენ ივანიშვილს და მათ მიშა, მიშას აძახებინებენ, ეს, ალბათ პრელუდიაა. ამ ზონდერებს საკმაოდ ბევრი დანაშაული აქვთ ჩადენილი, — ადამიანის ცემის, წამების, მკვლელობის ფაქტები, რაშიც მათ ხელფასს უხდიან. რა თქმა უნდა, ხელისუფლება ამ რესურსს უფრო აქტიურად გამოიყენებს.

**— ხელისუფლებამ ჯერ 2 მილიონიანი ჯარიმით დაიწყო, მერე — 4 და ბოლოს თანხა 126 მილიონამდე ასწია. ასე თუ გაგრძელდა ჯარიმის ოდენობამ შეიძლება კოლოსალურ თანხებს მიაღწიოს, შემდეგ კი დაყადაღდეს ქონება და ა.შ.**

— ხელისუფლება მაქსიმალურად გააკეთებს ყველაფერს, რაც მათი გადარჩენისთვის იქნება საჭირო.



**არ გამოვრიცხავ ხელისუფლებამ მიიღოს კანონი დაჯარიმების თაობაზე არა ათმაგი ოდენობით, არამედ კანონში შეიძლება პირდაპირ ჩაწერონ — ადამიანი, ვინც ამ სახით დაჯარიმდება, ხელისუფლებას უფლება ექნება 6 მილიარდ 400 მილიონი დოლარით დააჯარიმოს. ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ ხელისუფლებას ამის გაკეთება შეუძლია?! ვითომ რატომ მოერიდება მას მსგავსი კანონის შემოღება, პარლამენტი არ დაამტკიცებს თუ კონტროლის პალატა არ აღასრულებს?!**

საერთოდ არ გამიკვირდება არც ის, რომ ივანიშვილი მთელი იმ ქონებით დააჯარიმონ, რაც მას გააჩნია. ხელისუფლებისგან მე ამას ველოდები.

**— მით უმეტეს, ამ საფრთხეების ფონზე ოპოზიციამაც ხომ უნდა გამოიღოს ხელი? იქნებ მეტი მოქმედებაა საჭირო?**

— საზოგაგდოებას სამოქალაქო აქტივობის ასეთ სახეს შევთავაზებდი: საკუთარი დამოკიდებულების გამოსახატად თანადგომის ფონდი შექმნან. ივანიშვილის სახელის ხსენება სულაც არაა საჭირო. ადამიანებმა ვინც აქციაზე მოვიდნენ ან სულაც მხარს უჭერენ ივანიშვილს, ვისაც რამდენი შეუძლია თანადგომის ფონდში გადარიცხონ. როცა ეს მასობრივ ხასიათის გახდება და მილიონი ადამიანი მონაწილეობას მიიღებს, მათი თითო ლარი — მილიონი ლარია. როდესაც ხელისუფლება დაინახავს, რომ მილიარდერს მილიონებით ვეხმარებით, ამით ჩვენ საკუთარ თავსაც დავეხმარებით.

**ხელისუფლება ივანიშვილთან ბრძოლით ხომ საზოგადოებას ებრძვის. ბიძინა უბრალოდ საზოგადოების ჯილა, ლიდერია, ვინც ხალხის აზრს და მისწრაფებებს გამოხატავს. აქედან გამომდინარე, საზოგადოებამ თავად უნდა აიღოს ხელში ინიციატივა. უბრალო მოქალაქეებმა უნდა ჩადონ კაპიტალი საკუთარი პოზიციის გამარჯვებაში.**

ეს თანხა სწორედ იმ ადამიანებს უნდა მოხმარდეთ, ვინც ხელისუფლების რეპრესიების მსხვერპლია. აქ უკვე ხელისუფლებას არგუმენტი აღარ ექნება. კი, მას შეუძლია ეს თანხა დააყადაღოს, მაგრამ მაშინ უნდა აღიაროს, რომ საზოგადოების, უმრავლესობის წინააღმდეგ მიდის. ამიტომ, საზოგადოებამ მეტი აქტიურობა უნდა გამოიჩინოს. ჩემი აზრით, მათი როლი გადამწყვეტია.

**— თქვენ ახსენეთ, რომ სამომავლოდ ბევრი სიურპრიზია მოსალოდნელი, მათ შორის ივანიშვილის ქვეყნიდან დეპორტაცია. რა ბერკეტი გვრჩება ამ შემთხვევაში?**

— რა თქმა უნდა, ივანიშვილის დეპორტაციის საფრთხე რეალურად არსებობს. თუ ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ასეთი რამ სჭირდება და გაუვა კიდეც, ამას გააკეთებს. უბრალოდ, ახლა დასავლეთის მხრიდან დიდი ზეწოლაა საარჩევნო გარემოს შეცვლაზე, თორემ აქამდეც გააკეთებდნენ ამას. მთავარია, გაატანინებს თუ არა საზოგადოება ხელისუფლებას თავისას. თუ ამის საშუალებას ქართველი ხალხი ხელისუფლებას მისცემს, უპრობლემოდ გააკეთებენ ყველაფერს.

**— კლინტონი ტრაპზე არ იყო ასული, რომ „ქართული ოცნებისადმი“ რეპრესიებმა მწვავე ხასიათი მიიღო. ამ ფონზე რის იმედზეა ოპოზიცია, ვინმეს კიდევ აქვს ილუზია, რომ აშშ მიშას არ უჭერს მხარს?**

— იცით რაშია საქმე? — ამერიკას თავისი ინტერესები აქვს. იგი კონკრეტულად არც სააკაშვილს უჭერს მხარს და არც სხვას. აშშ მხარს უჭერს ისეთ სტაბილურ ხელისუფლებას, რომელსაც აქ მოვლენების მართვა შეუძლია და რომელიც პრო-ამერიკული იქნება და ამ ხაზს გაატარებს. დღესდღეობით სააკაშვილი ამას ახერხებს. ისტორიულად უამრავ დიქტატორულ რეჟიმთან — სამხრეთ ამერიკის, გვატემალას, მექსიკის და ა.შ., აშშ-ს მშვენიერი ურთიერთობები ჰქონდა, მაგრამ როდესაც ხალხმა დაანახა, რომ მათ აღარ უნდოდათ ეს რეჟიმი და შეგუებას არ აპირებდნენ, აშშ იძულებული გახდა ხალხის გვერდით დამდგარიყო. სწორედ ასე მოხდება ჩვენთანაც, როდესაც ქართველი ხალხი აშშ-ს და მთელს საერთაშორისო საზოგადოებას დაანახებს, რომ ეს რეჟიმი არ გვინდა — ასეთ შემთხვევაში აშშ იძულებული იქნება ხალხის მხარეს დადგეს. შევარდნაძეზე დიდი მოკავშირე ვინ ჰყავდა აშშ-ს?! შევარდნაძის მზეს ფიცულობდნენ — დემოკრატიის შუქურა მართლა იყო საქართველო მაშინ, მაგრამ როცა უკვე კრიტიკული მომენტი დადგა და მას ქართველი ხალხის მხარდაჭერა აღარ ჰქონდა, აშშ-მ არჩევანი გააკეთა. ასე მოხდება ახლაც.



**თუ აშშ დაინახავს, რომ აქ სიტუაციას ისევ სააკაშვილი აკონტროლებს, ისინი მკვეთრ განცხადებებს არ გააკეთებენ და ამ რეჟიმს შეეგუებიან, თუ დაინახეს, რომ ხალხის უმრავლესობა სააკაშვილს დაუპირისპირდა და ბოლომდე ბრძოლისთვისაა მზად, ხალხს დაუდგებიან გვერდით.**

ისევ ეგვიპტის მაგალითს მოვიყვან: NDI-მ ჩაატარა კვლევები და მუბარაქს 75 პროცენტი დაუწერეს, აშშ ღიად ემხრობოდა მას, მაგრამ ერთი თვის შემდეგ, როცა ხალხის მასობრივი გამოსვლები დაიწყო, პირდაპირ უთხრეს — უნდა წახვიდეო.

**— თუმცა სააკაშვილმა განაცხადა მილიარდებით ხმებს ვერ იყიდიან, ჩვენ მკაცრად დავიცავთ კანონს და ამაზე საერთაშორისო ორგანიზაციები ტაშს დაგვიკრავენო, ანუ რასაც „ქართული ოცნების“ მიმართ ახორციელებენ, ეს კანონის დაცვაა?**

— მათ შეუძლიათ ასეთი კანონი მიიღონ — ადამიანს, ვისაც ბიძინა ივანიშვილი ჰქვია და ვისაც 6 მილიარდზე მეტი ქონება აქვს, ამა და ამ დარღვევისთვის მთელი ქონება უნდა ჩამოვართვათო. ეს კანონიერი იქნება — კანონში ხომ ასე იქნება ჩაწერილი?! სხვა საკითხია სამართლიანი იქნება თუ არა ეს. კი იძახიან კანონს შევასრულებთო, მაგრამ მთავარი ისაა, როგორ კანონს მიიღებენ. მაგალითად, ადამიანს შეიძლება ვინმე თვალში არ მოუვიდეს და გადაწყვიტოს, მას ქუჩაში თავი მოაჭრას. თუ ასეთი რამ კანონში ჩაიწერება — ეს უკვე კანონიერი იქნება. აი, ასეთი კანონები აქვს ჩვენს ხელისუფლებას. ამიტომ ყველას, საერთაშორისო ორგანიზაციებსაც უნდა ვაჩვენოთ, რომ არ ვეგუებით ამას.

**— ბატონო გელა, ეს ყველაფერი იმიტომ ხომ არ ხდება, რომ თავის დროზე ივანიშვილისადმი მოქალაქეობის დაბრუნების საკითხს სათანადოდ არ მივუდექით?**

— **იურისტები თუ ივანიშვილს არწმუნებდნენ ამ სახელმწიფოში თქვენ ხართ მართალი და მოქალაქეობას ნამდვილად მიიღებთო, მაშინ გულუბრყვილოები ყოფილან ან ატყუებდნენ ბიძინას იმიტომ, რომ ასეთ ქვეყანაში, ასეთი რეჟიმის პირობებში ცნობილია, რომ სასამართლო იმ გადაწყვეტილებას იღებს, რასაც უბრძანებენ. ამიტომ, რა თქმა უნდა, ამის იმედი იურისტებს არ უნდა ჰქონოდათ.**

მაგრამ თუ ეუბნებოდნენ, რომ სამართლებრივად მათი პოზიცია სწორია, ეს სხვა საკითხია. მაგრამ, მერე რა რომ სწორია. აბორიგენებს, ველურ ტომებს შექსპირის სონეტები რომ წაუკითხონ, მაღალ იდეალებზე ესაუბრონ, ამას ხომ არანაირი გასავალი არ ექნება. კაციჭამიას ერთი სული ექნება დროზე დაამთავროს სონეტის კითხვა, რომ შეგჭამოს.

**— ივანიშვილი კონსტიტუციური ცვლილების გამოყენებას აღარ აპირებს, თუმცა ამბობს, რომ „ქართული ოცნება“ მოვა უმრავლესობით და აირჩევენ მას. „ნაციონალების“ არსებობის პირობებში ამის ილუზია უნდა გვქონდეს?**

— არსებობს ორი გზა — ან არჩევნები, ან ბოიკოტი. რას გვაძლევს ბოიკოტი? თუ წინასწარ იცით, რომ არჩევნები წაგებულია, მასში მონაწილეობა და მისი „გაპრავება“ სისულელეა. მაგრამ არც ის ივარგებს, სახლში დაჯდე და წყნარად უყურო როგორ „იპრავებენ“ არჩევნებს. თუ საზოგადოება, პოლიტიკური პარტიები დაინახავენ, რომ არჩევნებს აზრი არ აქვს, მაშინ აზრი აქვს აქტიურ ბოიკოტს, ანუ თითოეული საარჩევნო უბანი აქტიური უნდა იყოს. ორივე გზა ეფექტურია, მაგრამ ორგანიზება სჭირდება.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# saqarTvelos mtrebma veraferi damakles, Cemma qarTvelebma ki _ Tvali gamomTxares...

***„საერთო გაზეთის“ სტუმარია „სახალხო კრების“ წარმომადგენელი ბესიკ ტაბატაძე, მეტსახელად „გავროში“, ოთხი შვილის მამა, ვინც მტრის ტყვიამ ყველგან დაინდო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში, 2011 წლის 26 მაისს კი თბილისში ქართველებმა წაართვეს თვალისჩინი...***



— „გავროში“ ზვიადმა დამარქვა. მოგეხსენებათ, მოზარდი სხვაგვარად უყურებს სიცოცხლეს, რისკს ვერ აღიქვამს, ამდენად, თავისტკივილად ვყავდი ქცეული ყველას, ეროვნულ მოძრაობაშიც და ოჯახშიც. პატარა, მაგრამ საქართველოსთვის გულანთებული ბიჭი ვერც დაყვავებით და ვერც მოტყუებით ვერ მომაშორეს ბარიკადებს. თამარაშენთან ნაღმზე ავფეთქდით „ბეტეერით“, კონტუზია მივიღე, ლავიწის ძვალი, ხედავთ, როგორც მაქვს; ანდა, სადაც მთელი ბავშვობა გავატარე, აფხაზეთის, ჩემი დედულეთის დასაცავად უკან დავიხევდი? — საქართველოს მტრებმა ვერაფერი დამაკლეს, ჩემმა ქართველებმა კი — თვალი გამომთხარეს...

**— ვიცი, როგორი განწყობით იყვნენ შემოსეულები 26 მაისს, ამიტომ გეკითხებით, ბრმად ნასროლი პლასტიკური ტყვია მოგხვდათ თუ დამიზნებით ნასროლი...**

— პირდაპირ, დამიზნებით იყო ნასროლი, 5-6 მეტრის დაშორებიდან რამდენიმე ადამიანმა ზალპით მესროლა სახეში. ტვინის შერყევაც მქონდა ცემისგან... ჩემი მეგობრები რომ არ ყოფილიყვნენ, ჩემით ვერც გამოვიდოდი იქიდან, რადგან, რომ ისროლეს, გაზის ბალონი პირდაპირ ფეხებთან გამისკდა და მეორე თვალიც დამევსო, ვერაფერს ვხედავდი, ამას ზედ დაერთო ის, რომ პირველადი კვამლიც ჩავყლაპე, რომელსაც გაზის ბალონი დიდი რაოდენობით აფრქვევს გასკდომისას. დაახლოებით სამი საათი მიკეთებდნენ ოპერაციას ღუდუშაურის კლინიკაში, ოღონდ შვიდი საათი გამაჩერეს პოლიციის სამმართველოში, ბოლომდე იმედი ჰქონდათ, რომ დამაპატიმრებდნენ.

**— შვიდი საათი რა საჭირო იყო გაჩერება, ყველას ხომ პირდაპირ ჩამოურიგეს სასჯელები...**

— ბოლომდე ცდილობდა „კუდ-ი“ ჩემს დაპატიმრებას, სამი ექიმი მოიყვანეს, სანამ გადაწყვეტდნენ საავადმყოფოში ჩემს გადაყვანას. ისე გამოვიდა, რომ ყველაზე ბოლოს მე წამიყვანეს საავადმყოფოში, ისიც ღუდუშაურის კლინიკაში, სადაც ჩემ გარდა არავინ მიუყვანიათ — მომარიდეს სხვებს.



ფეხზე დადგომა მხოლოდ ორი თვის შემდეგ შევძელი. სახლის წინ, ეზოში, სადაც ფორმიანი პოლიციელი არასდროს დაუნახავთ (ბავშვების სათამაშო მოედანია მოწყობილი), ღიად მყარაულობდნენ თითქმის მთელი თვე, ალბათ, აინტერესებდათ, ვინ მოვიდოდა. ფეხზე დადგომისთანავე დამირეკეს პროკურატურიდან. მოგეხსენებათ, ჩემი მდგომარეობის გამო დიდი ხმაური ატყდა. ორ-სამჯერ დამიბარეს, ჩვენება მივეცი და გამოძიებაც დაიწყეს, მაგრამ მას შემდეგ უკვე ერთი წელი გავიდა და აღარ გავხსენებივარ.

**— ვითომ არაფერი მომხდარა...**

— სასამართლოები გადაიდო, გადაიდო და გადაიდო, თვალი გამომთხარეს და დაზარალებულადაც არ ვუცვნივარ. უტიაშვილმა ოფიციალურად ისიც კი გამოაცხადა, პლასტიკური ტყვიით არავინ დაზარალებულაო...

მოგეხსენებათ, პირველივე დღეებიდან 300-მდე პატიმარი გვყავდა, რომლებიც ადმინისტრაციული სასჯელით გაასამართლეს, ერთი, ორი, სამი თვით. ამათგან, ნაწილი შეკერილი სისხლის სამართლის საქმეებით შეაბრუნეს უკან.

**— რამდენადაც ვიცი, ყველაზე დიდი სასჯელი მძღოლებს შეუფარდეს, თუმცა მათი დანაშაული არ დასტურდება.**

— შაქრო ზურაშვილს 12 წელი აქვს მისჯილი, ივანე ჩიღვინაძეს – 10 წელი – მოკლედ, ვინც არ აღიარა არარსებული დანაშაული, „დიდი სროკები“ აქვთ.

ვიდეო-ჩანაწერის საფუძველზე თავიანთივე ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ კორტეჟში მოძრავი არც ერთი მანქანა პოლიციელს კი არა, საერთოდ არავის დაჯახებია. ამაზე უტიაშვილმა განაცხადა. ეს ჩანაწერი ყალბიაო — თავიანთივე ექსპერტიზას ეწინააღმდეგებიან. ჩანაწერის დადებისთანავე, პროკურატურის წარმომადგენლები ოჯახებში მივიდნენ. მანამდეც ხორციელდებოდა ზეწოლა, მაგრამ იმ ღამეს სასწაული ჩაატარეს, და ისეთ დღეში ჩააგდეს, ნაწილმა „აღიარა,“ რომ ვიღაცას დაეჯახა. როგორც კი ფეხზე დავდექი, ჩემი თანამებრძოლების გვერდზე დავდექი, უფლებათა დაცვის საქმეში ჩავერთე.

ახლა, მაისში, სამნი, ვისაც ერთწლიანი ჰქონდათ მისჯილი, უკვე განთავისუფლდნენ. ვინც იმას იტყვის, ერთი წელი რა არისო, აბა, წავიდეს და ერთი დღე დაჯდეს თვითონ. ჩვენ გვყავდა სისხლის სამართლის კოდექსით გასამართლებული 42 ადამიანი, მათ შორის ბადრი ბიწაძე. (მასზე დევნა 30 მაისს გამოაცხადეს და დაუსწრებლად 5 წელი და 6 თვე მისცეს, პროცესზე მოწმედ ვიყავი. გადაწყვეტილების მიღებაში ხელისუფლების შემოგდებული უჩავას თითიდან გამოწოვილი ჩვენებებით იხელმძღვანელეს).

**— ეს ადამიანები პოლიტიკური ნიშნით არიან დაკავებულები — ხელისუფლება, გასაგებია, ამას არ აღიარებს, მაგრამ ოპოზიციაც რომ არასდროს უსვამს ხაზს მათ არსებობას?**

— ამის შესახებ ბრიფინგზეც განვაცხადე, როდის აქეთ დავიწყეთ ქართველებმა პატიმრების დაყოფა „ჩემიანებად და სხვისიანებად“-მეთქი?

ზოგადად ადამიანის და კონკრეტულად პატიმრების უფლებების დაცვის საკითხი იმდენად ფაქიზი და მტკივნეული საკითხია, რომ დიდი მუშაობა სჭირდება და ჩემი შესაძლებებლობების ფარგლებში აბსოლუტურად ყველაფერს ვაკეთებ. არც ერთი შუამდგომლობა, გასაჩივრება, არც კასაცია და აპელაცია, რა თქმა უნდა, სასამართლომ არ დააკმაყოფილა, მაგრამ ყველა საქმე გამზადდა სტრასბურგში გადასაგზავნად — საქმეები ისეთი შეკერილია, თვითონ გვაძლევენ. კი, არის ეს ბინძური დავალებებები შესრულებული, მაგრამ უხარისხოდ, ჭკუაც არ ჰყოფნით. ან მეორე ვარიანტია, ბოდიშით და, ფეხებზე ჰკიდიათ და თავს არ იწუხებენ, იციან, რომ დროსთან არის დაკავშირებული. მოკლედ, ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად, რაც უნდათ იმას აკეთებენ, მაგრამ ჩვენ ეს სამართლებრივი ეტაპები უნდა გაგვევლო. რაც შეეხება პატიმრებს და მათ ოჯახებს, რაც შეგვიძლია ყველანაირად ვეხმარებით.

**— რა მდგომარეობაცაა ვხედავთ, გამოსავალი თუ გესახებათ.**

— მე ერთი რამ ვიცი, შენ უნდა იმოქმედო იმ გამოწვევის შესაბამისად, რაც შენს წინაშე დგას, ამაზე შენ უნდა გქონდეს ადეკვატური რეაქცია. საზოგადოება იმდენად დიდი ცნებაა, ერთგვაროვანი ვერ იქნება, უბრალოდ, საზოგადოების გარკვეული ნაწილი მეორე ნაწილს ძირითად ასპექტში ეთანხმება ან არ ეთანხმება. რა თქმა უნდა, უკანასკნელი ფორმაა, რომ იარაღი აიღო ხელში და გახვიდე საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, მაგრამ ეს ხომ უცბად არ ხდება, მანამდე უნდა გაიარო ბრძოლის ეტაპები...

**— გავრცელებულ კადრებში ერთს რომ რამდენიმე ურტყამს ხელკეტს, გარკვევით ჩანს და, თქვენი აზრით, განსხვავებულად რომ ეცვათ ვინ იყვნენ ისინი, რომელი ძალოვანი უწყების წარმომადგენლები.**

— ჯინსები და თეთრი ბოტასები ეცვათ – ე.ი. ის არ არის სპეცრაზმელი. იმას, უბრალოდ, ზემოდან აცვია მათი ჟილეტი და ჩაფხუტი ახურავს. გაიგებთ, ვინ არის, პოლიციელია თუ ზონდერი, ხომ? მილიციელის ოჯახში გავიზარდე, მამაჩემი იყო პოლკოვნიკი, რამდენიმე მილიციის უფროსობა გამოიარა კომუნისტების დროს, ანუ იმის თქმა მინდა, რომ ამ სისტემაში გაცნობიერებული ვარ — იქ იყო, რა თქმა უნდა, სპეცრაზმი, მაგრამ ძალიან ბევრი ადამიანი იყო ასეთი „გაურკვეველი უწყებიდან“.



**— ეს თვალგამოთხრილი კაცი რანაირად წაგიყვანეს ბოლო-ბოლო.**

— ზურგსუკან ხელებგაკრული რატომღაც მხოლოდ ოთხნი წაგვიყვანეს რაღაც მიკროავტობუსით: მე, გია კობახიძე და ორი უცნობი. ჩვენზე ამბობდნენ, ესენი კუდ-ის „პასაჟირები“ არიანო, ჩვენით კუდ-ი იყო დაინტერესებული. ვხედავ, ასე ვთქვათ, ბადრაგი, უკვე პოლიციის ფორმით იყო. ვზივარ და ჩამომდის თვალიდან სისხლი. ვთხოვე, წინ მაინც შემიკარით ხელები, თვალი მაქვს დაკარგული, სისხლი ჩამომდის და მოვიწმენდ-მეთქი. პოლიციელმა „კუსაჩკა“ მოიძია, მაგრამ ვერაფერი ნახეს ისეთი, რაც პლასტმასის თასმას გაჭრიდა. რა დამავიწყებს, პოლიციელმა ამოიღო თავისი ცხვირსახოცი და მთელი გზა თავისი ხელით მწმენდდა თვალიდან გადმოსულ სისხლს. სანამ ზემოთ ამიყვანდნენ, პოლიციის სამმართველოშიც გვერდიდან არ მომცილებია, სისხლს მწენდდა და არავის აძლევდა უფლებას რომ ვეცემე. ჩინი, აღნაგობა, გარეგნობა, ყველაფერი სამუდამოდ დამამახსოვრდა. მადლობა მინდა მეთქი გადაგიხადო — ვინაობა არ მითხრა.

**— რაღა ცემა გეჭირვებოდათ ან რატომღა უნდა ეცემეთ...**

— ისე. ნახევარ საათში ერთხელ მაინც გამოივლიდნენ და თან როგორ, იცით, სასწრაფო დახმარების ექიმები ხომ მუშაობდნენ, უხვევდნენ, ვთქვათ, გატეხილ თავს, იმ გატეხილ თავში ურტყავდნენ კიდევ შემახილით: „ნინოს შეაგინე! ნონას შეაგინე!“ რომ ჩამოიარეს „თვალებში ნუ მიყურებ ბიჭოო!“, მითხრა ერთმა — ბოლომდე დამიცვა იმ პოლიციელმა, ხელი არ დააკარებინა. ვიმედოვნებ, რომ შევხვდები როდესმე...

ამით რა მინდა გითხრათ — არ არის ისე, რომ ყველა ერთ ქვაბში მოვხარშოთ... სხვათა შორის, განსხვავებით ყველასგან, სამხედრო-ფორმიანები არ გამოირჩეოდნენ სისასტიკით...

**— გეთანხმებით, მეც კარგად მახსოვს „კეთილი დამრბევის“ სახე და არასდროს დამავიწყდება, როგორ შეაჩერა, აგრესიული ფორმიანი, რატომღაც შლემი აიწია და სამმაგი კორდონი გამიხსნა ზრდილობიანად, მიბრძანდითო...**

— მეტყვის ხოლმე ვინმე, რა გიქნეს და კიდევ მანდ რა გინდაო. ჯერ ერთი, რომ იმ ჩემს მეგობრებს არ მივატოვებ, ვინც სისხლის ფასად შევიძინე და მეორე, ვინც დღეს ციხეშია და ყოველდღიურ ტანჯვა-წამებას იტანენ, მათი ვალი მაქვს გადასახდელი!

**მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი




**თამარ ამაშუკელი:** გავეცანი იუნესკოს დასკვნას ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, საკმაოდ ვრცელი დოკუმენტია, მასში გამოთქმული შენიშვნები მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო არც ხელისუფლებისთვის, არც ძეგლთა დაცვის სააგენტოსთვის. უკვე ორი წელია რეკომენდაციებს გვაძლევენ, რომ შეჩერდეს ეს სამუშაოები და სხვა გზით წავიდეს ანუ არა რეკონსტრუქციის, არამედ კონსერვაციის. ყველამ კარგად იცოდა, რომ თუ სამუშაოები არ შეჩერდებოდა, მაშინ ბაგრატს იუნესკოს კულტურულ ძეგლთა ნუსხიდან ამოიღებდნენ, ამაზე ორი წელია ლაპარაკი მიდის და



ტანკებით არავინ შემოვა ბაგრატის დასაცავად. როგორც იცით, იუნესკოს ძეგლებს გარკვეული კილომეტრის რადიუსით აქვს ვიზუალური დაცვის არეალი და ამ არეალში რაც კი ხდება, ყველაფერი უნდა იყოს მისადაგებული ძეგლთან. მესამე ძეგლია - უშგულის სოფელი ჩაჟაში, რომელიც ჯერ-ჯერობით ხელუხლებელია.

ძალიან მაინტერესებს, რა იქნება ლიფტის ფუნქცია ბაგრატის ტაძარზე. სად ავდივარ ამ ლიფტით? ისევე, როგორც საბაგირო გააკეთეს ნარიყალაზე უფუნქციოდ. ნარიყალაზე რომ 5 წუთში ავალ, მერე რა უნდა გავაკეთო იქ? დღეს პრაქტიკაში არათუ ლიფტი, არამედ რესტავრაციაც კი აღარ არის, არამედ კონსერვაცია, რადგან რესტავრაცია გულისხმობს ძველის მიმსგავსებული ზუსტი ასლის გაკეთებას.

ადრე მოწოდებული იყო ამ „სოუსით", რომ თუ ბაგრატი არ იქნება გადახურული, ისე ვერ ვილოცებთ და თუ აქ ვერ ვილოცებთ, მართლმადიდებლობას დავკარგავთ. როგორც სააგენტოს ხელმძღვანელის სიტყვებით ვხვდებით, ეს არ იქნება სასულიერო ნაგებობა, უფრო ტურისტებზეა გათვლილი.

საერთოდ, ბაგრატი მე-17 საუკუნიდან დგას მსგავს მდგომარეობაში. ბაგრატზე დიდი ხანია მიდის მუშაობა. ჯერ კიდევ ჩუბინაშვილმა აზომა ეს შენობა. შემდეგ 50-იანი წლებიდან 92 წლამდე, მთელი 42 წლის განმავლობაში მიდიოდა მუშაობა, რომ პირველ ეტაპზე კონსერვაცია გაკეთებულიყო, რათა არ დაშლილიყო ნანგრევები. შემდეგ 1992 წელს შეჩერდა ეს მუშაობა, რადგან იდგა საკითხი, რომ შეიძლება რესტავრირებული ნაწილი მეტი მოცულობის ყოფილიყო, ვიდრე ავთენტური. დაფიქსირებული, აზომილი იქნა ღობის ფრაგმენტები, ქვები, რომლებიც მეზობლად მდგარ სახლებშია გამოყენებული. მე-17 საუკუნიდან უკვე დანგრეულია ბაგრატი და არავინ იცის, ზუსტად, როგორი იყო იგი. ანუ 1992 წელს ეს პროცესი შეჩერდა და 1994 წელს შევიდა კიდეც იუნესკოს ძეგლთა დაცვის ნუსხაში. იუნესკოს წარმომადგენელი ამბობს, რომ რეკონსტრუქტუირებული ძეგლების ადგილი არ არის იუნესკოს სიაში. საერთოდ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი კარგავს ღირებულებას, როდესაც ხდება მისი რეკონსტრუირება, ანუ როდესაც ხდება მისი ფალსიფიკაცია. ჯერ ერთი, ნანგრევებამდე არ უნდა მიიყვანო ძეგლი. თუმცა ბაგრატის შემთხვევაში, იგი უკვე ნანგრევი იყო. ეს ნანგრევები იყო სიმბოლო და იდენტიფიკაცია ერისა. ახლა რაც ხდება ეს უკვე რემონტია და არა კონსერვაცია. ის ქვებიც კი არ არის გამოყენებული, რომლებიც ნაპოვნი იყო. ასევე, ჩუქურთმების გამოყვანა ხდება ტექნიკის მეშვეობით და არა ხელით. იგება როგორც სხვა თანამედროვე შენობები, ოღონდ დანამატი აქვს ლიფტი, რომლის ფუნქციაც არ მესმის. ან როგორღა იქნება იგი მე-10 საუკუნის ძეგლი? დღეს თბილისში, თელავში და ბათუმში არსებული ძეგლები გადის სიით, როგორც მე-18-ე მე-19 საუკუნის შენობები, მაშინ როცა მთლიანად თავიდან არის აშენებული; ბლოკით არის აშენებული ახალი ძველი თბილისი. ამას ისტორიის ფალსიფიკაცია ჰქვია. შეიძლება ჩვენი განვითარების ერთ-ერთი გზა მართლა არის ბევრი ტურისტის შემოსვლა, მაგრამ ტურისტების ხარჯზე არ უნდა მოხდეს ღირებულებების დაკარგვა, თანაც არარევერსულის.

ჩვენს წინაშე იმდენი სასიცოცხლო პრობლემაა, რომ კულტურული მემკვიდრეობის საკითხმა გადაინაცვლა უკანა პლანზე. მე პირადად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საკითხს ავიყვანდი ადამიანის უფლებათა რანგში. რადგან, როგორც ადამიანი, თუ გარდაიცვალა, აღარ დაბრუნდება, ისეა ეს ძეგლებიც – არარევერსული, არაგანახლებადია. უნდა გავიგოთ, რასაც ვკარგავთ ეხლა, არა მარტო ბაგრატზეა საუბარი, თბილისის 40% დავკარგეთ; ბათუმის თითქმის 50% დავკარგეთ. თელავში ერეკლეს სასახლეს ვკარგავთ, რადგან მეორე სართულს ადგამენ. რაფა თუ ახალციხეში დავკარგეთ, რადგან ეს იყო ფაქტიურად არქეოლოგიური განათხარი და 12 მეტრიანი კედლები ააშენეს. ჩვენ ვკარგავთ ძეგლებს, რომლებიც არის წარსულიდან წამოსული და ჩვენ გვაქვს ვალდებულება, რომ მომავალ თაობას გადავცეთ. მე მგონია, რომ ყველა ადამიანმა უნდა გამოხატოს თავისი აზრი და დააფიქსიროს პოზიცია. მე ვერ ვიტყვი, რომ ნიკა ვაჩეიშვილი არის არაპროფესიონალი, მან ხომ კარგად იცის, რომ იუნესკოში არაპროფესიონალები არ მუშაობენ, კარგად იცის რა დარღვევებიც არის და იუნესკოს დასკვნის გადახედვის იმედი არ უნდა ჰქონდეს.

მე მგონია, რომ ჩვენი ძეგლები, განსაკუთრებით ბაგრატი, ეწირება რაღაც სიმბოლოებს. ბაგრატი იყო სიმბოლო გაერთიენებული საქართველოსი და ამ სიმბოლოებთან იდენტიფიცირება უნდა ჩვენს ხელისუფლებას. ბაგრატი უნდა იყოს აშენებული ვარდების რევოლუციის შემდეგ, მთელი იდეა ამ მშნებლობის ეს არის. ჩვენმა პრეზიდენტმა რამდენჯერმე თქვა უკვე, რომ თბილი მის მიერ არის აშენებული. ასევე მის მიერ აშენდა ბათუმი. დამეთანხმებით ალბათ, რომ ფიზიკური მშენებლობა აღმშენებლობას არ ნიშნავს. ძალიან ცუდი შედარებაა, მაგრამ ნაცისტური გერმანიის დროს ძალიან დიდი მშნებლობა მიდიოდა, მაგრამ ამან ჰიტლერი ვერ გადაარჩინა, მისი რეპუტაცია ვერ იხსნა. შენ თუ აშენებ რაღაცის ხარჯზე და ისტორიას ანგრევ, ეს არ არის მშნებლობა, ეს განდიდების მანიაა. ძველ თბილისში შუშის ხიდს რომ ჩადგამ, ეს არის ამბიცია.

ახლო წარსულში ანალოგიურ მაგალითად მახსენდება კომუნიზმი და ნაციზმი, რომელსაც ჰქონდა ასეთივე განდიდების მანია. ჰიტლერს ჰყავდა არქიტექტორი, ვინც არქიტექტორიც არ იყო თავისი პროფესიით, იყო შპეერი, რომელიც დაახლოებით ისეთივე როლს ასრულებს, რასაც ორბელაძე ასრულებს. ასე იყო კომუნიზმის დროს, მათ დაანგრიეს ყველა მნიშვნელოვანი სასულიერო ობიექტი და მათ ადგილას ააშენეს საბჭოთა შენობები.



რომში ერთ მეტრზე ღრმად რომ გათხარო, გჭირდება არქეოლოგიური დასკვნა და ნებართვა. ჩვენთან, ძველ თბილისში ახალი პროექტები იწყება და აკეთებენ მიწისქვეშა სადგომებს. იგივე მოხდა ერეკლეს მოედანზე, რომელიც არის თბილისის გული. აქ სამსართულიანი პარკინგი გააკეთეს, რომლის გათხრებისას აღმოჩნდა ძველი ნანგრევები, სავარაუდოდ მეფის სასახლის ნანგრევები. არავის აზრად არ მოსვლია კონსერვაცია გაეკეთებინა, პირდაპირ მიუშვეს და ჩაასხეს ბეტონი. ავლაბრის მოედანზეც იგივე მოხდა. თავისუფლების მოედანზე გამოჩნდა პირველი ოპერის ნაშთები და ისიც ულაპარაკოდ ჩააბეტონეს. და თუ ეს ესე გაგრძელდა, ჩვენ სრულიად დავკარგავთ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას.

**„მაესტრო",**
**ფრაგმენტი ინტერვიუდან**

# facebook

# xalxis azriT

სანამ გარე-გარე ვიყურებით და იქ ვეძებთ "ხსნას", მანამდე ამ თვალთმაქცმა და ქოსატყუილა სააკაშვილმა თავისუფლებაც თავზე დაგვამხო და თავმოყვარეობაც!! მეტის ღირსებით ვიქნებით, თუ გონს არ მოვეგეთ და კიდევ ავიტანეთ ამ გადაგვარებული შეშლილის თავგასულობა!!!

გასაგებია, რომ ჯარიმებით ხელისუფლება ცდილობს ქართული ოცნების ქუჩაში გაყვანას, მაგრამ რაში აწყობს ეს, ამას ვერ ვიგებ...ვითომ ხელისუფლებისთვის მეტი შანსია გადასარჩენად?

თუ ქუჩაში გამოვიდა ასიათასობით ადამიანი, ვერანაირი ხელისუფლება საქართველოში ვერ დაუპირისპირდება..

ამ საკაბელოებსაც რა სჭირთ. ნუ ხომ სრულიად გამორიცხულია მეცხრე არხის და მაესტროს ჩასმა არ უნდოდეთ. რა პონტში არ უნდა უნდოდეთ, რა სისულელეა, ეს ვითომ "კომერციული" არგუმენტები - უფასოდ არხს გაძლევდნენ და საკაბელო არ იღებდეს? ბოდვაა, ბლინ. როგორ შეგაშინეს ასე? აგერ გუშინ შემთხვევით გავიგე ერთი ძალიან საინტერესო ციფრი - თბილისში გამოკითხულთა 76 პროცენტს არ მიუწვდება ხელი მეცხრე არხზე და ამ 76 პროცენტს ძალიან უნდა მისი მიღება. ფუიიი, კაცები არა ხართ, ხალხნო ან ქალები? ეს რა დაგემართათ - საკაბელოებს მივმართავ ახლა, ჩემს ჭკუაში! ჰოდა, ნახეთ, მაინც გაგაკოტრებენ, შანსი არ არის, არ დაგტოვებენ არავის.

ვინმემ თუ ნახა შინდისში პრეზიდენტის 'მოულოდნელი' გაჩერების და იქ "შეკრებილი' მოსახლეობის კადრები? ესენი მგონი სუუულ გამოსირდნენ!:))))

თბილისის სამარშრუტო ტაქსებში გათიშული რადიოები და მეცხრე არხის ბლოკირების მცდელობა ნათელი მაგალითია იმისა, რომ ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფლებასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გამოცხადებული, რაც საბოლოო ჯამში ქვეყანაში სულ უფრო მეტად შლის საზღვრებს ინფორმაციასა და დეზინფორმაციას შორის. რომელ „Must Carry"-ის პრინციპებზეა საუბარი მაშინ, როცა პარლამენტის მშენებარე შენობასთან დაკავშირებული ინციდენტიდან ერთი კვირის შემდეგაც კი უცნობია, რა ჩამოინგრა, სად ჩამოინგრა, რატომ ჩამოინგრა და ასევე ჯერ კიდევ დაუდგენელია მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობა.

ვარ ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკნარში. გურულ გლეხებს ველაპარაკები. ისეთი განცდა მაქვს რომ აქ ხელისუფლება უკვე შეიცვალა.

რაღაცატომ მგონია, რომ ხალხი ოქტომბრამდე ვერ გაძლებს, ისე უჭირთ უკვე, სამოცდაათი პროცენტი ქუჩაში გამოყარეს ამ ბანკებმა და ახლა დაინახა სააკაშვილმა თურმე... არ ვიცი ამ ზაფხულს როგორ გაიტანს ხალხი, ჩემს გარშემო ასეა და სხვაგან არ ვიცი..

ბერა ნამდვილი ქართველი ვაჟკაცია, ამბობენ მიხეილ დამსჯელის ედუარდს ბერასთან მეგობრობა უნდაო და უფლებას არ აძლევენო.

ძალიან მომწონს ეს ადამიანი და მინდა, რომ ეს მოწონება მისი ხელისუფლებაში მოსვლის კი არადა. ყოფნის პერიოდშიც არ გამიქრეს. მოსვლით რომ მოვა, ეს უკვე გადაწყვეტილია ქართველი ხალხის მიერ.. და დღეს ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა გურიის მაგალითზე.. გაიხარეთ გურულებო, მიყვარხართ

ვაიმეეე ხალხო, შემოდგომამდე ამ გიჟების შემყურე თუ გადავრჩი, შემოდგომის მერე 100 წელი ვიცოცხლებ მგონი. ნოდარ დუმბაძე რატომ გიყვარსო, გესმით ადამიანებო, რა ჟურნალისტები გვყავს? ვინ უნდა გვიყვარდეს? მიშა? ვანო? ბოკერია? წიკლაური ნუგზარა? ტუჩებდაბერილი კალმახელიძე და თხასავით წვერა შაშკინი? დუმბაძე რომ არ უყვართ, გელოვანი, აკაკი, ილია, ვაჟა და საქართველო რომ არ უყვართ, იმიტომაც ვერ არჩევენ ძროხას და ხარს ერთმანეთისგან, განათლების მინისტრი კი არა, უკაცრავად ყველასთან, და ასეთი განათლების მინისტრის აღსასვლელშია.



# saakaSvilma Zalian kargad icis, rom `mkvdaria~, magram isar icis, rogor gaasvenos es `mkvdari~?



გვესაუბრება ფილოსოფიის დოქტორი **ზაზა შათირიშვილი**

**— ზაზა, მოვლენების ბოლოდროინდელმა განვითარებამ გვიჩვენა, რომ ხელისუფლებას ყველაფერი გათვლილი აქვს. დაჯარიმების თამასამ 2 მილიონიდან 126 მილიონამდე აიწია. ამ ფონზე, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, სააკაშვილი ივანიშვილის წონასწორობიდან გამოყვანას ცდილობს თუ რა ხდება?**

— მოდით, კონტრ-შეკითხვას დავსვამ — არ გეჩვენებათ, რომ ეს ყველაფერი პირიქითაა — ივანიშვილი ცდილობს ხელისუფლების წონასწორობიდან გამოყვანას. უფრო სწორედ, მას სააკაშვილი უკვე გამოყვანილი ჰყავს მდგომარეობიდან.

**— რით გამოიხატება ეს?**

— სააკაშვილს 1999 წლიდან მოყოლებული თვალს ვადევნებთ. ბოლო პერიოდში ძალიან საინტერესო ტენდენცია შეიმჩნევა. კერძოდ, გარდა პომპეზური შეხვედრებისა, რომელსაც იგი ხშირად აწყობს, მან ასევე მოსახლეობასთან ვითომ იმპროვიზაციული, ანუ კამერული შეხვედრები დაიწყო, რაც ივანიშვილის აშკარა მიმბაძველობაა.

**ივანიშვილმა ზუგდიდში შეხვედრა ჩაატარა, სადაც მიშა, მიშას ძახილით შეხვდნენ, მაგრამ სპონტანურობა სწორედ ის იყო, რომ მან ამ ბიჭებს თავისთან მოუხმო. სააკაშვილს ერთადერთი რაც აკლია — დაიქირავოს ბიჭები, რომლებიც მას ბიძინა, ბიძინას დაუძახებენ და იგი მათ თავისთან მოიხმობს, მაგრამ მაშინ ნათელი გახდება, რომ მის შეხვედრაზე ბიძინა, ბიძინას სკანდირებას და ივანიშვილის შეხვედრაზე — მიშა, მიშას ძახილს — ორივეს თვითონ დგამს.**

ეს ტენდენცია აქამდე არ იყო — ნოემბრიდან მოყოლებული სააკაშვილი სულ უფრო და უფრო ბაძავს ივანიშვილს. იგი თავად არის რეჟისორი, თვითონ დგამს ყველაფერს, თავად მიუთითებს —კამერა აქეთ, კამერა იქეთ, მატორ და ა.შ. საერთოდ, ვისაც ბაძავენ, ალღუმიც იმას მიჰყავს. ამ სიტუაციაში, სააკაშვილი, როგორც თავად იტყოდა, საქართველოს ისტორიაში პირველად, პირდაპირ ბაძავს თავის კონკურენტს. ასეთი მომენტი მანამდეც იყო. 2000 წლიდან მოყოლებული რიტორიკაში იგი საოცრად ბაძავდა შალვა ნათელაშვილს. ეს იმდენად მიბაძვა არ იყო, რამდენადაც იგი ნათელაშვილისგან პირდაპირ იღებდა თემებს, კონცეფციებს და ა.შ. ამ შემთხვევაში სხვაგვარი სიტუაციაა — იგი ისე დგამს თავის შეხვედრებს, როგორც ამას ივანიშვილი აკეთებს. იგი აშკარად მდევრის როლშია, რაც სერიოზული გარდატეხაა შემდეგი თვალსაზრისით — სააკაშვილი არ იქცევა როგორც პრეზიდენტი, არამედ ყველაფერი ისე ხდება, როგორც ფეხბურთში — არსებობს ნომერი პირველი და ნომერი მეორე. პირველი ნომერია ის, ვინც თავდასხმაზეა. ამ შემთხვევაში, ივანიშვილი ნომერი პირველია, სააკაშვილი კი — ნომერი ორი. ასეა დეკემბრიდან მოყოლებული და იგი სულ უფრო და უფრო ცდილობს ივანიშვილს დაემსგავსოს.

სააკაშვილის მთელი ტალანტი მისი არაჩვეულებრივი ალღო და უნარია, ყველას ყველაფერი მოჰპაროს, მაგრამ ამ სიტუაციაში იგი მეორადია და არა ავთენტური.

**სააკაშვილი შინაგანად გრძნობს, მან, როგორც ნამდვილად შესანიშნავმა პოლიტიკურმა ცხოველმა (ამას ტექნიკური გაგებით ვამბობ) იცის, რომ ავთენტურობა სჭირდება, მაგრამ არ აქვს.**

**სააკაშვილზე, ალბათ, დაწერენ — იგი იყო მეორეხარისხოვანი პოლიტიკოსი, რომელიც ნინა წკრიალაშვილის დროს მოღვაწეობდა. ოღონდ, იგი ისტორიაში შევა არა როგორც მეორეხარისხოვანი პოლიტიკოსი, არამედ როგორც ჰეროსტრატე. ეს ძალიან საინტერესოა.**

**— ზაზა, თქვენ აღნიშნეთ, რომ სააკაშვილმა თავადაც მშვენივრად იცის, რომ იგი „მკვდარია“. რას გულისხმობთ მის „გარდაცვალებაში“?**

— დიახ, რა თქმა უნდა. ძალიან კარგია, რომ ეს შემახსენეთ. როდესაც სააკაშვილზე, როგორც მკვდარზე ვსაუბრობ, ვგულისხმობ შემდეგს — იგი საკუთარ თავს ძალიან შორეული მომავლიდან უყურებს, ანუ როგორც საქართველოს ისტორიის დასრულებულ პერიოდს. იგი ცდილობს „ვიკიპედიის“ სტატიაში, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი ჰქვია, შესწორებები შეიტანოს. ასეთი პერსპექტივიდან უყურებს საკუთარ თავს და ამ აზრით იგი უკვე დამთავრებული, დასრულებულია. იგი ცოცხალი, მოქმედი კი არ არის, არამედ საკუთარ თავს, როგორც დამთავრებულს, დასრულებულს, საქართველოს ისტორიის გადაშლილ ფურცელს, ისე განიხილავს. ამიტომაც უნდა შესწორებების შეტანა, რადგან შინაგანი ინტუიცია კარნახობს, რომ „ვიკიპედიაში“ სულ სხვა სტატია იქნება და არა ის, რაც თავად წარმოუდგენია, ანუ მას ახლა მომავლის კორექტირება უნდა.

**— რომელია ეს სულ სხვა სტატია, რომელიც „ვიკიპედიაში“ იქნება?**

— ეს იქნება შემდეგი სახის სტატია. თავის დროზე ბრეჟნევზე ასეთი ანეკდოტი იყო: ბრეჟნევი ანაბიოსში გაყინეს, 10 წლის შემდეგ იღვიძებს და ენციკლოპედიაში კითხულობს, თუ რა წერია მასზე — იგი არის მეორეხარისხოვანი პოლიტიკოსი, რომელიც ალა პუგაჩოვას დროს მოღვაწეობდა.

**სააკაშვილზე, ალბათ, დაწერენ — იგი იყო მეორეხარისხოვანი პოლიტიკოსი, რომელიც ნინა წკრიალაშვილის დროს მოღვაწეობდა. ოღონდ, იგი ისტორიაში შევა არა როგორც მეორეხარისხოვანი პოლიტიკოსი, არამედ როგორც ჰეროსტრატე. ეს ძალიან საინტერესოა.**

სააკაშვილი უკვე ისტორიის ნაწილია და ამას არაჩვეულებრივად გამოხატავს ბაგრატის ტაძარი. რაც მან ამ ტაძარს გაუკეთა, მსგავსს მტერიც ვერ უზამდა. ჯალალედინი დაწვავდა, მაგრამ ასეთ რამეს არ გააკეთებდა. სააკაშვილის შემთხვევაში შენება, რეალურად ნგრევაა. იგი არის მიხეილ მშენებელი, როგორც მნგრეველი, ანუ მშენებელი მნგრეველია. ეს ბარბაროსობის აბსოლუტური გამოვლინებაა. საქმე იუნესკოში კი არ არის, არამედ გემოვნებაში. ბაგრატის მთელი ხიბლი სწორედ ისაა იყო, რომ დაუმთავრებელი, დანგრეულია. სტილის შეგრძნება უნდა გქონდეს, ბაგრატის ტაძარზე ასეთი გუმბათის დადგმა დაახლოებით იგივეა, როგორც ვირზე რქები. სააკაშვილის პიროვნული ტრაგედია, მისი უგემოვნობაა. მას აქვს არაჩვეულებრივი პოლიტიკური ალღო, მაგრამ სრული ესთეტიური სიყრუე. ამ შემთხვევაში, ბაგრატი ბარბაროსობის დოკუმენტია. სააკაშვილმა არა მარტო გადაწერა ისტორია, არამედ იგი ახალი ბარბაროსობის ისტორიად აქცია. ეს მნიშვნელოვანია. ამას გოიმობა ეწოდება. სააკაშვილი, მისი რეჟიმი დაგოიმდა და რაც მთავარია, მოძველდა. სააკაშვილი პატიაშვილად იქცა. სწორედ პატიაშვილის დროს ხდებოდა მსგავსი რაღაცები. როგორც ერთ-ერთი რიგითი ადამიანი 1987 წლიდან ეროვნულ მოძრაობაში ვარ. 1988 წელს, დაახლოებით, ასე იქცეოდა პატიაშვილი: სადაც აქცია უნდა გამართულიყო, იქ მშენებლობას იწყებდა, არ გვიშვებდა, ლიდერებს იჭერდნენ და ა.შ.

**სააკაშვილი კი არ გამეორდა, არამედ 1988 წლისდროინდელ პატიაშვილს დაემსგავსა. სააკაშვილი იმდენად დაძველდა, რომ წარსულის გადმონაშთად იქცა. ანუ თავად იქცა ჩასარეცხად, ოღონდ ეს არის, სააკაშვილი, ვინც თავადვე უკირებს საკუთარ თავს ჩარეცხვას.**

ვერავინ მას ვერ გაუკეთებდა იმას, რაც საკუთარ თავს თავად გაუკეთა. ისე, როგორც დღეს სააკაშვილი, პატიაშვილიც ამას ამბობდა, ქვეყანაში წესრიგიაო. ყველას გვახსოვს როგორ მოიქცა მილიცია 1989 წლის 9 აპრილს. ძალიან საინტერესოა, როგორ მოიქცევა პოლიცია 2012 წლის ოქტომბერში. თუ მოიქცევა ისე, როგორც 1989 წლის 9 აპრილს, ეს ძალიან კარგი იქნება. იმედი მაქვს, რომ პოლიცია აღმოჩნდება თანადროული. სააკაშვილი კი გუშინდელი დღეა.

**— თუმცა, ამ „გუშინდელ დღეს“ ამერიკის დიდი იმედი აქვს. განსაკუთრებით კლინტონის ვიზიტის მერე ძნელია შეგრჩეს ილუზია, რომ აშშ მიშას გაშვებაზე ფიქრობს.**

**ივანიშვილმა ზუგდიდში შეხვედრა ჩაატარა, სადაც მიშა, მიშას ძახილით შეხვდნენ, მაგრამ სპონტანურობა სწორედ ის იყო, რომ მან ამ ბიჭებს თავისთან მოუხმო. სააკაშვილს ერთადერთი რაც აკლია — დაიქირავოს ბიჭები, რომლებიც მას ბიძინა, ბიძინას დაუძახებენ და იგი მათ თავისთან მოიხმობს, მაგრამ მაშინ ნათელი გახდება, რომ მის შეხვედრაზე ბიძინა, ბიძინას სკანდირებას და ივანიშვილის შეხვედრაზე — მიშა, მიშას ძახილს — ორივეს თვითონ დგამს.**



— ვერ დაგეთანხმებით. ამერიკა სააკაშვილს, როგორც წარსულს ისე განიხილავს. აქედან გამომდინარე, ამერიკას არ უნდა იმის თქმა, რომ სააკაშვილი დემოკრატია. თუ სააკაშვილი დემოკრატია, მან ძალაუფლება უნდა გადასცეს და წავიდეს. ეს არის აშშ-ს მესიჯი. მისთვის სრული კატასტროფა იქნება სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენა. აშშ-სთვის საქართველო მნიშვნელოვანი რუსულ კონტექსტშია. აშშ ამით რუსეთს ეუბნება — თქვენთან მხოლოდ შესაკრებთა გადანაცვლება ხდება —პუტინი — მედვედევი, მედვედევი-პუტინი, ჯამი იგივე რჩება, საქართველოში კი სააკაშვილი წავა და ახალი ხელისუფლება მოვაო. სწორედ ესაა მნიშვნელოვანი, აშშ-ც და სააკაშვილიც დემოკრატიის მძევლები არიან. სააკაშვილი, სწორედაც რომ დემოკრატიული რიტორიკის მძევალია. ეს აწყობს ქართველ ხალხს, რომელსაც ძალაუფლების შეცვლა სურს. თუ აქ ძალაუფლება შეიცვლება, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ევრაზიულ სივრცეს მოვწყდით. ამ აზრით „ვარდების რევოლუციის“ ყველაზე დიდი წარმატება სააკაშვილის დამარცხება იქნება. სააკაშვილის დამარცხება — მისი ყველაზე დიდი გამარჯვება იქნება.

აშშ-ს არ უნდა სააკაშვილის პირდაპირი კრიტიკა. იმიტომ, რომ მაშინ ეს ნიშნავს, რომ აშშ-მ უნდა აღიაროს, რომ შეცდა და სააკაშვილი დემოკრატი არ არის. მაგრამ

**აშშ დაინტერესებულია, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში არანაირი გზით, მათ შორის პრემიერ-მინისტრადაც, აღარ მოვიდეს. იმიტომ, რომ სააკაშვილის პრემიერობა პუტინიზაცია იქნება. ეს იქნება აშშ-ს კოშმარი. თუ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრი ვერ გახდება, ყველამ კარგად ვიცით, ეს რასაც ნიშნავს — სააკაშვილის გარეშე „ნაც. მოძრაობა“ ვერ იარსებებს.**

აქედან გამომდინარე, ამ სიტუაციაში თუ პუტინიზაცია შეუძლე-

# `vardebis revoluciis~ yvelaze didi gamarjveba saakaSvilis damarcxeba iqneba!

ბელია, მაშინ სხვა მოვა. ვინ არის ეს სხვა?— ის, ვისაც ყველაზე მეტი რეიტინგი აქვს. აშშ პრაგმატული ქვეყანაა და იცის, რომ ივანიშვილს დიდი რეიტინგი აქვს. სააკაშვილი კი, ამავე დროს არის საკუთარი კონსტიტუციის მძევალი, რომელიც მან გადაწერა. კონსტიტუციის გადაწერით საბოლოოდ გაუქმდა ყოველგვარი მოლაპარაკების შესაძლებლობა. რაც შეეხება იმას, თუ ვის უჭერს აშშ მხარს — ხელისუფლებას თუ ხალხს, აქ საქმე უფრო რთულადაა. აშშ მხარს არ უჭერს სააკაშვილის ფიგურას, მაგრამ მხარს უჭერს მის კურსს.

**— მაგრამ ჯონ ბასმა, ქართველ ხალხს ჩამორჩენილი უწოდა. მაინც უნდა შეგვეპაროს ეჭვი, ვის უჭერს მხარს აშშ?**

— ბასის ინტერვიუში კარგად ჩანს, რომ იგი ქართველ ხალხს არატოლერანტულს, ჩამორჩენილს უწოდებს, ყველაფერს ხალხს აბრალებს, მათ შორის ომსაც. აქ არის გარკვეული ლოგიკური წინააღმდეგობა — ხალხი თუ ჩამორჩენილია და მის რეპრეზენციას სააკაშვილი ახდენს, ომი, მოდერნიზაცია თუ ჰაერიდან არ არის წამოსული, მაშინ გამოდის, რომ ხალხი მოდერნიზაციის და არა დემოკრატიის მომხრეა. არადა, ხალხი სამართლიანობის მომხრეა. ამ მხრივ კარგია, რომ ელჩი იცვლება. იმედია, ახალი ელჩი სიტუაციისადმი უფრო ადაპტირებული იქნება. მარტივად რომ ვთქვა, აშშ-ს რუსეთთან მიმართებაში გეოპოლიტიკური საყრდენი სჭირდება.

**— აშშ-ს ინტერესი გასაგებია, მაგრამ ამ კუთხით თუ შევხედავთ, რეალურად ქართული და რუსული ინტერესები ჰკვეთს ერთმანეთს და არა ამერიკული, მაგრამ ეს ინტერესები ქართულმა პოლიტიკამ ერთმანეთს ააცილა და სულ სხვა მიმართულებით წავედით.**

— აშშ გარკვეული დილემის წინაშეა. ვიმეორებ, საქართველო მისთვის რუსულ კონტექსტშია მნიშვნელოვანი. ყოველი გოჯი მნიშვნელოვანია, რაც მოიპოვე, არ უნდა დაკარგო, რუსეთმაც მიაღწია თავის ინტერესებს — აფხაზეთი, ოსეთი მისია, ნატოს საკითხი გადაიდო. გვაქვს გარკვეული ტიპის სტატუს-კვო — საქართველო ორ ნაწილადაა გაყოფილი — ერთი-მესამედი იქით, ორი-მესამე — აქეთ — პირველი რუსების, მეორე — ვაშინგტონის პროტექტორატშია. სააკაშვილის რეჟიმი აშშ-სთვის ახლობელია. ეს არ არის მთლად საუდის არაბეთი. აქ არიან ბიჭები, რომლებიც კარგი ინგლისურით საუბრობენ, ანუ მათი პირადი რწმენა და აშშ-ს ინტერესები ერთმანეთთან თანხვედრაშია. თითქოს სხვა რა უნდა ისურვო, მაგრამ ქართველი ხალხის დიდ ნაწილს არ მოსწონს სააკაშვილი. აქ ახალი მიდგომა არსებობს — ხალხი ჩამორჩენილია, ელიტა წინაა. წლების მანძილზე ეს მუშაობდა, დღემდეც რაღაც დონემდე მუშაობს. ივანიშვილის გამოჩენამ სიტუაცია შეცვალა. ერთი მხრივ, გამოჩნდა ადამიანი, რომელიც იგივე ენაზე საუბრობს და პროგნოზირებადია, განსხვავებით მიშასგან. ივანიშვილი ამბობს, რომ გააგრძელებს იგივე პოლიტიკას, მაგრამ არის მომენტი, რომლის კონცეპტუალიზაცია და გამოთქმა რთულია. ამერიკელები როგორც წესი ბინარულ ოპოზიებში აზროვნებენ, მათი სამყარო მარტივია. ამ დროს, დღეს ბიძინა ივანიშვილი თავისი ცხოვრებით, ბიოგრაფიით ის ადამიანია, რომელიც თან საკმაოდ დასავლური ფენომენია, მაგრამ აქვს მხარე, რომელიც საკმაოდ ქართულია, ანუ დასავლურ-ქართულის კარგი სინთეზია. ამიტომ ბასის მოსაზრებები, რომ ქართველი ერი ჩამორჩენილია, არატოლერანტულია, ვერ ასახავს რეალობას. ბიძინა ივანიშვილი რეალურად პლურალისტური ფენომენია, რაც დასავლეთისთვის ყველაზე მთავარი ღირებულებაა. ასე რომ, ბასის ანალიზი რეალობას აცილებულია.



**— ბასი და კლინტონი სხვადასხვა ხმაზე მღერიან, ეს ბასის ანალიზშიც კარგად გამოჩნდა...**

— ბასი ამბობს, რომ ქართველი ხალხია ცუდი და ხელისუფლება კარგი. ეს პოლიტიკურად ძალიან არაკორექტული ფრაზაა. პრაქტიკულად, ბასი საქართველოზე, როგორც ირანზე, ისე საუბრობს. ამის შედეგია, ის, რომ ბოკერია-რამიშვილები მას ეუბნებიან — ჩვენთან ხალხი ისევე ჩამორჩენილია, როგორც ირანშიო. ამერიკულ ტოლერანტობასაც თავისი ზღვარი აქვს, იგი ისლამის დემონიზაციას ახდენს. აშშ-ში არაბების იმიგრაცია ძალიან ცოტაა, მაგრამ ეს იმალება, იფუთება. ანუ, ჩვენ მათ თვალში განვიხილებით როგორც ნახევრად ისლამური ქვეყანა.

**— ივანიშვილს ყაჩაღივით ძარცვავენ, მაგრამ აშშ ხმას არ იღებს, ასევე ხმას არ იღებს აშშ იმაზე, რომ ხელისუფლებას ბიუჯეტი ფეხქვეშ აქვს გადებული.**



— ამერიკელები დგანან დილემის წინაშე დგანან — ერთ მხრივ, **მათ უნდათ, რომ სააკაშვილი არ მოვიდეს და ასევე უნდათ „ნაც. მოძრაობის“ შენარჩუნებაც, რაც ძალიან რთულია. თუ ეს ყველაფერი რუსულ კონტექსტში მოიაზრება და ეს ასეცაა, მაშინ არსებობს კარგი საქართველო და ცუდი რუსეთი, ცუდი პუტინი და კარგი სააკაშვილი. ასე რომ, დღეს ვითარება ისეთია, ძალიან ბევრი რამ ქართველ ხალხზეა დამოკიდებული.**

ქართველმა ხალხმა თავად უნდა გადაწყვიტოს, რა უნდა. განსხვავება არის არა ანტირუსულსა და პრო-ამერიკულს შორის, არამედ პრო-ამერიკულსა და დაბალანსებულ პოლიტიკას შორის. დაბალანსებული პოლიტიკა ნიშნავს, ჩვენ ვცდილობთ არავისი არ ვიყოთ. სავსებით შესაძლებელია რუსეთთან, აშშ-სთან კარგი ურთიერთობა და ამავდროულად ნატოსკენ სვლაც, ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებოდეს. ოღონდ ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც განსხვავებების პარტია წავა და მოვა მსგავსების. ანუ მომავალმა საქართველომ რუსულ-ამერიკული ურთიერთობების დაახლოებაში პოზიტიური როლი უნდა შეასრულოს.

ვიმეორებ, აშშ-ს კურსის შენარჩუნება უნდა, მაგრამ არ უნდა სააკაშვილი, როგორც პრემიერი.

**— ეს რამდენად შესაძლებელია?**

— ჩემი აზრით, შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ამერიკისთვის, ხელისუფლების რეალური გადაცემა სარისკოა, მაგრამ ეს იცით როგორი სიტუაციაა? — წინ წყალი, უკან მეწყერი. თუ სააკაშვილი მოვა როგორც პრემიერი — ეს პუტინიზაციაა, ასევე თუ სააკაშვილი არ იქნება, ვერც „ნაც. მოძრაობა“ იარსებებს. აქედან გამომდინარე, ახალი ხელისუფლება არ იქნება ისეთივე ცალსახად პრო-ამერიკული, როგორც ახლა, სააკაშვილის დროსაა. ეს ამერიკისთვის, რა თქმა უნდა, ხიფათის შემცველია. იმიტომ, რომ საქართველო შეიძლება მეორეხარისხოვანია, მაგრამ იგი მნიშვნელოვანია რუსეთთან მიმართებაში. აი, ესაა პრობლემა. მაგრამ, მეორე მხრივ, არსებობს შანსი საერთოდ დაკარგვის. იმიტომ, რომ თუ დღეს ივანიშვილს არ დაუჭერენ მხარს, პრობლემები დაგროვდება და ზეგ ნამდვილად პრო-რუსული ძალა მოვა. ეს ხიფათიც არსებობს. რასაც კუკავა, ბურჯანაძე საუბრობენ, ასე ფიქრობს ხალხის დიდი ნაწილიც. ის, რასაც ისინი დღეს აჟღერებენ და რაც ამის უკან იგულისხმება, ზეგ შეიძლება აბსოლუტურად ანტიამერიკული იყოს. ამიტომ აშშ-ს გაწონასწორებული ივანიშვილი უნდა ერჩიოს. მათთვის იდეალური ვარიანტია, პრემიერ-მინისტრი ბოკერია იყოს, მაგრამ ეს შეუძლებელია. თუ ივანიშვილი არ იქნება, მაშინ სხვა ძალა მოვა.

**— რა როლი ეკისრება ამ ყველაფერში ქართველ ხალხს. აშშ მუბარაქს წლები უჭერდა მხარს, მაგრამ მასობრივი გამოსვლების შემდეგ, იძულებული გახდა ხალხის მხარე დაეჭირა. მთავარი ხომ ისაა, რომ თავად ჩვენ არ შევეგუოთ იმას, რაც ხდება?**

— აშკარად ჩანს, ხალხი ვის უჭერს მხარს. ივანიშვილს უნდა ეს პროცესი გარკვეულ ჩარჩოებში იყოს, მაგრამ თუ ყველაფერი ამის წინააღმდეგ წავა, პროცესი ჩარჩოებიდან გამოვა. დღევანდელი ივანიშვილი სჯობს, ხვალინდელ იმ ძალას, რომელიც აშშ-ს მიმართ ნამდვილად აგრესიული იქნება. ამიტომ ზომიერებაა საჭირო ქართველებისთვისაც, აშშ-სთვისაც და ზოგადად ჩვენი კონტექსტისთვის. ივანიშვილი ამბობს — მე მინდა ნატოც და რუსეთთან კარგი ურთიერთობაც და ეს ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება.

**— თუმცა რუსეთი არის ის, რაც ხორცს გვიჭამს, ამერიკა — კი სულს. ჩვენი ღირებულებები აბსოლუტურად ეწინააღმდეგება აშშ-სას.**

— ამ შემთხვევაში, ჩვენ ბეწვის ხიდზე უნდა გავიაროთ. სწორედ მსგავსი რალაცების ხაზგასმა ბასს საშუალებას აძლევს თქვას, რომ ქართველი ხალხი ჩამორჩენილი, ისლამურია. რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ? — ჩვენ გვინდა ევროპა, სადაც ყველა ადამიანის უფლება დაცულია, გააჩნია, ვის როგორ ესმის ეს. ევროპაში არის პოლონეთიც, ჰოლანდიაც, იტალიაც, ესპანეთიც, ირლანდიაც და ა.შ. ქართული სიტუაცია უფრო წარმომიდგენია პოლონურ-იტალიურის მსგავსი, ვიდრე ჰოლანდიურ-ბელგიურის. მათი ადგილი ხომ არის ევროპაში, რატომ არ შეიძლება ჩვენიც იყოს?!

**— როგორ შეიძლება ჩვენი ადგილიც მოიძებნოს ევროპაში, მაშინ როცა მთელი ქართული სპექტრი განიხილავს, რა თქვა კლინტონმა და რატომ თქვა, ანუ მის სიტყვებზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ბედი?**

— გვინდა თუ არა, ვაშინგტონის პროტექტორატი ვართ. როგორც ლინკოლნ მიტჩელმა შენიშნა, ესაა ურთიერთობა პატრონსა და კლიენტს შორის. ეს არ არის ის ურთიერთობა, რაც მოსკოვსა და რესპუბლიკას შორის იყო. აქედან გამომდინარე, აშშ-ს აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ამ სიტუაციაში აშშ ყველას სჭირდება.

**ხიფათი იცით სად არის? — თუ მიშა იტყვის, რომ სიაში პირველია და ამას აშშ მხარს დაუჭერს, მაშინ ძალიან ცუდ რამეს მიიღებს. მაგრამ თვითონ აშშ-ც ლავირებას ცდილობს. რაც კათოლიკეებისთვის პაპია, ის ქართველებისთვის დღეს არის აშშ-ს პრეზიდენტი. თუნდაც დააკვირდით, ხალხი აშშ-ს ეუბნება რომ სააკაშვილი მკვლელი, დამნაშავეა, მაგრამ ამაზე რეაგირება არ ხდება.**

იმიტომ, რომ ეს ხომ ამერიკული პროექტია, დემოკრატიის შუქურა. მაშინ რატომ მოხდა 2003 წელი? მესიჯი არის ის, რომ საქართველო რუსეთზე უკეთესია. აქედან გამომდინარე, ოქტომბრამდე, აშშ-ს მხრიდან სააკაშვილის რადიკალური კრიტიკა არ იქნება. საქართველო არ არის არაბეთი, მაგრამ არც ევროპაა, იგი შუაშია. ესაა სიმართლე, ჩვენ მკვეთრად დასავლეთისკენ გადავიხარეთ და მკვეთრად ანტირუსული გავხდით. აღმოვჩნდით ერთადერთი ქვეყანა, რომელიც რუსეთს ებრძვის, რაც საფრთხის შემცველია.

**— ზაზა, ბოლო დროს „ქართული ოცნება“ აქტიურად მართავს აქციებს დედაქალაქსა და რეგიონებში, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, რა მთავარი აზრი დევს ამ აქციებში?**

— შინაარსი არის ის, რომ ეს აქციები არის არა უვადო შიმშილობები, არამედ წინა საარჩევნო პროცესი. ეს მართლაც პირველად ხდება საქართველოში. ივანიშვილი გამოდის, როგორც ობამა, რომი, სარკოზი და ა.შ. ანუ იგი გამოდის არა პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, არამედ საუბრობს პოზიტიურ პროგრამაზე. ეს ძალიან კარგი მესიჯია, ერთი მხრივქ ხალხი იკრიბება, მეორე მხრივ ეს ყველაფერი ჰიპერ-დასავლურად გამოიყურება.

**თამარ შველიძე**

ხიფათი იცით სად არის? — თუ მიშა იტყვის, რომ სიაში პირველია და ამას აშშ მხარს დაუჭერს, მაშინ ძალიან ცუდ რამეს მიიღებს. მაგრამ თვითონ აშშ-ც ლავირებას ცდილობს. რაც კათოლიკეებისთვის პაპია, ის ქართველებისთვის დღეს არის აშშ-ს პრეზიდენტი. თუნდაც დააკვირდით, ხალხი აშშ-ს ეუბნება რომ სააკაშვილი მკვლელი, დამნაშავეა, მაგრამ ამაზე რეაგირება არ ხდება.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

თქვენ ვერ დამისახელებთ ვერც ერთი ქვეყნის მმართველს (ან დიქტატორს), რომელმაც თავისი მმართველობის ასე ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში იმდენი ავნო თავისი საკუთარი ქვეყნის ისტორიას, რამდენიც მიშა სააკაშვილმა, რომელიც აგერ უკვე 8 წელია ილია ჭავჭავაძის "სახელით" ებრძვის ენას, მამულს და სარწმუნოებას და მიზანმიმართული ბოროტებით ანგრევს წარსულ დიდებას, განადიდებს რა ღირსებააყრილ აწმყოს და ვირტუალურ მომავალს!!! საქართველოს ისტორიის მანძილზე, არც ერთ მოსისხლე მტერს არ დაუპყრია და გაუსრესია საქართველო ისე იოლად და უღირსად, როგორც ეს სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა "მოახერხა", რასაკვირველია, ყველა ჩვენგანის ხელშეწყობით... დადგა დრო, გამოვასწოროთ შეცდომა და დავიბრუნოთ ჩვენი ისტორია :((

ახლა გავიგე, თურმე იუსტიციის სახლს გვიშენებენ სამტრედიელებს და თან ყველაზე ლამაზს... გაითხარე ადეიშვილო იუსტიციის სახლი ტრაკში... რასაც შემოსავალი მოჰქონდა ქალაქისთვის (რკინიგზა) ხომ

# xalxis azriT

ამოინაყეთ ფეხებშუა... ჰოდა, გქონდეთ თქვენი მოწყალება თქვენვე... მაინც უკანალების სკვაზნოი გაქვთ... შეგეტევ-დაგეტევათ.... ააშენეს ახალი პოლიცია... წააქციეს ქალაქის ცენტრში ბევრი ლამაზი და კარგი ხე... ძველი პოლიცია ბორდელად აქციეს, ბოზები დაყავთ იქ პოლიციელებს, შეწუხდა ხალხი... ასე იქნება ახლაც... დავიღალე ამდენი მარკიანი და უმარკო ბოზების ყიყინით... გავარტყი მაგათ სახლებს... მაინც წყალს და მეწყერს მიაქვს ყველაფერი.

ისე კონსტიტუციაა ახლა ეს თუუუ "უბის წიგნაკი"?....

მინდა მოკრძალებით ვიკითხო, არსებობს თუ არა მიშას მუბარაქიზაციის ლეგიტიმური საფუძვლები? დღეს, სასამართლოს გადაწყვეტილებით კომპანია გლობალს ვალდებულება დაეკისრა, მოხსნას აქამდე დამონტაჟებული ყველა ანტენა!!!! გუშინ, 149 მლნ, უფრო ადრე ბანკ ქართუზე მიყენებული ზიანი თითქმის 200 მლნ. ს აღწევს. საარჩევნო გარემო გაუარესებულია,ხალხი უკიდურესად გაჭირვებული!!! პოლიტიკური პატიმრების აღიარებას დასავლეთი არ ჩქარობს, უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენებით მსჯავრდებულთა რაოდენობა მატულობს, მთელს ევროპაში სტრასბურგის საჩივრებით პირველ ადგილზე ვიმყოფებით, პოსტსაბჭოურ სივრცეში ყველაზე დაბალი პენსია ჩვენთანაა, საკუთრების უკანონო ხელყოფა ჩვეულებრივ პრაქტიკად ჩამოყალიბდა,პატიმართა წამება ციხის მართვის ფორმად!!! მამულიც, ენაც და სარწმუნოებაც შეურაცხყოფილია, უზნეობის ინსტალაცია სახელისუფლებო სამოქმედო გეგმის მთავარ სტრატეგიად ქცეულა...



## zaqaria qucnaSvili:

# kontrolis palatis qmedebebi absurdSi gadaizarda



**„საერთო გაზეთს" „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წარმომადგენელი ზაქარია ქუცნაშვილი ესაუბრა.**

**— ბატონო ზაქარია, ბოლო პერიოდში კონტროლის პალატამ „ქართულ ოცნებას" სოლიდური ჯარიმები დააკისრა. მათ შორის, ფიზიკური პირი ბიძინა ივანიშვილი 148 მილიონ 650 ათას 131 ლარით დააჯარიმა. როგორ ფიქრობთ, რა მიზანს ემსახურება კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახურის ქმედებები?**

— კონტროლის პალატა თავისი ქმედებებით ცდილობს ბიძინა ივანიშვილს შეუზღუდოს ყველა კანონიერი გზა. ამ შემთხვევაშიც ხელისუფლების სამივე განშტოება შეთანხმებულად მოქმედებს ისევე, როგორც მოქმედებდნენ გირგვლიანის, ვაზაგაშვილის საქმის დროს.

სასამართლო გვეუბნება, რომ ბიძინა ივანიშვილი, როგორც ფიზიკური პირი, „ბურჯის", „ელიტა ბურჯისა" და „გლობალ კონსალტინგ გრუპის" საშუალებით „ქართული ოცნების" სასარგებლოდ უკანონო შემოწირულობას ახორციელებდა რის გამოც თითქმის 150 მილიონ ლარამდე დაგვაჯარიმეს.

**— სასამართლოს არგუმენტი გამოტანილი ჯარიმის დროს ის იყო, რომ „ქართული ოცნების" წარმომადგენლები „გლობალ ტვ-ის" ანტენებს რეგიონებში მოსახლეობას უსასყიდლოდ ურიგებდნენ?**

— მაშინ სასამართლოს მიერ დასახელებულ არგუმენტს თუ გავყვებით, ბრალდება უნდა აგებულიყო არა ადმინისტრაციულ დარღვევაზე, არამედ სისხლის სამართლის დანაშაულის კუთხით. ბრალდება ამ მიმართულებით არ წარმართულა, საუბარი მხოლოდ ადმინისტრაციულ დარღვევაზე იყო.

**— ყველასათვის, მათ შორის „ქართული ოცნებისთვის", კარგადაა ცნობილი კანონი „პოლიტიკური გაერთიანების" შესახებ. ფაქტია, მონიტორინგის სამსახური გადაწყვეტილების მიღებისას აღნიშნული კანონის მიხედვით მოქმედებს. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, რატომ აძლევს საბაბს „ქართული ოცნება" კონტროლის პალატას ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად?**

— ჩვენ არასდროს არ დაგვირღვევია კანონით დადგენილი ნორმები. პირიქით, კონტროლის პალატაა გასული კანონის ჩარჩოებიდან და „ქართულ ოცნებასა" და ბიძინა ივანიშვილს უკანონოდ აჯარიმებს. „კანონი „პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" გვეუბნება, რომ უკანონო შემოწირულობად ჩაითვლება პოლიტიკური გაერთიანებისთვის იურიდიული პირის მიერ შეწირული თანხა. მითხარით, როცა „გლობალ ტვ", თავისი კომერციული ინტერესების გაზრდის მიზნით კახეთში ანტენებს ამონტაჟებს, ამით პარტიის დაფინანსებას ახორციელებს? ან კიდევ „გლობალ ტვ-ს ანტენები მხოლოდ „მე-9" არხს აჩვენებს? პირიქით, „გლობალ ტვ"-ს „იმედმა" და რუსთავი—2"-მა თავისი სიხშირეების გათიშვა მოსთხოვა. ასე რომ, კონტროლის პალატის ქმედებები უკვე აბსურდშია გადასული და სწორედ ისინი არღვევენ კანონს.

**— როცა საუბრობთ, რომ კონტროლის პალატის ქმედებები აბსურდულია რეალურად ხომ არსებობს კანონი, რომელიც კონტროლის პალატას ასეთი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას აძლევს?**

— „ქართულ ოცნებას" ამ შემთხვევაში კონტროლის პალატის აბსურდული და უაზრო მუხლებიც კი არ დაურღვევია. სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ გაზს, დენს, წყალს ხომ ვიღაცა გვაწვდის, ეს, რა ამომრჩევლის მოსყიდვაა? თუ „რუსთავი-2"-ს რომ ვუყურებთ, ე.ი. მიხეილ სააკაშვილს ვყავართ მოსყიდულები?

ჯერ უნდა ჩატარდეს სასამართლო პროცესი და თუ სასამართლო აღნიშნულ გადაწყვეტილებას ძალაში არ დატოვებს, ცხადია, ბიძინა ივანიშვილი დაკისრებულ ჯარიმას აღარ გადაიხდის.

**— იმ შემთხვევაში, თუ უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება?**



— ამ შემთხვევაში ხელისუფლებას შეუძლია დააყადაღოს ფიზიკური პირის ბიძინა ივანიშვილის ქონება. მინდა გითხრათ, რომ, ამ შემთხვევაში, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ფიზიკური პირის ბიძინა ივანიშვილისა და იურიდიული პირის ბიძინა ივანიშვილის ქონება. ივანიშვილს თუ საქართველოში დაკისრებული ჯარიმის რაოდენობის შესაბამისი ქონება არ აღმოაჩნდება, ამ შემთხვევაში ხელისუფლებას არ აქვს უფლება დააყადაღოს იურიდიული პირის ბიძინა ივანიშვილის ქონება.

**— ცნობილია, სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების მიუხედავად პროცესი არ ჩერდება და ბიძინა ივანიშვილს ევალება დაკისრებული ჯარიმის გადახდა. მაშინ როგორ უნდა მოხდეს ამ საკითხის დარეგულირება?**

— ამ შემთხვევაში დაველოდებით იმას, თუ რას მოიმოქმედებს ხელისუფლება, წავა უკანონო აქტის უკანონო აღსრულების გზაზე თუ დაელოდება სასამართლოს გადაწყვეტილებას. თუმცა მოლოდინი არ გვაქვს, რომ უზენაესი სასამართლო ჩვენს თხოვნას დააკმაყოფილებს და დაკისრებულ ჯარიმას ბათილად გამოაცხადებს.

**— როგორ ფიქრობთ, კონტროლის პალატის ბოლოდროინდელი ქმედებები ერთგვარად ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხის გაგრძელება ხომ არ არის?**

— შეიძლება ეს მოსაზრებაც გავითვალისწინოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ხელისუფლების მიზანი უფრო სხვა არის. მათ დაინახეს, რომ ქვეყანაში ცვლილებები გარდაუვალია და საზოგადოების განწყობა შეცვლილია და ცდილობენ აღნიშნული პროცესები რამენაირად შეაფერხონ.

ხელისუფლება 1-2 თვის განმავლობაში კიდევ გააგრძელებს ფართხალს და მერე წინააღმდეგობის გაწევას შეწყვეტს, რადგან ახლა უნდათ, როგორმე საზოგადოების განწყობა, პროცესი შეაჩერონ.

**— იმ შემთხვევაში, თუ ბიძინა ივანიშვილი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არ შეასრულებს და დაკისრებულ ჯარიმას არ გადაიხდის, ეს ფაქტი საერთაშორისო ასპარეზზე როგორ იმოქმედებს ბიძინა ივანიშვილის იმიჯზე?**

— ამ რაოდენობით დაკისრებულ ჯარიმას საარჩევნო ისტორია არ იცნობს. აამიტომ ყველასთვის ქვეყნის შიგნით და გარეთ მარტივად ასახსნელია, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი სისულელეა, რადგან, როგორ შეიძლება უკანონო შემოწირულობა გაუთანაბრონ კერძო კომპანიის კერძო საქმიანობას. აშშ-ის წარმომადგენელი ესწრებოდა სასამართლო პროცესს და მათ ძალიან ნათლად დაინახეს თუ როგორ არაკანონიერად წარიმართა პროცესი.

სამწუხაროდ, ერთმანეთში ურევთ ფიზიკური პირი ბიძინა ივანიშვილისა და იურიდიული პირი ბიძინა ივანიშვილისთვის დარიცხულ ჯარიმებს. პირველად კონტროლის პალატამ ჯარიმა დაარიცხა საზოგადოებრივ მოძრაობას „ქართულ ოცნებას", ახლა კი ჯარიმა დაეკისრა ფიზიკურ პირს ბიძინა იავნიშვილს.უუკვე ფინანსური მონიტორინგის ქმედებები აბსურდულია, რადგან კერძო კომპანიის მიერ გლეხისთვის ანტენების დამონტაჟება პარტიისთვის შემოწირულობას გაუთანაბრეს. მაშინ სასამართლოზე წარმოადგინონ შესაბამისი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდება, რომ „გლობალ ტვ"-ის ანტენები მხოლოდ „ქართული ოცნების" მხარდამჭერებს უმონტაჟდებათ.

**მირანდა ნაბახტეველი**

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# didi tyuili did sisxlisRvras iwvevs xolme...



**გვესაუბრება „საერთო სახალხო წინააღმდეგობის“ ერთ-ერთი ლიდერი სოსო მანჯავიძე**

**— ბატონო სოსო, რას იტყვით იმ მოლოდინის შესახებ, რომელიც საქართველოში ჰილარი კლინტონის ვიზიტთან დაკავშირებით არსებობდა და რა მივიღეთ საბოლოოდ?**

— საკაშვილის ვიზიტის შემდეგ ვიხილეთ ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ერიკ რუბინის გამოსვლა კოლუმბიის უნივერსიტეტში, სადაც მან სამი მთავარი გზავნილი გააკეთა. პირველი, განაცხადა, რომ მათი კვლევებით საქართველოს მოსახლეობის 60% მხარს უჭერს „ნაციონალურ მოძრაობას“, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. მეორე, შეერთებული შტატები, რა თქმა უნდა, არ იყო კონფლიქტის ინსპირატორი და რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭების მომხრე, რაც 2008 წელს საკაშვილის ქმედებებმა გამოიწვია, მაგრამ ის ითვალისწინებს, რომ საკაშვილი სენსიტიური პიროვნებაა იმ გაგებით, რომ პატრიოტული გრძნობების ტყვეობაში აღმოჩნდა და ამიტომ დაიწყო ომი. ხოლო მესამე გზავნილი იყო, რომ საქართველოში მიმდინარეობს დემოკრატიის მშენებლობა და არასამთავრობო თუ პოლიტიკური პარტიების სიგნალები ამ მშენებლობაში არსებული ხარვეზების შესახებ, პრინციპში გადაჭარბებულია. აი, ეს სამი უზარმაზარი სიცრუე თქვა ერიკ რუბინმა და ვინც ეს წაიკითხა, აღარ უნდა ჰქონოდა ილუზია იმის შესახებ, რას იტყოდა ჰილარი კლინტონი, ან რა პოზიცია აქვს ამერიკას საკაშვილის რეჟიმთან მიმართებაში. რაც შეეხება თვითონ ჰილარი კლინტონის ვიზიტს, ამაზე რა უნდა ვისაუბრო. მე მხოლოდ მწვავე სირცხვილი ვიგრძენი. მრცხვენოდა, რომ ყურმოჭრილი მონების მდგომარეობაში ვიყავით ჩვენ, ხოლო ქალბატონი ჰილარის გამომეტყველება, ჟესტიკულაცია თუ ტექსტები წააგავდა ევროპელი კოლონიზატორების ქცევას ინდიელების მიმართ. უბედურება ისაა, რომ ეს ქედმაღლური დამოკიდებულება ბუნებრივად იყო გამოწვეული ამ სამარცხვინო არსებების ქცევით, მათი ქლესა გამომეტყველებებით და ყურმოჭრილი მონების პოზებით. ჰილარი კლინტონის ვიზიტის მთავარი გზავნილი კი იყო ის, რომ თუკი არჩევნები ოდნავ მაინც დემოკრატიულად ჩატარდება, ოპოზიციამ უნდა აღიაროს შედეგები, ანუ როგორც ჩვენ გვაწყობს ისე იქნება და თქვენც მოიქეცით ისე, როგორც ჩვენ გვაწყობს, წინააღმდეგ შემთხვევაში ფულს ველარ მიიღებთო.



**— მინდა ერთი ფაქტის შესახებ გაგახსენოთ, რომელიც ასევე ცოტა ხნის წინ მოხდა. როდესაც ჯონ ბასმა კონტროლის პალატა გააკრიტიკა, ამას სრულიად მოულოდნელი თითის დაქნევა მოჰყვა ხელისუფლების მხრიდან ამერიკის მიმართ. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საკაშვილსაც გააჩნია რაღაც ბერკეტები ამერიკის მხარდაჭერის მისაღებად?**

— რა თქმა უნდა, ბერკეტები არსებობს. ის ნეოლიბერალები, რომელიც ვახსენე, არის აბსოლუტურად განშტოებული ჯგუფი. ისინი საკაშვილის საშუალებით მთლიანად აკონტროლებენ სახელმწიფო ინსტრუმენტებს, რათა გამოიყენონ ის კაპიტალი, რაც საქართველოში არსებობს. ამას გარდა, ჩვენი საგარეო ვალი უკვე 11 მილიარდამდე გაიზარდა. ეს თანხები იხარჯება ზუსტად იმ სქემით, რომელიც პერკინსის „ეკონომიკური მკვლელის აღსარებაშია“ აღწერილი, ანუ ინფრასტრუქტურის პროექტებში, არქიტექტურულ ზიზილპიპილოებში და საკაშვილის პირადი ინტერესებისათვის. ამ თანხის დიდი ნაწილი, დაახლოებით სამას მილიონამდე, მიედინება ამერიკაში ლობისტურ კომპანიებთან, რათა მოხდეს ამათი პოლიტიკური მხარდაჭერა. მთელი ეს თანხა კი ჩვენ გვეწერება საგარეო ვალად, ანუ ამ ვალით ჩვენივე დამაქცევარი ხელისუფლების ინტერესების ლობირებას უზრუნველვყოფთ. აი, ასეთი ცინიკური და არაადამიანური სქემაა. იმ 130 მილიონით, რომელიც პარლამენტის აშენებაზე დაიხარჯა, რამდენი მშიერი ბავშვის გამოკვება ან რამდენი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შეიძლებოდა. ეს არის ჩვენი ქვეყნის მოპარული და შეჭმული მომავალი. მკვლელობაა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, და გახსოვთ, ალბათ, რომ სწორედ მკვლელობით დაიწყო პარლამენტის მშენებლობა. საკაშვილის პირადი პასუხისმგებლობაა ქუთაისში ძეგლის აფეთქების დროს დაღუპული დედა-შვილი. ამათ კისერზეა იმ ადამიანების სიკვდილიც, ვისი დახმარებაც ველარ მოხერხდა უაზროდ გაფლანგული ფულის გამო.

**- გასაგებია, რომ ხელისუფლებას სჭირდება ამერიკა, მაგრამ ოპოზიცია რატომ არ არის მეტად პრინციპული ამერიკის მიმართ? ამერიკელები საკაშვილს უჭერენ მხარს, ოპოზიცია კი მაინც კლინტონთან შესახვედრად გარბის..**

- ამერიკელებს ისე უნდა ვესაუბროთ, როგორც ღირსეული ქვეყნის ღირსეული წარმომადგენლები. მაგრამ ჩვენ არც ღირსეული ქვეყანა ვართ და არც ღირსეული ოპოზიცია გვყავს, რომელიც იზრუნებს იმაზე, რომ ღიად ილაპარაკოს. ჰგონიათ, რომ სიმართლის თქმა არ არის პოლიტკორექტული. სინამდვილეში კი პოლიტკორექტული სწორედ ასეთი, შეშინებული სახეებით საუბარი არ არის. ვირთხებს არასოდეს, არავინ არ აფასებს. ღირსეულ ადამიანს კი მტრისგანაც აქვს დაფასება. პოლიტიკოსს უნდა შეეძლოს იმის თქმა, რომ რა დროს დემოკრატიული არჩევნებია, როდესაც ქვეყანაში გენოციდი მიმდინარეობს. ხელისუფლება თუ იტყუება, თითქოს დემოკრატიის მშენებლობა მიმდინარეობს საქართველოში, ჩვენ ხომ ვიცით რეალური სურათი და უბედურებაა, რომ ის ხალხი ვინც ელიტად იწოდება ამ ქვეყანაში, იმის ნაცვლად, სიმართლე ილაპარაკონ გარეთ, პირიქით, ამ სიმართლეს მალავენ. ჰგონია, რომ სიმართლეს თუ იტყვის პოლიტკორექტული არ იქნება და არ მისცემენ დაფინანსებას. მეორე უბედურებაა ის ტენდენცია, რომ ვიღაცა თუ საუბრობს სიმართლეს, ასეთ ხალხს მაშინვე მარგინალებს უწოდებენ. ბოროტისა და კეთილის გარჩევის უნარი ადამიანს მას შემდეგ აქვს, რაც გააჩინა ის უფალმა ხომ? ჯერჯერობით ეს უნარი ნეოლიბერალებს არ გაუუქმებიათ და აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ სიმართლე ვთქვათ ყოველთვის და ყველგან. ეს არის სწორედ მართლმადიდებლობის არსი და ზოგადად ადამიანის განვითარების შესაძლებლობაც ამაში დევს. როდესაც საზოგადოებას ყურებს უჭედავ რაღაც სისულელეებით, ეს საერთოდ უფრო დიდი დანაშაულია. იმიტომ, რომ საზოგადოება ხდება კოლექტიური ტყუილის მსხვერპლი. იგივე მკვლელობაა, რადგან დიდი ტყუილი ყოველთვის დიდ სისხლისღვრას იწვევს ხოლმე ფიზიკურ სამყაროში. აქვე უნდა ვთქვა, რომ უდიდესია საკაშვილის „ტელექილერების“ დანაშაულიც. მთელ საქართველოზე მაუწყებლობს მის მიერ შექმნილი საინფორმაციო მონსტრი, რომლის ჟურნალისტებმა ხელფასის გულისთვის სულიც კი გაყიდეს და ასეთ მდგომარეობაში ჩააგდეს საზოგადოება. მთელი ერი გაწუწული ვართ იმ ბინძური საინფორმაციო ნაკადით, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით იღვრება და უკვე შეუძლებელი ხდება იმის გარჩევა, ვინ თვითონ წუწავს და ვინ გაწუწულია.



**- მინდა რეგიონებში მიმდინარე აქციების მნიშვნელობაზე გავამახვილო თქვენი ყურადღება, რამდენად გარდამტეხი იქნება ეს ნაბიჯი ხელისუფლებასთან ბრძოლაში?**

— ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, რომ სამწვეროვანია რეჟიმის ცვლილების შესაძლებლობა. ჯერ ერთი — გავიყვანოთ სამართლებრივ რელსებზე, დავადანაშაულოთ იმაში, რაც არის სინამდვილეში. ვთქვათ, რომ ეს არის დამნაშავეთა კლანი, რომელთაც წართმეული აქვთ ქართველი ხალხისათვის არჩევანის შესაძლებლობა, გაყალბებული აქვთ მოსახლეობის რაოდენობაც და ამომრჩეველთა რიცხვიც. მეორე ნაბიჯი არის ის, რომ ეს ინფორმაცია მაქსიმალურად გავიტანოთ ევროპაში და ვამხილოთ ხელისუფლება. მესამე, ეს პროცესები მხარდაჭერილი უნდა იყოს მშვიდობიანი მასობრივი გამოსვლების მეშვეობით. ადრე ვიღაცები გამოდიოდნენ და იძახდნენ, არა, საკაშვილს აწყობს ხალხის გამოსვლაო. ახლა ხომ გაირკვა, ვინ ყოფილა მართალი. თბილისის ერთმა გამოსვლამ გამოწვია უფრო მეტი მუხტი, ვიდრე ყველა დანარჩენმა ქმედებებმა ერთად. იგივე სიტუაცია უნდა იყოს რეგიონებშიც. იქ უნდა გადავტეხოთ წელში ეს რეჟიმი. „პრესინგი“ მთელს მოედანზე უნდა ვაწარმოოთ, ამოსუნთქვის საშუალება არ მივცეთ ხელისუფლებას და დუღილის ტემპერატურა იმ დონეზე ავწიოთ არჩევნებისთვის, რომ ამათ გაყალბების მექანიზმების ჩართვა ვერგაბედონ.

**ლელა არაბული**

## „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული მოძრაობა „საყვირების აქციას“ გამართავს

ამ ლოზუნგით, 21 ივნისს 15:00 საათზე, თბილისში „საყვირების აქცია“ გაიმართება. კოალიცია „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული მოძრაობა სამარშუტო ტაქსებში რადიოსადგურების სიგნალის გათიშვას აპროტესტებს და მოსახლეობას მედია საშუალებების სოლიდარობისკენ მოუწოდებს.

დღეს ახალგაზრდული მოძრაობის წევრებმა 21 ივნისს დაგეგმილი აქციისთვის, თბილისის ქუჩებში სპეციალური „ფლაერები“ დაარიგეს.



„ჩვენი მიზანია დავაფიქსიროთ პროტესტი და ხელისუფლებას გავუგზავნოთ მკაფიო მესიჯი, რომ შეწყვიტოს ინფორმაციის ჩახშობა, რადგან „ჩვენი უფლებაა ვიცოდეთ“ — განაცხადეს ახალგაზრდული მოძრაობის წევრებმა.

**„მედიანიუსი“**

# lia muxaSavria:

## qarTvelma xalxma ar unda dautovos xelisuflebas Sansi, rom saqme samoqalaqo dapirispirebamde mivides

**კონტროლის პალატის ბოლოდროინდელ ქმედებებთან დაკავშირებით „საერთო გაზეთს" უფლებადამცველი ლია მუხაშავრია ესაუბრა.**

— ეს არის მოვლენა, სადაც ყველა ადამიანმა თავისი დამოკიდებულება უნდა გამოხატოს, რადგან სახელმწიფო და საჯარო მოხელეებს, ჩვენ, საზოგადოება „ვქირაობთ" იმისთვის, რომ საკუთარი ქვეყნის მოსახლეობას მოემსახურონ, დაიცვან და აღასრულონ კანონი. ამ კუთხით, რომ ვუყურებ შექმნილ მდგომარეობასა და კონტროლის პალატის ქმედებებს, ისე გამოდის, ჩვენ კი არ „ვქირაობთ" მათ, არამედ ისინი „გვქირაობენ", თითქოს საზოგადოება ხელისუფლების ყურმოჭრილი მონაა და რასაც უნდათ, იმას გააკეთებენ. წარმოუდგენელი ჯარიმები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილს კონტროლის პალატამ დააკისრა და ის გაუგონარი საპროცესო დარღვევები და უსამართლობის ფეიერვერკი, რაც განხორციელდა, მაფიქრებინებს, რომ სახელმწიფომ დაკარგა თავისი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია — მოემსახუროს საზოგადოების ინტერესებს. 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების დროს, როცა იურისტები აკეთებდნენ განცხადებებს, რომ გატარებული ცვლილებებით დაირღვეოდა ხელისუფლების შტოთა ბალანსი, ეს ფაქტი დღეს კონტროლის პალატის მიერ განხორციელებულ ქმედებებში კარგად გამოიკვეთა.

ზოგადად არსებობს ობიექტური კანონზომიერება, რომელსაც ემორჩილება სამყარო, საზოგადოება, სახელმწიფოს მოწყობის პრინციპები და თუ რომელიმე ინსტიტუტი ამ კანონზომიერებას ეწინააღმდეგება, სწორედ ის იღუპება, ხოლო დადგენილი კანონზომიერება, არსებობას აგრძელებს. ამიტომ იმას, რასაც კონტროლის პალატა ახორციელებს, ძირეულად მცდარია და ჩემთვის, პირადად მიუღებელია. ადამიანურად მაინტერესებს, რას ფიქრობს ნათია მოგელაძე, როცა მარტო რჩება? ის „პოპულარობა", რაც მან მოიპოვა, არის ის, რასაც არავის არ ვუსურვებდი. ნათია მოგელაძეს მისი ქმედებებიდან ჩანს, რომ კარიერისტული ამბიციები აქვს, მაგრამ იურისტისთვის შეუსაბამო უკანონობით და შეუფერებელი ქმედებებით იჭრის იმ ტოტს, რომელზეც ზის. დროებითი ძალაუფლება, რომელსაც მოგელაძე კერძო პირებისა და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ბოროტად იყენებს, მას ბუმერანგივით დაუბრუნდება.

**— ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ჩამოყალიბების მთავარი მოტივი პოლიტიკაში ე.წ. „შავი ფულის" მოხვედრის გაკონტროლება იყო. თუმცა ცალსახაა, რომ მოგელაძის უწყება უშუალოდ „ქართული ოცნების" მისამართით იყენებს თავის ძალაუფლებას. რით ხსნით ამ ფაქტს?**

— კონტროლის პალატის ქმედებები ცინიზმის მკაფიო მაგალითია. იმას, რასაც მოგელაძის ხელით სახელმწიფო აკეთებს, სცილდება ყოველგვარი არგუმენტაციის. „კონტროლის პალატის" ქმედებები ისე ცუდად დადგმული და ცუდად გათამაშებული სპექტაკლია, რომ საზოგადოებას ეჭვი არ ეპარება, რომ ის, რაც დღეს ივანიშვილის ირგვლივ ხდება არის ძალიან კონკრეტული პირის მიერ კონკრეტული ადამიანის მიმართ, ამ შემთხვევაში ივანიშვილის მისამართით, დაგეგმილი ანგარიშსწორება. უბედურება სწორედ ისაა, რომ მთელი სახელმწიფო აპარატი: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო მექანიზმები გამოყენებულია მხოლოდ და მხოლოდ ერთი კაცის კერძო ინტერესებისთვის. სავალალო ისაა, რომ პრეზიდენტად არჩეული, სახელმწიფო თანამდებობის პირი სააკაშვილი პირადი ანგარიშსწორებისთვის იყენებს საკანონმდებლო ორგანოს, აცვლევინებს კანონს და მასში ისეთი ცვლილებები შეაქვს, რომლის აღსრულებისა და პრაქტიკაში გამოყენების შემთხვევაში ქვეყანაში ბევრი რისკ-ფაქტორი იჩენს თავს. შეიძლება ჩემი საუბრით ძალიან



რთულ სურათს ვხატავ, მაგრამ საქართველოში შექმნილი ვითარება მე, პირადად, ასე მესმის. თუკი რეალურად ერთმა პიროვნებამ შესაძლებელია ასე დაიქვემდებაროს კონსტიტუცია, შეცვალოს იგი და შექმნას ისეთი სამსახური, რომელსაც სათავეში მოგელაძისნაირ ადამიანს ჩაუყენებს, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ მიხეილ სააკაშვილისა და მოგელაძის მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენება.

**— კონტროლის პალატის ქმედებები ემყარება კანონს „პოლიტიკური პარტიების შესახებ". როგორ ფიქრობთ, აამ შემთხვევაში კანონია ბუნდოვანი თუ „ქართული ოცნება" აძლევს საბაბს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს დააკისროს სოლიდური ჯარიმები?**

— აქ არ შეიძლება საბაბზე საუბარი, რადგან კონტროლის პალატის ქმედებები გამიზნულია ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ. „ნაცმოძრაობას" საზოგადოებამ, მივეცით უფლება და შესაძლებლობა განახორცილონ ასეთი დიქტატორული ქმედებები.

**— როგორც ამბობთ, კონტროლის პალატის ქმედებები „ქართული ოცნების" მიმართ უსაფუძვლოა და სამართლებრივ მექანიზმებს სცილდება, მაშინ გამოდის, რომ ასეთ პირობებში ყველა ადამიანი დაუცველია ანალოგიური ქმედებებისგან?**

— თქვენ რა გგონიათ, ფაშისტური გერმანიის დროს ყველაფერი კანონის დაცვითა და დადგენილი ნორმების მიხედვით ხორციელდებოდა? მაგრამ ყველაფრის არსი და მიზანი, რაც ფაშისტური გერმანიის დროს კეთდებოდა — ბოროტება იყო. დღესაც ზუსტად ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. „კარგია, როცა მეძლევა შესაძლებლობა რომ საზოგადოებას ვუთხრა: ჩვენი ამოცანაა, რომ არასოდეს არავის არ მივცეთ ასეთი უმრავლესობით პარლამენტში მოსვლის შესაძლებლობა, არ ავირჩიოთ ქვეყნის პირველ პირად ის ადამიანი, ვისაც განზრახვა გაუჩნდება ბოროტად გამოიყენოს კანონი, უდიერად მოექცეს სახელმწიფო სტრუქტურებს და ქვეყნის ძირითად, მთავარ კანონს — კონსტიტუციას.

**— ასეთ შემთხვევაში, რა უნდა იყოს ივანიშვილის თავდაცვითი მექანიზმი? როგორ უნდა დაიცვას თავი ივანიშვილმა კონტროლის პალატის ქმედებებისგან?**

— ხელისუფლებამ ბიძინა ივანიშვილს გამოაცალა სამართლებრივი, ზნეობრივი მექანიზმები. ბიძინა ივანიშვილი არ არის ის ადამიანი, ვინც ვერ დაიქირავებს კარგ ადვოკატს ან ადვოკატთა ჯგუფს, ან სასამართლოში გადასახდელ ბაჟს ვერ გადაიხდის, მაგრამ მას ხელისუფლებამ ყველა კანონიერი გზა მოუჭრა. ამიტომ, ცხადია, ის იძულებული ხდება მიმართოს სხვა საშუალებებს.

**— კონკრეტულად რა ბერკეტი შეიძლება გამოიყენოს?**

— ამ ეტაპზე ივანიშვილს თავის დასაცავად შეიძლება ითქვას კანონიერების ბერკეტი აღარ გააჩია. ფფაქტობრივად, სასამართლომ მას დასცინა, ბოდიში, მაგრამ ეს არის აბუჩად აგდება, როდესაც სასამართლო ასე ხელაღებით უსამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანს. ვგულისხმობ დაჯარიმების ფაქტს. ამიტომ, ივანიშვილს სხვა მეტი არაფერი დარჩა გარდა იმისა მოიგოს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები! მიხეილ სააკაშვილს უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს და ფიქრობს იმაზე, რომ როგორმე გადაარჩინოს ქონება, თავისი თავი. მე, პირადად, ვფიქრობ, რომ შესაძლოა ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის არსებულ დაპირისპირებას საზოგადოება გადაჰყვეს.

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— შეიძლება სამოქალაქო შეიარაღებულ დაპირისპირებამდე ძალადობრივი მეთოდებით ურთიერთანგარიშსწორებამდე მივიდეს ეს ორი ადამიანი. ასეთი დაპირისპირება საქართველოსნაირი პატარა ქვეყნისათვის შესაძლოა, კატასტროფული აღმოჩნდეს. ამიტომ მნიშვნელოვანია მედიამ ამ მიმართულებით გაამახვილოს ყურადღება. ჩვენ, საზოგადოებას, გვაქვს უფლება საჯარო პროტესტით, ხელმოწერებითა და შეურიგებელი პოზიციის გამოთქმით, რასაც მე ვაკეთებ, ვთქვათ: რომ ჩვენ თანახმა არ ვართ ჩვენი სახელით არჩეულმა და დანიშნულმა საჯარო მოხელეებმა ასეთი ქმედებები განახორციელონ.

მე ისევ ქართველი ხალხის გონიერების იმედი მაქვს, რადგან ჩვენი ყოფნა-არ ყოფნა წკიპზე ჰკიდია. ბოლო ათწლეულების გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ემოციები, კონფრონტაციის, დაპირისპირების პოლიტიკამ მხოლოდ უბედურება და ნგრევა მოგვიტანა. ამიტომ ახლა გვაქვს საშუალება დავამტკიცოთ, რომ ბოლო წლების განმავლობაში ჭკუა ვისწავლეთ და თუ არ გვისწავლია, მაშინ დიდი ბოდიში, მაგრამ ახია ჩვენზე, გადავიჩეხოთ, ან ამ დაპირისპირებულ მხარეებს გადავყვეთ.

**— ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ სასამართლოს მიერ დაკისრებულ ჯარიმას, არ გადაიხდის. რამდენად სწორი ტაქტიკაა ეს მისი მხრიდან, მით უმეტეს ასეთი გადაწყვეტილების შემდეგ ივანიშვილის ქონებას დაყადაღება ემუქრება?**

— წესით მეც რომ მის ადგილზე ვიყო, ჯარიმას ნამდვილად არა გადავიხდიდი. საინტერესოა, როცა ხელისუფლება ივანიშვილის ქონებას დააყადაღებს, საინტერესოა, გადაწყვეტილების აღსრულება როგორ უნდა მოხდეს? აუქციონზე ივანიშვილის ქონებას თუ გაიტანენ, ძალიან მაინტერესებს ვინ უნდა იყიდოს ივანიშვილის ქონება?

**— მყიდველი, ალბათ, გამოუჩნდება?**

— მყიდველი ივანიშვილის ქონებას არ გამოუჩნდება და ამაზე ჩვენს ხელისუფლებას უკვე ნაფიქრი აქვს. კანონში ცვლილებაა მიღებული, როდესაც აუქციონის წესით გამოტანილი ქონების რეალიზაცია არ ხდება, შემდეგ ის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე ირიცხება. მერე საინტერესოა რამდენ კაცი უნდა დაიხმაროს სააკაშვილმა იმისათვის, რომ რეალურად ივანიშვილის ქონება მისი მფლობელობიდან გამოვიდეს.

**— რატომ არ გამოუჩნდება მყიდველი ივანიშვილის ქონებას?**

— არა მგონია, საქართველოში ვინმემ შეიძინოს ბიძინას ქონება. უცხოეთში კი ამ ადამიანს იმდენად კარგად იცნობენ, რომ არა მგონია, ვინმემ მოინდომოს ასეთი უკანონო ფორმით ჩამორთმეული ქონების შეძენა. ამიტომ ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ეს სცენარი არის აბსურდი და ვინც ეს სცენარი დაგეგმა, მას ფინალზეც უნდა ეფიქრა, რადგან ფინალი ყოველდღიურ ცხოვრებასა თუ სპექტაკლებში ძალიან მნიშვნელოვანია. თუ ჰგონით ამ უაზრო ნაბიჯებით ვინმეს შეაშინებენ, ძალიან სცდებიან.

**— რას ფიქრობთ, იმ ტაქტიკაზე, რომლითაც ბიძინა ივანიშვილი მოქმედებს, ვგულისხმობ მოსახლეობასთან შეხვედრებს, რომელსაც „ქართული ოცნება" წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში აწყობს?**



— ივანიშვილი ალბათ უფრო მეტი ენთუზიაზმით გააგრძელებს თავის საარჩევნო კამპანიას. სიტუაცია განსაკუთრებით საშიში 27 მაისის შემდეგ გახდა, როცა საზოგადოების უმრავლესობამ ივანიშვილს ნდობა გამოუცხადა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ხალხის მხარდაჭერიდან გგამომდინარე, ბატონი ბიძინა არაფერს არ შეუშინდება.

**მირანდა ნაბახტეველი**

# ubedureba is aris, sportsmenebi zonderebi rom xdebian da ara is, biZina ivaniSvils udganan gverdiT



**ინტერვიუ „ქართული ოცნების“ წევრთან, ოლიმპიურ ჩემპიონ შოთა ხაბარელთან**

**— ბატონო შოთა, თქვენ ქუთაისში იყავით აქციაზე, მაგრამ ვიცით, რომ რამდენიმე დღით ადრე ჩახვედით იმერეთში. საინტერესოა, თქვენი აზრით, რა განწყობაა მოსახლეობაში რეგიონებში?**

— დიახ, ოთხი დღით ადრე ჩავედით იმერეთში. დავდიოდით სოფლებში, ხალხს ვხვდებოდით, ვისმენდით ხალხის აზრს. ბევრი ისეთი ინფორმაცია არის, რომელიც არ იცის ხალხმა, შეიძლება ვთქვათ, რომ საინფორმაციო ვაკუუმში არიან. უყურებენ მხოლოდ „იმედს“, „რუსთავი 2“-ს, საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომლებიც დეზინფორმატორები არიან, მხოლოდ ხელისუფლების ქება-დიდებით არიან დაკავებულნი. ისეთ სიუჟეტებს გვიჩვენებენ, თითქოს ქვეყანა აშენდა, არანაირი პრობლემა ხალხს არ აქვს. ეს რომ მტკნარი სიცრუეა, ხალხმა კარგად იცის. სამწუხაროდ, პერიფერიებში ბევრმა სიმართლე არ იცის, რა ხდება ქვეყანაში. განწყობა, მუხტი მაღალია. ჩვენი სოფლის მოსახლეობა, გლეხები კარგად ხვდებიან, რომ არაფერი კეთდება არც სოფლის მეურნეობაში, არც ჯანდაცვაში, არც განათლებაში, ყველაფერი ეს იცის უკვე მოსახლეობამ, თუნდაც მიყრუებულ სოფელშიც. ჩვენ გვაინტერესებდა მოსახლეობის აზრი, ვსაუბრობდით და შედეგი ნახეთ — 55-60 ათასი ადამიანი გამოვიდა აქციაზე. ეს მხოლოდ ქუთაისელები და ახლომდებარე რაიონებიდან — ჩამოსულები. აქვე იმის თქმაც თამამად შეგვიძლია, რომ ვინც გამოვიდა ქუჩაში თბილისში თუ ქუთაისში, მათ უკან ლამის ათი იმდენი ადამიანია. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მოსახლეობის 90-95 პროცენტი ხელისუფლების ცვლილების მომხრეა. ეს რეალურად ჩანს. ცხრა წლის მანძილზე ამ ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა ხალხისთვის, ქვეყნისთვის. ყველა უბანზე, საითაც არ უნდა გაიხედოთ, ყველგან პრობლემებია, ვიმეორებ, ხალხის განწყობაა, რომ შეიცვალოს ხელისუფლება.

**— საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ არ მინდა სპორტსმენები ჩაერთვონ პოლიტიკაშიო. საინტერესოა, როდესაც სპორტსმენები ზონდერები ხდებიან, რა გამართლება აქვს ამას?**

— მე რა უნდა გამიკვირდეს გია ნაცვლიშვილისგან. ჯერ ერთი, რატომ არის ამ თანამდებობაზე. რა მორალური უფლება აქვს უხელმძღვანელოს ქართულ სპორტს და ოლიმპიურ კომიტეტს. ნახეთ, რა დღეში ჩააგდეს ქართული სპორტი. არანაირი პროგრესი აღარ არის. მინდა საზოგადოებას ვუთხრა, რომ ჩვენი სპორტი რეგრესშია. გადავხედოთ წინა ოლიმპიადებზე მონაწილეთა რაოდენობას და დღევანდელ, ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიებს. ვნახოთ, რა შედეგები გვაქვს საერთაშორისო სარბიელზე. ათჯერ და ასჯერ მეტი ფული იხარჯება დღეს სპორტისთვის ვიდრე წინა წლებში, საქმე უკან მიდის, მომავალ ოლიმპიადაზე ექვსი-შვიდი სპორტსმენით ნაკლები რომ წავა დელეგაცია, ეს დიდი დანაკლისია. ეს ლოგიკურიც არის, რადგან დღეს საქართველოში სპორტს ისეთი ადამიანები ხელმძღვანელობენ, ვისაც არათუ კავშირი, სპორტთან საერთოც არაფერი აქვთ. ასეთი ვითარებაა სპორტის სამინისტროსა და ჩვენს ოლიმპიურ კომიტეტში. სწორედ ამ ადამიანების ბრალია, რაც ხდება ქართულ სპორტში. ამიტომ ვამბობ, რომ მხოლოდ სპორტში კი არა, ყველა სფეროშია ძირეულად შესაცვლელი ვითარება, არაპროფესიონალები იკავებენ ადგილებს. რატომ არ უნდა ჩაერთოს სპორტსმენი პოლიტიკაში, თუ იგი საქმის გაკეთებას შეძლებს, ვერ გამიგია.

**— სპორტსმენებზე ზეწოლის ერთ-ერთი ფაქტი ძიუდოისტი ამბაკო ავალიანის გატაცება იყო.**

— ზუსტად ეს არის ამათი მენტალიტეტი, როდესაც საღ აზრს თვალს ვერ უსწორებენ. არის შემთხვევები, ხალხს იარაღითაც ემუქრებიან. სპორტის მინისტრი რომ იტყვის ზურაბ ზვიადაურზე, ერის ღირსეულ შვილზე ფეხებში შევუერთებთ დენს და მოვკლავთო, როგორ შეიძლება ასეთი ადამიანი იყოს სათავეში? საზოგადოებამ კარგად იცის, ვინ არიან ზონდერები, ისინი ნათესაურ კავშირში არიან ხელისუფლების წარმომადგენლებთან. სპორტსმენები ვაჟკაცი ბიჭები არიან და ასეთ ანკესზე არ უნდა წამოეგონ. როგორ შეიძლება ზვიადაური და ავალიანი შეაშინოს ვარძელაშვილმა. ვერ შეაშინებენ! შეაშინებენ ისეთებს, ვისაც მოისყიდიან. მიმაჩნია, რომ ეს არის ადამიანის სულში ჩაძრომა და იქიდან შეგნების, აზროვნების ამოღება. ხალხს, ვინც გმირებად მიაჩნიათ, ის ადამიანები, გამოიყვანეს უკანასკნელ ადამიანად. ეს სამწუხაროა!



**— თქვენ თუ შეხვედრიხართ ბატონ ბიძინას და გისაუბრიათ სპორტის პრობლემებზე? თქვენზე უკეთესად ვინ ეტყვის მას სპორტის გასაჭირზე.**

— ბატონ ბიძინა ივანიშვილს ჩემს შვილთან ერთად შევხვდი. საკმაოდ თბილი საუბარი გვქონდა. ბევრ საკითხზე ვილაპარაკეთ, განსაკუთრებულად სპორტზე არ გაგვიმახვილებია ყურადღება, უბრალოდ, ამის დრო არ იყო. იმედია, ბევრი დრო გვექნება სპორტზე სასაუბროდ. დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ ამ სფეროს, რადგან საქართველო სპორტული ქვეყანაა, როდესაც ამდენი ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი გვყავს. პირადად მე ბატონ ბიძინას სპორტზე აუცილებლად დაველაპარაკები. თუმცა დღეს რთული ვითარებაა. უპირველესად, პოლიტიკური ვითარება უნდა გამოსწორდეს და შემდეგ ყველა სფეროს შესახებ იქნება საუბარი, რადგან ყველა დარგში მძიმე ვითარებაა.

**— ხომ არ აპირებთ მაჟორიტად იყაროთ კენჭი მომავალ არჩევნებში?**

— ჯერ ვერაფერს გეტყვით, გადაწყვეტილებას პარტიის პოლიტიკური საბჭო მიიღებს. ტრაბახში ნუ ჩამითვლით, მაგრამ ქვეყნისთვის ბევრი გამიკეთებია და კიდევ გავაკეთებ ყველაფერს.

**— ბოლო დროს „ქართულ ოცნებაზე“ ღია და აშკარა ზეწოლა მიდის. რას აპირებს „ქართული ოცნება“?**

— ახლა ამათი მხრიდან, როგორც ამბობენ ბოლო გაფართხალებაა, ყველანაირად ცდილობენ სიბინძურეები გააკეთონ. არა მარტო „ქართულ ოცნებასთან“, ყველასთან, თუნდაც ჩემთანაც. რესტორანი, რომელიც მაქვს, ორი წელია დაკეტილია, არ მუშაობს, რემონტს ვაკეთებთ, მაგრამ მილიონნახევრით დაგვაჯარიმეს. არ ვიცი, საიდან რა მოიტანეს. იგივე კახი კალაძესთან, ზურაბ ზვიადაურთან დაკავშირებით და, საერთოდ, უამრავი ადამიანია ასეთ დღეში. ეს ცნობილი ადამიანებია, მაგრამ ვისაც არ ვიცნობთ, წარმოიდგინეთ, რამდენია! ბოლოს ხომ დააგვირგვინეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა 150-მილიონიანი ჯარიმით! როგორ შეიძლება ეს ფაქტი საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების გარეშე დარჩეს! უცხოეთში კი არა, საქართველოში ერთი ადამიანიც არ მეგულება რომ დაიჯეროს ამ ჯარიმის მართებულობა. ეს სიბინძურეა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით!

**— თუ აპირებენ სხვა სპორტსმენები შემოუერთდნენ „ქართულ ოცნებას“ ისე თამამად, როგორც ეს გააკეთეს მოჭიდავეებმა?**

— ბევრ ადამიანს ვიხილავთ იქ, სადაც უნდა იყვნენ და სადაც ქართველი ხალხი დგას. სპორტსმენები მყავს მხედველობაში. გიმეორებთ, ჩვენი ცნობილი, სახელოვანი სპორტსმენები დადგებიან იქ, სადაც საქართველოს მოსახლეობის 95 პროცენტი დგას.

**— ბატონო შოთა, ზოგიერთი იმასაც ამბობს სპორტსმენები იმიტომ არიან „ქართულ ოცნებაში“, თანამდებობები უნდათო...**

— ორი უმაღლესი მაქვს დამთავრებული — ფიზკულტურის ინსტიტუტი და იურიდიული ფაკულტეტი, შემეძლო ვყოფილიყავი მაღალ თანამდებობებზე, მქონდა შემოთავაზებებიც, მაგრამ მოვკიდე ხელი იმ საქმეს, რაც კარგად ვიცოდი და იმედია, გამომივიდა. არანაირ თანამდებობაზე არ არის საუბარი, შევარცხვინე ის ადამიანი, ვინც თანამდებობისთვის იბრძვის. ჩემთვის მთავარია ქვეყანამ გაიმარჯვოს და საქართველოში ნორმალურად ცხოვრების საშუალება იყოს. უბრალო ადამიანს არ ჰქონდეს იმის განცდა, ხვალ რა აჭამოს ოჯახს, რეალური სამედიცინო დაზღვევა ჰქონდეს ხალხს, ჩამოყალიბდეს განათლების სისტემა, ნიჭიერ ახალგაზრდას ჰქონდეს სწავლის საშუალება უფასოდ. ეს საკითხებია, უპირველესად მოსაგვარებელი. დარწმუნებული ვარ ყველა ასე ფიქრობს. ჩვენ, სპორტსმენები ყოველთვის ვიყავით ქვეყნის სადარაჯოზე, ქვეყნის სადიდებლად. ეს დავამტკიცეთ კიდეც. კახი კალაძეს რა რჯიდა, ყველაფერი აქვს, ქვეყანა ასახელა არაერთხელ, ეკონომიურადაც არ უჭირს.

**— როგორ ფიქრობთ, მომავალ არჩევნებში გაიმარჯვებს „ქართული ოცნება“?**

— ამაში ერთი წუთითაც ეჭვი არ მეპარება! 99,9 პროცენტით გამარჯვებულია! ხედავთ, რა ხდება? ხელისუფლება აგონიაშია და აღარ იციან, რა გააკეთონ, ყველანაირ სიბინძურეზე მიდიან. ვიცი საქართველოს მოსახლეობის განწყობა. უბრალოდ, დროის ფაქტორია, თორემ დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ მოსულია სათავეში.

**გია ბურდული**

მიშავიზიებს რომ ვუყურებ, რატომღაც ავლიპე ზურაბაშვილი მახსენდება ხოლმე და რატომ ნეტა? :)) გახსოვთ: „ მე ძალიან მიყვარდა ჩემი მშობლები, განსაკუთრებით დედა და მამა’’.... :))

ხალხო მე კორპუსში არ მაქვს ლიფტი ,რა უნდა ლიფტს ბაგრატში?

დროზე თუ არ შეიცვალა ეს ყველაფერი, მარტო მამულს, ენას და სარწმუნოებას კი არ დავკარგავთ, ქართველი კაცი გადაჯიშდება ქცევითაც და გონებითაც!!!

ჟრიამულა! ახლა მაინც თუ ხვდები, რომ არაა ქართველი ხალხი ასე ადვილად დასაჩოქებელი? კი ბატონო - ხარივით მომთმენია, კეთილშობილია და ბევრს გაპატიებს, ბევრს დაგითმობს, მაგრამ ვერ გატეხავ და ვერ დააჩმორებ!

ნახეთ, რა ხდება ოზურგეთში,ლელო ჩვენია!!!! ღმერთო, დალოცე საქართველო და ქართველები...

facebook

## xalxis azriT

საკაშვილს აუცილებლად დავამარცხებთ, მაგრამ საქართველო გაიმარჯვებს თუ არა, ეს უკვე ახალი ხელისუფლებისა და საზოგადოების შრომისუნარიანობაზე იქნება დამოკიდებული. მიშა უკვე წარსულია, თუმცა აუცილებლად უნდა გასამართლდეს.

გურიამ დღეს ნაცმლოკველები სრულ შოკში ჩააგდო. ნაღდი ნაცები (ვისაც რეალური ინფორმაცია აქვს) უკვე დიდი ხანია შოკში არიან.

ამათმა თუ ასე გააგრძელეს, არჩევნებზე მათ მიერ შეგზავნილი, “დაკარუსელებული” ხალხი და მათივე კოორდინატორებიც კი ბიძინას მისცემენ ხმას... მაგას ვინ ჩივის, მათ მიერ ამ ქვეყნად გამოძახებული მკვდარი სულებიც “გაცოცხლდებიან” და სულ კინწის ტეხვით გარეკავენ იმ ქვეყნად ამ შავ დღეზე გაჩენილებს.... მიაღწევენ კი არჩევნებამდე? განსაკუთრებით მათი ბელადი, რომელსაც შეიძლება მანამდე არარსებულ ტვინში გაყინული სისხლი ჩაექცეს :((

გურულებო! დღეს მთაწმინდიდან გვიყურებენ და გვლოცავენ ჩვენი ერის საამაყო ადამიანები. ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, ნიკო მარი, ანა კალანდაძე, ნოდარ დუმბაძე, ნინო რამიშვილი... მათ თავიანთი ვალი მოხდილი აქვთ ერის წინაშე. ეხლა ჯერი ჩვენზეა.

ღმერთი და დედა ღვთისმშობელი შეგეწიოთ ბატონო ბიძინა ამ რთულ საქმეში... ღმერთო, უმრავლე საქართველოს ასეთი თავდადებული მამულიშვილები. იბერია გაბრწყინდება — თუ ყველას ასე გვეყვარება და ერთმანეთს გვერდში დავუდგებით... ძალა ერთობაშია!!!



# ივლისი

„... რა მკათათვეში
მზე ლომზე შევალს“,
ვჭვრეტ წითელ ვაშლით
მშვენიერ ევას.
გავუწვდი ხელს და
მივწვდები ნაყოფს —
და მიწა, იმ წამს,
დაიწყებს რწევას!

„... რა მკათათვეში
მზე ლომზე შევალს“,
თავგაჩეხილი
კვლავ გზისპირ ვწევარ.
— ეს თქვენ ხართ ისევ?!
კითხულობს ვიღაც,
და მე ვპასუხობ: —
დიახ, ეს მე ვარ!

„... რა მკათათვეში
მზე ლომზე შევალს“.
მოწურავს ბედი
შხამიან მტევანს.
ჩასაფრებული
მოზიდავს ისარს
და დამადევნებს
სისინით მდევარს!
მესმის ჩურჩული
და ჩხრეკა რამლის,
გავყურებ მთვარეს
ბეთანზე მთევარს...
... და შემამცივნებს
ყივილი მამლის
„რა მკათათვეში
მზე ლომზე შევალს“.

ვინ,
უცოდველი,
ქვას ვინ დაწვდება,
ვინ,
ვინ დამიწყებს
ტალახში თრევას?!
რა დასავლეთით
სხივი დაწყდება,
„რა მკათათვეში
მზე ლომზე შევალს“...

მოყვასი მახეს
დაგიგებს ოდეს,
არ ღირს საწუთრო
გუნდრუკის კმევად!
ჩავიკრავ მკერდში
ეკლიან ტოტებს,
„რა მკათათვეში
მზე ლომზე შევალს“...

„... რა მკათათვეში
მზე ლომზე შევალს“.
ჩემს მარტოობას,
ჩემს მორჩილ მხევალს,
ავიყვან ზადენს,
ავანთებ სანთელს,
დავდგები ლოცვად და
ცრემლთა თხევად!
„... რა მკათათვეში
მზე ლომზე შევალს“...

1986 წ.

# arc amerikeli minda da arc rusi, magram maT Soris, ici, ra gansxvavebaa? _ rusi ar maZalebs, coli moiyvane da isic kacio!

**ცნობილ ქართველ პოეტს რეზო ამაშუკელს 76 წელი შეუსრულდა. „საერთო გაზეთი“ ულოცავს მას დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ისეთ საქართველოში, რომელზეც ოცნებობს.**



**— ბატონო რეზო, ოდესმე იფიქრებდით, რომ ხანდაზმულობა ისეთ საქართველოში გექნებოდათ, როგორიცა ახლაა?**

— ვერასოდეს ვიფიქრებდი, მაგრამ, სამწუხაროდ მოვესწარი... დღითიდღე უარესი და უარესი ამბები ხდება. ერთი სიტყვით, რომელ დაბადების დღეს მილოცავ, ჩემო ირინა, როცა საით გავიხედო აღარ ვიცი და იმ ზომამდე ვარ მისული, ლამისაა ეს ღორები ჩემი გეთში, ისიც ძალიან აქტიურად იყო ჩართული ამ ამბებში და ნელ-ნელა ეყრებოდა საფუძველი იმას, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისთვისაც მოევლო იუნესკოს. ბევრს ჰგონია, რომ ბაგრატი, სვეტიცხოველი და სხვა უამრავი ქართული ტაძარი მხოლოდ ჩვენია, მაგრამ ასე არ არის — ეს განძი მსოფლიოსია და ყველას ვალია მათზე ზრუნვა! ახლა, ეს უჯიშოები იცი რატომ ანადგურებენ და აბეტონებენ თუნდაც ბაგრატს? იმიტომ, რომ უნდა მოსპონ კვალი, ყველაფერი ქართულისა, თავიდან ბოლომდე უნდა მოსპონ და ამიტომაც ჩქარობენ ასე!!! იუნესკომ, ბაგრატი იმიტომ შეიყვანა თავის მფარველობაში, რომ მის სიძველეში და მის ფასადურ სიდიადეში დაინახა უნიკალურობა! ახლა? ახლა, აუცილებლად ამოიღებენ იმიტომ, რომ იქ კენჭის დაძვრა არ შეიძლებოდა ადგილიდან, არათუ არმატურით და ცემენტით კედლების ამოყვანა, აღარაფერს ვლაპარაკობ ლიფტზე, რომელიც ვის ტვინში მოიხარშა, კაცმა არ იცის... სად არიან ისინი, ვისაც პირდაპირ ევალება, რომ მსგავს დანაშაულზე ხმა აღიმაღლონ? ძალიან ქართველები რომ არიან და თავი ყველაზე განათლებულები რომ ჰგონიათ, პოლიგლოტობით რომ წაგვიღეს ტვინები და ზევიდან დაგვცქერიან? ბოდიშს მოვიხდი საზოგადოებასთან, მაგრამ შეითხარონ თავიანთი ენების ცოდნა ერთ ადგილას, თუკი ხმას არ ამოიღებენ.

**— ბატონო რეზო, თქვენ ფიქრობთ, რომ ის, რაც დღეს ხდება ჩვენში, ყველაფერი სააკაშვილის ბრალია?**

— როგორ გეკადრება? რასაკვირველია დიდწილად საზოგადოების ბრალიცაა, რადგან ეს უჯიშოები მოიყვანეს ხელისუფლებაში, გაათახსირებინეს ყველაფერი და ბორდელად აქცევინეს ქვეყანა! აბა, დააკვირდი — ტელევიზიები რასაც აჩვენებენ, ბორდელი არ არის? ხალხი რომ ამას მოითმენს, ის ერი არ არის არაფრის ღირსი, არაფრის ღირსი არ არის და ამიტომაც გვიბედავენ ამდენს! ხელი მივაკლა... ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ხმამაღლა ვამბობ — სან-ფრანცისკოელი მილიარდერების, მდიდარი სომხების მოთრეულია ეგ გათახსირებული სააკაშვილი და მათი პროექტია! კარგად მოჩხრიკონ და მოიძიონ, მაგასთან ერთად მთავრობაში კიდევ ვინ არიან, ერთი ჯიშიანი და მერე მელაპარაკონ ვის მიჰყავს დღეს „სტოსი“. დიახ, აი ამათმა გადააგვარეს ყველა და ყველაფერი, ამათ მოსტაცეს საქართველოს ახალგაზრდობა და წაშალეს ყველაფერი ქართული! „პრომეთეს მღვიმეეე“ — ვაი, ამათ პატრონს, ეგ გიჟი კიდე-ამირანია, არა? ეს რა ხდება, ესენი ვინ არიან, ყველაფერი რომ წავაბილწინეთ?

**— ახლა, დიდი ამბებია ბაგრატის ტაძარში ლიფტის დამონტაჟებაზე. როგორც საინფორმაციო საშუალებებით შევიტყვეთ, შესაძლოა ამგვარი მიდგომების გამო, იუნესკომ ბაგრატის ტაძარი თავისი სიიდან ამოიღოს კიდეც და საინტერესოა, თქვენ რა კომენტარი გაქვთ ლიფტიანი ეკლესიების შესახებ?**

— ნუ, რა უნდა გითხრა აბა? ლაპარაკიც აღარ შემიძლია ამათ სიდებილეზე და ამათ თავგასულობაზე. რასაც უნდა იმას აკეთებენ იმიტომ რომ ჩვენ — საზოგადოება არ ვვარგივართ, გამიგე?! ახლა შეიძლება ბევრს არ ახსოვს, მაგრამ საქართველოში იუნესკოს კომისია პირველად მე ჩამოვიყვანე. საფრანგეთის პირველი ელჩი რომ იყო ბერნარ პასიე ჩემი ხელით მყავს ჩაყვანილი ქუთაისში, ბაგრატში და ვანახეთ ყველაფერი. გოჩა ჩოგოვაძე, ჩვენი მაშინდელი ელჩი საფრან-

**— ახლა, რამდენიმე თვეში ერთგვარ გზაჯვარედინზე დგება საქართველო, ანუ მარჯვნივ წავა მოკვდება, მარცხნივ წავა მოკვდება, უკან წავა და იგივე დაემართება, მაგრამ წინ თუ მოისურვებს გზის გაგრძელებას, გზაზე ისევ ის ადამიანები დაემგზავრებიან, ვინც ქვეყანა არაერთხელ მიიყვანეს უფსკრულამდე. გამოსავალს რაში ხედავთ?**

— მე, არაერთხელ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ — ჩემთვის არ არსებობს არანაირი ღირებულებები, არც დასავლური და არც ამერიკული, რადგან კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საუკეთესო, ყველაზე ესთეტიკური, ყველაზე მორალური ღირებულებები ქართველებს აქვთ და ამიტომ ჩემთვის, ქართული ღირებულებებია მთავარი! ვინც ამ ღირებულებებს დაიცავს, ჩემი თავი ენაცვალოს და ვინც არ დაიცავს, საფლავამდე მივყვები!

**აი, ბიძინა ივანიშვილი ამბობს: მე ვიქნები ყველაფერი ქართულის დამცველიო და იმედი მომეცა. ხმამაღლა ვაცხადებ, რომ მე რეზო ამაშუკელს, მაქვს ბიძინას იმედი და ჩემი ღრმა რწმენით, ეს ბოლო იმედია არა მარტო ჩემი, არამედ ძალიან ბევრი ქართველისა! ასე რომ, ერთად დგომაა ახლა მთავარი და იმ შავი ჭირის, ნაციონალური მოძრაობის მოშორებასაც მალე შევძლებთ!**



**— ბატონო რეზო, თქვენ დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ნაც. მოძრაობას და სააკაშვილს 2012 წლის შემოდგომაზე დავამთავრებთ? ვიდრე ინტერვიუს ჩაწერას დავიწყებდით, თქვენ აღნიშნეთ, რომ სააკაშვილი ქართველ ბანკირებს შეხვდა და ხელები უბრახუნა მაგიდაზე: „არ გაბედოთ მოსახლეობისთვის თქვენ ბანკებში ჩადებული სახლების გაყიდვაო“. ანუ, სააკაშვილი იმ ადამიანების ხმებითაც ისპეკულანტებს, რომლებისთვისაც საკუთარი ჭერის დაბრუნებაა უპირველესი და არა რომელი პარტიის ან კოალიციის მხარდაჭერა.**

— რასაკვირველია, ეს გიჟი ყველაფერზე წავა და წასულა უკვე, მაგრამ ხომ ვიცით პრობაციონერების, პატიმრების, ანდა ემიგრანტების ხმებსაც რომ ეპოტინებიან? ესენი 2012 წელში არ დამთავრდებიან, ვიცი ეს, მაგრამ თუ ერმა მთლიანად უთხრა უარი, თუ ერმა ერთად აქცია ზურგი ამ მახინჯებს, მაშინ დამთავრდებიან და ძალიანაც მალე! ისე კი ცალკე — ვერც ერთი პოლიტიკური პარტია და ვერანაირი კოალიცია ვერ შესძლებს მარტო, ამ შავ ჭირთან გამკლავებას! აი, როცა ყველა გაითავისებს, რომ ერთად დგომაა საჭირო და ერთიანი ძალებით აქვს ბრძოლას აზრი, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება, თუ არადა, მარტივი ჭეშმარიტებაა — ყველაფერი ძალიან ცუდად იქნება! იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ბიძინა ივანიშვილს უფრო მეტი ფული აქვს, ვიდრე სააკაშვილს ან მის მახინჯებს? ბიძინა მაგათთან შედარებით ღატაკია იმიტომ, რომ ამათმა მთელი ამ წლების განმავლობაში უცხოეთში გაზიდეს აურაცხელი ფინანსები და ეს ამბავი რომ ნამდვილია, ჩემზე უკეთ იმ ადამიანებმა იციან, ვინც ჩახედულია ამ საქმეებში! ბიძინა, იმით განსხვავდება ამ პოლიტიკოსებისგან, რომ ძალიან გულწრფელი ადამიანია, ძალიან გულწრფელი კაცი და ამას ვერავინ ვერ გადამაჯერებს. ჩემს გარშემო ძალიან ჭრელი სპექტრი იყო, მაგრამ ასეთი გულწრფელი ადამიანი, იშვიათად შემხვედრია, ამიტომ მჯერა და იმედი მაქვს ამ კაცის! ძალიან მომწონს ახალგაზრდა ქართველი კაცი — კახი კალაძეც! მაგან, თავისი მეგობარი ბოლომდე რომ დაიცვა და გასაჭირში არ მიატოვა ის ფეხბურთელი, რა გვარია...

**— გიორგი დემეტრაძე...**

— ჰო, დემეტრაძეს რომ ბოლომდე დაუდგა, მაშინ გამოჩნდა, რა კაციც არის! ფეხბურთელიც მაგარია და მაგარი კაციც ყოფილა, ამიტომ დიდ პატივს ვცემ კალაძეს! ბიძინას გუნდში ბევრი წესიერი ადამიანია და მათ შორის არის უწესიერესი ადამიანი, მათემატიკოსი ვანო კილურაძე, ვისაც უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ, ასი პროცენტით ვეთანხმები გოგი თოფაძეს, ვისაც ბიძინას პირდაპირ უთხრა: „არავითარი „ნატო“, არავითარი „შმატო“ ჩვენ არ გვჭირდება და არც ის გვჭირდება, რომ ჩვენმა სამხედროებმა ხან ერაყში და ხან ავღანეთში, ვიღაცის ინტერესების გამო თავი გასწირონო!“ ყველაზე თავგამოდებული ამერიკანისტი მე ვიყავი ადრე, მაგრამ რასაც დღეს ვუყურებ, აღარ მომწონს და აღარ მინდა ამერიკა! არც რუსი მინდა, მაგრამ მაგათ შორის, იცი, რა განსხვავებაა? რუსი არ მამალებს, ცოლი მოიყვანე და ისიც კაციო!

**ირინე გოგოსაშვილი**

# saCxere: miliarderis samefo

*„ქართული ოცნების“ უპირობო ლიდერზე, ბიძინა ივანიშვილზე ძალიან ბევრი დაიწერა და ითქვა, მას მიეძღვნა უამრავი სიუჟეტი, გადაცემათა ციკლი, პრესკონფერენცია თუ ინტერვიუ, თუმცა თემა სრულიად ჯერ ამოწურულა. რადგან ბატონი ბიძინა არ გახლავთ მხოლოდ და მხოლოდ მდიდარი ადამიანი, ვინც საკუთარი კაპიტალითა და კეთილდღეობით არის დაკავებული. არც ქველმოქმედებაა მისთვის საკუთარი შესაძლებლობების სახალხოდ დემონსტრირება, როგორც თავად თვლის, ესაა კეთილი ნება, ქრისტიანული ვალი ერისა და ქვეყნის წინაშე, სადაც მისი ფესვებია. ალბათ, ადამიანი არ არის საქართველოში დარჩენილი მისი სახელი არ იცოდეს, არ იცოდეს იმ საყოველთაო მოძრაობის შესახებ, რომელმაც მთელი ქვეყანა მოიცვა, არ იცოდეს იმ ჩასახულ იმედზე, რომელსაც „ქართული ოცნება“ ჰქვია და რომლის ასრულებასაც ამ შემოდგომიდან გვპირდება. ზემოთ ვახსენეთ, რომ ბატონ ივანიშვილს უამრავი გადაცემა მიეძღვნა-მეთქი. სწორედ ერთ-ერთ მათგანზე მინდა მოგითხროთ. სიუჟეტი მოამზადა რუსეთის ტელევიზიამ მის მომზადებული იქნა სპეციალური რეპორტაჟი, რომელიც ინტერნეტ სივრცეშია განთავსებული სახელწოდებით „საჩხერე — მილიარდერის სამეფო“.*




გადაცემა იწყება ინტერვიუთი ერთ-ერთ ადგილობრივ მკვიდრთან.

**მოქალაქე:** „აი, რასაც უყურებთ ამ ფერად სახურავებს, ყველა ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა. უსასყიდლოდ გააკეთა. მან მოახსნევინა ძველი სახურავები და ახლით დაახურინა.“

მდუმარების ადგილი. აქ მოიგონებენ წასულებს, მაგრამ შეიკრიბებიან ცოცხალი ადამიანები, რომლებიც სულაც არ არიან წინააღმდეგნი, გაიხსენონ სასაცილო ისტორიები წასულთა ცხოვრებიდან. ჩვენ სიუჟეტს ვითებდით აღდგომის მეორე დღეს და აქ, სოფლის სასაფლაოზე უამრავი ადამიანი იყო შეკრებილი. ყველა ნორმალური ქართველი თავს ვალდებულად გრძნობს, მოინახულოს გარდაცვლილ ნათესავთა საფლავები, შესაბამისად ვიცოდით, რომ აქ ბიძინა ივანიშვილიც მოვიდოდა. არც შევმცდარვართ. ხალხი დიდი სიყვარულით ხვდება ბატონ ბიძინას, ლოცავენ მის გაწეულ მადლს, საქმეს, სიცოცხლეს. აქ მილიარდერი მეტად ხელმისაწვდომია ყველასათვის. ის ცხოვრობს ახლობლებისა და ნათესავების გარემოცვაში. ადამიანთა რაოდენობა, ვისაც, ერთხელ მაინც დახმარებია, აქ მართლაც შთამბეჭდავია.

**მოქალაქე:** „ბიძინა ივანიშვილმა გულის ოპერაცია გამიკეთა, დამიფინანსა. ის რომ არა, უკვე შვიდი წლის მკვდარი ვიქნები. ოპერაცია თბილისში გამიკეთეს.“

**მოქალაქე:** „ჩვენთან საავადმყოფო უფასოა, ოპერაციაც, წამლებიც, ყველაფერი უფასოა. თუკი ისეთი ოპერაცია სჭირდება ავადმყოფს, რომელიც მხოლოდ საზღვარგარეთ კეთდება, ბატონი ბიძინა აფინანსებს ხოლმე“.

ასევე შთამბეჭდავია ის ინვესტიციები, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა ადგილობრივ მედიცინაში ჩადო.

**ჟურნალისტი:** „ეს ექვსსართულიანი შენობა „მედიცინის მუშაკთა სახლია“. ამ ცენტრში კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ოთახებია დაოჯახებული ექიმებისა და მარტოხელა ექიმი-სტუდენტებისათვის, ისინი მთელი სამუშაო კვირა აქ ცხოვრობენ“.




საქართველოში არის ადგილი, მთელი რაიონი, რომელიც არ ჰგავს დანარჩენ საქართველოს. ახლადგარემონტებული სახლები, კარგი გზები, ქუჩაში მომღიმარე ადამიანები. შეიძლება ითქვას, რომ მათ გაუმართლათ - ისინი ცხოვრობენ საქართველოს ყველაზე მდიდარი ადამიანის, ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის სამშობლოში. იმის გამო, რომ მისი პირადი კეთილდღეობა დისონანსში არ მოსულიყო დანარჩენი მოსახლეობის სიღარიბესთან, მილიარდელმა თავის მფარველობის ქვეშ აიყვანა მთელი საჩხერის რაიონი, რომლის მოსახლეობაც 45 ათას ადამიანს უტოლდება.

**საჩხერის მკვიდრი:** „ვიდრე ბიძინა გამოჩნდებოდა, მოსკოვში ვიყავი სამუშაოდ, ცოტა ფულს ვაგზავნიდი ხოლმე სახლში მოხუც მშობლებთან. ერთხელ მამამ მითხრა: აღარ გამოაგზავნო ფული, შვილო. გამიკვირდა, რატომ-მეთქი, მამამ — ივანიშვილი გვეხმარება ყველას, შუქიც უფასოდ გვაქვს და გაზიცო.“

საერთო ჯამში მივიღეთ ერთგვარი წარმატებული „სათავადოს“ თანამედროვე ვარიანტი. რა დამოკიდებულებაც ექნებათ ამ „სამეფოს“ მაცხოვრებლებს ბიძინა ივანიშვილის მიმართ, ახსნას არ საჭიროებს. ჯერ მარტო რად ღირს სცენა ადგილობრივ სასაფლაოზე. ქართველებისათვის სასაფლაო არ გახლავთ იმქვეყნიური მისტიკისა და უსიტყვო




ამ ადგილებში ძნელია იპოვეო თუნდაც ერთი მოუვლელი სახლი. რემონტიც, რა თქმა უნდა, ოლიგარქის ანგარიშზეა.

ზოგჯერ გეჩვენება რომ ივანიშვილი აქ პრეზიდენტია.

აქ, საჩხერეში შეიძლება დაქორწინდე კიდეც ივანიშვილის ხარჯზე.

**ჟურნალისტი:** „ყველა ახალდაქორწინებული წყვილი ოცნებობს ხელი მოაწეროს საჩხერის რიტუალების სახლში. ცოცხალი მუსიკა, 300 კაციანი დარბაზი მეტად მიმზიდველს ხდის ამ ადგილს. მაგრამ არა მარტო ეს. ახალგაზრდა წყვილს, ვინც თავის ქორწინებას ამ სახლში არეგისტრირებს, ბიძინა ივანიშვილისაგან 3000 დოლარი ეძლევა ერთობლივი ცხოვრების დასაწყებად“.

მათ, ვინც ოჯახი შექმნეს მილიარდერის „ფრთის ქვეშ“, საკუთარი თვალით დავრწმუნდით, რომ ნამდვილად გაუმართლათ. ჩვენ სტუმრად ვიმყოფებით ადგილობრივი მაცხოვრებლებთან - მურთაზთან და ეკასთან. მათ ოჯახში საყოფაცხოვრებო მოხმარების ტექნიკა და ავეჯიც კი ივანიშვილის მიერაა ნაყიდი.

**ჟურნალისტი:** „მურთაზისა და ეკას ოჯახი ერთ-ერთია იმ მრავალ ოჯახს შორის, ვინც ასეთი ტიპური სახლი მიიღო საჩუქრად - ერთი სასტუმრო და სამი საძინებელი ოთახით. ამ სახლის მთელი საოჯახო მოწყობილობა - დაწყებული გაზის გამათბობლითა და სარეცხი მანქანით დამთავრებული, ასევე საჩუქარია. ხოლო ტყუპი ბიჭების დაბადებამ მათ განსაკუთრებული სიურპრიზი მოუტანა - ავტომობილი „ნივა“.

მილიარდერი ეკონომიას არ აკეთებს სოციალურ ინფრასტრუქტურაზე. საჩხერეში, ყველავფერი ღირსეულად გამოიყურება. აი, მაგალითად, ადგილობრივი კულტურის სახლი, სტუდქალაქი.

ამ ადგილებში, რა თქმა უნდა, მიღებულია მილიარდერის პატივისცემა. მასზე ერთ ცუდ სიტყვასაც არავინ იტყვის. სწორედ ივანიშვილისადმი პატივისცემას შეეწირა საჩხერის პოლიციის უფროსი — ის სამსახურიდან გაათავისუფლეს.

შეიძლება საჩხერე შვეიცარია არაა, მაგრამ მასა და სხვა ახლომდებარე რაიონებს შორის სხვაობა მართლაც უზარმაზარია. მაგალითად, იქვე მეზობლად მყოფ ქ. ჭიათურასთან.

საჩხერეში მოგზაურობის შემდეგ, დაგვრჩა ერთი კითხვა: თუ ეყოფა მილიარდერ ივანიშვილს ფული შეინახოს მხოლოდ ერთი რაიონი კი არა, მთელი საქართველო?

# `Tavo Cemo, bedi ar giweria~, anu mravalmoqmedebiani drama antraqtis gareSe

**ქართული კლასიკური ოპერის შედევრების: „დაისის“, „აბესალომ და ეთერის“, „ლატავრას“ და სხვათა ავტორის ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრების ისტორიის და მის შთამომავალთა ბედი დღევანდელ პოლიტიკურად მღელვარე პერიოდში ცოტას თუ ვინმეს ახსოვს.**

**ისტორია, რომელიც ქვემოთ არის მოთხრობილი, არც ვინმეს განსჯას ითვალისწინებს, არც ვინმეს გაკიცხვას, არც ნიშნისმოგებას. ეს არის ტრაგიკული ამბავი, რომელიც საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა, პიანისტმა ლალი მიქავა-გორდელმა თავად მიამბო.**

**ლალი მიქავა**: თქვენთან მოვედი დახმარებისთვის, რადგან მე და ჩემი განსვენებული მეუღლე, კომპოზიტორი ოთარ გორდელი ოთხჯერ ვართ გაძარცვული, დევნილი. დღეს ჟურნალი „გზა“ ცდილობს წამართვას ჩემი ინტელექტუალური საკუთრების უფლება, გარდაცვლილ ადამიანს შეუზღუდოს ანდერძის აღსრულების შესაძლებლობა. არავის აქვს უფლება სხვისი ცხოვრების შესახებ საკუთარი თავისთვის ხელსაყრელი ისტორიები შეთხზას. მე წარმავალი თაობის წარმომადგენელი ვარ, ამიტომ ვალდებული ვარ ვთქვა სიმართლე, რომელიც დოკუმენტურად არის გამყარებული, რათა დავიბრუნო უკანონოდ წართმეული ოთარ გორდელის სახელობის მუზეუმ-სალონი „შემოქმედება“ და დავუტოვო ისტორიული სიმართლე შთამომავლობას.

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართო ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს დამეხმარონ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაში...

ჯერ ერთი, არ ვიცი, რატომ, რა მიზეზით, რა მოტივით აღიარებს ჩემი შვილი ვახტანგ გორდელი თავის ძმად მამუკა მეგრელიშვილს მაშინ, როცა მისი ღვიძლი მამა – ოთარ გორდელი იმ ახალგაზრდას შვილად არ აღიარებდა?!

მეორე – თეატრი „ვერნისაჟი“, რომელზეც დღეს დიდი დავა მაქვს, შეიქმნა ჩემთვის, ჩემს სახელზე. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ ზვიად გამსახურდიამ და თენგიზ სიგუამ ხელი მოაწერეს მის დაფუძნებას. ოთარ გორდელმა ეს თეატრი საკუთარ სახლში დაარეგისტრირა, მაგრამ ეს იყო ჩემი თეატრი, როგორც ჩემი ინტელექტუალური საკუთრება. შემდეგ იგი ოთარის სიკვდილის მერე დავარეგისტრირე, როგორც ოთარ გორდელის სახელობის სალონ-მუზეუმი „შემოქმედება“.

დღეს სალონ-მუზეუმი განადგურებულია იმ უნიკალურ არქივთან ერთად, რაც იქ ინახებოდა. სასამართლო სასამართლოზე იმართება, მაგრამ შედეგი არ ჩანს.

ყველაზე გულსატკენი კი ის არის, რომ ეს სალონი არაა მხოლოდ ერთი რიგითი მუზეუმი, არამედ ეს სახლი, ეს სალონ-მუზეუმი არის როგორც რელიქვია ქართული მუსიკალური კულტურისა.

ამ სახლში ჩემს დედამთილს – ნადეჟდა აბაშიძეს ჯერ კიდევ თვითონ ჰქონდა შემოქმედებითი სალონი გახსნილი. ამ სახლში დაიბადა და გარდაიცვალა კომპოზიტორი ოთარ გორდელი და აქ დაწერა ზაქარია ფალიაშვილმა ოპერა „დაისი“.


ლალი მიქავა

1971 წელს ნადეჟდა აბაშიძემ „საქართველოს ქალში“ ფალიაშვილის 100 წლისთავზე გამოაქვეყნა ზაქარია ფალიაშვილის პირადი წერილები, ხელმოწერით – ზახ.პეტ. (ზაქარია პეტრეს ძე), რის შემდეგაც ოჯახში შეიქმნა სასტიკი სკანდალი, ამის გამო ნადეჟდა აბაშიძე ლოგინად ჩავარდა. სკანდალის ავტორი იყო ნადეჟდა ივანოვნას რძალი – დოდო ჭიჭინაძე, იგი საშინელ ისტერიკებს აწყობდა. 1976 წელს, ნადეჟდა აბაშიძის გარდაცვალების შემდეგ, როცა ოთარმა მოითხოვა გადმოეცათ დედისთვის ფალიაშვილის ნაჩუქარი შავი მინანქრის კოლიე, რომელშიც ბრილიანტის თვლებით ყვავილი იყო ჩაწნული და ეს ყვავილი გულსაბნევადაც გამოდგებოდა, სამკაული ოთარს არ მისცეს. სამართალდამცავებმა ამ საქმეზე შეადგინეს აქტი, რის შემდეგაც ძმები: ოთარ გორდელი და ალექსი ბუზოღლი ერთმანეთს აღარასდროს დალაპარაკებიან.

ალექსი ბუზოღლის და დოდო ჭიჭინაძეს ნადეჟდა აბაშიძის ანდერძის საწინააღმდეგოდ მთელი ქონების თავის სახელზე დამტკიცება სურდათ.

* * *

**ლალი მიქავა**: ოთარ გორდელის დედა ქალბატონი ნადეჟდა აბაშიძე გათხოვილი იყო იმ ხანებში ცნობილ მშენებელ-ინჟინერზე, ვისი გვარიც იყო ბუზოღლი. ნადეჟდა აბაშიძეს და თურქეთიდან ჩამოსახლებულ სომეხს – მიხეილ ბუზოღლის ეყოლათ ორი ვაჟი – მიხეილი და ალექსი, ამ უკანასკნელზე შემდეგ ქართული თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი დოდო ჭიჭინაძე დაქორწინდა.

ქალბატონ ნადეჟდას ძალიან უყვარდა მუსიკა და მან გადაწყვიტა სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩაებარებინა ვოკალის განხრით. მაშინ კონსერვატორიას ზაქარია ფალიაშვილი ხელმძღვანელობდა.

ქალბატონ ნადეჟდას სიცოცხლის ბოლომდე ძალიან უყვარდა მუსიკა. იყო თბილისის კონსერვატორიის პროფესორი. ის ძალიან საინტერესო ქალი იყო შინაგანადაც და გარეგნულადაც, ძლიერი ქალი გახლდათ, ძალიან ძლიერი.

კონსერვატორიის სტუდენტის ნადეჟდა ივანოვნას შესრულებას როცა მოუსმინა ზაქარია ფალიაშვილმა, დაინტერესდა მისით და ასე ნელ-ნელა დაახლოვდნენ.

ზაქარია ფალიაშვილი უკვე დაშორებული იყო იულია უტკინას. იულია ზაქარიაზე ბევრად უფროსი იყო, მას ჰყავდა გოგონა წინა ქორწინებიდან. ეს გოგონა მერე ცოლად გაჰყვა ზაქარია ფალიაშვილის ძმას. მათი ქალიშვილი იულია ფალიაშვილი შემდეგ ცნობილი საოპერო მომღერალი გახდა. ზაქარიას და იულიას ჰყავდათ ვაჟი – ირაკლი, ის 9 წლის ასაკში გარდაიცვალა. ეს იყო უდიდესი ტრაგედია ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრებაში. იმ ხანებში მუსიკოსმა საერთოდ მიატოვა შემოქმედება. აღარაფრის გაკეთება აღარ სურდა. მაგრამ, როგორც ამბობენ, მას შემდეგ, რაც ნადეჟდა ივანეს ასული გაიცნო და მათ შორის სიყვარულის ცეცხლმა იფეთქა, ზაქარია ფალიაშვილი მუსიკას კვლავ მიუბრუნდა. იმ ხანებში დაწერა „დაისი“, „ლატავრა“ და სხვა ცნობილი ოპერები.

სიტუაცია არც ისე მარტივი იყო. ბუზოღლი თბილისში ცნობილი კაცი გახლდათ, ინჟინერი, საზოგადოების ღირსეული წევრი, არქიტექტორი, მისი დაპროექტებული და აშენებულია მრავალი შესანიშნავი შენობა თბილისში, მათ შორის ქართული კინოსტუდიის შენობაც... ერთი სიტყვით, მთელმა ქალაქმა უკვე გაიგო ზაქარია ფალიაშვილისა და ნადეჟდა აბაშიძე-ბუზოღლის სიყვარულის ამბავი. ნადეჟდას სურდა გასცილებოდა ქმარს, მაგრამ ბუზოღლი სასტიკი წინააღმდეგი წავიდა. მას ძალიან უყვარდა ნადეჟდა ივანოვნა და მის სახელსაც გაუფრთხილდა. მაშინ სხვა დრო იყო, ოჯახის დანგრევა არ იყო იოლი საქმე. ამიტომ მიხეილ ბუზოღლიმ გადაწყვიტა ისეთი არქიტექტურული შეკვეთები მიეღო, რომლებიც რეგიონებში მუშაობას მოითხოვდა. ის თვეების განმავლობაში სახლში არ მიდიოდა, რათა ხელი არ შეეშალა ძვირფასი მეუღლის სიყვარულისთვის. ზაქარია ფალიაშვილი და ნადეჟდა აბაშიძე ერთად ცხოვრობდნენ ბუზოღლის შესანიშნავ სახლში. იქ დაიწერა ოპერა „დაისიც“...

ამასობაში ნადეჟდას და ზაქარიას გაუჩნდათ ვაჟი – ოთარი. 5 წლის იყო ის, როდესაც მამა – ზაქარია ფალიაშვილი გარდაიცვალა. დიდი კომპოზიტორი ბოლო ხანებში ტუბერკულოზის გამწვავებული ფორმით იტანჯებოდა და სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე სიმსივნეც აღმოაჩნდა თავის ტვინში.

მიხეილ ბუზოღლი სახლში დაბრუნდა.

მან იკისრა ოთარის აღზრდა და ისე შეიყვარა პატარა ბიჭი, როგორც საკუთარი შვილი. ერთხანს ნადეჟდა ფიქრობდა, რომ წასულიყო სახლიდან და თან წაეყვანა პატარა ოთარი, რადგან შვილები, მიხეილ ბუზოღლისგან რომ ჰყავდა, უკვე 20-21 წლისანი იყვნენ, მაგრამ მეუღლემ კატეგორიულად დაუსვა საკითხი: თუ წახვალ, ოთარი მე უნდა დამიტოვოო. ცხადია, ნადეჟდა ივანოვნა ამას ვერ გააკეთებდა. ასე დარჩნენ ქალბატონი ნადეჟდა და პატარა ოთარი მიხეილ ბუზოღლისთან.

* * *

**ლალი მიქავა**: 1976 წელს ნადეჟდა ივანეს ასული აბაშიძე-ბუზოღლი გარდაიცვალა. მან დატოვა ანდერძი ოთხ ცალად დაწერილი. მათგან სამი ეგზემპლარი მე მაქვს. მე ლალი მიქავა-გორდელი, ოთარ გორდელის კანონიერი მეუღლე 1971 წლიდან, დღეს ვიმყოფები უკანონოდ ქუჩაში, არ მაქვს საცხოვრებელი სახლი, არაერთხელ მივმართე სასამართლო ინსტანციებს, მაგრამ უშედეგოდ.

1991 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა თეატრი „ვერნისაჟი“. იგი თვით ჩემი მეუღლის მიერ იყო დარეგისტრირებული საკუთარი სახლის ნაწილში, ჩიტაძის №10-ში. მისი გარდაცვალების შემდეგ მე დავარეგისტრირე სალონ-მუზეუმი „შემოქმედება“, როგორც თეატრ „ვერნისაჟის“ სამართალმემკვიდრე.

2007 წელს ეგიაზარ ბაღდასაროვმა დოკუმენტაციის გაყალბების გზით სალონი-მუზეუმი „შემოქმედება“ უკანონოდ თავის სახელზე გადაიფორმა და მოსპო სახლ-მუზეუმი.

ჩემი საჩივრის შემდეგ დაიწყო გამოძიებები. ბაღდასაროვმა თანამზრახველებთან ერთად იმდენი მოახერხა, რომ დააყადაღეს ჩემი მოძრავი ქონება, უძრავი კი მიითვისეს... ამ საქმესთან დაკავშირებულ დეტალებს ცოტა ქვემოთ მოგიყვებით. ახლა სალონ-მუზეუმზე მსურს მოგითხროთ: „შემოქმედება“ არ იყო დარეგისტრირებული, როგორც ძეგლთა დაცვის ქვეშ მყოფი. ოთარ გორდელის სახელობის სალონ-მუზეუმი იყო თეატრ „ვერნისაჟის“ სამართალმემკვიდრე, რომელიც შეიქმნა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ 1991 წელს დამოუკიდებელი საქართვე-



**ოთარ გორდელის ნაწარმოებების სიცოცხლე გრძელდება საერთაშორისო სარბიელზე. ეს განსაკუთრებით შეეხება მის ცნობილ კონცერტს ფლეიტისთვის. მაგალითად, ამერიკის თითქმის ყველა შტატის უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებელში პროგრამაში შეაქვთ, ყველა კონკურსზე ჟღერს და წელიწადში რამდენჯერმე სრულდება მისი ნაწარმოებები. ჩიკაგოს სახელმწიფო ორკესტრს 30 წლის მანძილზე რეპერტუარში ჰქონდა გორდელის ქმნილებები. ამ ღირსშესანიშნავ ფაქტთაგან აღვნიშნავთ ერთ-ერთს: თავისთავად სენსაციურ მოვლენად ჩაითვალა რამდენიმე წლის წინ ვაშინგტონში გამართული სიეტლისა და გარფილდის ორკესტრების ერთობლივი კონცერტი, სადაც სრულდებოდა ჩაიკოვსკის, რიმსკი-კორსაკოვის, სიბელიუსის ნაწარმოებები. პროგრამა გაიხსნა ოთარ გორდელის კონცერტით ფლეიტისთვის...**

**ჟურნალი „მუსიკა“... 2009 წ.**


ზაქარია ფალიაშვილი

ლოს მთავრობის №342 დადგენილებით და 1997 წ. დარეგისტრირდა საქართველოს სასამართლოში ერთპიროვნულად ჩემი, როგორც რუსეთის მოქალაქის მიერ. ამიტომ ამ მუზეუმის მოსპობა უკანონოა.

2010 წლიდან, მას შემდეგ, რაც გაიხსნა ჩემი გაყიდული და გაძარცვული დაყადაღებული როიალისა და ავეჯის საქმე, ბაღდასაროვმა თანამზრახველებთან ერთად ალექსი ბუზოღლის ხელმძღვანელობით გააგრძელა სალონ-მუზეუმ „შემოქმედების“ გაძარცვა. მიიტაცა კომპოზიტორ ოთარ გორდელის არქივი, მამაჩემის — მწერალ ნიკოლოზ მიქავას არქივი და პირადი ნივთები, ჩემი არქივი.

2011 წლის მარტის ბოლოს ჩემი მაზლის ალექსი ბუზოღლის შვილმა


ირაკლი ფალიაშვილი

ალექსი ბუზოღლიმ სახლის საერთო შესასვლელზე ჩამოჰკიდა რკინის კარი და მიითვისა დავით კაკაბაძის ნახატი — 3 სურათი. ცხადია, გასაღები მან დაიტოვა. მე ვარ ქუჩაში ისე, რომ არ მაქვს საკუთარი ნივთების წამოღების საშუალება. ჩემს ვაჟზე — ვახტანგ გორდელზე მუდმივი ზეწოლა ჰქონდათ და აქვთ, რათა გამოეგდო ქუჩაში საკუთარი დედა და გაენადგურებინათ მამის სახლ-მუზეუმი.

არაერთხელ მქონია უხეში მომართვები სასამართლო ინსტანციებში. მაგალითად, პროკურორი მოსაშვილი, ვინც, სხვათა შორის, ჩემს საქმეში 2005-2006 წლებში სამჯერ ზედიზედ იცავდა ბაღდასაროვს (შეგახსენებთ, რომ ერთსა და იმავე საქმეში ერთი და იგივე პირი არ შეიძლება საქმეს იხილავდეს) მომიხსენიებს, როგორც „გორდელის ყოფილ მეუღლეს“, როცა ჩემს ქმარს ოთარ გორდელი-ფალიაშვილს თავის ანდერძში უწერია: „ვუანდერძებ ჩემს მეუღლეს ლალი ნიკოლოზის ასულ მიქავას, მცხოვრებს ჩიტაძის №10 ანდერძი მან ორჯერ დაწერა — 1990 და 1991 წლებში.

დღეს მე, ლალი მიქავა-გორდელი ამაოდ ვითხოვ ქართული სასამართლოსგან კანონიერების და იმ დადგენილების აღსრულებას, რომელიც სასამართლომ გამოიტანა ჩემს საჩივარზე. თუმცა დიდი ხანია ვცდილობ, მაგრამ დადგენილებას არ მაძლევენ.

ამიტომ მე დღეს ვითხოვ:

შესრულდეს 19. 12. 2001 დაუსწრებელი გადაწყვეტილება დამიბრუნდეს არაკანონიერად დაყადაღებული როიალი „ბეხშტეინი“ და ანტიკვარული ავეჯი.

აღიძრას საქმე ჩემი გაძარცვის შესახებ, ოთარ გორდელი-ფალიაშვილის არქივის, მამაჩემის — ნიკოლოზ მიქავას არქივის და ჩემი — საქართველოს დამსახურებული არტისტის, პიანისტ ლალი მიქავას არქივების დაბრუნებაში.

* * *

**ლალი მიქავა**: როდესაც ნადეჟდა ივანოვნა მიხეილ ბუზოღლის ცოლად გაჰყვა, ქმარმა მას ეს სახლი საჩუქრად მიართვა. ქალბატონი ნადეჟდა წარმოშობით იმერეთიდან, სოფელ გორდიდან იყო. ამ სოფლის სახელი აიღო შემდეგ ფსევდონიმად ოთარმა და ასე იწოდება დღემდე — ოთარ გორდელი-ფალიაშვილი.

ნადეჟდა ივანოვნას ანდერძში, რომელიც 4 ეგზემპლარად დაწერა *(სამი ეგზემპლარი, როგორც ამბობს, ლალი მიქავას ხელთ აქვს. — ი.კ.)* ანდერძში მითითებული აქვს, რომ საცხოვრებელი სახლი სამად არის განაწილებული სამ ვაჟზე. მეორე ანდერძი შედგენილია ნივთებზე, მათ შორის არის ბრილიანტები, ფაბერჟეს სამაჯური, გულსაბნევები. ყველაფერი დარჩა დოდო ჭიჭინაძეს. სამკაულების შესახებ ნადეჟდა ივანოვნას არსად არ ჰქონდა მითითებული, იმიტომ, რომ მიიჩნევდა, ეს ოთარის საკუთრება იყო. მაგრამ ოთარი ამას არასდროს აქცევდა ყურადღებას, მისთვის ასეთი რამეები არ იყო მნიშვნელოვანი.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე დოდო ჭიჭინაძემ დაწერა ერთ ჟურნალში, რომ მას უძვირფასესი ნივთები ჰქონდა, რომელიც იმ ნათესავმა დაუტოვა, ვინც თვალითაც არასდროს უნახავს.

დოდო ჭიჭინაძე მეოთხედ გათხოვდა ოთარ გორდელის ნახევარ ძმაზე — ალექსი ბუზოღლიზე. დოდო ჭიჭინაძეს შვილი არასდროს ჰყოლია.

* * *

„...ერთი რამ მახსენდება: როცა ზაქარია ფალიაშვილის 100 წლის თავზე ოთარს უთხრეს, მამის გვარი ეტარებინა, მან თქვა: მე ავირჩიე ფსევდონიმი და ამ ფსევდონიმით შევქმენი მთელი ჩემი შემოქმედება — კარგია ის თუ ცუდი. ამიტომ მამაჩემის გვარის მიკერება ჩემს შემოქმედებას ვეღარაფერს მიუმატებს, როგორიც არის, ისეთივე დარჩება მუსიკის ისტორიაშიო.

ვინმე მამუკა მეგრელიშვილის გორდელის შვილად აღიარებაზე დღესაცაა ლაპარაკი. მამუკა მეგრელიშვილი მუსიკალურ წრეებში არის ნაკლებად ცნობილი კომპოზიტორი. ერთ სასამართლო პროცესზე დირიჟორმა ვახ-


იულია უტკინა

ტანგ ფალიაშვილმა, ოთარის ბიძაშვილმა კიდევაც გაიხუმრა: თუ ასეა და თქვენს შვილს პროფესიულ საქმიანობაში გვარი დაეხმარება, ბახის ან მოცარტის გვარი მიეცითო. დაიხოცა დარბაზი სიცილით. მეგრელიშვილს ოთარი შვილად არასდროს აღიარებდა. მე და ოთარმა 24 წელიწადი ვიცხოვრეთ ერთად, შესანიშნავად ვიცი მისი ხასიათი, ის ძალიან მგრძნობიარე, კეთილი ადამიანი იყო, ხშირად ამბობდა: მე თვითონ უკანონოდ გაჩენილი ვარ, ჩემი შვილი რომ იყოს ის ახალგაზრდა, მას აუცილებლად ვაღიარებდი, რადგან ვიცი, რას ნიშნავს იყო უმამოდ.


დოდო ჭიჭინაძე

7 წლის მანძილზე არაერთი სასამართლო პროცესი გაიმართა ამ საქმეზე და ყველა ოთარის გამართლებით დამთავრდა. ორჯერ მიიღო ინფარქტი ჩემმა მეუღლემ ამ სასამართლოების მიმდინარეობისას.

დღეს ჩემი ვაჟი ვახტანგი ძმად აღიარებს მამუკა მეგრელიშვილს. რა იცის ვახტანგმა არის თუ არა მამუკა მეგრელიშვილი ოთარის შვილი. ვახტანგი მაშინ დაბადებულიც არ იყო. საიდან იცის, რა მოხდა მის დაბადებამდე? მამუკა მეგრელიშვილი მანამდეა დაბადებული, სანამ მე გავყვებოდი ოთარს ცოლად, ასე რომ, არც მე ვიცი ამის შესახებ არაფერი. ერთი კი ცხადია, ოთარი სასტიკი წინააღმდეგი იყო იმ ახალგაზრდის შვილად აღიარების და რა უფლება აქვს ვახტანგს, ასე რომ ლაპარაკობს?

ოთარ გორდელს პირველ ცოლთან ჰყავს გოგონა — მანანა გორდელი, მეორესთან ვაჟი — ირაკლი გორდელი, ჩემი და ოთარის საერთო შვილია ვახტანგ გორდელი, რომლის ვაჟი იმ დღეს დაიბადა, რომელ დღესაც ოთარს ასაფლავებდნენ, ამიტომ ახალშობილს ოთარი დაარქვეს, ის ახლა ოთარ გორდელი-ფალიაშვილია. მე კიდევ მყავს ვაჟი — არჩილ ქუთათელი, ის მწერალ ალექსანდრე ქუთათელის შვილიშვილია, ჩემი პირველი მეუღლის გივი ქუთათელის და ჩემი შვილი.

(გაგრძელება იქნება)

**ირანდა კალანდაძე**

**„... მომეცით საშუალება, განვახორციელო ის ოცნებანი, რომლებიც არ მტოვებენ ადრეული ბავშვობიდან დღემდე“, — ასე სთხოვდა ახალგაზრდა ფალიაშვილი მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორს, კომპოზიტორ სერგეი ტანეევს სწავლის საფასურისგან გაეთავისუფლებინათ.**

**როცა მოუსმინეს ნიჭიერ ახალგაზრდას, ვეღარ უთხრეს უარი მისთვის გაკვეთილები უსასყიდლოდ ჩაეტარებინათ.**

**მოსკოვიდან დაბრუნებულმა აქტიურად დაიწყო ქართული პროფესიული მუსიკის განვითარებისთვის ზრუნვა...**

**„აბესალომ და ეთერიზე“ დიდხანს მუშაობდა.**



**1919 წლის 21 თებერვალს ეროვნული კლასიკური ოპერის დაბადების დღე „აბესალომ და ეთერით“ აღინიშნა...**

**ქართულმა მუსიკალურმა კულტურამ ამ ოპერით მსოფლიოს თავისი არსებობა ამცნო.**

facebook

# xalxis azriT

ვთვლი რომ სააკაშვილზე და მის გამონათქვამებზე სერიოზული საუბარი უკვე არასერიოზულობაა. სწორედ არასერიოზულობაა იმ ადამიანზე საუბარი, რომელიც აკეთებს იმაზე გაცილებით უარესს, რის წინააღმდეგ ბრძოლითაც მოვიდა ხელისუფლების სათავეში, აკეთებს საპირისპიროს, რაც ხალხს დაპირდა. ჩვენ კი ყველაფერ ამას მონური მორჩილებითა და უთავმოყვარეოდ ვითმენთ.

ე.წ. “ჯარიმები” ბიძინა ივანიშვილმა არ უნდა გადაიხადოს, არც ერთ შემთხვევაში!! მით უმეტეს, რომ გადახდის შემთხვევაში, იგი “აღიარებს” იმ აბსურდულ სამართლებრივ პოლიტიკას, რომელსაც იყენებს მის წინააღმდეგ (მოქალაქეობის ჩამორთმევა და არ მიცემა, კონტროლის პალატის სხვა დანაშაულებრივი ქმედებები, დაწყებული მოგელაძის “უწყების” შექმნის დღიდან!) სააკაშვილის კრიმინალური ხელისუფლება!!! მაგრამ, მაქვს ერთი შენიშვნა — სურვილი... მართებული იქნებოდა, არც ახლაა გვიან(!), რომ, როგორც კი დაიწყო ხელისუფლებამ ივანიშვილის წინააღმდეგ სახელმწიფო უწყებების გამოყენება, მაშინვე უნდა მოეწვია მას (დაბეჯითებით უნდა ერჩიათ მისთვის!), —ცნობილი, ამერიკული და ფრანგული საადვოკატო კომპანიები (პრევენცია!)! მე, ქართველი ადვოკატების პროფესიონალიზმს ეჭვქვეშ არ ვაყენებ, მაგრამ, პირველი — ამერიკელი და ევროპელი ადვოკატების გამოჩენა “სააკაშვილის სასამართლოში” გამოიწვევდა გარკვეულ პანიკას, მათ შორის, ვინც ბრმად ასრულებს უკანონო ბრძანებებს. მეორე — უცხოელი ადვოკატები, უნებლიეთ გახდებოდნენ დასავლეთისთვის ობიექტური ინფორმაციის მიმწოდებლები, იმ სამართლებრივ—პოლიტიკური ძალმომრეობის შესახებ, რასაც მიმართავს მოძალადე სააკაშვილის ხელისუფლება და მესამე — ზემოთ მოტანილი ორი არგუმენტი, მინიმუმამდე შეამცირებდა იმ დევნას და შევიწროებას ავტორიტარული ხელისუფლების მხრიდან, რასაც განიცდიან რეგიონებში “ქართული ოცნების” მხარდამჭერები!!!

ქართული ოცნების” დიდი გამარჯვების სუნი მეცა და რა ვქნა? ნაცმაცუნებო, ვიზიარებ თქვენს დიდ მწუხარებას! თქვენს ქვეყნის და ხალხის მიმართ სიძულვილს დააბრალეთ ყველაფერი!:)))

S0S! SOS! SOS! ვაშინგტონი.თეთრი სახლი. ნაციონალური მოძრაობა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. თბილისისა და იმერეთის მერე,გურია თავისუფალია, აგვისტო-სექტემბერში გვაქვს პანაშვიდები. დაკრძალვა ოქტომბერში. თბილისის, იმერეთის და გურიის თავზე ფრიალებს გამარჯვების ლურჯი დროშა.შეატყობინეთ. ჯორჯს.ქართული ოცნება.

მართალია, ამ ზღაპრების აღარავის სჯერა, მაგრამ ნაცებს ეს არ აინტერესებს: (მათი მთავარი ამოცანა რეჟიმის შენარჩუნებაა და ამ ამოცანის მისაღწევად უკან არაფერზე დაიხევენ! კიდევ უარეს სცენარებს შეთითხნიან, ტერორს გააძლიერებენ, ციხეებს სხვაგვარად მოაზროვნეებით აავსებენ, მოაწყობენ უამრავ პროვოკაციას, სრული დატვირთვითა ამუშავებენ აგენტორულ ქსელს, მათი ბოლო ტრაგიკულია, ხალხის და ოპოზიციის ამოცანა კი გამარჯვებასთან ერთად უნდა იყოს პატრიარქისა და ბატონი ბიძინას დაცვა, რადგანაც გამარჯვებამდე მხოლოდ ეს ორი პიროვნება მიგვიყვანს!

რაც მეტი იქნება ძალადობა - მით მეტ წინააღმდეგობას გაუწევს ხალხი! ფიზიკის კანონია ეს ელემენტარულად და ფიზიკის კათედრების დახურვის ნაცლად, ცოტა რაღაც რომ ესწავლათ, ის ერჩივნათ ამ უბედურებს!



# შეყვარებული ტენორი — ზურაბ სოტკილავა



საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, დიდი თეატრის მუდმივ სოლისტად შერაცხულიი და ქვეყნის ჩემპიონი ფეხბურთში. ცნობილ ტენორ ზურაბ სოტკილავას წელს 75 წელი შეუსრულდა. ახალგაზრდობაში წარმატებული პროფესიონალი სპორტსმენი იყო, მაგრამ ცხოვრების უდიდესი ნაწილი ხელოვნებას მიუძღვნა. დღემდე სცენაზეა — საგასტროლო გრაფიკი წლის ბოლომდე აქვს გათვლილი.

თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო გუნდის ნახევარმცველი ზურაბ სოტკილავა ვერ წარმოიდგენდა, რომ მას ოვაციებს გაუმართავდნენ მსოფლიოს საუკეთესო საოპერო სცენებზე — „ლა-სკალაში“, „კოვენტ-გარდენში“, „გრანდ-ოპერაში“... გუშინდელ დღესავით ახსოვს, როგორ დაუზიანა დედამ ბუცები — მშობლები ცდილობდნენ, ვაჟი ფეხბურთისთვის ჩამოეშორებინათ.

„ფანტასტიკური უნგრული ბუცები მქონდა. ისე ვუვლიდი, რომ კარაქს თვითონ არ ვჭამდი და ბუცებს ვაპრიალებდი. ერთხელაც, შინ დაბრუნებულს, ნაჯახით შუაზე გადაჭრილი დამხვდა. ის ცრემლები დღემდე მახსოვს. შემდეგ სწორედ ასე მაშინ ვიტირე, როცა საბრალო დედაჩემი გარდაიცვალა“, — იხსენებს ზურაბ სოტკილავა.

ტრავმამ მის სპორტულ კარიერას წერტილი დაუსვა. თბილისის კონსერვატორიაში მაშინვე მიიღეს ახალგაზრდა ჭაბუკი, რომელსაც ძლიერი ლამაზი ხმა ჰქონდა, თუმცა ნოტები არ იცოდა. მოგვიანებით, მსოფლიო საოპერო ლეგენდას მოკარნახეთა ორმოდან არიების ტექსტებს კი არ ეჩურჩულებოდნენ, არამედ იმ მნიშვნელოვანი საფეხბურთო მატჩების ანგარიშებს, რომლებსაც სპექტაკლების გამო ვერ ესწრებოდა. იმასაც კი ახერხებდა, რომ მატჩის შედეგები სპორტული კომენტატორის ნიკოლაი ოზეროვისთვისაც კი შეეტყობინებინა, რომელიც მუდამ პირველ რიგში იჯდა.

„სუფლიორი მეუბნება — თბილისმა 3:1 მოიგო. ვფიქრობ, როგორ შევატყობინო ოზეროვს. ავანსცენასთან მივედი და ნიკოლაის ვანიშნებ: „3:1 ჩვენ სასარგებლოდ“. ლენა ობრაზცოვა კი გაოცებული მეკითხება: რა ნიშნებს გადასცემ? მე კი ვპასუხობ: არაფერი, უბრალოდ, გავბრაზდი-მეთქი“.

სცენაზე მისი პარტნიორები იყვნენ მსოფლიო რანგის საოპერო მომღერლები: კაბალიე, დომინგო, ობრაზცოვა და ზურაბ სოტკილავა მათთან ერთად ბრწყინავდა. მაესტრო პავაროტიმ სოტკილავას წყალობით გაიგო, რომ არსებობს ქვეყანა, სადაც უყვართ ღვინო და სუფრული სიმღერები. ფურორი მოახდინა ოპერის სამშობლოში — იტალიაში. საუკეთესო ოტელო — ქართველი ზურაბ სოტკილავაა. ახლა ხუმრობით იხსენებს, როგორ უახლოვდებოდა ერთ-ერთ ყველაზე რთულ როლს.

ჰყავს ორი შვილიშვილი, ორი ქალიშვილი და მეუღლე ელისო. მისი თქმით, მეუღლე და თვითონ შემთხვევით არ დაბადებულან ერთსა და იმავე დღეს — ეს ბედის საჩუქარიაო. ერთი ნახვით შეყვარების ისტორია უკვე 50 წელია გრძელდება. ზურაბ სოტკილავა იხსენებს, როგორ დაინახა კონსერვატორიის კიბეებზე კაფანდარა გოგონა, რომელზეც მაშინვე გაიფიქრა: ის ჩემი ცოლი გახდება. ხუთწლიანი თაყვანისმცემლობის შემდეგ ასეც მოხდა. ელისომ ქმრის გამო მიატოვა საკუთარი მუსიკალური კარიერა — იგი საიდუმლოს გვიმხელს: ქართველ ტენორს იტალიური კერძები ჰყვარებია.

ხუმარა და კარგი მოსაუბრეა. მართალია, 75 წლისაა, მაგრამ ვოკალური მონაცემებს არ უჩივის, საგასტროლო გრაფიკი წინასწარ აქვს გაწერილი, მისი მოწაფეები მსოფლიოს სახელგანთქმულ სცენებზე მღერიან. ხშირად ესიზმრება, როგორ გააქვს გოლი საკუთარ იუბილეზე...

* * *

***გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ზურაბ სოტკილავამ ბრილიანტის იუბილეს მეორე დღეს მისცა.***

— გუშინდელი დღე შოკისმომგვრელი იყო. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ოპერის მომღერალს ასეთ ყურადღებას მიაქცევდნენ! ყველა სატელევიზიო არხმა, განსაკუთრებით კი „პირველმა“, რომელსაც არ უყვარს კლასიკური მუსიკა, ჩემი პერსონისადმი ისეთი ინტერესი გამოიჩინა, რომ შეძრული ვარ. რამდენი რამ მითხრეს სასიამოვნო — მეგონა, იმქვეყნად გამამგზავრეს *(იცინის)*, რადგან ჩვეულებისამებრ, ასე — მხოლოდ და მხოლოდ კარგს, მარტოოდენ გარდაცვლილებზე ლაპარაკობენ. ყველა ქალაქიდან, მთელი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მილოცავდნენ.

**— ეს ხომ კარგია — როცა ოპერის მომღერალს ასეთ ყურადღებას აქცევენ, ესე იგი, ხალხს სჭირდება ეს...**

— როგორც ჩანს, ტყუილად არ მიშრომია 50 წელიწადი.

**— მინდა მადლობა გადაგიხადოთ, რომ ამ გადატვირთულ დღეებში ოპერანეწს-სთან სასაუბროდ მოიცალეთ.**

— სიამოვნებით დავთანხმდი თქვენს შემოთავაზებას. თავის დროზე ამერიკულ ოპერანეწსსთან ვთანამშრომლობდი: მათ ფოტოსესიაზე მიმიწვიეს, ორი დღე მაწვალებდნენ. იმ დროს დაგეგმილი იყო ჩემი გამოსვლები ამერიკაში, „მეტროპოლიტენში“ ჩემი დებიუტი უნდა შემდგარიყო. ლივაინმა *(ჯეიმს ლივაინი — ამერიკელი პიანისტი და დირიჟორი)* ჩიკაგოში მომისმინა, როცა ვერდის რეკვიემს ვასრულებდი — ეს იყო 1979 წლის დიდი ამერიკული ტურნე, რომელიც იუჯინ ორმანდს *(უნგრული წარმოშობის ამერიკელი დირიჟორი)* ეძღვნებოდა. 1980 წლის 21 იანვარს „მეტროპოლიტენში“ უნდა მოესმინათ, ლივაინს სურდა ჩემი მოსინჯვა ნიუ-იორკის სცენაზე, მაგრამ ავღანეთის მოვლენების გამო საბჭოთა ვოკალისტებისთვის ამერიკა 7 წლით ჩაიკეტა.



**— ხომ ვერ გაგვიმხელთ, დიდ თეატრში დაგეგმილ გალა-კონცერტზე რას შეასრულებთ?**

— ვიმღერებ იმას, რასაც აქ თითქმის ვერ მოისმენთ. ეს არის ორი სცენა მასკანის „ფრიცის მეგობრიდან“, მაყვალა ქასრაშვილთან ერთად — ჩემს მრავალწლიან და საყვარელ კოლეგასთან ერთად შევასრულებ ნაწყვეტებს „სოფლის პატიოსნებიდან“, აგრეთვე მსმენელს შევთავაზებ ჩემი საყვარელი ოპერის — „ოტელოს“ მეოთხე აქტს მთლიანად. სწორედ ამ ოპერაში გამოსვლის გამო მომანიჭეს იტალიაში აკადემიკოსის წოდება.

**— თვითონ ფაქტი, რომ თქვენი კონცერტი დიდ თეატრშია დაგეგმილი, იმაზე მეტყველებს, რომ მშობლიურმა თეატრმა დააფასა თავისი მრავალწლიანი პრემიერი — თქვენ აქ კარგად გრძნობთ თავს.**

— უმადურობა იქნებოდა, რამეთი უკმაყოფილო ვიყო. ორი წლის წინ მძიმე ტრავმა გადავიტანე, რის შემდეგაც სპექტაკლებში მონაწილეობა ჩემთვის არცთუ იოლი აღმოჩნდა. ამიტომაც მივიღე გადაწყვეტილება, დამეტოვებინა თეატრის შტატი: ადმინისტრაციას ჩემი გაშვება არ სურდა, კონტრაქტს ახლა, ივნისში გასდის ვადა. ახალი გარემოებების გამო მივიღე ეს გადაწყვეტილება. თეატრმა, ჩემს სამ კოლეგასთან — ნესტერენკო, ობრაზცოვა და ქასრაშვილთან ერთად, დიდი თეატრის მუდმივი სოლისტის წოდება მომანიჭა.

ასე რომ, წყენა არც ერთი მხრიდან არ ყოფილა. ახლანდელი და 60-80-იანი წლების დიდი თეატრის შედარება შეუძლებელია — ეს პროფანაცია იქნებოდა. მე ვაკრიტიკებდი თეატრს, მისი ხელმძღვანელობა ხანდახან პრესაში არცთუ მიუკერძოებელ განცხადებებს ბეჭდავდა. რასაკვირველია, ეს არ იყო მოსაწონი, თუმცა სკანდალებს ტავს ვარიდებდით და ადმინისტრაციასაც არ დავუსჯივარ. ამის გამო მისი მადლიერი ვარ *(იცინის)*.

**— დიდ თეატრში უზარმაზარი შემოქმედებითი გზა განვლეთ, უამრავი პარტია იმღერეთ. დაგრჩათ კი რამე განუხორციელებელი?**

— თითქმის არა — რაც მინდოდა, ყველაფერი ვიმღერე. შესაძლოა, ერთადერთია გერანის პარტია, რომელზეც თავის დროზე თვითონ ვთქვი უარი. ამ პარტიის შესწავლას ცოტა ნაადრევად — 1974-1975 წლებში შევუდექი. ჩემმა პედაგოგმაც, ზურაბ ანჯაფარიძემაც გადამათქმევინეს — ახლა არ ღირს მასთან შეჭიდება, ასეთი რთული პარტია ხმას ამძიმებს და შემ-


იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



დეგ „ბალ-მასკარადის“, „ტრუბადურისა“ და „აიდას“ მღერა გაგიჭირდებაო. ჩაიკოვსკი და საერთოდ, რუსი კომპოზიტორები გარდამავალ რეგისტრში ხმას ძლიერად ტვირთავენ – დიდია ემოცია და დიდია ხმის დაძაბვა. ვერდისთან და იტალიელებთან კი სულ სხვაგვარად არის – მათი გარდამავალი რეგისტრი ისე სათუთია – კანტაბილე, რომ ამის შემდეგ მაღალი ნოტების აღება მხოლოდ სიამოვნებას განიჭებს. ეს მარტოოდენ ტენორებს არ ეხებათ – ქალთა პარტიებშიც იგივეა – მაგალითად, „იოლანტას“, „პიკის ქალის“ შესრულება იოლი არ არის. მას დიდი სიფრთხილე და ვოკალის ძალიან კარგი ტექნიკა სჭირდება.

მაშინ ახალგაზრდა გახლდით, ბუნებრივია, ხმას ვუფრთხილდებოდი და ჩემს უფროს მასწავლებლებს დავუჯერე. ოდნავ მოგვიანებით, ოტელოს პარტიის მომზადებას შევუდექი, სამ წელიწადს ვსწავლობდი. სარეპეტიციო პროცესი კი ექვს თვეს გაგრძელდა: ეს იყო ჩემი შემოქმედების ყველაზე მძიმე და იმავდროულად, ყველაზე სასიამოვნო პერიოდი. უდიდესი სიამოვნებას მანიჭებდა შრომა და რასაკვირველია, ისეთ დიდ ადამიანებთან ურთიერთობა, როგორებიც პოკროვსკი და სვეტლანოვია.

**– ძნელად მიიღეთ დიდ თეატრში გადასვლის გადაწყვეტილება? საქართველოდან ცივ მოსკოვში გამგზავრება ალბათ არ გინდოდათ...**

– კლიმატის კი არა, პასუხისმგებლობის მეშინოდა. „ოქროს ორფეოსისა“ და ჩაიკოვსკის კონკურსების შემდეგ ხშირად მიწვევდნენ დიდ თეატრში, სხვადასხვა საიუბილეო კონცერტებზე, რომლებშიც ატლანტოვი, ნორეიკა და სხვები მონაწილეობდნენ. ამ სცენაზე ჩემი დებიუტი 1973 წელს შედგა. შესანიშნავი პირობები შემიქმნეს: ყოველდღე ვრეპეტიციობდი ორკესტრთან, პირადად პოკროვსკისთან ერთად.

**– სამშობლოში, საქართველოში ხშირად ჩადიხართ?**

– სამწუხაროდ – იშვიათად. მსურს ყოველთვის ახალი პროგრამით ჩავიდე, ვაჩვენო, წინა



შეხვედრის შემდეგ განვლილ პერიოდში რას მივაღწიე. სამშობლოში შარშან ვიმღერე „ნაბუქოში“. ახალ პროგრამას ვამზადებ, რომლითაც მოვივლი ურალს, ციმბირს, ბალტიისპირეთს და იმედი მაქვს, რომ მას საქართველოშიც ჩავიტან.

**– თქვენ მსოფლიოს არაერთი თეატრის სცენაზე გამოსულხართ. რომელი უცხოური გასტროლი იყო ყველაზე დასამახსოვრებელი?**

– სასიამოვნოდ მახსოვს Sony-სთან ურთიერთობა: მე ვიყავი პირველი საბჭოთა მომღერალი, ვისთანაც ამ ფირმამ იმუშავა. რასაკვირველია, დაუვიწყარია იტალიაში გამოსვლა „ოტელოთი“. მათ განსაკუთრებული თავგამოდებით უყვართ ეს პარტია და არაიტალიელ ოტელოს ყოველთვის ეჭვით უყურებენ. ამ პარტიით იტალიაში წარმატების მიღწევა მართლაც დიდი საქმეა. ბოლონის თეატრ „კომუნალეში“, პირველ სცენურ რეპეტიციაზე გუნდი და ორკესტრი ტაშს მიკრავდა, ანუ წარმატებულად არა მხოლოდ მაყურებლებმა, არამედ იტალიელმა მუსიკოსებმა მაღიარეს. ეს იყო დაუვიწყარი ბედნიერების განცდა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი: საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობის რწმენა შემმატა. „კომუნალეს“ დადგმით მთელი იტალია მოვიარე...

**– რაზე ოცნებობთ, რა გეგმები გაქვთ?**

– ჩანაფიქრი ბევრია. 1987 წლიდან მოსკოვის კონსერვატორიაში ახალგაზრდა მომღერლებთან ვმუშაობ. ეს ხომ სასწაულია – ბუნებრივი ალმასისგან მოკაშკაშე ბრილიანტი შექმნა. მართლაც, საიუველირო სამუშაოა საჭირო, რომ ხმის ყველა შესაძლებლობა წარმოაჩინო, თანაც ისე, რომ ბუნებას არაფერი დააძალო... სხვაგვარად ხმა დაიღუპება. მოსწავლეები ჩემი დიდი სიხარულია. კიდევ ერთი სიხარული სამუშაოა. და რასაკვირველია, ჩემი ოჯახი – ელისო, ქალიშვილები, შვილიშვილები. პატარა ქეთისა და ლევანიკოს ჩახუტება – აი, ეს არის ოცნება, ბედნიერება!

**მოამზადა გ. ჭავჭავაძემ.**



# facebook

# xa l xis az r iT

გახსოვთ სპექტაკლი გურიაში? ვითომ აღფრთოვანებული გურულები რომ ეგებებოდნენ მიშას და სინამდვილეში ოზურგეთის თეატრის მსახიობები თამაშობდნენ "კეთილ" მასპინძლებს :)))) დღეს გურულების ნამდვილ და გულწრფელ მასპინძლობას ნახავ მიშა... რაც გინახავს, ვეღარ ნახავ, მიშიკო :

გურიამაც "გიღალატა":)) ესე იგი, მიშას ახალ გაფრენებს უნდა ველოდოთ, ოქტომბრამდე უშოვეთ გიჟის ხალათი, ხალხო...

ნეტა მერამდენე ჰალსტუხი მიირთვა დღეს ბატონმა პრეზიდენტმა.ყოჩაღ გურულებო! ბატონი ბიძინა დღეს შეუდარებელი იყო. ყველაზე კარგი აქცია იყო! წამყვანი თლათ უკეთესი...წარმატებები ბატონ ბიძინას და ქართველ ხალხს.

სადაც სატელიტური თეფში დააყენეს, იქ ერხევა მიშას!

ვარ ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკნარში. გურულ გლეხებს ველაპარაკები. ისეთი განცდა მაქვს, რომ აქ ხელისუფლება უკვე შეიცვალა.

ნაც მოძრაობა აპარატზეა შეერთებული და რეანიმაციას არ ექვემდებარება.ოქტომბერში აპარატსაც გამოვრთავთ.

ამფერები ვართ გურულები, აბა, რავა ეგონა იმ აბდალა მიშაიას?!

ვსო არჩევნები ივანიშვილის მოგებით უნდა დასრულდეს თუ არადა არჩევნები გაყალბებული იქნება :

გუშინ რა იბოდიალა მიშამ საზღვარგარეთ გასულ ჩვენს თანამემამულეებზე? რაცხას აყალიბებს და სპორტულშეჯიბრებებში მიიღებენო მონაწილეობას...რამე საპირისპიროს შექმნა უნდა როგორც მივხვდი და უნდა რომ დაუპირისპიროს ემიგრაციაში მყოფი თავისი მომხრეები, დანარჩენ ქართული ოცნების მომხრეებს...

მიშას და მის მომხრეებს ურჩევნით დანებდნენ და მაქსიმალური კომფორტი მიიღონ, თორემ თეფშების რევოლუციას მიიღებენ:))

ადამიანის ერთ–ერთი მოთხოვნილებაა ინფორმაციის მიღება. ამასთან ალტერნატიული ინფო. როდესაც არ ხდება ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება და ვიღაც მავანი ხელს უშლის ამას მხოლოდ გაღიზიანება ჩნდება. ნუთუ არ ესმით ეს. ესმით რა თქმა უნდა, მაგრამ შიში დიდია. შიში ხშირად ადამიანს უაზრობას აკეთებინებს.

ერთი ქართული მულტფილმის არ იყოს, მეფეს რომ ვირთხები ესიზმრება... მიშა კი ვირთხების ნაცვლად მგონი თეფშებს ნახულობს სიზმრად... თეფშები და თეფშები... ისე კი მფრინავი თეფშით გასეირნება უცხო პლანეტის მიმართულებით მართლაც არ აწყენდა.

გურულებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, ეს რა მაგრები, უშიშრები და თავისუფლების როგორი მოყვარეააააა!!!!!!! უმაგრესები ხართ გურულებოოოოოოოოოოოოოოოოოოო???შეაშველეთ მიშას ჰალსტუხები, ხალხი არა ხართ?

გურიაში ვიგრძენი, რომ მიშა დამთავრებულია, ყველა ვარიანტში დამთავრებულია. მორჩა ეს ხელისუფლება!

დასავლეთ ევროპის ემიგრაციის უმეტესობა დღეს მთელი სულით და გულით ვართ ოზურგეთში!!!! გადაეცით ყველას !!! თქვენს გვერდით ვართ ყველანი !!!!!

ნაც-შპანის ბოზებო, ქლესიებო, მატლებო, ფუნაგორიებო! ქართველი ერის დაუძინებელო გვარგადაკეთებულო მტრებო!— რა მნიშვნელობა აქვს სად, რომელ მოედანზე რამდენი ათასი ადამიანია შეკრებილი! —თქვენ დამთავრებულები ხართ უკვე!!! დამთავრებულებიიი!!!

მიშას მიტინგზე როდის იყო ბოლოს ამდენი ხალხი ყვითელი ავტობუსების გარეშე? ჩემი აზრით, საკმაო რაოდენობაა იმის დასამტკიცებლად, რომ არჩევნებისას დაბრდღვნიან იქაურობას



მოგზაურობა სამშობლოში

*ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ მე და ოპერატორ სოზარ გულბანს მოგზაურობის მარშრუტი შეგვაცვლევინა და ქციის ნაცვლად ენგურის სათავეებისკენ წაგვიყვანა. ამ ამბავმა განსაკუთრებით სოზარი გაახარა, ვისი გვარიც იფარის თემიდან მოდის.*

*სამუშაო გეგმის შეცვლა საზოგადოება „შუმერის" თავმჯდომარის ჯოყოლა ჩეგიანის გაცნობამ განაპირობა, რამაც, თავის მხრივ, აწგარდაცვლილი გურამ ჩეგიანი და მისი სიტყვები გამახსენა – ჩვენი გვარი ძეელთაძველია და იმდენად სახელოვანი წინაპრები გვყავდა, რომ ერთ-ერთი მათგანი ადიშის ეკლესიის ფრესკაზეა გამოსახული.*

*ის ეკლესია და ფრესკა არათუ მე, წარმოიდგინეთ, ჯოყოლა ჩეგიანსაც კი არ ჰქონდა ნანახი და გიორგობის თვეს ერთად გავწიეთ ენგურის სათავეებისკენ.*





# ხატებით გამხელილი საიდუმლო

## ლატალის და იფარის თემები

დროს ვეშურებით და გზაზე პირველად მხოლოდ ლატალის თემის სოფელ **იენაშში** ვჩერდებით ჩემი თხოვნით.

**როგორც ვარაუდობენ, ტოპონიმი „იენაში" იონა წინასწარმეტყველიდან უნდა მომდინარეობდეს, რადგან სოფელში მდგარი ეკლესია სწორედ მისი სახელობისაა. ამ მხრივ იენაშის ეკლესია ერთადერთია საქართველოში.** გარდა ამისა, ეს მოზრდილი დარბაზული ტაძარი სხვა რამითაც იქცევს ყურადღებას. სვანეთის თითქმის ყველა საყდარი ვულკანური ქვის, შირიმის კვადრებითაა ნაგები, რომელიც საკვეთ-საჭრეთელს ძნელად ემორჩილება. ამიტომ, აქაური ეკლესიების ფასადებს, საქართველოს სხვა რეგიონების ტაძრებისგან განსხვავებით, სამკაულები იშვიათად ამშვენებს. მათ მაგივრობას გარე მოხატულობა ასრულებს, რომელთაგან დღესაც ბევრია შემორჩენილი. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ სვანეთში ქანდაკარ-გალატოზებზე მეტად ფერმწერების შრომა ფასდებოდა, რადგან მათ ინტერიერის გარდა, ფასადებიც უნდა აემეტყველებინათ. **სვანეთის შემონახული წარწერებით ცნობილია ოთხი ფერმწერი:** დავით აღმაშენებლის დროინდელი **„მეფის მხატვარი" თევდორე,** დემეტრე პირველის ეპოქის მხატვარი **მიქაელ მაღლაკელი** და მომდევნო ხანების ფერმწერები **გუხაფათი** (წვირმის „წმ. გიორგის" მომხატველი) და **წექე ქირქიშლიანი** (ლაღამის „მაცხოვრის" მომხატველი).

იენაშის ეკლესია იმით არის გამორჩეული მთელ სვანეთში, რომ X და XI საუკუნეების ხუროთმოძღვრებს (მინაშენები XI საუკუნის მიწურულისაა) ტაძრის შიდა სივრცის მხატვრულ ამეტყველებასთან ერთად, ფასადებისთვისაც დიდი ყურადღება მიუქცევიათ, შირიმის ქვას ჯიუტად შესჭიდებიან და თავისი გაუტანიათ. განსაკუთრებული მეცადინეობა შეინიშნება სამხრეთისა და დასავლეთის გარშემოსავლელთა დეკორატიული თაღების გამოყვანისას, რომლებიც ორმაგი ლილვებითაა შესრულებული. მშვენიერია დასავლეთ ფასადზე არსებული წრეში ჩასმული ჯვრები, აქა-იქ გაბნეული კოპები და მთლიანად სამხრეთი კარიბჭე.

როგორც იენაშში აღმოჩენილი მაცხოვრის ხატის ვრცელი ასომთავრული წარწერიდან ირკვევა, აქ ადრეც მდგარა ეკლესია, რომელიც გაურკვეველ მიზეზთა გამო დანგრეულა. ხატი, რომელიც უცნობი ქვრივის დაკვეთითაა შექმნილი, პირვანდელი სახით არ არის მოღწეული, მაგრამ წარწერა, მეცნიერთა ვარაუდით, თავდაპირველი უნდა იყოს და XI ს-ის პირველი მეოთხედით თარიღდება. ექვთიმე თაყაიშვილმა იგი ასე წაიკითხა: **„...ვნახეთ ეკლესიაი დარღვეული, ვპოვეთ სამკაული ეკლესიისა შენისაი მოპარული და დაფლული ... რათა შენივე შენდა შევსწიროთ, შენდა მინდობილთა, გვიხსენ ჩვენ ჯოჯოხეთის და ქვესკნელისა მეოხებითა დედისა შენისა თანა და მიითვალე კნინი ესე მსახურებაი ჩუენი, ვითარცა მ-წულილნი ქ-ურივისანი: ბარძიმი ხუთასის დრამისაი, ტაბაკინი ორნი, საცეცხლურნი ერთნი, ხარანი ერთი... ორთავე შინა ცხოვრებათა. ხატსა ზედა არს ოქროი და ვერცხლი დრამი შვიდასი".** ვინ უნდა ყოფილიყო ეს შეძლებული ქვრივი, რომლის სახელი წარწერაში არ იკითხება და ჰქონდათ თუ არა მას და მის შთამომავლებს რაიმე კავშირი ტაძრის მშენებლობასთან (წარწერისა და არსებული ეკლესიის დათარიღებაში პლუს-მინუს 50 წელი დასაშვები ცდომილებაა)? იოლი შესაძლებელია, რომ ქვრივი რომელიმე იმ დიდი და ცნობილი გვარის წარმომადგენელია, რომელიც სვანეთს განაგებდა...







**სურათებზე: ზევით – იენაშის საყდარი და ოთხთავის ჭედური გარეკნის ფრაგმენტი; ქვევით – ასან გვაზავაისძის შექმნილი წმინდა გიორგის ორი ხატი და ნაკიფარის „წმინდა გიორგის" ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.**

უნდა ითქვას, რომ იენაშში მიკვლეულია XII საუკუნის ოთხთავის მოჭედილი გარეკანის ფრაგმენტიც, რომელიც ასევე დაცულია ჩვენს მუზეუმში.

... ჩვენი შემდგომი გაჩერება, ამჯერად ჯოყოლა ჩეგიანის და სოზარ გულბანის თხოვნით, იფარის თემის სოფელი ნაკიფარია. სოზარი წარმოშობით აქედანაა, ხოლო ჯოყოლას გვარი ნაწილობრივ იმავე თემის პატარა სოფელ ფეხს უკავშირდება. მისი და გურამ ჩეგიანის სახელოვანმა წინაპარმა, ხალდეს აჯანყების ერთ-ერთმა მოთავემ **მომი ჩეგიანმა,** შორეული გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ჯერ მშობლიურ ხალდეში ააგო დარბაზული საყდარი, მერე კი **ფეხში** გადავიდა საცხოვრებლად და იქაც ააშენა ერთი ტაძარი. ეს სოფელი ნაკიფარსა და წვირმს შორისაა და ეკლესია შორიდანაც კარგად მოჩანს. ფეხის ეკლესია ზემო სვანეთში ერთადერთი გუმბათოვანი საყდარია. რაც შეეხება ნაკიფარის წმინდა გიორგის (ჯგრაგ) სახელობის დარბაზულ ეკლესიას, კარგად ცნობილი ხუროთმოძღვრული ძეგლია და დღესაც სვანეთის ერთ-ერთი გამორჩეული მოქმედი საყდარია. ჩვენ იქ დიდი წირვა-ლოცვის დროს მოვხვდით და, ბუნებრივია, მრევლით გადავსებულ დარბაზში ვერანაირად ვერ მოვახერხეთ **თევდორე მხატვრის მიერ 1130 წელს შესრულებული ფრესკების** გადაღება. ნაკიფარის ტაძარი, ისე როგორც სვანეთის ეკლესიათა უმეტესობა, გარედანაც ყოფილა მოხატული, მაგრამ ახლა მხოლოდ დასავლეთ ფასადის ფრონტონში შემორჩენილი წმინდანების პორტრეტები ბჟუტავს.

ტაძარი ერთი საუკუნის დაგვიანებითაა მოხატული, რადგან თავად ნაგებობა XI საუკუნის დასაწყისისაა. მოხატვის პერიოდს, ალბათ, მისი გარშემოსავლელების მიშენება ემთხვევა. ისინი მაინცდამაინც თვალში საცემი არაა. სანაცვლოდ, ფრიად ორიგინალურია ძირითადი დარბაზის აღმოსავლეთი ფასადი, რომელიც სამი მაღალი, ღრმა დეკორატიული თაღითაა დანაწევრებული. სწორედ აქ გვხვდება ლომის, ირმის, ცხვრისა და არჩვის ბარელიეფები.

ნაკიფარის „წმინდა გიორგის" მარტოოდენ თევდორე მხატვრის სახელი როდი უკავშირდება. ტაძრის საგანძურს განეკუთვნება XI საუკუნის დასაწყისში მოღვაწე სახელგანთქმული ოქრომჭედლის **ასან გვაზავაისძის** მიერ შექმნილი წმინდა გიორგის ორი ხატი. ორივე სიუჟეტში მთავარმოწამე არა გველეშაპს, არამედ უშუალოდ დიოკლიტიანე კეისარს კლავს. ეს მოტივი ხშირად არ გვხვდება ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებაში. ჩვენ იგი ნანახი გვაქვს მარტვილის ტაძრის დასავლეთ ფრიზზე, წებელდის კანკელზე, ვალეს „ღვთისმშობლის" კედელზე და ასპინძის რაიონის ახალშენის ტაძრის არქიტრავზე (ოსტატ ღიავარის ნამუშევარი). ასან გვაზავაისძის ორი, „წმინდა გიორგიდან" ერთი შედარებით ადრინდელია, იგი იმით გამოირჩევა, რომ მთავარმოწამეს მარჯვნივ მიჰყავს ცხენი და მცირე წარწერა აქვს: **„მოიჭედა ხელითა ასან გვაზავაისძისათა".** მეორე ხატზე წმინდა გიორგი მარცხნივ, დასავლეთისკენაა მიმართული, ჭედურობაც უკეთააა შემონახული და რაც მთავარია, უნიკალურ წარწერას ინახავს: **„ქ. მოიჭედა ხატი ესე წმიდისა გიორგისა იფარისა ჩემგან მარუშის მიერ სალოცველად და, სახსრად სულისა ჩემის დღესა მას განკითხვისასა ჩემითა ოქროითა და ვეცხლითა ხელითა ასან ოქრომჭედლისათა".** ამ ასან გვაზავაისძის ორი ძმა უნდა იყოს კიდევ ორი ოქრომჭედელი **თევდორე და გიორგი გვაზავაისძენი,** რომელთაც იელისა და ლანჩვალის ხატები აქვთ შექმნილი. **მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ წარწერაში მოხსენიებული ხატის დამკვეთი მარუში ის დიდი ერისთავი ზვიად მარუშიანია, (ან მამამისი), ვინც ბაგრატ III-ის და გიორგი I-ის დროს მოღვაწეობდა და სვანეთსაც განაგებდა. ასეთ შემთხვევაში იბადება შეკითხვა: ზევით ნახსენები იენაშის მაცხოვრის ხატის დამკვეთი ქვრივიც მისი ოჯახის წევრი ხომ არ იყო?**

მკითხველი უთუოდ დაეჭვდება, წერილის დასაწყისში ჩეგიანთა კვალზე შემდგარმა თემას ძალან ხომ არ გადავუხვიე? არა! ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მოვიწევთ დასახული თემის კვანძის გასახსნელად და სვანეთის მიმოხილული ძეგლებით ამ კუთხის X-XII საუკუნის ისტორიას ვაცოცხლებთ, რაშიც მისი გამგებელ-პატრონების თანმიმდევრობაც უნდა დავიცვათ.

ნაკიფარი ენგურის მარცხენა ნაპირზეა, მდინარის გაღმა კი სოფელი **ბოგრეშია,** საიდანაც ადიშისკენ მიმავალი გზა იწყება.

ჩეგიანებს ადიშში დავუახლოვდებით.

**გელა ქოქიაშვილი**

ავტორის ფოტოები

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# saakaSvili yvelafers ikadrebs, oRondac Zalaufleba SeinarCunos

5 თვეა დარჩენილი საქართველოს საპარლამენტო არჩევნებამდე, რომელმაც ქვეყნის განახლებული პარლამენტი უნდა აირჩიოს და როგორც ბევრი იმედოვნებს, ბოლოს და ბოლოს, ბოლო მოუღოს ანომალიურ ვითარებას.

ვითარება მართლაც ანომალიურია, რადგანაც საქართველოს პარლამენტში არ არიან ის პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც 4 წლის წინ არ აღიარეს არჩევნების შედეგები და უარი განაცხადეს, პარლამენტში თავიანთი ადგილები დაეკავებინათ. შეგახსენებთ, რომ ამ არჩევნების შედეგად, გაიმარჯვა სააკაშვილის პარტიამ, რომელმაც პარლამენტის 150-იდან 119 ადგილი დაისაკუთრა.

ოპოზიციონერ კანდიდატთა განცხადებით, ხმის მიცემისას იყო უხეში დარღვევები სააკაშვილის სასარგებლოდ, შესაბამისად, ოპოზიციამ მიიჩნია, რომ გაუმართლებელი იქნებოდა ამ შედეგების კანონიერად აღიარება. ეუთომ მრავალი დარღვევის ფაქტი დააფიქსირა, მაგრამ ეს არჩევნები მანამდე ჩატარებულ არჩევნებს შორის მაინც საუკეთესოდ მიიჩნია.

დასავლეთის სახელმწიფოების ჩარევით, ამ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი დათანხმდა პარლამენტში შესვლას, მაგრამ ამ საპარლამენტო ოპოზიციას არანაირი საშუალება არ გააჩნდა, შეეცვალა ან ზეგავლენა მოეხდინა ძალთა დაბალანსებაზე. 2008 წლიდან მოყოლებული დღემდე, სააკაშვილს მართვისას ან კანონების მიღებისას არანაირი პრობლემა არ შექმნია.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: მრავალრიცხოვან ანალიტიკოსთა შეფასებით, ბოლო 5 წლის განმავლობაში, ქვეყნის მთავრობას, ოპოზიციურ პარტიებსა და საზოგადოებას შორის არანაირი სერიოზული პოლიტიკური დებატები არ გამართულა. „ერთპარტიული" მმართველობის ამ ტიპმა საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტების „ზრდასა და სიმწიფეზე" ნეგატიური გავლენა მოახდინა.



ახლა საქართველოს საშინაო პოლიტიკა უკიდურესად გართულებულია. ქვეყნის პრეზიდენტსა და ოპოზიციური პარტიების ლიდერებს შორის სრული გაუცხოებაა. მმართველი პარტია უხეშად და ხისტად ექცევა ოპოზიციასა და ოპოზიციონერებს, ოპოზიციონერთა დისკრედიტაციისთვის რუსულ საფრთხეს იშველიებს და ადგილობრივ მოსახლეობას ეჭვს უჩენს, რომ ისინი მტერთან (ანუ კრემლთან) „კოლაბორაციონიზმის" პოლიტიკას ეწევიან. ოპოზიციამ თამაშის ტაქტიკა შეცვალა და ერთადერთი კანდიდატის გარშემო გაერთიანდა.

ახალ კანდიდადტს ბიძინა ივანიშვილი ჰქვია. ქართველ-ფრანგი მილიარდერია, საქმიანი ადამიანია, რომელიც რამდენიმე თვის წინ გამოჩნდა სცენაზე, როგორც ღირსეული კანდიდატი. მან განაცხდა, რომ სურს დაკავდეს პოლიტიკით, დაამარცხოს სააკაშვილი და საქართველოში დაამყაროს „რეალური დემოკრატია და არა მისი კარიკატურა". ივანიშვილმა დააარსა თავისი პარტია „ქართული ოცნება" და ახლა უკვე მანიფესტაციებს მართავს ნიადაგის მოსასინჯად და ხალხის რეაქციის გასაგებად. 27 მაისს თბილისში, სააკაშვილის საწინააღმდეგო მარშის დროს მოედანზე ასი ათასზე მეტი ადამიანი გამოიყვანა იმ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობა 4 მილიონია.

მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა ოპოზიციური პარტიების კავშირი ჩამოაყალიბა და ხალხის მხარდაჭერა მოიპოვა, სააკაშვილის პარტიამ პირდაპირი იერიში მიიტანა პირადად ბიძინა ივანიშვილზე.

ეს არის რთული საქმე, რომელსაც თვალს ადევნებენ ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსები და რომლებიც ვერ მოიწონებენ შექმნილ ვითარებას. თავდაპირველად პრობლემები გაჩნდა მის მოქალაქეობასთან დაკავშირებით — სააკაშვილმა მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ მას არასოდეს მიუნიჭებია ივანიშვილისთვის ორმაგი მოქალაქეობა (საფრანგეთში ნატურალიზაციის შემდეგ) და შესაბამისად, იგი საფრანგეთის მოქალაქეა. ამით ცდილობენ, ივანიშვილს უარი უთხრან, რომ მან არჩევნებში თავისი კანდიდატურის წამოყენება ვერ შეძლოს. ასეთი მიზეზებისთვის არგუმენტების მოძებნა მართლაც, ძნელია.

ორმაგი მოქალაქეობა თვითონ სააკაშვილმა შემოიღო, რის გამოც პოლიტიკოსთა კრიტიკა დაიმსახურა. ორმაგი მოქალაქეობა ფაქტობრივად ნებადართულია: კანონი ეხება იმ ქართველებს, რომლებიც საქართველოში დაიბადნენ და რომლებსაც სხვა ქვეყნის მოქალაქეობაც გააჩნიათ. იგი საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ნატურალიზაციის შესახებ კანონისგან განსხვავდება და ფორმალურად პრეზიდენტ სააკაშვილის თანხმობა სჭირდება. ეს შეუსაბამობა პერსონალურია და კორექტულობასა და თანასწორობასთან არაფერი აქვს საერთო. ჩვეულებრივ, ამ თანხმობას რეგულარულად იღებს ყველა, ვინც ამას ითხოვს და აქამდე მსგავსი პრობლემა არასოდეს შექმნილა.

რასაკვირველია, ყველა ოპოზიციონერი პოლიტიკოსი და საზოგადოების დიდი ნაწილი, მრავალი ინტერვიუთი თუ ვიმსჯელებთ, სააკაშვილის უარს პოლიტიკური მოტივაციით ხსნიან. ისინი საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის ჩართვას და ივანიშვილთან დაკავშირებული ვითარების ყურადღებით გაანალიზებას ითხოვენ.

საქართველოში ახლა ძალზე დინამიური სიტუაციაა: ერთი მხრივ, მრავალი პარტია შეთანხმდა და ივანიშვილის გარშემო დაირაზმა, მეორე მხრივ — დასავლეთისგან მხარდაჭერადაკარგული სააკაშვილის პარტია ყველაფერს კადრულობს ქვეყანაში კონტროლის შესანარჩუნებლად.

როგორც ჩანს, საქართველოს საშინაო პოლიტიკაში ცხელი ზაფხული დგება; ამასთან, ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციაზე.

**L'Occidentale**

# sabWoTa kavSiri, rogorc `diasporebis imperia~



**ამერიკელი ანალიტიკოსის, ერიკ სკოტის მოსაზრებით, ქართველმა მეწარმეებმა აყვავებული ეკონომიკა სახელმწიფოს ჩაურევლად შექმნეს.**

**ქართველმა მეწარმეებმა საბჭოთა კავშირში, უძრაობისა და დეფიციტის პირობებში, შექმნეს მეორე — აყვავებული ეკონომიკა, თუმცა ამ საბაზრო სქემაში სახელმწიფო არ მონაწილეობდა. საბჭოთა კავშირში ასეთ საქმიანობას სპეკულაციას უწოდებდნენ და იგი სისხლის სამართლებრივად ისჯებოდა. ვაშინგტონის კენანის ინსტიტუტის მკვლევარი ერიკ სკოტი გვიამბობს იმის შესახებ, თუ რა როლი ეკისრებოდათ ქართველებს საბჭოთა კავშირის ჩრდილოვან ეკონომიკაში.**

ქართველები საბჭოელებს უზრუნველყოფდნენ ყვავილებით, ციტრუსით, ღვინით, თამბაქოთი, ჩაით, მინერალური წყლით... მაგრამ ამ ბიზნესს ცოტა რამ თუ აკავშირებდა სახელმწიფოსთან: მას კრიმინალური სტრუქტურები აკონტროლებდნენ და არეგულირებდნენ. ქართველებს, სხვა საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლებს შორის, განსაკუთრებული ადგილი ეკავათ. სკოტის აზრით, საბჭოთა კავშირი იყო „დიასპორების იმპერია", რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა სოციალისტურ „დერჟავაზე".

საქართველო საბჭოელებს აწვდიდა ჩაის 95, თამბაქოს 97 პროცენტს, რომლითაც საბჭოთა ფაბრიკებში სიგარეტი მზადდებოდა და ციტრუსის 95 პროცენტს. საბჭოელები სადღეგრძელოებს ქართული ღვინით სვამდნენ და ჯანმრთელობას ქართული „ბორჯომით" იუმჯობესებდნენ.

„უძრაობის პერიოდში, როცა კავშირის ოფიციალური ეკონომიკა სრული სტაგნაციის მდგომარეობაში იყო, მეორე — არაფორმალური — ეკონომიკა ყვაოდა ქართველებში, რომლებმაც საბჭოთა ქალაქების ბაზრებისთვის საქონლის მიწოდების თავიანთი გზები გაკვალეს და რომლებიც მცირე ბიზნესის პრინციპით მოქმედებდნენ. ამიტომაც სუკის ყურადღების მიღმა დარჩნენ, რადგანაც ეს სტრუქტურა მსხვილ მაქინაციებზე ცდილობდა კონცენტრირებას", — აღნიშნავს სკოტი.

2000 წლებში მოსკოვსა და თბილისს შორის პოლიტიკური ვითარება გაუარესდა, რის შედეგადაც ქართული პროდუქცია რუსული ბაზრიდან განდევნეს, საქართველოში კი ტრადიციული დარგები — მაგალითად, მეჩაიეობა, ჩაკვდა.

როგორც ირკვევა, ერიკ სკოტის კვლევები საფუძვლად დაედება წიგნს, რომელიც საბჭოთა კავშირში ქართული დისპორის როლს ეხება. წიგნში გამოყენებული იქნება საქართველოს უშიშროების არქივის მონაცემები.

**golos-ameriki.ru**

# amerikas aSfoTebs Zaladoba kavkasiaSi da saqarTvelos `rusuli okupacia~

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ვიზიტზე კვლავ წერენ უცხოურ გამოცემებში. კლინტონი ოქტომბერში დაგეგმილი არჩევნების წინ შემთხვევით რომ არ ჩამოსულა, ეს აშკარაა. თბილისში ყოფნისას მოუწოდა კიდეც საქართველოს ხელისუფლებას, ჩაატაროს სამართლიანი და ღირსეული არჩევნები, აგრეთვე გააფრთხილა იგი, რომ არსებობს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტში საქართველოს ჩათრევის საფრთხეც.**




ვიდრე სახელმწიფო მდივანი საქართველოდან აზერბაიჯანში გაემგზავრებოდა, სწორედ იმ დღეებში საზღვარზე დაიღუპნენ სომეხი და აზერბაიჯანელი სამხედროები, რითაც გაგრძელდა მეზობლებს შორის სისხლიანი დაპირისპირება, რომელმაც 30 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამ ინციდენტს შემდგომ უფრო ინტენსიური სროლა მოჰყვა, რამაც კონფლიქტის ესკალაციისა და მასშტაბური ომის საფრთხე გააჩინა.

მაღალი რანგის პოლიტიკოსთა ვიზიტებისას გამოთქმულ განცხადებებს უმალვე როდი მოჰყვება ზოლმე კრიტიკის ობიექტთა მხრიდან შესაბამისი რეაგირება. ასე რომ იყოს, მაშინ რუსეთმა უნდა შეასრულოს 2008 წლის ვალდებულებები, შეწყვიტოს საქართველოს ოკუპაცია და საქართველოს ტერიტორიის მილიტარიზაცია, თავისი სამხედრო კონტინგენტი კონფლიქტამდელ პოზიციებზე გაიყვანოს და საქართველოს მოწყვეტილი რეგიონებისკენ ჰუმანიტარულ დახმარებას გზა გაუხსნას.

კრიტიკოსები ეჭვობენ, რომ მიხეილ სააკაშვილი, რომლის საპრეზიდენტო ვადა 2013 წელს იწურება, ისევ აპირებს ხელისუფლებაში დარჩენას, ოღონდ ამჯერად — საპარლამენტო უმრავლესობის პრემიერ-მინისტრის რანგში. 2010 წლის კონსტიტუციური ცვლილებებით, პრემიერის უფლებამოსილებანი პრეზიდენტისას აჭარბებს.

დემოკრატიის გზაზე საქართველოს გრძელი გზა აქვს გასავლელი — უფრო რთული და უფრო მნიშვნელოვანი სამუშაო ჯერ კიდევ წინ არის, ქვეყანამ თავი უნდა გაართვას ახალ გამოწვევებს, ასეთია ამერიკელი დიპლომატებისა თუ პოლიტიკოსების პოზიცია. შესამუშავებელია ის უნარ-ჩვევები, რომელთა მეშვეობითაც დემოკრატიული ფასეულობები დროს გაუძლებს.

ამ დემოკრატიული ფასეულობების გამოცდის ნიშანსვეტი გახდება შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამეტო არჩევნები, რომლის საარჩევნო კამპანია ოკეანისგაღმელი მაღალი რანგის პოლიტიკოსთა მოთხოვნით, უნდა იყოს კონკურენტული, ხოლო თვითონ არჩევნები — თავისუფალი და სამართლიანი.

რამდენად მოახერხებს სააკაშვილი დასავლური სტანდარტების მოთხოვნათა დაცვას, ძნელი სათქმელია, რადგან მის „ანგარიშზეა" ქუჩის საპროტესტო აქციების სასტიკი დარბევა, ადამიანის უფლებების დარღვევა, უსამართლო სასამართლო სისტემა და თავისუფალი პრესის შეზღუდვა. სააკაშვილის პოლიტიკურ ლიდერობას პოლიტიკაში გადანაცვლებული მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი დიდ გამოწვევას სთავაზობს.

**imperiya.by**

**ინტერნეტმიმოხილვა**
**მოამზადა გ. ჭავჭავაძემ.**

„ჯავახკის“ რუსეთის დიასპორას რომ წერილების სახით ვიდეო-მიმართვების გავრცელება აქვს ჩვევად, ძველი ამბავია, მაგრამ ახლა ისეთი წერილი გამოაცხო, გვერდს ვერ აუვლის კაცი. წერილის საფუძველი ქალბატონი ჰილარი კლინტონის განაცხადია, რომ აშშ-ის საელჩოები და საკონსულოები უახლოეს პერიოდში მიიღებენ ნეიტრალური სტატუსის მქონე დოკუმენტებს, რომელიც აფხაზებსა და ოსებს აშშ-ში ჩასვლის უფლებას უპრობლემოდ მისცემს. გთავაზობთ ამონარიდს რუსეთის „ჯავახკის“ დიასპორის მიმართვიდან:

„რუსეთის ფედერაციაში მოქმედი კანონის „თანამემამულეთა შესახებ“ ფარგლებში, უმორჩილესი თხოვნით მივმართავთ რუსეთის ხელისუფლებას, განიხილოს და გამონახოს შესაძლებლობა ქვემოხსენებულისათვის:

უფლება მიეცეს რუსეთის საკონსულო განყოფილებას, რომ ქ. გიუმრიში გასცეს სამცხე-ჯავახეთის მხარეში მცხოვრებ სომხებზე შესაბამისი ნიმუშის მოწმობები რუსეთის ტერიტორიაზე დროებითი ყოფნისთვის;

უფლება მიეცეს რუსეთის საკონსულო განყოფილებას ქ. გიუმრიში, რომ ხელი მოჰკიდოს სამცხე-ჯავახეთის მხარეში მცხოვრები სომხების საკითხებსა და მიმართვებს.“

წერილში აღნიშნულია, რომ „იმ მხარეში“ მცხოვრებ სომხებს რუსეთში საშოვარზე გასვლის პრობლემა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებიდან გამომდინარე გასჩენიათ, როდესაც საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა რუსეთთან – საქართველოს ხელისუფლებამ ახალი ხრიკი მოიგონაო, ასე იწყება „ჯავახკის“ მიმართვა.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, ხრიკებს ვინ იგონებს ამჯერად? – მივყვეთ მიმართვას.

რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამ საქართველოს ყველა ის მოქალაქე დააზარალა, ვისაც მატერიალური თვალსაზრისით რაიმე სახის კავშირი ჰქონდა რუსეთში მიმოსვლასთან, ამდენად, რატომ უნდა განიხილებოდეს სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ სომეხთა „პრობლემა“ ცალკე? ან რა შუაშია მეზობელი სახელმწიფოს ქალაქი და იქ განთავსებული მტრად გამოცხადებული ქვეყნის საკონსულო? რა ეკითხება რუსეთის ფედერაციის საკონსულოს საქართველოს რომელიღაც კონკრეტულ რეგიონში მცხოვრებლების პრობლემებთან? თუ „სომხობაზეა“ საუბარი ან სომეხთა კომპაქტურ ჩასახლებაზე, აღმოსავლეთ საქართველოშიც არაერთი ამგვარი დასახლებაა, რომ არაფერი ვთქვათ დედაქალაქზე, მათ რაღა დააშავეს? გარდა ამისა, რა შუაშია 2008 წლის აგვისტოს ომი, როცა სავიზო რეჟიმი მანამდეც იყო?

იტყვი რამეს და ქსენოფობობას დაგწამებენ, არ იტყვი და გასკდა გული! – როდის აქეთაა, რომ სომხეთის (ან რუსეთის) პასპორტიან სომხებს რუსეთში წასვლაზე პრობლემა აქვთ?

# `javaxki~ marcxena xeliT qarTvelebs wers werils, marjvenaTi _ putins...

## „ორ ძმას და მეზობელისა სიკვდილი ელოდებისა!“




ამა წლის 4 მაისს სომხეთში კონცერტი ტარდებოდა და ჯავახელი სომხები კონცერტზე წასულან, ბოროტმა ხმებმა კი მოიგონეს, სომხეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე ხმის მისაცემად იყვნენ წაყვანილებიო.

საინტერესოა, მხოლოდ იმ კონცერტზე რატომ აიტეხენ ხოლმე წასვლას და თანაც, მხოლოდ სამცხე-ჯავახეთელი სომხები, რომელიც თარიღით სომხეთის საპრეზიდენტო არჩევნებს ემთხვევა ხოლმე, გაუგებარია. შარლ აზნავური თუ აფრქვევს ზეციურ ხმას და ქვემოდან შერი შეჰრაკრაკებს, თბილისელ სომხებს აწყენთ მათი მოსმენა თუ როგორაა საქმე?



კიდევ უკეთესი, ჯავახეთიდან ერევნისკენ „კონცერტზე“ მიმავალ ავტობუსებს წარწერა ჰქონდათ – „ჯავახეთი – რესპუბლიკური პარტიის დასაცავად.“ (ისე, რას აძლევენ ამისთანას ამ მხარის სომხები, რომ საქართველოს ხელისუფლებაც და სომხეთისაც მათ დაჰფოფინებს?)

ამ „კონცერტთან“ დაკავშირებით კომენტარი არ დაიზარა მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“ თავმჯდომარე არნო სტეფანიანმა: – „ასეთი ფაქტები მხოლოდ ახლა კი არა, ყველა არჩევნებზე ხდებოდა. დანამდვილებით ვერ გეტყვით, მაგრამ არსებული ინფორმაციით, ხალხი მიკროავტობუსებით წაიყვანეს და ამ პროცესს ნინოწმინდიდან ადგილობრივი მაჟორიტარი ენზელ მკოიანი და ახალქალაქიდან პოლიციის უფროსი სამველ პეტროსიანი ხელმძღვანელობდნენ. საეჭვოა, მათთვის ერთხელ მიცემული სომხური პასპორტები ვინმეს უკანვე ჩამოერთმია. სომხეთისა და საქართველოს მთავრობებს მჭიდრო ურთიერთობები აქვთ და არა მხოლოდ სამთავრობო დონეზე...“

ისე, ცნობისათვის, საქართველოს არაერთ მოქალაქეს აქვს ორი (ან სამი) ქვეყნის პასპორტი. სულ რაღაც 300 დოლარი ჯდებოდა ორი-სამი წლის წინ სომხური პასპორტი, ახლა კი 100-150 დოლარი ჯდება მისი „გაკეთება“ ალავერდში.

ვიდეო-წერილების წერა ვახსენეთ და ბარემ აქვე გავიხსენოთ პუტინისა და ქართველი ერისადმი მიწერილი ვიდეო-წერილებიც.

ერთი წერილი ილია ჭავჭავაძისა და კონსტანტინე გამსახურდიას ფრაზებითაა ციტირებული, 200 წელი შრომით და სისხლით ერთად იყავით რუსები და ქართველები და იმედია, საღი აზრი გაიმარჯვებს, ისევ ერთად იქნებითო; მომდევნო წერილი სასოწარკვეთილის სულისკვეთებითაა მიწერილი პუტინისადმი, გვიშველე რამე, საქართველოს ხელისუფლებას ნატოში უნდა გაწევრიანება და ჩვენ რა გვეშველება, რუსეთის სამხედრო ბაზის ნაცვლად ნატოს თურქი ჯარისკაცები რომ ჩაგვიყენონო?

ვის უნდა „ნატო“, ამას არ აქვს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა, საკითხავი ისაა, ნატოს ჯარისკაცები დადგებიან საქართველოს ტერიტორიაზე თუ მარსიანელები, საქართველოს მოქალაქეთა რაღაც გაერთიანება რა უფლებით უნდა აძლევდეს თავს ნებას, რომ საქართველოს ძირძველი კუთხის ეთნიკური უმცირესობის სახელით სხვა ქვეყნის (ოკუპანტად გამოცხადებული) მთავრობას ეუბნებოდეს, დაგვეხმარეო. ასე ითხოვდნენ „შველას“ სამაჩაბლოდან და მივიღეთ 2008 წლის აგვისტო...

რატომ ჰგონია „ჯავახკს“, ერთი კაცის გადამკიდე რომ ყველა ქართველი „გიჟ-ვრაცუაა“, მით უმეტეს, რომ ის „ერთი კაცი“ გსათავისოდ არც გიჟია და არც ვრაცუა?

ნახეთ ქართველი ხალხისადმი მიმართვა, შეუთავსეთ სომხეთ-საქართველოს საზღვრის გადმოწევა სომხეთის სასარგებლოდ, პრეტენზიები საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც „დიდი სომხეთის“ საუკუნოვან მადაში ზის, ასევე ერევანში გამოსულ რუკაზე სომხურად გასაღებული 350 ქართული ეკლესია-მონასტერი და თუ მართლაც კრებსითი „გიჟ-ვრაცუა“ არ გამხდარა მთელი ქართველი ერი, „ხრიკის“ გასაღები საძებარი არაა...

„ჯავახკის“ რუსეთის დიასპორის მიმართვა ქართველი ერისადმი:

„ეხლა რა შეიპარა ჩვენი ერებნი, ვინ საზიზხარი ჩააგდო ნაპერცხალი მტრობას დატანჯული ჩვენი ერისა.

ქართველნო ძმანო, სომეხი ერი არა ქონია, არა აქს გაზრახვა მტრობისა. იქნება ძმობის შუა, ამ მეზობელისა უსიავნობა წხალმიწაზე, ეს არ ნიშნამს, რომ ერშუა უნდა იყოს მტრობა.

არ უნდა შეიპაროს წმინდა ძმობას წარსულისა ჩვენი ერისა. თუ ამ ჟამათ ჩვენი ერი არ იქნებენ წმინდალი, და შური ვეძებოთ ერთმანეთის – მაშინ ორ ძმას და მეზობელისა სიკვდილი ელოდებისა.

ჩვენ კარგად ვიცით – თუ სომეხი ერი გაიგო ქართველის ხმა მიშველებისა – როგორ წარსული, კიდევ იმან დაუდგება თქვენი ხარისა, ამაზე თქვენ ეჭვი არ გაიპარებისა.

მოსკოვი 26 მაისი 2012 წ“

პათოსი უნაკლოა, მაგრამ მიუხედავად დიდი ლიქნისა, ფაქტად დევს და ამავე დიასპორის პუტინისადმი მიწერილი წერილიდანაც ნათლად ჩანს, რომ სამცხე-ჯავახეთში თურქეთში სომეხთა გენოციდის დროს საქართველოსკენ გამოქცეული და სამადლოდ ჩასახლებული სომხები ფარულად წოდებულ, მაგრამ სინამდვილეში თვალსაჩინო ნაღმადაა ჩადებული საქართველოში!

ახლა, როდესაც სერიოზულად დადგა საკითხი, რომ შესაძლოა ფართომასშტაბიანი ომი დაიწყოს ჩვენს კავკასიურ სამეზობლოში, კითხვა დაისვა, რა პოზიცია უნდა დაიჭიროს ქრისტიანმა საქართველომო?

სხვათა შორის, ქრისტიანი იყო საქართველო მაშინაც, როცა მართლმორწმუნე რუსეთთან ერთად დიდი მონდომებით აფხაზეთს აჭრიდა საქართველოს „ბაგრამიანის“ სახელობის ბატალიონი...

**მაია ჭელიძე**

ЭХЛА РАМ ШЕИПАРА ЧВЕНИ ЭРЕБНИ,
ВИН САЗИЗХАРИ ЧААГДО НАПЕРЦХАЛИ
МТРОБАС ДАТАНДЖУЛИ ЧВЕНИ ЭРИСА.

КАРТВЕЛНО ДЗМАНО, СОМЕХИ ЭРИ
АРА КОНИА, АРА АКС ГАНДЗРАХВА
МТРОБИСА. ИКНЕБА ДЗМОБИС ШУА,
АН МЕЗОБЕЛИСА УСИАВНОБА ЦХАЛ-
МИЦАЗЕ, ЭС АР НИШНАМС, РОМ
ЭР-ШУА УНДА ИКОС МТРОБА.

## ლაშა ჟვანია: საპატრიარქოში მოქმედი ხუროთმოძღვრების კომისიის წევრები სვეტიცხოვლის ტაძრის ირგვლივ არსებული ვითარებით შეშფოთებულები არიან



საქართველოს საპატრიარქოს ფონდის ხელმძღვანელ ლაშა ჟვანიას განცხადებით, საპატრიარქოში მოქმედი ხუროთმოძღვრების კომისიის წევრები სვეტიცხოვლის ტაძრის ირგვლივ არსებული ვითარებით შეშფოთებულები არიან. შესაბამისი განცხადება ჟვანიამ გადაცემა "სუბიექტურ აზრში" სტუმრობისას გააკეთა.

"ცოტა გაუგებარია ის არაადეკვატური დამოკიდებულება კულტურული მემკვიდრეობის და სულიერი ძეგლების მიმართ, რაც ბოლო ხანებში ხორციელდება. მცხეთა მნიშვნელოვანია სვეტიცხოვლით და ეს ვიცით ყველამ. გავიარეთ ტრასაზე და დავინახეთ, რომ სვეტიცხოველი არის როგორც მცხეთაში ჩასმული მარგალიტი. შუშებიანმა შენობებმა, შუშებიანმა ხიდებმა და რაღაც ასეთმა ნაგებობებმა სვეტიცხოველი შეიძლება საერთო სურათიდან ამოაგდონ", – განაცხადა ჟვანიამ.

**„მედიანიუსი“**

# samSoblos Sewiruli kaci...

მას საქართველოს ჭეშმარიტი სიყვარული ბედისწერად ექცა... ვისაც ორგულობას შენიშნავდა, სამშობლოს მოღალატეს – ყოველგვარი უხერხულობის გარეშე პირში მიახლიდა! სძულდა ფლიდები, მედროვეები და უცხო ქვეყნიდან დაფინანსებული, გვარგადაკეთებული თუ ჯიშით ქართველი ოღონდ შენიღბული მავნებლები, რომელნიც საქართველოს დასაქცევად ჩვენში ასე მომრავლდნენ!

უყვარდა ცოტა, მაგრამ ისეთი ადამიანები, ვისაც სიმართლის თქმა არ ეშინოდა და ვინც სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარულით სუნთქავდა!

5 წელი გავიდა... მომენატრა მისი მართალი სიტყვა, რომელსაც სულ სხვანაირი ჟღერადობა და დატვირთვა ჰქონდა...



აკადემიკოს პეტრე მელიქიშვილის გამზირზე აკადემიკოსი გურამ შარაძე დახვრიტეს და ძალიან ნიშანდობლივია, რომ მისი სამაგალითო დასჯის შემდეგ, ასე გალაღდნენ და ასე მოძლიერდნენ ჩვენში ახალ-ახალი დამაქცევრები... განა მარტო გურამი დახვრიტეს? ლოგინში დაუხვრიტეს სიყრმის შვილი, ლაშა შარაძე! მეორე ვაჟს გიორგის, ისეთი გარემო შეუქმნეს, სიცოცხლე შეაძულეს, საკუთარი მამისა და ძმის ტყვიებით დაგლეჯილი სხეულები სახლში მიუსვენეს და მიანიშნეს – შენი ჯერიც ძალიან მალე დადგება და დაიმახსოვრეო... მამის დახვრეტიდან მალე, ძალიან მალე დატოვა ცოდვიანი საქართველოს მიწა, და დღეს, ვერის სასაფლაოზე – მამა, გურამი, შვილები ლაშა და გიორგი შარაძეები ერთად, გვერდიგვერდ განისვენებენ!

ასეთია შემზარავი რეალობა, რომელიც საქართველოზე უზომოდ შეყვარებული შარაძეების ოჯახს რამდენიმე წლის განმავლობაში დაატეხეს თავზე.



ქალიშვილს შვეიცარიის ხელისუფლებამ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა და რუსუდანი დღეს სამშობლოდან შორს, უცხო მიწაზე ცხოვრობს!

ამას წინათ, რამდენიმე ადამიანმა საყვედურით დამირეკა: „ქალბატონო, „ნაც. მოძრაობის“ მიერ მოკლული ადამიანების – გირგვლიანის, ვაზაგაშვილის, რობაქიძის და სხვა მრავალის გვარებს როცა ჩამოწერთ ხოლმე, ბატონი გურამ შარაძე რატომ გავიწყდებათო? ამ შეკითხვების ავტორების და მთელი საქართველოს გასაგონად ვამბობ: გურამ შარაძის დახვრეტა სულ სხვა მიზანს ემსახურებოდა და მე მას იმ ბავშვების დახვრეტასთან ვერ გავაიგივებ! ამიტომაც ძალიან ხშირად მათ ჩამონათვალში გურიკოს გვარს და სახელს შეგნებულად არ ვწერ! თუმცაღა გეთანხმებით, რომ ყველა ერთად სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის მსხვერპლნი არიან!

გურამ შარაძე საქართველოს ეროვნული საგანძურის საქართველოდან გატანას „თავისუფლების ინსტიტუტის“ და სოროსის ფონდის მრავალრიცხოვანი ვირთაგვების წინააღმდეგ ბრძოლაში დაეცა! საქართველოში ეკლესიების ნგრევის წინააღმდეგ და მართლმადიდებლობისთვის ბრძოლაში დაეცა და სწორედ ამიტომ, მისი სამ ადგილას ნატყვიარი, ჭაღარა, სისხლიანი თავი დღისით – მზისით გამვლელ-გამომვლელებს დიდხანს იმიტომ აყურებინეს, რომ (დაახლოებით 4 საათი) დაემახსოვრებინათ – ვინც ამ ყველაფერს შეეწინააღმდეგებოდა, ასეთი სასტიკი განაჩენი ელოდა: მახსოვს, გურამ შარაძე ფერიის მთაზე, მშენებარე ეკლესიის დანგრევამ მწყობრიდან საბოლოოდ გამოიყვანა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ვიზიტის შემდეგ – აჭარიდან თბილისში მთელი საქართველოდან დაძრული მართლმადიდებლების მარშით ამ ხელისუფლების მოუსავლეთში გასტუმრებას გეგმავდა, მაგრამ...

აი, ეს განსხვავებებია, ჩემო მკითხველო, რაც მაბრკოლებს ხოლმე და ნუ დამძრახავთ! თუმცა, ვიმეორებ, – ყველა, ვინც კი ქუჩა-ქუჩა დახვრიტა დანაშაულებრივმა, სისხლიანმა და მოღალატე ხელისუფლებამ, ერთიანად მტკივა და ერთიანად მახსენებს ხოლმე თავს ძალიან ხშირად!

ისე, სამართლიანობა მოითხოვს, სახალხოდ მეც ვკითხო მავანთ – „ძვირფასო პოლიტიკოსებო!“ როდესაც დღეში რამდენჯერმე ამ რეჟიმის მიერ დახვრეტილ ახალგაზრდებს გულისტკივილით ახსენებთ ხოლმე, რა დაგიშავათ გურამ შარაძემ, მისი სახელის და გვარის წარმოთქმა, ასე რომ გეშინიათ? იქნებ თქვენზე ან ბევრზე ნაკლები პატრიოტი იყო? ანდა იმ აუდიტორიას მივმართავ, ვინც ამ პოლიტიკოსებს უსმენთ – რატომ არ სთხოვთ თქვენს ლიდერებს დახვრეტილი აკადემიკოსის გვარი, თუნდაც ერთხელ მაინც ახსენონ? აქსიომაა – ეს ხელისუფლება ებრძვის და კლავს იმას, ვისიც ეშინია, კლავს მუხანათურად, მიპარვით, ჩასაფრებით და ასე მოკლა ჩემი მეგობარი გურიკო შარაძე. ასე უსაფრდებოდნენ და შუბლს უხვრეტდნენ ყველას, ვისაც კი სამშობლო თავზე მეტად უყვარდა. ეს კი, ჩემი აზრით, ის შემთხვევაა, რასაც ვაჟა-ფშაველა ასე ზუსტად განმარტავდა:

„ათას ცოცხალსა ბევრჯერა,
ასჯერ სჯობს ერთი მკვდარია“.

**ირინე გოგოსაშვილი**

# rezo CxeiZe — didi xelovani da didi patrioti



ჩვენი ისტორიული არსებობის ბოლო მანძილზე რა თავყრილობები და მსვლელობები არ გვინახავს, მაგრამ ასეთი რამ, რაც ახლა ხდება ქვეყანაში, არასდროს ყოფილა. „ქართული ოცნების“ ლიდერს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს თავისი ხალხი ისე ენდობა, რომ თბილისში, ქუთაისში, ოზურგეთში და ზუგდიდში კი არა ქვეყნის დასალიერზე გაჰყვება, ასეთი ნდობა არავის მიმართ არ მიგრძვნია. ამ ერთმა კაცმა ხალხი ისე გამოაფხიზლა, როგორც პეტრე მოციქული მამლის ყივილმა.

ჩვენ ვუყურებთ მოვლენებს, რომელმაც მკვეთრად გამიჯნა უწინდელი ცხოვრება ამ ცხოვრებისგან და სააკაშვილის ხანამ, მგონი, ჭირი წაიღო, ჯანდაბა მის თავს! თავისვე უჭკუობით თავისავე ხალხს იმგვარი საქმე დამართა, რომელიც მომავალ თაობებზეც კი უმძიმეს კვალს დატოვებს. იგი 2012 წლის 10 ივნისს ქუთაისში „ქართული ოცნების“ მიერ დაგეგმილ გრანდიოზულ მანიფესტაციას ალბათ, ისე ადევნებდა თვალს, როგორც ვუინპლენი ადევნებდა თვალს თავისი „ფიცარნაგიდან“ – ბრბოს. სააკაშვილი იმ დღეს აღმაშენებლის პროსპექტზე, განსაკუთრებული საზეიმო ჩაცმულობით უჩვეულოდ დაიარებოდა და რატომღაც ეთერში მის დანახვაზე „ნიჭიერის“ შოუში თეთრ-შარვალ-კოსტუმში გამოწყობილი ერთი ბედის მაძიებელი, ოღონდ კეთილი კაცი, გამახსენდა. ის მართლაც კეთილი და ალალი ადამიანი, რომელიც ცხოვრებისაგან მხოლოდ საკუთარ ჭერს ითხოვს, სხვას არაფერს. მისნაირი უსახლკარო რამდენია ჩვენს ქვეყანაში, მართლაც ვინ უწყის. პრეზიდენტის მადა კი უსაზღვროა. ჰოდა, ამ მადის შესაჩერებლად გამოდის, დღეს ათეულათასობით ადამიანი ქუჩებში. ასე იყო ამჯერადაც, ქვეყნის მეორე ქალაქში, ქუთაისში. მტრისას, ეს რეჟიმი რომ არ დასრულდეს. ჩვენ თითეულ იქ მისულ ქართველს მარადიულ დამოკლეს მახვილად დაგვეკიდება თავზე. რადგან ნაციონალები ყოველ კუთხეში, ყოველ კარს უკან არიან, გვისმენენ, გვაყურადებენ და ყველა ადგილს ზვერავენ.

მაინც რამდენს უძლებს თურმე ადამიანი! როგორი საქმეა, ამდენი რამე გადავიტანოთ და აქედან საით წავალთ, ჯერ მაინც არ ვიცით. მართალია, აღარ არსებობს არანაირი შიში სააკაშვილის რეჟიმის მიმართ, მაგრამ გვახსოვდეს, რომ სააკაშვილს და მის მსგავსთ არ სძინავთ. არც დაიძინებენ. ჩვენს დაძინებას კი ყველა ბინძური გზებითა და ხერხებით შეეცდებიან...

ცხოვრება ადამიანისა ორ უდიდეს მეუფეს ექვემდებარება – იმედს, და შიშს, – ამბობს ბერძენი სატირიკოსი ლუკიანე.

იმედს ჩვენი ერის ხასიათი მილვიძებს. იმედს ქუთაისში იმ ზღვა ხალხში იქ მისული ჭაღარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა ადამიანების გაბრწყინებულ სახეებზე აღბეჭდილი სიხარული მაძლევს, იმედს თავის მშობლიურ ქალაქში ჩასული 86 წლის დიდი ქართველი რეჟისორი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე, ბატონი რეზო ჩხეიძე მაძლევს, რომელსაც უკან თავისი თანაქალაქელების მთელი არმია სიყვარულით მიყვებოდა და ეფერებოდა. თვალწინ მიდგას ერთი რამ, რაც უეჭველია სხვებს შეუმჩნეველი დარჩათ, ეს იყო დიდი რეჟისორის, ამ ჭარმაგი კაცის ამაყი სახე მანიფესტაციაზე, ამ სახემ რაღაც წარუშლელი შთაბეჭდილებები და თანაც უკმარისობის გრძნობა დამიტოვა. ჩვენ, ქართველებს, ხშირად მიხვედრილობა გვაკლია და ვერავინ ვერ მოიფიქრა იმ დღეს, რომ ბატონ რეზო ჩხეიძეს ორი სიტყვა ეთქვა იმ ზღვა ხალხისთვის მაღალი ტრიბუნიდან და კორდონი გაეთავისუფლებინათ მისთვის, დარწმუნებული ვარ, ამის სურვილი მას უთუოდ ექნებოდა, მაგრამ დიდი ადამიანები ყოველთვის მორიდებული და თავდახრილები არიან, მის სიტყვას ბატონ ბიძინა ივანიშვილთან ერთად გაცილებით მეტი ფასი ექნებოდა, ვიდრე იქ მოსული ნებისმიერი „მძიმეწონიანი“ პოლიტიკოსის სიტყვას. პოლიტიკოსების შეხედულებები ამ ქვეყანაში იცვლება, მაგრამ ხალხის ინტერესები და მაღალი ფასეულობანი მუდმივია.

იმ დღეს, ბატონმა რეზო ჩხეიძემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის არა მარტო დიდი ხელოვანი, არამედ დიდი პატრიოტიცაა...

**ნანა სულავა**



# თუ ჰორმონული პრეპარატებით მკურნალობთ

ჰორმონული პრეპარატების შექმნისთანავე პაციენტებში დიდი შიში გაჩნდა იმ ნეგატიურ შედეგებთან დაკავშირებით, რომლებიც ჰორმონთერაპიის შემდეგ ორგანიზმში იჩენდა თავს. სწორედ ამიტომ ჰორმონების ანალოგთა გამოყენება მედიცინის იმ საკითხად იქცა, რომლის მიმართაც საზოგადოებაში რეკორდული რაოდენობის მცდარი შეხედულება დამკვიდრდა.

### ნუ შეგაშინებთ ჰორმონთერაპია!

* ჰორმონული პრეპარატები ინიშნება როგორც მსუბუქი და საშუალო, ისე მძიმე დაავადებების სამკურნალოდ.

* მათი მიღებისას აუცილებელია დროის რეჟიმის დაცვა. უმჯობესია, ისინი დღის ერთსა და იმავე მონაკვეთში მიიღოთ.

* როდესაც ადამიანი ჰორმონულ მედიკამენტს რეგულარულად სვამს, დოზის თუნდაც ერთხელ გამოტოვებამ შესაძლოა, საჭირო ჰორმონის დონე სისხლში მკვეთრად დააქვეითოს.

* როდესაც ჰორმონი ორგანიზმში ხვდება, ის მალევე იშლება ქიმიურ შენაერთებად, რომლებიც შემდეგ ორგანიზმიდან იდევნება. მაგალითად, ჩასახვის საწინაალმდეგო აბი იშლება და ორგანიზმს ტოვებს 24 საათში, დაახლოებით ამ დროშივე იშლება სხვა ჰორმონებიც, თუმცა მექანიზმი, რომელიც მან აამუშავა, მოკლე დროის მანძილზე სხეულის სხვა სტრუქტურების დახმარებით კვლავ მოქმედებს. ამრიგად, მოსალოდნელი საფრთხე, რომელიც ჰორმონული პრეპარატების ორგანიზმში დაგროვებასა და აკუმულაციას უკავშირდება, სიმართლეს არ შეესაბამება.

* ჰორმონებს ხშირად ადანაშაულებენ მრავლობითი გვერდითი ეფექტების გამო. პრაქტიკულად არ არსებობს სამკურნალო წამლები გვერდითი მოვლენების გარეშე.

* ჰორმონულ პრეპარატთა უმრავლესობა დასაწყისში იწვევს თავის ტკივილს, თავბრუსხვევას, აგზნებადობას, ან პირიქით — ძილიანობას, მადის მომატებასა და უმადობას, ქავილს, კანზე სხვადასხვაგვარ გამონაყარს, შეშუპებას, წონაში მატებას 1-2 კგ-ით, რაც რამდენიმე დღის შემდეგ გაივლის, ხოლო თუ აღნიშნული სიმპტომები 1-2 კვირის განმავლობაში არ გაქრა, მიმართეთ ექიმს, რათა ჰორმონის ხანგრძლივი სმისგან ორგანიზმისთვის მიყენებული სერიოზული ზარალის თავიდან ასაცილებლად ჩაიტაროთ ანალიზები და შეწყვიტოთ პრეპარატის სმა ან გაგრძელოთ იგი ექიმის მეთვალყურეობით.

* სასტიკად აკრძალულია ჰორმონებით ყოველგვარი თვითმკურნალობა. მათი მიღება დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ ექიმის დანიშნულების შემდეგ, რომელიც თავად შეარჩევს თქვენი გამოკვლევისა და ორგანიზმისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით (რომელიც შესაძლოა რადიკალურად განსხვავდებოდეს თქვენი ნათესავის ან მეგობრის ანალოგიური მაჩვენებლებისგან) ყველაზე საჭირო და ოპტიმალურ პრეპარატს.

* ჰორმონული პრეპარატების მიღება შეუძლიათ ნებისმიერი ასაკის ადამიანებს, მოზარდებს, გოგონებსა და ვაჟებს, არანამშობიარებ და ნამშობიარებ ქალებს.

*ბევრი ხანშიშესული ადამიანი 65 წლის ზევით, ფიქრობს რომ ასაკში ჰორმონული პრეპარატი აღარ არის საჭირო, არადა, ბევრი ჰორმონის დეფიციტისთვის დამახასიათებელი კუნთური მასის დაკარგვა, მეხსიერებისა და შრომის უნარის დაქვეითება, სისუსტე, სერიოზულ პრობლემების სათავე ხდება, ასე რომ, ზოგჯერ ჰორმონული პრეპარატები ხანშიშესულებს ახალგაზრდებზე მეტად სჭირდებათ.

* მეძუძურ დედებს ნამდვილად ეკრძალებათ ზოგიერთი პრეპარატი, ისეთ,ი რომელიც ლაქტაციაზე ნეგატიურად მოქმედებს. რაც შეეხება მათთვის ჩასახვის საწინაალმდეგო აბების მიღებას, დაშვებულია მხოლოდ ერთი ჰორმონის შემცველი მინი-აბები, რომელთა მიღებაც მკაცრად განსაზღვრულ დროში — 24 საათში ერთხელ, უწყვეტ რეჟიმში უნდა მოხდეს, რადგან მიღების რეჟიმიდან მინიმალური გადახრის შემთხვევაშიც კი, პრეპარატის ჩასახვისსაწინაალმდეგო ეფექტი სრულად ითრგუნება.

* მოსალოდნელი გვერდითი ეფექტებისა და გართულებების თავიდან ასაცილებლად, ბევრი მიიჩნევს, რომ აუცილებელია წამლის მიღებას შორის გარკვეული დრო — 6 თვე, წელიწადი შეისვენოს.

* ჰორმონული პრეპარატები იმდენი ხნით უნდა მიიღოთ, რამდენიც თქვენს ჯანმრთელობას სჭირდება.



### ჰორმონული პრეპარატები და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები

ჰორმონული პრეპარატები თავისთავად არ იწვევს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს, თუმცა, უკვე ჩამოყალიბებული პათოლოგიებისას შესაძლოა მათუგამწვავებას ან გართულებას შეუწყოს ხელი.

თანამედროვე ჰორმონული წამლები თრომბის წარმოქმნას არათუ ხელს უწყობს, ზოგიერთი მათგანი მათ წარმოქმნას წინ ეღობება კიდეც.

ჰორმონული თერაპიის დაწყებამდე უნდა გვახსოვდეს:

— იმ პირებში, რომელთაც უკვე ჩამოყალიბებული აქვთ გულ-სისხლძარღვოვანი დაავადებები, მათი გართულების რისკს საგრძნობლად ზრდის თამბაქოს მოწევა.

— თუ ადამიანს უკვე აწუხებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები ან მათი განვითარების რისკი არსებობს, ასეთ პაციენტებს ვურჩევთ, არ მიიღონ ის პრეპარატები, რომლებშიც შედის ცხენის ესტროგენი და სინთეზური პროჟესტერონი.

— თუ იღებთ რაიმე ჰორმონულ პრეპარატს, განსაკუთრებით სტეროიდული ბუნებისას და ამასთან წონაში მოიმატეთ, დაგჩემდათ მაღალი არტერიული წნევა და სისხლში ტრიგლიცერიდების დონის მატება, გლუკოზის აუტანლობა ან დიაბეტი, ინსულინის აუტანლობა, სისხლში ქოლესტერინის მაღალი დონე, აცნობეთ ექიმს, რათა მან პრეპარატი ისეთით შეგიცვალოთ, რომელიც დაავადებასაც განკურნავს და არც მეტაბოლიზმზე იმოქმედებს ნეგატიურად.

# ქვედა კიდურების „ათლეტის ტერფი"

ქუსლების დასკდომა და მასზე ნახეთქების გაჩენა — ერთ-ერთია ქვედა კიდურებთან დაკავშირებულ იმ მრავლობით პრობლემათა შორის, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში სერიოზულ უსიამოვნებათა მიზეზი ხდება.



ქუსლებზე ნახეთქების წარმოქმნისთანავე სიარულისას ძლიერი ტკივილი ჩნდება. ადამიანი განიცდის დისკომფორტს, ქუსლებში წვას, თითქოს გახურებულ ქვიშაზე ედგას ფეხი, შემდეგ — მჭრელ და მჩხვლეტავ ტკივილს, პარალელურად — კანი უხეშდება, სქელდება, საგულდაგულო დათვალიერებისას კარგად ჩანს დასაწყისში წვრილი, მოკლე ბზარები, რომლებიც შემდეგ გრძელდება და ღრმა ნახეთქებად იქცევა.

როგორ ვუშველოთ ამ პრობლემასს? ვიდრე ამ შეკითხვას ვუპასუხებთ, სასურველია, იმ მიზეზებში გავრკვეთ, რომლებიც ქუსლების დახეთქვას განაპირობებს.

ქუსლების დახეთვის გამომწვევი მიზეზები ორ ჯგუფად იყოფა: მექანიკური და ბიოქიმიური ფაქტორები.

**მექანიკურ მიზეზებს** შორის აღსანიშნავია კანის საფარვლის მექანიკურად დამაზიანებელი ფაქტორები:

— ტრავმები, მოუხერხებელი, მჭიდრო ფეხსაცმელი და სინთეზური ქსოვილის წინდების ხმარება.

— ღრმა ნახეთქების შესაძლო გამომწვევია ტერფის დეფორმაცია, ბრტყელტერფიანობა.

— მიზეზებს შორის აღსანიშნავია კანის მეტისმეტი სიმშრალე, როდესაც გარემო ფაქტორთა გავლენით კანის ზედა შრის მთლიანობა ირღვევა და მიკროორგანიზმებისთვის კანის ღრმა შრეებში შესაღწევი კარი იღება;

**ბიოქიმიური მიზეზებია:**

— ცილოვანი დააამინომჟავური ცვლის დარღვევა, ზოგიერთი ფერმენტის აქტივობის დაქვეითება, ორგანიზმში A და E ვიტამინების უკმარისობა.

— ენდოკრინოპათიები: ფარისებრი ჯირკვლის დაავადებანი, შაქრიანი დიაბეტი და სხვა ჰორმონალური დარღვევები.

ნახეთქები შესაძლოა ისეთი დაავადებების გამოვლენაც იყოს, როგორიცაა სოკოვანი ინფექცია, ფსორიაზი, ეგზემა, ნეიროდერმიტი და მთელი რიგი დერმატოლოგიური დაავადებანი.

**როგორ მოვიქცეთ?**

ქუსლებზე ნახეთქები საკმაოდ ძნელად ემორჩილება მკურნალობას, უთუმცა რეგულარული პროცედურებითა და კანის დამარბილებელი საშუალებებით მათ სამუდამოდ დააღწევთ თავს.

— ძირითადი სამკურნალო საშუალებანი ვაზელინზე მზადდება, დაშვებულია სუფთაავაზელინის მასაჟებიც.

ღრმა ნახეთქებისას რეკომენდებულია ანტიბიოტიკების შემცველი მალამოები. პლასტირების დაფენა აუცილებელი არ არის. დადებითი ეფექტი ახლავს სტეროიდული მალამოების გამოყენებასაც, ისინი ბარიერს ქმნის და წინ ეღობება კანში მიკროორგანიზმების შეღწევას, მაგრამ მათი ხმარება მხოლოდ ექიმის დანიშნულებითაა დაშვებული.

— ზოგჯერ ნახეთქები თითებს შუა არეებშიც ჩნდება, ამ დროს მოსალოდნელია არეებში სოკოვანი ინფექციის განვითარება, ამიტომ ასეთ დროს ექიმის კვალიფიციური დახმარებაა აუცილებელი.

— ნახეთქები ხშირად უჩნდებათ ქალბატონებს ორსულობის პერიოდში, რაც წონის მატებით გამოწვეულ დროებით ბრტყელტერფიანობას და ასევე დროებით სისხლში შაქრის დონის მატებას უკავშირდება; ჩვეულებრივ, ორივე მაჩვენებელი მშობიარობის შემდეგ ნორმალიზდება და ნახეთქებიც მშობიარობიდან 9-10 თვეშიათავისით ქრება.



— არ გირჩევთ დიდხანს მზის გულზე ყოფნას, რადგან ულტრაიისფერი სხივები იწვევს კანის გამოშრობას და ნახეთქების კიდევ უფრო გაღრმავებას.

— თუ ღრმა ნახეთქების მიზეზი ბრტყელტერფიანობაა, გირჩევთ ატაროთ სპეციალური ორთოპედიული ფეხსაცმელი ან ტერფქვეშ სუპინატორები დაიდოთ.

— ავიტამინოზით გამოწვეული ნახეთქებისას ყოველდღიურ რაციონში უნდა ჩართოთ: ნაღების კარაქი, კვერცხი, ხიზილალა, საქონლის ღვიძლი, სტაფილო, ანუ რეტინოლითა და კაროტინით მდიდარი პროდუქტები.

— ყველაზე ეფექტიანი პროცედურაა სხვადასხვა მცენარეულ კომპონენტზე დამზადებული ყოველდღიური აბაზანა.

— ნებისმიერი აბაზანის მიღებამდე აუცილებელია ფეხის ქუსლების დამუშავება-გაწმენდა სპეციალური საშუალებით, რომელიც ასე ვთქვათ, "აშალაშინებს" კანის გაუხეშებულ ნაწილს.

— კვირაში ორჯერ მაინც გაიკეთეთ ცხიმიანი კრემით ტერფის ძლიერი მასაჟი. ხელზე უნდა წაისვათ მცირე ოდენობით კრემი და ძლიერი დაწოლითი მოძრაობებით ჩაიტაროთ ტერფების მასაჟი, რაც არა მარტო გააძლიერებს ტერფის სისხლმომარაგებას, არამედ განწყობასაც კი გაგიუმჯობესებთ.

— გახსოვდეთ! თუ ნახეთქები საკმაოდ დიდი ხნისაა, ჩატარებული პროცედურების მიუხედავად არ შეხორცდა და მათ ირგვლივ ჩირქგროვები გაჩნდა, კანი შეწითლდა და შესივდა, ამას თან დაერთო სხეულის ტემპერატურის მატება, ეს ნახეთქებში ინფექციური პროცესის განვითარების მაუწყებელია, ამიტომ თავი უნდა ანებოთ ყოველგვარ თვითმკურნალობას, რადგან სპეციალისტის დაუყოვნებელ დახმარებასა და ანტიმიკრობულ თერაპიას საჭიროებთ.

**გვერდი მოამზადა**
**ზვიად ლონლაძე**

# ra kriteriumebiT xdeba socialurad daucvelis statusis miniWeba da rodis daixveweba e.w. qulaTa sistema?

უკვე რამდენიმე თვეა რაც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ახალი მინისტრი ჰყავს – ზურაბ ჭიაბერაშვილი. დანიშვნისთანავე ჭიაბერაშვილმა განაცხადა; ყველა დაწყებული პროექტი ბოლომდე უნდა მივიყვანოო, და იქვე დაამატა: ჩემი ამოცანაა რომ თითოეულმა მოქალაქემ იგრძნოს ის შედეგი, რომელიც სოციალური მიმართულებით გვაქვს, სერიოზული შრომით ვაღწევთ წარმატებას. ჯანდაცვა ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოსო. მინისტრად დანიშვნის დღიდან ჭიაბერაშვილი ხშირად საუბრობს იმაზე, თუ როგორ დადის რაიონებში კარდაკარ, სადაც, როგორც თავად ამბობს, საკუთარი თვალით ხედავს,



რას ნიშნავს ხელმოკლეობა. ბევრს საუბრობდა ასევე სადაზღვევო კომპანიებზე ზოგიერთი მკაცრად გააფრთხილა და თითიც დაუქნია, არ გამაბრაზოთო, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა ეს მხოლოდ სატელევიზიო სპექტაკლია. სადაზღვევო კომპანიები იგივე პირობებით აგრძელებენ მუშაობას – ვისთანაც გაუვათ – გაუვათ, თუ არადა ცოტაოდენს დაუფინანსებენ, მაგრამ გაჭირვებულ ადამიანს იმდენს არბენინებენ, რომ არაქათს გამოაცლიან.

რაც შეეხება სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლებს, ჭიაბერაშვილს არც ისინი დავიწყნია და დაგვპირდა: "დაიხვეწება ოჯახების შეფასების ე.წ. ქულათა სისტემა, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს უფრო ეფექტურად დაეხმაროს გაჭირვებულ ოჯახებს"-ო. ისე, მე პირადად გამიკვირდა, ახალმა მინისტრმა ის მაინც რომ აღიარა, რომ ე.წ. ქულათა სისტემა დასახვეწია, თუმცა არც ამ მხრივ შეცვლილა რაიმე და ამ მთავრობის მუშაობის პერიოდში, არც შეიცვლება. მე ხელთ მაქვს ერთი ოჯახის დეკლარაციის ასლი. ასლი ოჯახს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სოციალური სააგენტოს უფროსმა მარი წერეთელმა გამოუგზავნა. ოჯახს დეკლარაცია 7 მაისს შეუვსეს და 7 ივნისს უთხრეს, რომ დეკლარაციის მიხედვით მათი ქულათა ჯამი გამოვიდა 75800 ქულა. ეს იმას ნიშნავს რომ ოჯახი ვერც სოციალურ დახმარებას მიიღებს, ვერც მერიის დახმარებას და ვერც რაიმე შეღავათს. ოჯახის გვარს, მათივე თხოვნით არ ვასახელებ, რადგან, გასაჩივრებას აპირებენ. დდეკლარაციის ასლი შევისწავლე და ოჯახშიც ვიყავი, მინდოდა გადამემოწმებინა, რამდენად შეესაბამებოდა დეკლარაციაში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს და რატომ მიანიჭეს ამ რაოდენობის ქულა. ოჯახი სამსულიანია, აქედან ერთი მცირეწლოვანი ბავშვი და ორი ზრდასრული ადამიანი. მხოლოდ ერთი მუშაობს და ოჯახის საერთო შემოსავალი შეადგენს თვეში 170 ლარს. დეკლარაციაშიც ზუსტად ეგრეა მითითებული:

ოჯახი არ ფლობს რაიმე უძრავ ქონებას, არც მიწის ნაკვეთი გააჩნია სადმე, არც აგარაკი.

შესაბამისად ვერ ეწევიან ვერანაირ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს და არც ფრინველი და პირუტყვი გააჩნიათ. დეკლარაციაში ესეც სწორედაა მითითებული.

არ ჰყავთ ავტომობილი, არ აქვთ სარეცხი მანქანა, მაცივარი, წყლის გამაცხელებელი, ფოტოკამერა, ვიდეოკამერა, მუსიკალური ცენტრი, კონდიციონერი, ტოსტერი ან სატელიტური ანტენა, არც კომპიუტერი აქვთ და არც პლაზმური ტელევიზორი. აგენტს ესეც სწორად შეუვსია:

რაკი ოჯახს რაიმე უძრავი ქონება არ გააჩნია, შესაბამისად ქირით ცხოვრობენ და ქირაში იხდიან ყოველთვიურად 100 ლარს. როგორც აღვნიშნე, შემოსავალი თვეში აქვთ 170 ლარი ქირა, შუქი და გაზი – ეს დაახლოებით 120 ლარია თვეში, რჩება 50 ლარი. თვიდან თვემდე მაკარონის და კარტოფილის ყიდვასაც ვერ ახერხებენ, ხან რომელი ნათესავი მოუკითხავთ ზეთს და ხან რომელი სარეცხ საშუალებას. ჯამში ნათესავები და მეზობლები დაახლოებით, ალბათ, 50 ლარის ღირებულების პროდუქტით თუ დაეხმარებიან. თითო ადამიანზე თვეში გამოდის 33 ლარი. მაშინ, როცა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით 2012



წლის იანვარში საარსებო მინიმუმი განისაზღვრებოდა 157 ლარით, თებერვალში 156-ით, მარტში 155-ით, აპრილში 154-ით, და მაისში 151 ლარით. როგორც ხედავთ 151 ლარსა და 33 ლარს შორის დიდი სხვაობაა. საარსებო მინიმუმის გაანგარიშება ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემის საფუძველზე დგინდება., საარსებო მინიმუმის 70% გათვლილია კვებაზე, ხოლო დანარჩენი 30 % არასასურსათო მოხმარებისთვის არის განკუთვნილი. ანუ 33 ლარის 70 პროცენტი გახლავთ 22 ლარი და 20 თეთრი, ეს უნდა ეყოს ამ ოჯახში ერთ ადამიანს კვებაზე, და დანარჩენი 30 % ანუ – 10 ლარი და 80 თეთრი არასასურსათო მოხმარებისთვის გამოიყენონ. წესით საარსებო მინიმუმი დღიურ 2300 კილოკალორიის მიღების შესაძლებლობას უნდა ითვალისწინებდეს. თუ 22 ლარსა და 20 თეთრს 30 დღეზე გავყოფთ, დღეში თითო ადამიანს საკვებად ლარის დახარჯვაც არ შეეძლება, რაც იმას ნიშნავს, რომ, მართლაც, ამ ფასად მხოლოდ მაკარონი შეიძლება მოხარშო, ან ნახევარი კილო კარტოფილი, ან 2 კვერცხი. შეწვას ვერ მოახერხებს, რადგან ზეთის ყიდვა ნამდვილად გაუჭირდება. ვის შეუძლია თქვას, რომ ეს ოჯახი არ მიეკუთვნება სოციალურად დაუცველ ფენას? - ჯანდაცვის სამინისტროს, რომლის მინისტრიც აცხადებს რომ რაიონებში და თბილისის ქუჩებში ფეხით დადის რათა თითოეული ოჯახის გასაჭირს პირადად გაეცნოს და მოხუცებულის და ბავშვის თვალით შეხედოს ჯანდაცვის სისტემას, რათა ხარვეზები აღმოაჩინოს და აღმოფხვრას. ამაზე მეტი ხარვეზი რა უნდა აღმოაჩინოს, ხალხი შიმშილით ეხოცებათ და ახალ ძვირადღირებული საავადმყოფოებში მკურნალობა ისეთი ფასი ღირს, ღარიბს კი არა საშუალო ფენის წარმომადგენლსაც გაუჭირდება მკურნალობის გადასახადის გადახდა. თუმცა, ჭიაბერაშვილსა და მის გუნდს ამის გაგება გაუჭირდებათ, რადგან მათი ხელფასები მაღალია, ხოლო პრივილეგიები კი – განუსაზღვრელი. მინისტრების ხელფასები დღეს საქართველოში თვეში – 3 540 – ლარია, ანუ წელიწადში 42 480 ლარი. საფრანგეთის ახალმა პრეზიდენტმა და მისმა მთავრობამ პირველივე სხდომაზე სახელმწიფო ლიდერებისა და მინისტრების ხელფასების 30%-ით შეკვეცის თაობაზე მიიღეს გადაწყვეტილება, ასევე მიიღეს ეთიკური კანონი, რომელიც სამინისტროების ხარჯებისა და მინისტრების მივლინებების დანახარჯების შემცირებას უზრუნველყოფს. საქართველოში ეთიკური კანონი შემდეგია: მინისტრს 3 540 ლარი, მოქალაქეს, რომელსაც სოციალურად დაუცველის სტატუსი არ მიანიჭეს, რადგან თურმე, არ ეკუთვნის, თვეში საარსებოდ 33 ლარი, და პარალელურად, ტელევიზიით გულისამაჩუყებელი სიუჟეტების ნახვაც არ უნდა დაგვავიწყდეს: სადაც ჩვენი ახალი და ძველი მინისტრები რაიონებში დადიან, მოხუცებს ხელს ართმევენ, ღარიბებს ესტუმრებიან, ვიღაცებს რაღაცებს ჰპირდებიან, შემდეგ რიხიანად დასძენენ, რომ, აი, ამ ღარიბებისა და მოხუცების თვალებით უყურებენ სისტემას და ბოლოს იმ რაიონის გუბერნატორის მიერ წინასწარ დაჯავშნულ რესტორანში დაჯდებიან, რომ ზედმეტი ასეული ლარი დახარჯონ და სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადა დალოცონ. აი, ეს არის დღევანდელი ქართული მთავრობის ეთიკა და დუხჭირი ცხოვრების რეალობა.

**თამარ კუშელავა**

# `xmas vaZlevT da mere xmas veRar viRebT~

რუსთაველის პროსპექტზე რამდენიმე წლის წინ გამქრალი სამარშრუტო მანქანები კვლავ გამოჩნდნენ, ამჯერად ყვითლად შეფერილები. ამ ფაქტმა ბევრი მოქალაქის და უპირველესად სამარშრუტო ავტობუსების მძღოლების კმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ სამაგიეროდ მოიტანა სხვა პრობლემა. ყვითელი "მარშუტკების" ფრიალმა რუსთაველისა და ჭავჭავაძის პროსპექტებზე შეამცირა ყვითელი ავტობუსების რაოდენობა.



სამარშრუტო ავტობუსით მგზავრობა 80 თეთრი ღირს, განმეორებითი მგზავრობის შემთხვევაში ფასი 65 თეთრამდე ჩამოდის. ავტობუსით 50 თეთრი და მერე 30-20, რაც დიდ შეღავათს წარმოადგენდა ბევრი მგზავრისთვის. თბილისის მცხოვრებლებისა და რაიონებიდან ჩამოსულებისთვისაც უმჯობესია შეღავათიანი მგზავრობა, აღარაფერს ვამბობ სოციალურად დაუცველებზე, ვინც ყვითელი ავტობუსებით 10 თეთრად მგზავრობენ, ამიტომ სამარშრუტო ავტობუსებისთვის გზის გახსნამ მეორე მხრივ დიდი პრობლემა წარმოშვა. აშკარად შემცირდა ავტობუსების რაოდენობა. გაიზარდა შუალედები, მგზავრები ხშირად შეშინებულები შეჰყურებენ ქუჩაში მდგარ ელექტრო-აბრებს, სადაც აღნიშნულია ავტობუსის მოსვლის დრო; დდგანან მძიმე ჩანთებით, გაოფლილ-გამტვრიანებულები, ელიან ტრანსპორტს, რომელმაც 30-50 თეთრით უფრო იაფად უნდა წაიყვანოს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა შაბათ-კვირას, როცა ორ და სამმაგად არის შემცირებული ავტობუსების რაოდენობა და მოსვლის შუალედი ხანდახან 20, 30 და 40 წუთიც არის. დდა თუ კარგად დააკვირდებით, თვითონ ავტობუსების რაოდენობა დღითი-დღე მცირდება. სამაგიეროდ დაჰქრიან 80 თეთრიანი სამარშრუტოები, გინდა დროულად გადაადგილება? გადაიხადე, არ გინდა, ფეხით იარე, ვის რაში აინტერესებს.

„ვინ ჩაგვყარა ამ დღეში", – ისმის უკმაყოფილო წამოძახილები გაჩერებებზე, „ვინ და იმან, ყველამ რომ ხმა მივეცით" – პასუხობს მეორე, „ხმას ვაძლევთ და მერე ხმას ვეღარ ვიღებთ", – პასუხობს მესამე – "ყველაფრის ღირსები ვართ!" ამ ლაპარაკსა და გადაძახებაგადმოძახებაში გადის დრო, მოდის ავტობუსი, მიაწყდება ხალხი და... თვალწინ მიდგება ჩარლი ჩაპლინის კინონოველა, რომელშიც ჩარლის გმირს ხალხი ჰაერში ატაცებულს შეიყვანს ტრამვაიში და ბოლოს მაინც ის რჩება. „კარგად მოგვეხსენება, რომ ეს კადრი მაშინდელი, მე-20 საუკუნის დასაწყისის ნიუიორკის ქუჩებსა და გაჩერებებზე შექმნილ მდგომარეობას გვიჩვენებს, ანალოგიური ხდება 21–ე საუკუნის თბილისში. ავტობუსებში ასვლა–ჩამოსვლისას ისმის ერთმანეთის მიმართ თუ მძღოლის და კონტროლიორების გინება–ჩხუბი, გაწევ-გამოწევა, ერთმანეთზე ანთხევენ ყველანი ბოღმას და მიდიან თავიანთ გზებზე. ბოღმა სხვა გამოსავალს ვეღარ პოულობს.

"რაში მთხოვ ბილეთს, ცალ ფეხზე რომ ვდგევარ, იმაში!?" – უკივის ქალი კონტროლიორს, – "ფული კომფორტში უნდა გადაიხადო და არა ამ ჯოჯოხეთურ პირობებში", "მე ჩემს საქმეს ვაკეთებ"– გაიძახის კონტროლიორი, – "სადაც საჭიროა, იქ იჩივლეთ" და ჩადის ბურდღუნბურდღუნით. აყველაფერ ამას ემატება ისიც, რომ სალარო აპარატი ხშირად ფუჭდება და ხანდახან თავის ჭკუაზე მოგვართმევს ხოლმე 2 ან 3 ბილეთს, რაც მგზავრის დაზარალებას იწვევს. სამწუხაროდ, სალარო აპარატს არავინ აჯარიმებს და არც ცხელი ხაზით გაკეთებული საქმე უნახავს ვინმეს. მგზავრთა უფლებების დაცვა ნულის დონეზეა.

და ამ მიზეზისა თუ სხვა რამის გამო არავინ ჩივის იქ, სადაც საჭიროა. თუ საზოგადოებრივ ტრანსპორტში მიშა ან გიგი ადის, გარშემო უამრავი მადლიერი, მომღიმარი სახეა. შესაძლოა ეს სპეციალურად ტელეკამერების წინ გამოსაჩენად მოყვანილ–დაქირავებული მოქალაქეები არიან, მაგრამ იქნებ არც მთლად მასე არ არის საქმე? იქნებ ქართველების თვისებაა ისიც, რომ ერთმანეთს დედა უნდა აგინონ, სცემონ, მაგრამ დიდკაცის გამოჩენაზე ყველა ტკბება, იღიმება, კეთილია ერთმანეთისა და კონტროლიორების მომართ. "დიდკაცი" ასხივებს თავის დიდ ენერგიას და გადასცემს ყველას, ყველა იმუხტება დადებითად, აღარც ავტობუსების გრაფიკი აწუხებთ, არც დისკომფორტი, არც კონტროლიორი. მაგრამ ჩადის თუ არა ტრანსპორტიდან "დიდკაცი", ცხოვრება თავის რიტმს უბრუნდება.

**თამუნა ქადაგიძე**

## ჯემალ დავლიანიძე

### ჯეიმს ბეკერი და კონფლიქტები ახალი მსოფლიო წესრიგისთვის

აი, ამგვარად, გამიზნული გეგმით, ათასნაირი ეშმაკური მეთოდებით, შინაგანი და გარეგანი ჯაშუშების მეოხებით, დაშალეს საბჭოთა კავშირი, რომელიც თავის დროზე მეფის რუსეთის ნანგრევებზე სისხლით და მახვილით დააარსეს.

ამ მხრივ, საინტერესო წერილს აქვეყნებს გაზეთი „საშუალო ფენა" (№4, 1992 წ.) ავტორი გახლავთ თემურ გაბუნია:

„ვაქვეყნებთ ჯეიმს ბეიკერის სიტყვას, რომელიც მან წარმოთქვა გადადგომის შემდგომ და სადაც კარგად ჩანს მისი მრწამსი, - ახალი სამყაროს მოდელის შექმნისა: „შემდგომ ოთხ წელიწადში ჩვენ მოწმენი გავხდებით გლობალური, საერთაშორისო სტრუქტურების შექმნისა, რომელიც მიმართული იქნება გაეროს გასაძლიერებლად. ისინი აუცილებელია ახალი სამყაროს ასაშენებლად. მესახება, რომ იგი წარმოიშობა წინა ურთიერთობების ნანგრევებზე და იმ რევოლუციის მონაპოვარია, რომელიც ეს-ეს არის გითხარით".

აბა, ძმებო და მეგობრებო, ბატონი ბეიკერი, რა ახალ სამყაროზე გვესაუბრება?

რას ანგრევენ, რომ ნანგრევებზე ახალი სამყარო აღმოაცენონ?

უფლის მიერ შექმნილ სამყაროს ხომ არ უპირებენ დანგრევას?

უფლის საქმე რევოლუციაა თუ ევოლუცია?

თუმც, თავი მივანებოთ შეკითხვებს და მივყვეთ გაზეთ „საშუალო ფენაში" დაბეჭდილ თემურ გაბუნიას წერილს:

„მეფეთა დინასტიების დამხობით მსოფლიოში დაიწყო ახალი ერა, რომელიც მოითხოვდა სრულიად განსხვავებულ წესრიგსა და იდეოლოგიას. ატავიზმად შერაცხეს საზოგადოების კასტებად დაყოფა. მონარქები კი ტირანებად გამოაცხადეს. მირონცხებული გვირგვინოსნები ამიერიდან ვეღარ დაიცავდნენ ერის ღირსებასა და სინდისს. ეს ფუნქციები სახელმწიფოს უნდა ეკისრა. საჭირო გახდა დაყრდნობა რაღაც იდეოლოგიაზე ან ფილოსოფიურ სისტემაზე, რათა რეფორმებს გამართლება ჰქონოდათ. ამ ხალხმა სულიერ მოძღვრად ჰეგელი აირჩიეს. მაინც რით მოხიბლა ისინი ამ ფილოსოფოსმა? შესაძლოა დიალექტიკით, დიახ, მათ ჰაერივით სჭირდებოდათ კონფლიქტები ახალი მსოფლიო წესრიგის შესაქმნელად, რადგან თეზისა და ანტითეზის შეჯახებით იქმნებოდა თვისობრივად რაღაც ახალი, სინთეზური, რომელიც განადგურებულ, დაპირისპირებულ მხარეთა ნიშნებს თავის თავში გააერთიანებდა. შესაძლოა, ამის გამოც იყო მარქსისა და ნაცისტების საყვარელი ფილოსოფოსი ჰეგელი... მაგრამ, რაც მივიღეთ ამგვარი ექსპერიმენტების შედეგად, დღესავით ნათელია — ეს გახლავთ ახალი კონფლიქტებითა და ურწმუნოებით დასჯილი მსოფლიო.

ძნელად თუ მოიძებნება სახელმძღვანელო, სადაც ომებისა და რევოლუციების მიზეზად კონსპირაციულად მოქმედ პიროვნებებს დაასახელებდნენ. უბრალოდ, წიგნებში წერენ, რომ მშვიდობიანი, უნაყოფო მოლაპარაკების შემდეგ მხარეები კონფლიქტში ჩათრეულები აღმოჩნდნენ, მაგრამ ნუთუ ყველაფერი ასე მარტივად ხდებოდა? თუ ამგვარ მოვლენებს სხვა მიზეზებიც არ გააჩნდა, მაშ რად დაუწესეს მკაცრი ცენზურა ნაცისტთა დანაშაულებების სამძებრო კომისიებს, როდესაც

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14–25

# mware gakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

საქმე დასავლეთის ფინანსურ დახმარებაზე მიდგა? ან, რატომ არაფერი წერია კოლეჯის სახელმძღვანელოებში 1917 წლის რევოლუციის კონსპირატორ ფინანსისტებზე?

დიახ, რევოლუციები წარმოდგენილია ბუნებრივ მოვლენებად, რომლებსაც თურმე თავად ისტორია ამზადებს, მაგრამ არსად არაფერს ამბობენ იმაზე, რომ რევოლუციებს სჭირდებოდა სახსრებიც! რატომ? ალბათ იმის გამო, რომ ცხელ კვალს ხშირად უოლ სტრიტამდე მივყავართ.

ჯერ კიდევ საუკუნის გარიჟრაჟზე, ბოლშევიკების ძებნით გართული ინგლისის პოლიციის გამომძიებლები ხშირად ვარდებოდნენ უხერხულობაში... ბუნებრივია, მათ არ უკვირდათ, როცა გრძელწვერიან და ლა-



ბადიან ხალხს აპატიმრებდნენ, ისინი რევოლუციონერებს ნამდვილად ჰგავდნენ, მაგრამ ხშირად, ცხელი კვალი შავ კოსტიუმში გამოწყობილ ბანკირამდეც მიდიოდა. აი, მაშინ კი სკოტლანდ-იარდი აშკარად იბნეოდა, რადგან არ სჯეროდა, რომ ყველაფერი ნამდვილად ასე იყო. მართლაც და, რა კავშირი უნდა ჰქონოდათ ამ ჯენტლმენებს რევოლუციასთან?

სიტუაცია დღეს-დღეობითაც არ შეცვლილა. მაგალითად, ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურს ვერაფრით დაარწმუნებთ, რომ დევიდ როკფელერი, თუნდაც ყოველდღე სადილობდეს სუკის აგენტთან, საეჭვო პიროვნებაა. სამაგიეროდ, ვინმე სმიტი ერთხელ მაინც რომ შეხვდეს მსგავს ვინმეს, მას მსწრაფლ აიყვანენ აღრიცხვაზე.

რა თქმა უნდა, სტერეოტიპები შესაძლოა ისეთი ორგანიზაციების მუშაობასაც აბრკოლებდეს, როგორიც სკოტლანდ-იარდი და ცენტრალური სადაზვერვო სამსახურია, მაგრამ ჩვენ მაინც თვალებში უნდა შევხედოთ სინამდვილეს. მარქსისტებიცა და ნაცისტებიც სწორედ იმ საზოგადოების აქტიური მხარდაჭერით გაძლიერდნენ, რომელსაც ამერიკაში ელიტარულს უწოდებენ.

უეჭველია, გარკვეული ძალების მეცადინეობა ამ მიმართულებით 1917 წლამდე დაიწყო, მაგრამ ამჯერად, მოდით, უფრო გვიან ფაქტებზე შევჩერდეთ. აი, რა წერილს აგზავნის ამერიკის ელჩი, ავერელ ჰარიმანი სახელმწიფო დეპარტამენტში 1944 წელს:

„სტალინმა სათანადოდ დააფასა შეერთებული შტატების ეკონომიური დახმარება საბჭოთა მრეწველობისადმი ომამდეც და ომის დროსაც. მან განაცხადა, რომ დაახლოებით ორი მესამედი ყველა დიდი სამრეწველო ობიექტისა, საბჭოთა კავშირში აგებულ იქნა შეერთებული შტატების დახმარებით ან ტექნიკური მხარდაჭერით".

სტალინს შეეძლო დაემატებინა, რომ დანარჩენი ერთი მესამედი საბჭოური ინდუსტრიისა, შეიქმნა ბრიტანული, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ფინური, ჩეხური და იაპონური კომპანიების მიერ. ამრიგად, თუ არა ჰარიმანს, მაშ ვის უნდა სცოდნოდა, რომ საბჭოთა კავშირი სწორედ დასავლეთის შექმნილი იყო. პირველი ვალი ახალ სახელმწიფოს ხომ მან მისცა. ჯერ კიდევ 20-იან წლებში, კანონის ფაქტობრივი დარღვევითა და გვერდის ავლით.

ბუნებრივია, დაისვას კითხვა, მაინც, რად სჭირდებოდა აშშ-ის ელიტარულ წრეებს სსრკ-ს შექმნა და გაძლიერება? თუ გავიხსენებთ ჰეგელის დოქტრინას, შესაძლოა პასუხსაც მივაგნოთ — მათ იგი გამოიყენეს როგორც თეზა ანტითეზასთან, ანუ ნაციზმთან დასაპირისპირებლად და მართლაც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამყარო შეიცვალა. შეიქმნა გაერო, საერთო ბაზარი... ე.ი. მოხდა სინთეზი, რაც ელიტარული საზოგადოების მიზნებსაც შეესაბამებოდა, და რაც საგრძნობლად აადვილებდა ახალი, ინტეგრირებული და ერთიანი მსოფლიოს აშენებას.

ცნობილია, რომ 1920 წელს, როცა უკანასკნელმა ამერიკულმა სამხედრო ფორმირებებმა დატოვეს ვლადივოსტოკი, ბოლშევიკებმა მათ მეგობრული გაცილებაც კი მოუწყვეს. ბუნებრივია დავეჭვდეთ: რა ჰქონდათ სამადლიერო ინტერვენტებთან? საბედნიეროდ, ჩვენ მოგვეძებნება ასლი მემორანდუმისა, სადაც შეჯამებულია დასავლეთის დამოკიდებულება 1917 წლის ბოლშევიკურ რევოლუციასთან. მისი შემდგენი — ტომას დ. ტაჩერი გახლდათ რუსეთში უილიამ ტომპსონის წითელი ჯვრის მისიასთან ერთად. მანვე იკისრა მოლაპარაკებოდა ლორდ ნორთკოფს, შემდგომ კი გაგზავნილ იქნა პარიზშიც საფრანგეთის მთავრობასთან საკონსულტაციოდ. ტაჩერის მემორანდუმში დაჟინებითაა მოთხოვნილი არა მხოლოდ საბჭოთა მთავრობის ცნობა, არამედ სამხედრო დახმარებაც არმიისათვის, რათა შეჩერებული ყოფილიყო იაპონიის აგრესია ციმბირში.

აი, ამონაწერიც იმ მემორანდუმიდან:

„უპირველეს ყოვლისა, მოკავშირეთა ვალია შეაკავოს იაპონიის ინტერვენცია ციმბირში, მეორე — სრული მხარდაჭერა უნდა გაეწიოს საბჭოთა მთავრობას მცდელობაში — შექმნას მოხალისეთა რევოლუციური არმია. მესამე — მოკავშირეთა მთავრობებმა მორალურადაც უნდა დაუჭირონ მხარი რუს ხალხს,ააშენონ ისეთი პოლიტიკური სისტემა, როგორიც თავად სურთ, ყოველგვარი გარეშე ძალების ჩაურევლად".

თუ მკითხველი დაკვირვებით გადაიკითხავს მეორე პუნქტს, სადაც საუბარია არმიის მშენებლობაზე, უთუოდ მიხვდება, რომ ეს არ არის მხოლოდ კეთილი სურვილი გულუბრყვილო ადამიანის მხრიდან, არამედ ნაგულისხმევია რეალური მხარდაჭერა უმაღლეს სახელმწიფოებრივ დონეზე, თანაც სრულიად საიდუმლოდ.

ამრიგად, როცა პრეზიდენტმა ვილსონმა გაგზავნა ჯარი ტრანსციმბირული სარკინიგზო მაგისტრალის დასაკავებლად, გენერალ უილიამ ს. გრეივზს უთუოდ მიცემული უნდა ჰქონოდა საიდუმლო ინსტრუქციებიც, რადგან ამერიკელთა ინტერვენციას მართლაც ძალიან ცოტა რამ ჰქონდა საერთო ანტიბოლშევიკურ კომპანიასთან. როგორც ჩანს, მათი ძირითადი მიზანი გახლდათ ციმბირში იაპონელთა აგრესიის შეჩერება".

ასე დაშალა გორბაჩოვ-შევარდნაძის დაჯგუფებამ საბჭოთა კავშირი. — ევროამერიკულ სივრციდან და მმართველობიდან სტალინის მეოხებით გამოსული სუპერსახელმწიფო დააქუცმაცეს, არივ-დარიეს, ღონე გამოაცალეს ისევ და ისევ დემოკრატიის სახელით!

### ბნელეთმა ჯერ შექმნა, მერე კი დაშალა საბჭოთა კავშირი!

გარდაქმნილ და გადემოკრატებულ რუსეთის ფედერაციას სათავეში ჩაუდგა ბორის ელცინი, რომელმაც თავისი პრეზიდენტობისას რუსულ დუმას, იგივე პარლამენტს ტანკები, ქვემეხები მიაყენა და უკმაყოფილება ძალით და ცეცხლით ჩააქრო.

აქაც საკითხავია — რა მოხდა მაშინ?

რუსეთის დუმაში რამ გამოიწვია უკმაყოფილება? რუსი ხალხის ჭეშმარიტმა ინტერესებმა გამოიღვიძა ისევ თუ კვლავ დაწერილი სცენარით განვითარდა მოვლენები?

ერთი კი ფაქტია: დანარჩენ მსოფლიოს ანუ იგივე ევროამერიკას როცა აღარ სურდა საბჭოთა კავშირი — იგი დაშალეს!

ახლა ჯერი რუსეთის ფედერაციაზეა. როგორც დღევანდელი და გუშინდელი დღე გვიჩვენებს — არც გაძლიერებული რუსეთის ფედერაცია მოსდით თვალში!

რა ხდება? გაუჭირდათ? ვეღარ მოერივნენ? იქნებ კვლავ გაძლიერდა რუსეთი?

ვგონებ, ენერგეტიკულმა დიდმა რესურსებმა და ქრისტიანულმა მართლმადიდებლობამ უკვე დიდ საგონებელში ჩააგდო მსოფლიოს ე.წ. წამყვანი ქვეყნები. ბევრი კი იმუშავეს — შეეცადნენ საბჭოთა კავშირი ჩაენაცვლებინათ ევროკავშირით! ჯარებიც გააერთიანეს და მას ნატო უწოდეს. კიდეც იწყეს აღმოსავლეთ-სამხრეთით წინ წამოწევა და ფაქტიურად რუსეთი რკალში მოაქციეს. თან შესთავაზეს — იქნებ ნატოში შენც შემოხვიდეო!

აღსრულდა ევროამერიკის ოცნება! როგორც იქნა, გააუქმეს საბჭოთა კავშირი. ჯერი მიდგა აწ უკვე ყოფილ რესპუბლიკებზე. მთავარ საქმედ, რა თქმა უნდა, მიიჩნიეს ის, რომ თითოეულ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში შემორჩენილიყო და უფრო გაღვივებულიყო სიძულვილი რუსეთისადმი და უფრო მეტიც — რუსი ხალხისადმი. რატომ? იმიტომ, რომ რუსი ხალხი თავისი რაოდენობით და სარწმუნოებით ყველაზე დიდი შემაფერხებელია იმ გეგმებისა, რაც მომავალშია ჩაფიქრებული! ამის ფონზე ბნელეთისთვის გამაოგნებელი გახლდათ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გულთბილი შეხვედრა ყაზბეგში. თან ვისთან შეხვედრა? ზვიად გამსახურდიასთან, დისიდენტთან, რომელიც პრეზიდენტად იქნა არჩეული.

ე.წ. დასავლეთს დიახაც სჭირდებოდა დისიდენტების არსებობა. ჯერ საბჭოთა კავშირში, მორალურად ხელსაც უწყობდნენ, რათა მათ სასარგებლოდ ემუშავათ — ენგრიათ საბჭოეთი ისე, რომ შემდგომში ისინი დევნილებად ქცეულიყვნენ და თვითონვე მიეცათ თავშესაფარი! თანაც, განა მხოლოდ თავშესაფარი? იქნებ ნობელის პრემიაც გაემეტებინათ! ოღონდ, დაშლილი საბჭოთა კავშირის შემდგომ, უკვე კვლავ დასაშლელად განწირულ რუსეთის ფედერაციას მეზობლად არ უნდა ჰყოლოდა ისეთი გათავისუფლებული რესპუბლიკა, სადაც პრეზიდენტად ყოფილი დისიდენტი იქნებოდა!

ძლიერად იმუშავეს, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს. ზვიად გამსახურდიამ, მათთვის არასასურველმა ადამიანმა, მოიგო არჩევნები 1990 წლის 28 ნოემბერს. მაშინდელ უზენაეს საბჭოში კი იყვნენ საკმარისად ყოფილი კომუნისტები და თვით კო-

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

მუნისტებიც (ერთი მღვდელიც კი ერია!), მაგრამ საქართველოში ეროვნული სულიერების ისეთი აღმავლობა დათესა მერაბ კოსტავამ და ზვიად გამსახურდიამ, ის კომუნისტებიც, მიუხედავად რაოდენობისა, მაინც ეროვნულობისკენ იხრებოდნენ.

### ზვიად გამსახურდია და 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი

ყოველივეს კი კვლავ გამოცდილი ედუარდ შევარდნაძე ჩაუყენეს სათავეში. მას პირდაპირ მიეცა დავალება: უმოკლეს დროში საქართველოში მომხდარიყო საერთო სახალხო აჯანყება ან მისი მსგავსი და, რაც მთავარია, ყოველივე ამას, გარეგნულად ისეთი სახე უნდა ჰქონოდა, თითქოს ამას რუსეთის აგენტურა სჩადიოდა!

საქმე მისჭირდა! გაუჭირდათ იმიტომ, რომ ზვიადმა და მერაბმა მიიღეს ე.წ. თამაშის ეს წესები, აჰყვნენ ევროამერიკულ ბნელ გეგმას (რომელიც მათ კარგად მოეხსენებოდათ!) და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა საბჭოთა კავშირის, კგბ-ს წინააღმდეგ წარმართეს დემოკრატიის, თავისუფლების და დამოუკიდებლობისათვის. ამავე დროს, ხმამაღლა განაცხადეს, რომ საქართველოში დასავლეთის ფასეულობებმა უნდა გაიმარჯვოს, რაც საბოლოო თავისუფლებამდე მიგვიყვანსო!



1989 წლის 13 ოქტომბერს, მერაბ კოსტავა ავტოკატასტროფაში დაიღუპა! არ ვიცი, ღვთის განგება იყო თუ დამთხვევა, სწორედ იმ დღით სამეგრელოდან ვბრუნდებოდი, როცა სოფელ ბორითში, ერთ-ერთ მოსახვევში ჩემი თვალით ვნახე დაახლოებით ერთი საათის წინ მომხდარი ხსენებული ავარია და თბილისში ისე ჩამოვედი, არც ვიცოდი, რომ იქ მერაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე მოხვდნენ კატასტროფაში!

ამ ამბის შესახებ ჩემს სხვა წიგნში და პუბლიკაციებში საკუთარი ჟურნალისტური გამოძიება მაქვს ჩატარებული და აქ მკითხველის ყურადღებას აღარ შევაჩერებ!

ედუარდ შევარდნაძემ შტაბი მოსკოვში დაიდო. ესეც გრძელვადიან გეგმაში შედიოდა, რადგან ქართველობას უნდა ეფიქრა და აუცილებლად უნდა ეფიქრა, რომ მათ დამოუკიდებლობას ებრძვის ყოფილი კომპარტიის ცეკას მდივანი, ყოფილი საბჭოთა კავშირის პოლიტბიუროს წევრი, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე. მაშასადამე, შტაბი მოსკოვშია, - რუსეთშია და ამიერიდან რაც მოგვივა ქართველებს, ყველა უბედურება მოსკოვიდან, კრემლიდან, მხოლოდ და მხოლოდ რუსეთიდან მომდინარეობს. რადგან შტაბი რუსეთშია, იქით, სათანადო ინსტრუქციების მისაღებად, ხშირ-ხშირად მიემგზავრებიან შევარდნაძის მომხრე ყოფილი პარტმუშაკები და ინტელიგენციის (ზვიადმა კრიმინალური რომ უწოდა!) თითქმის ყველა წარმომადგენელი! ეს უკანასკნელნი გამალებით თესავენ ჭორს, რომ ზვიად გამსახურდიას არავითარი გამოცდილება არ გააჩნია პოლიტიკაში, სახელმწიფოს მართვაში, იგი დაგვღუპავს, ნაღდი ჩვენი გადამრჩენელი მოსკოვში ზის, ის გვიშველისო.

ზვიად გამსახურდიამ ჩინებულად იცოდა ყველაფერი. მთავარი, რასაც იგი ცდილობდა, უნდა მოესწრო რეფერენდუმის ჩატარება.

ფაქტიურად, შურით გონდაბინდული და შევარდნაძის მიზანმიმართული მუშაობით, უცხო ქვეყნების სპეცაგენტურას სულმიყიდული ქართველობის თუ არაქართველთა დიდი ნაწილი, წინ აღუდგა საქართველოს თავისუფლების განმტკიცებას და გლობალიზაციის მესვეურების მხარე დაიკავა.

ზვიად გამსახურდია ამ გაერთიანებული ანტიქართული ძალების საპასუხოდ 1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკაში ჩაატარებს რეფერენდუმს ერთადერთი კითხვით:

„თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“

ზვიად გამსახურდიამ 3 266 285 ამომრჩევლის ხმით მთელ მსოფლიოს მკაფიოდ გააგონა ქართველთა ამოძახილი: „დიახ“ და მტრის ჯინაზე დაასკვნა კიდეც:

„ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს უზენაესმა საბჭომ, რეფერენდუმზე გამოხატული ხალხის ნების გათვალისწინებით, მსოფლიოს ცივილიზებულ ერთა წინაშე გამოაცხადოს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, რათა საქართველომ დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში!“

ეს გახლდათ სასტიკი ლახვარი ჯერ ევროამერიკული გეგმების მესვეურთათვის და შემდგომ ამ გეგმათა განმახორციელებლის ედუარდ შევარდნაძისადმი.

რეფერენდუმის კითხვას, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „დიახ“ — უპასუხა 3 266 285-მა ამომრჩეველმა, „არაო“ — 17400 კაცმა!

აი, სწორედ ამ 17400 კაცის იმედად დარჩა ედუარდ შევარდნაძე, რომელზედაც პირდაპირ უთქვამს ჩვენს უდიდეს პოეტს, ვაჟა-ფშაველას:

„ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომდა კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის და ტვინის პატრონი, იგი მტერია თვით კაცობრიობის, ყველასათვის გამოუსადეგარი და თავისივე, შეუმჩნევლად დიდი მტერი იმავე კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს“.

სხვათა შორის, როცა ეროვნული ხელისუფლების დამხობა განიზრახეს, მაშინვე ამოტივტივდნენ უცხო ჯილაგის ხალხის წარმომადგენლები. ამგვარი ადამიანების უმრავლესობის სიმპათია ედუარდ შევარდნაძის მხარეზე გადაიხარა. შევარდნაძე ხომ მუდამ ამაყობდა — ტოლერანტი, მსოფლიო მოქალაქე ვარო, იგი ქართველზე წინ მუდამ სხვას აყენებდა!

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

# Cipi _ jaSuSi anu keTili iyos Tqveni mobrZaneba `matricaSi~

მეცნიერ-ექსპერტებმა კეტრინ ალბრეხტმა და ლიზ მაკინტაირმა დაწერეს წიგნი „ჩიპი-ჯაშუში“, სადაც მოთხრობილია, როგორ წარიმართება „ჩიპიზაციის“ პროცესი.

„მთავრობა არ დაიწყებს ჩიპის სხეულში ჩაკერებას დასჯის მუქარით, უფრო მოსალოდნელია, რომ ეს თანდათანობით მოხდება და მიიღებს მოდის ხასიათს. მოსახლეობაში ეს გახდება მოდური და „პრიკოლური“ იმდენად, რომ როდესაც უკვე სათვალთვალო ჩიპების ჩაკერება დაიწყება, ადექვატური რეაქციის ნაცვლად, დაახლოებით ამგვარი რეაქცია იქნება „ვაჰ, რა მაგარია! ახლა იმასაც აკონტროლებენ, სად ვსეირნობთ და ვქეიფობთ!“



დღეს აშშ-ში მილიონობით კატა და ძაღლია ჩიპირებული, რაც მათ დაკარგვისგან აზღვევს; მოკროჩიპებს ატარებენ ალცჰაიმერით დაავადებული ადამიანები, რათა ექიმებს საშუალება ჰქონდეთ, მიადევნონ თვალი მათ ჯანმრთელობას.

ახლა თავდაცვის სამინისტრო გეგმავს, რომ ძალიან მალე იგივე პროცედურა დაიწყოს ჯარისკაცებში მათივე ჯანმრთელობის გასაკონტროლებლად. თუ ასე საჭირო ყოფილა „დაჩიპვა“, ბუნებრივია, სახელმწიფო მოხელეებსაც სჭირდება იგი და ბოლო-ბოლო ყველა მოქალაქემდეც მივა. ეს არც ისე სწრაფად მოხდება, მაგრამ იმის მიხედვით, თუ რამდენი ადამიანი გამოთქვამს ასეთი „მრავალგვაროვანი უპირატესობის“, ნებაყოფლობით სურვილს შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბოლოს სავალდებულოც გახდება.

სამხედრო მოსამსახურეებისათვის სამედიცინო მიკროჩიპების ჩაკერების შესახებ ოფიციალურად განაცხადა **DARPA**-ს სააგენტომ, რომ რაც უფრო მეტი სამხედრო პირი ჩაიკერებს ჩიპს, მით ნაკლები დაიღუპება სნეულებისა თუ ჭრილობებისგან. საზოგადოებას ეს სიახლე ისე მიეწოდება, ენა ვეღარ შემოგიტრიალდება — ვინ იქნება წინააღმდეგი იმისა, რომ სამხედრო პირები არ დაიღუპონ? სტენფორდის უნივერსიტეტი ამუშავებს ასევე მიკროჩიპებს, რომლებიც არკვევს ცალკეული ორგანოებისთვის საჭირო მედიკამენტების გამორკვევასაც. ამგვარ რამეს რომ შემოგთავაზებენ, უარს იტყვით, რომ დაამარცხოთ მრავალი სნეულება?

მსგავსი ტექნოლოგიების გავრცელებასა და მათ პროპაგანდასთან ერთად დაიწყება შედეგების დემონსტრირება და მრავალი ადამიანი გადაწყვეტს, ხელიდან არ გაუშვას „შანსი.“

მსოფლიოში დაჰქრის იდეა, რომ მოხდეს პიროვნების ზუსტი და ყოვლისმომცველი იდენტიფიკაცია.

რაც შეეხება „სათვალთვალო“ ჩიპებს, მათი ჩაკერების მიზეზი მრავალი იქნება. მაგალითად, დამსაქმებელი მუშისგან მოითხოვს ჩიპის ჩაკერებას, რათა დარწმუნდეს მის უსაფრთხოებაში; ბანკი იგივეს მოითხოვს თავისი კლიენტებისგან, რათა ანდოს მათ დეპოზიტის მართვის უფლება და ა. შ

მაგალითად, რუსეთში არ დაიწყებენ ნებაყოფლობითობასა და მიმზიდველობაზე ბევრი ზღაპრების მოყოლას, პირდაპირ დაიწყებენ პოლიციის, საგადასახადოსა და სხვა სამსახურების ჩიპირებით. ასე იქნება არადემოკრატიულ ქვეყნებში...

ყოველივე ამის დანახვა კარგად არის შესაძლებელი ინდოეთის მაგალითზე, სადაც ეს გეგმა ხორციელდება მოსახლეობის ეროვნული რეესტრისა და „უნიკალური ID-ს“ პროგრამით, მაგრამ ეს იძულება ხდება იმ დროს, როცა ამ პროგრამაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. არ იქნება გასაკვირი, თუ სხვა ქვეყნებიც შეაფასებენ ამგვარი პროგრამების „უპირატესობას“ და ამასთანავე იტყვიან, რომ ასე შეიძლება დავამარცხოთ თაღლითობა, გადასახადებისგან თავის არიდება, ვაკონტროლოთ ტერორიზმი, ყოველმხრივ გავაძლიეროთ „ეროვნული უსაფრთხოება“ და ა.შ (წიგნის ავტორები თითქოს საქართველოს შესახებ საუბრობენ.) სავსებით მოსალოდნელია ისიც, რომ „ჩიპიზაციის პროგრამის“ დასრულებისთვის მოხდება ძალზედ ხმაურიანი ტერაქტი, რომლის შემდეგაც სასწრაფოდ ჩაუნერგავენ მოსახლეობას ჩიპს, როგორც „პანაცეას“ ტერორიზმის წინააღმდეგ.

ადრე თუ გვიან ყველა მთავრობა შეაფასებს ამგვარი ჩიპიზაციის უპირატესობას, რადგან, პირადი ბარათის ან პასპორტისგან განსხვავებით, ჩიპის დაკარგვა შეუძლებელია და თანაც, სრულებით არ არის აუცილებელი, ყველა ჩიპი ოპერაციის გზით ჩაეკეროს ადამიანს, ზოგი მათგანი „იჭმევა“. ადამიანს დაუკითხავად შეურევენ საჭმელში და მონაცემებს ყველგან წაიკითხავენ ელექტრონული ნიშნულები.



გაზეთი „დეილი მეილი“: — „სენსორი, რომელიც არ შეიცავს ბატარეას, რადიოგადამცემს ან ანტენას, ორგანიზმში ქმნის უნიკალურ ციფრულ ნიშნულს, რომელიც იშიფრება პატჩ-მოწყობილობით რომელიც პაციენტის მხარზეა მოთავსებული და დაშიფრული სახით გადაეცემა ბლუთუზ-ქსელს სმარტფონზე.

ადამიანის შეერთება მიკროჩიპთან ძალზე დიდ შესაძლებლობას ქმნის ციფრულ მოწყობილობებთან ურთიერთობისთვის, შეიძლება, ინტერნეტს პირდაპირ ტვინიც მიუერთონ. ადამიანის ცნობიერებაში ინფორმაცია შევა ელვისებური სისწრაფით, რომლის დამუშავებას ტვინი ნიშანთა სისტემისა და აღქმის ორგანოების შუამავლობის გარეშეც მოახერხებს „აზრის სისწრაფით.

მაშ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „მატრიცაში!

ამ „აღმაფრთოვანებელ პერსპექტივაში“ ჩადებულია უდიდესი საფრთხე — ამგვარი სახით ადამიანის ტვინში ადვილად ჩაიტვირთება „ვირუსის“ მსგავსი რამ და თავისუფლად მართავ დისტანციურად.

სადამდე მიგვიყვანს ჩიპიზაცია — ადამიანს ჩიპის გარეშე არ შეეძლება არსებობაც კი, რადგან მისი უარყოფის შემთხვევაში გამოცხადდება საეჭვო პიროვნებად, სახელმწიფო მტრადაც კი, რის შემდეგაც, ან ციხეში ჩააყუდებენ, ან ფიზიკურად გაანადგურებენ.“

წიგნიდან რეალობაში გადმოვიდეთ — გაიმეტეთ თქვენი ნებისმიერი ელექტრონული ბარათი, გახსენით შუაზე და თქვენი თვალით ნახეთ ჩაკერებული ჩიპი, საწყისი ეტაპი ადამიანთა „დაჩიპვისა საქართველოში.

ჰოლანდიაში უკვე დიდი ხანია დაიწყეს ამ სახით უპატრონო ადამიანების შუბლზე ტატუირება. ამასთან, განსაკუთრებით ამსტერდამში, ხალხს ეუბნებიან, რომ ამ ფორმით შეიძლება შეაჩერო დანაშაულობები.

ნიუ-იორკში 11 სექტემბრის ტერაქტი გამოყენებულ იქნა ამ ტოტალური კონტროლის სისტემის დასანერგად. 2001 წლის 11 ოქტომბერს, აშშ-ის სენატმა მიიღო ანტიტერორისტული კანონი №98-1, რომელიც განიხილავს ელექტრონული სისტემის გამოყენების გაფართოებას ადამიანების თვალთვალის (დაზვერვის) მიზნით.

2003 წლის 4 ნოემბრიდან ბელორუსიაში ძალაშია კანონი №236-3 „სახელმწიფო დაქტილოსკოპიური რეგისტრაციის შესახებ“, რომელსაც ექვემდებარება ყველა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევ ასაკს მიტანებული მამაკაცი და ქალები, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ ძალოვან სტრუქტურებთან. კანონს ძალზე უარყოფითად შეხვდნენ, მაგრამ ზემოთხსენებული წიგნისა არ იყოს, ბელორუსიაში 2011 წლის 11 აპრილს მინსკის მეტროპოლიტენში მომხდარი ტერაქტის შემდეგ ახალი კანონპროექტი „დაჩიპვის“ შესახებ, სახეზეა.

**მაია ჭელიძე**

# რეპტილოიდი – ანუნაქები ისინი ჩვენს გვერდით არიან!

არსებობს მოსაზრება, რომ კაცობრიობის მასწავლებლები ჩამოვიდნენ ორიონის თანავარსკვლავედიდან. ძველი ეგვიპტელები ორიონს ღმერთების საცხოვრებელს უწოდებდნენ. ძველინდური გადმოცემებით, ორიონის თანავარსკვლავედი ღმერთების სახლია. ინდიელთა ტომი – დაგონები, რომლებიც უნიკალური მითებით არიან ცნობილნი, თავიანთ თქმულებებში გადმოგვცემენ სამყაროს მოწყობის ისტორიებს და თავიანთ კავშირებზე კოსმოსთან. დაგონების მითებში დედამიწაზე პირველი ადამიანის გამოჩენა სირიუსს უკავშირდება. ერთ-ერთი მითი მოგვითხრობს თუ როგორ მოუახლოვდა დე-



დამიწას მფრინავი თეფში. ზეციური კიდობნით ჩამოვიდა ნომმა – ღმერთების გამოგზავნილი, რომელიც ნახევრად გველი და ნახევრად ადამიანი იყო წითელი თვალებით და ორკაპა ენით. ეს ისტორია ძალიან ჰგავს ანუნაქების გამოცხადებას დედამიწაზე, რომლებიც პლანეტა ნიბირუდან იყვნენ.

მეცნიერები კარგა ხანია წერენ ორიონის თანავარსკვლავედის შესახებ. 1924 წლის 8 მარტს მკვლევარმა ელენა რერიხმა თავის დღიურში ჩაწერა: „მე გავიგონე ხმა სასწაულებრივად ჩემს ხელში აღმოჩენილი ზეციური ქვისგან, მასში იყო კოსმოსური სუნთქვა, ორიონის სულის ნაწილი“. დღემდე მეცნიერთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ორიონი არის ის ადგილი, სადაც ჩნდება სიცოცხლე, ჩაისახა პირველი მატერია და შეიქმნა გალაქტიკის თანავარსკვლავედი. ეს ფიზიკის კანონებით უკვე დამტკიცებულია. დადასტურებულია ისიც, რომ ჩვენი პლანეტა – დედამიწა შექმნილია სწორედ ორიონის თანავარსკვლავედში. ჩვენი სიცოცხლე ორიონის თანავარსკვლავედის სინათლის სხივით საზრდოობს. უმაღლესი სინათლე ყოველთვის საჭირო დროს აგზავნიდა დედამიწაზე ე.წ. მასწავლებლებს, რომლებიც ასწავლიდნენ ადამიანებს სიწმინდეს, ერთმანეთის სიყვარულს. მოძღვრები გარეგნულად ადამიანებს ჰგავდნენ, ცხოვრობდნენ



მათ გვერდით და მთელი ცხოვრება ცდილობდნენ აეხილათ თვალი ადამიანებისთვის იმაზე, რა უნდა ეწამათ და როგორ უნდა ეცხოვრათ. ამათ ისინი საკუთარ თავსაც უშველიდნენ და მთელ პლანეტასაც. მაგრამ ადამიანები ყოველთვის უმადურად ექცეოდნენ მათ.

ახლა დგება ის დრო, როცა იწყება ოქროს საუკუნე. თითოეულმა ადამიანმა საკუთარი არჩევანი უნდა გააკეთოს სინათლისკენ თუ სიბნელისკენ, სხვა მხარე არ არსებობს და ადამიანი სხვა ადგილს ამ ორის გარდა ვერსად იპოვის.

მაგრამ დავუბრუნდეთ კვლავ რეპტილოიდებს.

რეპტილიდების საზოგადოება სტრუქტურიზებულია და ამ სტრუქტურაში იერარქია მკაცრად არის დაცული. მწვერვალზე ელიტური ჯგუფი იმყოფება, ესენი არიან თეთრფრთიანი რეპტილიები. მაღალი ტანის, აქვთ გლუვი კანი, ცივი ცისფერი თვალები და არაჩვეულებრივი ძალა, მაგრამ იერარქიის უკანასკნელ საფეხურზე ყველაზე საინტერესო რეპტილოიდურ რასას აღწერენ მკვლევარები. ესენი არიან ტანდაბალი რეპტილოიდები, რომლებიც აზიაში მოვიდნენ, მას შემდეგ, რაც გლობალური კატაკლიზმები მოხდა ამ კონტინენტზე. ამის შესახებ თითქმის ყველა აზიურ ლეგენდასა და მითშია მითითებული. შვიდთავიანი რეპტილია მიუთითებს მის შვიდ ძალასა და უპირატესობაზე დრაკოს იმპერიის იერარქიაში. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ რეპტილოდებთან პირველი კონტაქტი 1970-83 წლებში აღინიშნა. ესენი იყვნენ ე.წ. მეომარი რეპტილოდები, მაღლები და შემაძრწუნებელი გარეგნობის, ორნახევარი მეტრი,




მწვანე-ყვითელი თვალებით, რომლებსაც დაჟინებით აშტერებდნენ საინტერესო ობიექტს. ეს უცხო არსება მეცნიერთა ჯგუფმა შეამჩნია, რომელშიც ისრაელის, გერმანიის, რუსეთის, დანიის, აშშ-ის მკვლევართა და სახელმწიფო მეთაურთა დიდი ნაწილი იყო გაერთიანებული. ისინი მუშაობდნენ ადამიანის ცნობიერების მართვის ტექნოლოგიებზე. ასევე იკვლევდნენ ატლანტების ცოდნას ადამიანის გონების მართვის საკითხებში.

კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ უცხოპლანეტელ რეპტილოიდებს შეუძლიათ ადამიანებზე ზემოქმედება ლაზერის საშუალებით. ისინი მუდმივად ცდილობენ დედამიწაზე რაც შეიძლება დიდი რაოდენობით დამკვიდრდნენ, რადგან მიიჩნევენ, რომ ადამიანის ორგანიზმში ამ რასის დნმ-ის ნაწილია და ადამიანები მათ საკუთარ წინაპრებად ჰყავთ წარმოდგენილი, როგორც კაცობრიობის დედები და მამები.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის უძველეს თქმულებებში ვხვდებით მფრინავ გველეშაპებს, მაგრამ რას ნიშნავს ეს? ძველინდურ, ჩინურ, იაპონურ, კორეულ თქმულებებში, მაიას, აცტეკების მითებში, ეგვიპტის, შუმერულ გადმოცემებში ყველგან ვხვდებით მძლავრი რეპტილიების შესახებ გადმოცემებს. მაგალითად, შუმერები, რომლებიც 8000 წლის წინათ ცხოვრობდნენ თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე იცნობდნენ ღმერთებს, რომლებიც ნახევრად ადამიანები იყვნენ და ნახევრად თევზები. ისინი ამოდიოდნენ წყლიდან და აძლევდნენ ადამიანებს ცოდნას. მათ უწოდებდნენ ანუნაქებს. შემონახულია მათი ქანდაკებებიც, მაგრამ ანუნაქები ორი ტიპის არსებობს: ცის ანუნაქები, ანუ ფრთიანი და წყლის რეპტილოიდები –



ანუნაქები, რომლებიც ჰგავდნენ ხვლიკებს.

ინდური გადმოცემები მოგვითხრობენ, რომ ისინი მფრინავი კიბით დაფრინავდნენ, როგორც დედამიწაზე, ისე მზის სისტემის ნებისმიერ ადგილას. ანუნაქები, შუმერთა ღმერთები, მათივე გადმოცემით, გამოუცნობ პლანეტა ნიბირუზე ცხოვრობდნენ. ამ პლანეტის დედამიწაზე გამოჩენა 3600 წელიწადში ერთხელ ხდება. „ღმერთები“ ეშვებიან დედამიწაზე ცეცხლოვანი ალით გარშემორტყმულნი.

დევიდ აიკი, თანამედროვე ინგლისელი მწერალი უკვე 10 წელიწადია იკვლევს, ბოლოს და ბოლოს, ვინ მართავს სამყაროს. იგი ამტკიცებს, რომ სამყაროს მართავენ რეპტილიები უცხო ცივილიზაციიდან. დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის ხელმძღვანელთა დიდი ნაწილი რეპტილოიდთა ცივილიზაციის შთამომავლებად ითვლებიან. ამ თეორიას დევიდ აიკი ამყარებს ანგლოსაქსების მრავალსაუკუნოვანი დაპყრობითი ომებით და მათი ზიზღით სხვა ხალხების მიმართ; ძმათამკვლელ ომებს, რევოლუციებს, სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკის ნგრევას საკუთარი კეთილდღეობისთვის. თავიდან, ცხადია, დევიდ აიკის თეორია სკეპტიკოსს სიგიჟედ მოეჩვენება, მაგრამ უფრო და უფრო ხშირად ისმის ინფორმაციები გამოუცნობი მფრინავი ობიექტების შესახებ. ადამიანები ჰყვებიან მწვანე ფერის უცხოპლანეტელებზე, რომლებიც უზარმაზარ ხვლიკებს ჰგვანან და პატარა, ნაცრისფერ ჰუმანოიდებთან ერთად გამოჩნდებიან ხოლმე.

ილუმინატები, რეპტილოიდების შთამომავლები ჩვეულებრივად ცხოვრობენ ჩვენს გვერდით, მაგრამ მათი გამოცნობა შესაძლებელია, თვალებში სიმრგვალის ნაცვლად ვერტიკალური ხაზი აქვთ, ხოლო სისხლის შემადგენლობაში უხვად არის ცისფერი ფერი და ატარებს რეპტილიის განსაკუთრებულ გენეტიკურ კოდს. აქედან მომდინარეობს გამონათქვამი – ცისფერსისხლიანები.

ანუნაქების შთამომავლებს სურთ კაცობრიობის დაპყრობა, რათა მართონ მსოფლიო და დაიმონონ ხალხი.

საიდუმლო ორგანიზაციის წევრები – ილუმინატები მალავენ თვალებს, საიდანაც გამოსჭვივის მათი უძველესი რეპტილოიდური ბუნება, მაგრამ ჩვენ, ადამიანებმა უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენზე მუდმივი თვალთვალი გრძელდება. ეს თვალი შეიძლება დაინახოთ დოლარის კუპიურზე. ლედი გაგა, იმის გარდა, რომ არაადამიანურად იმოსება, ხშირად მალავს თვალების, რაც რეპტილოიდის პირველი ნიშანია.

ისინი მუდმივად გვაკონტროლებენ და არასდროს დაუშვებენ იმას, რომ ჩვენ ამ კონტროლის შესახებ შევიტყოთ, იმიტომ, რომ ისინი დაბალ რასად, მოსამსახურე პერსონალად მიგვიჩნევენ.

ანუნაქების შთამომავალნი განსაკუთრებულ გენეტიკას ფლობენ. თითქმის ყველა შემთხვევაში ხელმძღვანელ პოსტებზე არიან ან უმაღლესი სასულიერო იერარქები ხდებიან. მათთვის მნიშვნელოვანია ე.წ. „სამეფო ქორწინებაც“. მაგალითად, ჩინელებს მიაჩნიათ, რომ მათი უდიდესი იმპერატორი დრაკონისა და პრინცესას ვაჟი იყო და გველის ტანი და ადამიანის თავი ჰქონდა. მან შეასწავლა ადამიანებს მედიცინა და საიდუმლო ბალახებით წამლობა. მის სახელს უკავშირდება ჩაის ნაყენის სმის კულტურა.

თქმულებებსა და ზღაპრებში ხშირად არის გადმოცემული გველეშაპი, რომელიც ადამიანურ ენაზე არ ლაპარაკობს, მაგრამ ყველაფერი იცის და ყველაფერი ესმის. ამ გველეშაპთან მიჰყავდათ შესაწირად ახალგაზრდა გოგონები და ვაჟები, რომლებსაც თითქოს ჭამდა გველეშაპი, მაგრამ მართლა ჭამდა თუ არა, ეს არავინ იცის.

დღემდეა შემონახული გველი – ორაკულის სასახლე რუსეთში, სადაც ის ცხოვრობდა და მასთან სიბრძნის სასწავლებლად მიდიოდნენ. ის არ ლაპარაკობდა, მაგრამ შეეძლო დაედასტურებინა ან უარეყო შეკითხვის არსი.

ანგლოსაქსებს მკვლევარები ერთიან ჯგუფს მიაკუთვნებენ, რომლებიც დღესდღეობით აშშ-ში ცხოვრობენ. ერთი ვერსიით, ისინი ქმნიან მასონურ საიდუმლო ორგანიზაციას, რომელიც ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებზე მკვეთრ გავლენას ახდენს.

ამერიკელი პროფესორის ხორნის მიერ შედგენილი გენეალოგიური ხის მიხედვით დინასტიის წევრ მულტიმილიარდერ როტშილდებსა და როკფელერებთან ერთად ინგლისელი პრემიერი ჩერჩილი, და ამერიკის 44 პრეზიდენტიდან 33 პრეზიდენტი, მათ შორის რუზველტის, კლინტონის, ბუშების ოჯახი ერთმანეთთან ნათესაური ხაზით იყვნენ დაკავშირებულნი. ამ გენეტიკურ შტოს ეკუთვნის შიკლგრუბერი, ადოლფ ჰიტლერის წინაპარი, ბებია, ვინც გააჩინა ალოისი, ადოლფ ჰიტლერის მამა. ალოისი, ერთ-ერთი ვერსიით, სოლომონ როტშილდის უკანონო ვაჟი იყო. ეს ის სოლომონ როტშილდია, ვინც დააარსა როტშილდების დინასტია ინგლისში. ასე, რომ ადოლფ ჰიტლერი შვილიშვილი იყო ამ სახელოვანი კლანისა. ის ხომ ინგლისელი და ამერიკელი სპონსორების იმედით და დაფინანსებით შეუდგა გეგმის განხორციელებას. მან ხომ, პრინციპში, იმიტომ დაიწყო ყველაფერი, დოლარს რომ დაეპყრო მთელი მსოფლიო.




ჩვენ გვწამს ღმერთი! – ასეთი წარწერა აქვს დოლარს. მაგრამ სად არის აქ ღმერთი, ჯერ კიდევ საკითხავია.

ისინი ერთმანეთს ოჯახებით უკავშირდებიან – მთავარ წინაპრად ცეპეშების ოჯახი ითვლება, საიდანაც იყო ცნობილი გრაფი დრაკულა. რეპტილოიდებისგან წარმოიშვა მთელი ეგვიპტის სამეფო ოჯახი 2000 წლის წინათ, ძველი შუმერები, ძველი ბაბილონის მმართველები. ისინი, დევიდ აიკის შეხედულებით, ითვლებიან აგრესიული უცხოპლანეტური ცივილიზაციის პირმშოებად ადამიან-რეპტილიებად ორიონის თანავარსკვლავედიდან.

**ანა ვადაჭკორია**

(გაგრძელება იქნება)

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— ჩემი შვილი 15 წლისაა. შეიძლება თუ არა, დაესწროს მამის სასამართლო პროცესს?**

— პირს, რომელსაც შეუსრულდა 14 წელი, შეუძლია დაესწროს სასამართლო პროცესს.

* * *

**— რა არის გირაო?**

— გირაო გახლავთ აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახე, რომელიც სასამართლო პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება. გირაო არის ფულადი თანხა ან უძრავი ქონება.

* * *

**— რა შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას გაუსვლელობის ხელწერილი?**



— შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ დანაშაულის საქმეზე, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წელზე მეტი ვადით.

* * *

**— ვარ დაზარალებული. ბრალდებულთან პროკურატურამ გააფორმა საპროცესო შეთანხმება. ამინაზღაურდება თუ არა ზარალი?**

— საპროცესო შეთანხმების დადებისას პროკურორი ვალდებულია, ბრალდებული გააფრთხილოს იმის თაობაზე, რომ საპროცესო შეთანხმება არ ათავისუფლებს მას სამოქალაქო ან სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან.

თქვენ შეგიძლიათ, გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით, როგორც დაზარალებულმა მიმართოთ სარჩელით სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოპასუხის, მსჯავრდებულის წინააღმდეგ.

* * *

**— ვარ პატიმრის დედა. გთხოვთ მიპასუხოთ, ვინ აცხადებს ამნისტიას და უნდა ველოდოთ თუ არა, უახლოეს ხანებში ამნისტიის აქტის გამოცემას?**

— ასეთი შეკითხვა ხშირად შემოდის „საერთო გაზეთის“ რედაქციაში.

ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ.

უახლოეს ხანებში მოხდება თუ არა ამნისტიის აქტის გამოცემა, ამის შესახებ მე არაფრის თქმა შემიძლია.

* * *

**— რა შემთხვევაში დაუშვებს საჩივარს განსახილველად საკასაციო სასამართლო?**

— სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ:

ა) საქმე მნიშვნელოვანია სასამართლოს განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

გ) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

* * *

**— დაზარალებულს შეუძლია თუ არა განაჩენის გასაჩივრება?**

— იმის გათვალისწინებით, რომ დაზარალებული არ არის მხარე, იგი განაჩენს ვერ გაასაჩივრებს ვერც სააპელაციო და ვერც საკასაციო წესით.

* * *

**— შეიძლება თუ არა პროკურატურამ ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება დადოს დაზარალებულთან შეუთანხმებლად?**

— კანონი არ ავალდებულებს პროკურატურას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეთანხმებას, მაგრამ პროკურორი ვალდებულია გაიაროს კონსულტაცია დაზარალებულთან და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადება.

* * *

**— მე, როგორც დაზარალებულმა, შემიძლია თუ არა გავასაჩივრო საპროცესო შეთანხმება?**

— სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 ნაწილის მიხედვით, დაზარალებულს უფლება არა აქვს გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება.

საპროცესო შეთანხმება დაზარალებულს არ ართმევს უფლებას შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი.

# ratom aris Tbilisis `iatakze~ meti varskvlavi, vidre caSi?

რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა და მხოლოდ და მხოლოდ განათლებაა მიზეზთა მიზეზი წარმატებისა და გაუნათლებლობაა მიზეზი მარცხისა, უკუსვლისა, ჩამორჩენისა.

დღეს წარმატებაზე საუბარი, ჩვენი მდგომარეობიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ჩვენს გაუნათლებლობას დაადასტურებს.

გამინაწყენდებიან ჰალსტუხიანი და დიპლომიანი ბიჭები, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ დღეს საქართველოში განათლებულთა უკიდურესი დეფიციტია. სანთლით საძებარი არიან ერისკაცები. არადა დავითი ამბობს: "საქართველო ვერ გაძლიერდება და ვერ გახდება თავისუფალი, თუ მისი შვილები არ იქნებიან განათლებულნი და მცოდნენიო!"

განათლებას არ ნიშნავს არც დიპლომი და არც ჰალსტუხი, არც თანამდებობა და კაბინეტი, არც ინგლისურად ტლიკინი და არც ბატონობით საუბარი. თქვენ წარმოიდგინეთ, არც წიგნების წერა არ ნიშნავს განათლებას! ადამიანმა ტაიგაში ცხოვრება რომ მოინდომოს, იქ ლომებზე უკეთესად მოიწყობს ბინას. შუაგულ ოკეანეშიც შეძლებს ზვიგენებზე უკეთესად ცხოვრებას. მაგრამ ადამიანების გვერდით ცხოვრება სრულიად სხვაგვარად განიმარტება. სხვაზე თბილად და სხვაზე მაძღრად ყოფნა ცხოვრებას არ ნიშნავს. უმრავლესობა, რა თქმა უნდა, არ დამეთანხმება, მაგრამ არ მიკვირს, ამის გაგებას ხომ განათლება სჭირდება. მუხრანი კი ქართველთა უმრავლესობას არ ეთანხმება: "ვაი, ჩვენს პატრონს, ჩვენი ყოფნის თავი და ბოლო ჭამა და საჭმლის მონელება თუ არის მხოლოდ".



დიდი ხანია საზომად ვიყენებ აინშტაინის ნათქვამს: "სიბეცეს საზღვარი არა აქვსო". თურმე გაუნათლებლობაც უსაზღვრო ყოფილა.

ჟურნალისტის კითხვაზე: ქართული ნაწარმოებებიდან რომელ პერსონაჟს აირჩევდი მეგობრადო — ჩემპიონმა პარლამენტარმა ასანიძემ უპასუხა — არ ვიციო. განათლებული კაცი ამ კითხვაზე დაუფიქრებლად გასცემდა ასზე მეტ პასუხს. ნებისმიერი სახელი, რომელიც პირზე მოგადგება: ჯოყოლა, ელგუჯა, ელისო, ტარიელი, ნესტანი... რომლის მეგობრობაზე უნდა დაფიქრდეს განათლებული ადამიანი?

— რა თქმა უნდა, გაუნათლებლობის ნიშანია, რომ დღეს თბილისი ვარსკვლავოსნებისა და ორდენოსნების ქალაქად იქცა. თბილისის "იატაკზე" გაცილებით მეტი ვარსკვლავია, ვიდრე ცაში.

— რა თქმა უნდა, გაუნათლებლობაა, როცა მსახიობს პერსონაჟთან აიგივებენ. "მაყურებელს" ვერ წარმოუდგენია, რომ კარგი მსახიობი ცხოვრებაში პერსონაჟთან შედარებით შეიძლება იყოს ასჯერ უკეთესი ადამიანი და ათასჯერ უარესი!

ბევრისთვის შეიძლება დაუჯერებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს გაუნათლებელთა ბუდეა თვით განათლების სისტემაში. სასწაულია, მაგრამ ფაქტს ვერსად გაექცევი, არ დაიჯერებთ და გაუნათლებელი "პროფესორებიც" მომრავლდნენ. მეგობრები მეტყვიან, ხალხს ლოგიკას, ანალიზურ აზროვნებას ასწავლი და ეგ როგორ შეგეშალა, ამ ორ სიტყვას შორის მიმართება ვერ ვიპოვეთო. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ სცდებით, მე დასკვნებს ჭორებიდან არ ვაკეთებ, მე მხოლოდ ფაქტებს ვეყრდნობი, ჩემი ყურით მოსმენილს და ჩემი თვალით ნანახს. პირადად ვიცნობ ასეთ "პროფესორს". ორ უნივერსიტეტში მუშაობს. თუ ხუთი წუთი გაგვიგრძელდა საუბარი, 15-ჯერ უნდა შემახსენოს, რომ პროფესორია. ჩემთვის რომ დაევალებინათ, შეკითხვა დაუსვი განათლების შესახებო, ვკითხავდი: სკოლის დამთავრებისას ატესტატი მოგცეს თუ არა-მეთქი. სხვა შეკითხვა განათლების შესახებ ვერ მოვიფიქრე!

დიახ, ბატონებო! დღეს სიტყვა პროფესორს ნაცრის მაგივრად ხმარობენ. არა თვალებში შესაყრელად, არამედ ტვინში ჩასაყრელად! უწიგნურებს ჩასძახებენ: შენ ხარ პროფესორი, არასრული პროფესორი, სრული პროფესორი, ნახევრად პროფესორი... მას თავში აუვარდება (უნახავმა რა ნახაო...) და რასაც ჩასძახებენ, იმეორებს ქვევრივით (ქვევრთან ბოდიშს ვიხდი ამ შედარებისთვის). სტუდენტს თუ წამოსცდა, ვერ გავიგე, ამიხსენითო, შებრუნდება და გაქუსლავს აუდიტორიიდან.

პირადად შევესწარი: ქართული სკოლის დირექტორი, ქართულ ქორწილში თამადად იჯდა შორტებში (ქართულად რომ გადმოვთარგმნოთ — ტრუსიკით!...). შევნიშნე თუ არა, მივატოვე ქორწილი და სახლში წამოვედი.

მე ვიცნობ გაუნათლებელ ექიმთა ხროვას. ბევრს სიტყვა ექიმის გვერდით სიტყვა გაუნათლებელის ხმარება მიუღებლად მიაჩნია. რა თქმა უნდა, ესეც გაუნათლებლობის ნიშანია. აბა მითხარით: შეიძლება განათლებულად ჩაითვალოს ქირურგი, ვინც ბრმა ნაწლავის ოპერაციის დროს პაციენტს თირკმელს მოპარავს და გაყიდის?!

— რა თქმა უნდა, გაუნათლებელია მწვრთნელი, რომელიც მოზარდს ჩაუნერგავს: კარგად უნდა ითამაშო, რომ "ბარსელონაში" მოხვდეო. განათლებული და პატრიოტი მწვრთნელი "ბარსელონას" დასამარცხებლად მოამზადებს გუნდს.

— რა თქმა უნდა, გაუნათლებელია ყველა, ვინც თავის საქმეს აკეთებს (თუნდაც ბრწყინვალედ) და მისი აზრით, მას სხვა არაფერი ეხება.

და ბოლოს, თანამედროვე, მოდური, ამოჩემებული სიტყვა — ოპოზიცია.

— რა თქმა უნდა, გაუნათლებლობის ნიშანია, რომ ეს სიტყვა დღეს სულ სხვა გაგებით იხმარება. "ადრე" ოპოზიცია ნიშნავდა რეალობით უკმაყოფილო, კრიტიკულად განწყობილ, სამართლიანობის აღდგენისთვის მებრძოლ საზოგადოებას. დღეს ოპოზიცია ჩვეულებრივი სამსახურია, მმართველობისგან შექმნილი და დაფინანსებული. გამომდინარე აქედან, გასაკვირი არც ის უნდა იყოს, რომ ოპოზიციური პარტიის "მმართველობა" ახალ წელს რესტორანში ღრეობით აღნიშნავს.

— რა თქმა უნდა, გაუნათლებლობის ნიშანია, როცა კარგი კაცის შვილობას კარგკაცობად აღიქვამენ. კარგი კაცის შვილობიდან კარგკაცობამდე ძალიან დიდი გზაა, ხშირად დაუსრულებელი. მისი გავლა ბოლომდე მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ.

**ავთანდილ დავითაშვილი**

**„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს რედაქციის თანამშრომლის გულნარა ტიკარაძის დედის**

**ვერა ვასაძის**

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**







# თავსატეხი

შვეულად: აჯანი, ლიანი, ეთანი, ელიძი, კანია, იბიცა, იმაგო, კოცნა, მატეო, პადრე, რენტა, შტაბი, ჩიფვი, მუნწი, ჯულია.

თარაზულად: აგუნა, ალუჩა, ანდრო, ანწლი, ბიძია, ვაიდა, თაგვი, იაბ-ძა, კოფეო, ლაპიდი, მაცნე, ნისტე, ომალო, პაიდა, სუფრა, ფორონე, ქარიდა, ღობი, გოვლი, ჩალმა, ცანგა, ხრამი, ჯიბრი, პაინე.

# სამიდან ერთი

შვეულად: 1. ხაფურე, ბუნება, ჯუმბაბი. 2. კალოში, ბოტასი, ბოგაკი. 3. კარუზო, კოდაკი, პანიკა. 47 ზარაზი, რატუშა, ხუდანი. 5. ბუშტი, ლენ-ტი, შიშშა. 6. ტალკი, ტანგო, ტაიტი. 11. მარკეტი, ლაკონსტა, პარკეტი. 12. მალამო, მაკარი, მუზიკა. 13. საპონი, რეკეტი, ჩინეთი. 14. კოლონია, მა დონა, კანონი. 15. პიკასო, პოპული, პოლიპი. 16. ვანტი, კალთა, ფანგი.

თარაზულად: 3. კალაპოტი, პარაშუტი, მალაქიტი. 7. დუკანი, დუ-მილი, დურაკი. 8. ნატამალი, დინამიტი, სოლომონი. 9. დებიში, დალასი, დოლიანი. 10. ფარგალი, კაშხალი, ზანგალი. 12. მარიკო, მარუზი, მარიკა. 16. კოლტი, კაკაო, კონგო. 17. ტატამი, მაწონი, ხაკანი. 18. ბალასტი, ზალ-ტური, წურბელა. 19. კოკონი, კაკადუ, კატანი. 20. შტამბელი, მლაკატი, ფლიგელი.

# შიფრვორდი

ა-1, ბ 15, ს-3, ჟ-21, კ-9, ნ-6 23, რ-6

# ანზორ აბულაშვილი – 80

80 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ანზორ აბულაშვილი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ანზორ!

ქართული ლექსის მეციხოვნევ და მცველო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ უმშვენიერეს წარმომადგენელს, ჭეშმარიტ მამულიშვილს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 80 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავს.



დიახ, ზუსტად ექვსი ათეული წელი გასულა მას შემდეგ, რაც პირველი ლექსები გამოაქვეყნეთ და ეს წლები მთლიანად მშობელი ქვეყნის, მშობელი ხალხის, მშობლიური მწერლობის უანგარო სამსახურს შეალიეთ. თქვენი პოეზია გამორჩეული ნიჭიერებით მადლცხებული იმ პოეტის სულიერი ღაღადისია, რომელმაც მართალი ნაბიჯებით იარა წუთისოფელში.

სწორედ ამის დასტურია თქვენი პოეტური კრებულები „ლექსები", „კოშკები", „საუბარი გრძელდება", „მარადიული შუქურა", მოდიოდა", „მახარობელი", „მუნჯი მოკარნახე", „გავცქერ ზამთრიდან", ერთტომეული, „ემოციების ფოტოალბომი", „წლები და გზები"..

ამ კრებულებში შესული ლექსების ლირიკული გმირი მუხლმოყრილი დგას და არსთაგამრიგეს ლაზარეს – მშობელი ქვეყნის გადარჩენას შესთხოვს, გული უკვდება იმის შემხედვარეს, თუ როგორ ანადგურებენ ფუტკრის სკაში ვერაგულად შეჭრილი კრაზანები იქაურობას, როგორ სპობენ თაფლის სურნელსა და სიწმინდეს; ქეთოს მერცხალი ენატრება, მისი მოფრენის დღესასწაულის მადლი და მირონი; თებრონეს დანახვა შეუძლია, წყაროზე კოკით მიმავალი თებრონესი და რას არ გაიღებდა, ის კოკა წუთით მაინც რომ ჩამოეღო მხრიდან მისთვის სიცოცხლესავით სასურველ ქალს; ბედნიერია იმით, რომ შეუძლია ნიკალას მიუგნებელ სამარესთან იდგეს და დატკბეს მილიონი ვარდის სურნელით; სუფთაა და მოუსყიდველი, ლექსი მისთვის ღვთაებრივი ანდამატისებრი ყვავილია და თუკი ეშმაკისთვის სულის მიყიდვის ალბათობა დადგება, ურჩევნია იმ ყვავილივით დაჭკნეს, ვიდრე ბოროტებას დაუდგეს მსახურად..

რა მშვენივრად, რა ორგანულად ამოიზარდა თქვენს შემოქმედებაში ლირიკული შედევრი „მახარობელი" – ქართული ჯიშისა და გენის საგალობელი, ქართველთა უძლეველობისა და გადარჩენის რვალივით უმტკიცესი დასტური...

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია უკრაინულ, აზერბაიჯანულ, ესპანურ, გერმანულ, აფხაზურ, რუსულ ენებზე. მათზე არაერთი მშვენიერი სიმღერა შეიქმნა.

თავადაც ჩინებულად თარგმნეთ ჰაინრიხ ჰაინეს, ადამ მიცკევიჩის, ვაგიფისა და სხვათა პოეზიის საუკეთესო ნიმუშები.

ქართველი ბავშვების სამაგიდო წიგნებად იქცა თქვენი საყმაწვილო ლექსების კრებულები „კიდევ მოვიდა გაზაფხული", „მოგზაური", „ხანძარი", „ბუზი-ბუზანკალი"...

ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე ბრძანდებით. არჩეული ხართ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად. სხვადასხვა დროს მუშაობდით ჟურნალ „დილის" პასუხისმგებელ მდივნად, ალმანახ „ჯეჯილის" მთავარ რედაქტორად, გამომცემლობა „ნაკადულის" დირექტორად.

ღირსებით სავსე შემოქმედს მართლაც რომ გამშვენებთ ღირსების ორდენი. მონიჭებული გაქვთ სულმნათი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სახელობის პრემიები...

მუდამ გვხიბლავდით ნიჭიერებით, რაინდული ბუნებით, თავმდაბლობით, ჭირთა თმენის უნარით, პირდაპირობითა და მიუკერძოებლობით. ალბათ ამიტომაცაა, რომ თქვენმა კოლეგებმა ერთხმად მოგანიჭეს ქართული პოეზიის რაინდის საპატიო წოდება.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს პოეზიის მსახურებაში მთლიანად გახარჯულ შემოქმედს, მზეგრძელობასა და დღეგრძელობას გისურვებთ თქვენი სათაყვანებელი სამშობლოს სადიდებლად.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

# qeTevan quCukaSvi l i

ქართველ მწერალთა რიგებს კიდევ ერთი ღირსეული წევრი გამოაკლდა.

გარდაიცვალა უხუცესი ქართველი მწერალი ქალბატონი ქეთევან შიოს ასული ქუჩუკაშვილი.

ჩვენს შორის აღარაა შემოქმედი, რომელიც იმისთვისაც მოევლინა სამყაროს, რომ შეეხსენებინა მის გარშემო მყოფი ადამიანებისთვის: ჩვენ სიკეთისთვის, სიყვარულისთვის, თანადგომისთვის, სათნოებისთვის, პატიოსნებისთისვით ვიბადებით და არა შურისა და გაუტანლობისთვის. რა საოცარი ზნეობრივი გაკვეთილებით დაგვამახსოვრა თავი ამ კდემამოსილმა ქალბატონმა, იმთავითვე ღვთაებრივი შუქით გასხივოსნებულმა და გასპეტაკებულმა...



ქეთევან ქუჩუკაშვილი დაიბადა თბილისში 1915 წლის 13 სექტემბერს. 1932 წელს, საშუალო განათლების მიღების შემდეგ, სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1938 წელს დაასრულა.

ქეთევან ქუჩუკაშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა საბლიტგამის უფროს რედაქტორად, ჟურნალ „დილას" პასუხისმგებელ მდივნად, გამომცემლობა „ნაკადულის" რედაქტორად... სადაც კი უმუშავია, ყველგან ქართველი ბავშვების სულიერი ფორმირების უკეთილშობილეს საქმეს ემსახურებოდა, ყველგან პროფესიონალიზმითა და ეროვნული საქმეების კეთებით გამოირჩეოდა.

ქეთევან ქუჩუკაშვილი სამწერლო სარბიელზე 1934 წელს გამოვიდა და თითქმის 80 წლის განმავლობაში ჩუმად, უხმაუროდ, ღირსების გრძნობით ემსახურებოდა მართლაცდა საშვილიშვილო საქმეს – მოზარდი თაობის აღზრდას ქართულ იდეალებზე, ქართულ ტრადიციებზე (ტრადიცია მისთვის მარადიული ცეცხლი იყო და არა ნაცარი, როგორც ეს დღეს ზოგიერთ ჩიტირეკიას ჰგონია). ან რა გასაკვირია. მის შემოქმედებას, მის პიროვნებას ნათლის სვეტად ედგა მამამისის – ქართული საბავშვო პოეზიის ჭეშმარიტი კლასიკოსის შიო მღვიმელის ხატება. დიახაც რომ ძია შიოს მადლსა და მირონს იყო ნაზიარები და სწორედ ეს მადლი უკვალავდა მწერლობის ნარეკლიან გზას...

ნაყოფიერი და მრავალმხრივი შემოქმედი იყო. მისი საბავშვო ლექსები, მოთხრობები, პიესები სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად, იდგმებოდა თეატრების სცენაზე.

ქართველი ბავშვების სამაგიდო წიგნებად იქცა ქეთევან ქუჩუკაშვილის საყმაწვილო ლექსებისა და მოთხრობების ისეთი კრებულები, როგორიცაა „ჩვენი ეზოს ბავშვები", „ბიჭები", „ყვავილები მდინარეზე", „თბილი პური"...

ქეთევან ქუჩუკაშვილი განსაკუთრებული ნაყოფიერებით მოღვაწეობდა მწერლობის ურთულეს ჟანრში – დრამატურგიაში. მისი პიესები „ფუყე მეფე", „გოგო ხოხესია", „ზამთრის ზღაპარი", „კონკია", „ლილეი" წარმატებით იდგმებოდა თეატრებში. დიდი წარმატება ხვდა წილად „კონკიას", რომელიც რუსულად ითარგმნა და დაიდგა მოსკოვის ცენტრალურ საბავშვო თეატრში. მოსკოველთა ეს სპექტაკლი უჩვენეს ბავშვთა და მოზარდთა თეატრების საერთაშორისო ფესტივალზე და საყოველთაო აღიარება დაიმსახურა...

ყველა შეგვძრა და აგვაფორიაქა ბოლო წლებში საოცარი ექსპრესიით შქმნილმა წიგნმა „მამა მოდის ჩემთან, კოსტავას ქ. 6". ესაა დიდი ადამიანიური სევდითა და სიყვარულით დამუხტული მზიანი წიგნი, რომელიც მწერალმა ულამაზესი, უწმინდესი კელაპტარივით აუნთო შიო მღვიმელის უკეთილშობილეს სულს...

ქეთევან ქუჩუკაშვილის ლიტერატურულ ჯილდოებს შორის ობოლი მარგალიტივით ბრწყინავდა შიო მღვიმელის სახელობის პრემია. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, შრომის ვეტერანის მედლით, საქართველოს განათლების სამინისტროს პრემიით.

ყველას კარგად გვახსოვს შიო მღვიმელის უბრწყინვალესი ლექსი „ქეთოს მერცხალი", რომელიც სწორედ ქალბატონ ქეთევანს მიუძღვნა პოეტმა. ის მერცხალი კარგა ხანია გაფრინდა. გაფრინდა ქალბატონი ქეთევანიც, გაფრინდა ზეციური სამანებისაკენ და ამით თითქოს გაწყდა ის უწვრილესი ძაფი, რომელიც დღევანდელ საქართველოს მე-19 საუკუნის ღვთიურ სახეებთან აკავშირებდა. გაწყდა კი? ეს უკვე ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ მოვუფრთხილდებით ჩვენს მართლაცდა საამაყო წარსულს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ქეთევან ქუჩუკაშვილი, ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი და მშვენიერი სული.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

## qeTevani, qeTo, Zia Sios `mercxal i~ gogo...

ქეთევან ქუჩუკაშვილი დიდი შიო მღვიმელის ქალიშვილი, თავადაც ჩინებული მწერალი და დრამატურგი – ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა – ერეკლე უგრელიძემ გამაცნო (თურმე, ახლო მეგობრობა ჰქონდა მასთან). არ შეიძლებოდა ქეთევანი გენახა და უეცრად არ დამეგობრებოდი, ამ მეტად სათნო და იუმორით სავსე ადამიანს. ასეც მოხდა, რაც მე ცხოვრებას მივსებდა და მილამაზებდა, გავკადნიერდები და ვიტყვი: ისე შემიყვარა, რომ ჩვენი ვანო ჯაფარიძის რადიოში ყოფნისას, დაბადების დღეც კი მომილოცა მწოლიარემ, მისუსტებული, მაგრამ კინაღამ საუკუნის ხმით, რისთვისაც დღემდე მადლობელი ვარ მისი. (თუ არ ვცდები, ეს ჩანაწერი ბოლო იყო მისთვის).

წავიდა დიდი შიოს, ძია შიოს – „მერცხალი" გოგო.

ქეთევანი, ქეთო, ჩაქრა მამის ერთადერთი მბჟუტავი სანთელი, ნათელი დაადგეს!..

**თემურ ჩალაბაშვილი**

2012 წ. 18 ივნისი

„საერთო გაზეთის" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ქართველი საბავშვო მწერლის

**ქეთევან ქუჩუკაშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

## ერთმანეთზე ზრუნვა ჯანმრთელობის საწინდარი ყოფილა

სისხლში იზრდება იმუნური უჯრედების რაოდენობა, გული აქტიურ მუშაობას იწყებს, სისხლი კაპილარების საშუალებით სხეულის ყველაზე შორ კუთხეებსაც სწორად მიეწოდება, სუნთქვა უფრო მსუბუქი ხდება, გამოიმუშავებთ არა მხოლოდ ბევრ ნახშიროჟანგს, არამედ მცირდება ორგანიზმში ბრონქიტის და პნევმონიის რისკები, — აღნიშნავენ თერაპევტები.



მაგრამ, როდის ხდება ეს? მეცნიერები და მედიკოსები ამტკიცებენ, რომ გარანტია ჯანსაღი სქესობრივი ცხოვრებაა.

მამაკაცები, რომლებიც კვირაში 3-4-ჯერ არიან დაკავებული ინტიმური ურთიერთობით ქალბატონებთან, 50 პროცენტით ნაკლებად ავადდებიან ინსულტით ან ინფარქტით.

ბერძენი მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ორგაზმი იცავს ქალს მკერდის კიბოს დაავადებისგან.

იტალიელი მკვლევარები ემანუელ ჯანინის ხელმძღვანელობით, აღნიშნავენ, რომ მამაკაცები, რომლებსაც აქვთ სისტემატიური სქესობრივი ურთიერთობები ერთი და იგივე პარტნიორთან, სამჯერ უფრო მეტად დაცულნი არიან გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან, იმ მამაკაცებისგან განსხვავებით, რომლებიც ხშირად იცვლიან პარტნიორებს.

მეცნიერები ამ ფენომენს ასე ხსნიან: ტესტოსტერონი, რომელიც სისხლში გამომუშავდება შეთანხმებული სქესობრივი კონტაქტისას, ამცირებს დეპრესიისა და უსიამოვნო განწყობების საშიშროებას. ასე, რომ ერთმანეთის გაფრთხილება თქვენი საკუთარი ჯანმრთელობისთვისაც უმჯობესი ყოფილა.

## სიზმრების მართვა უკვე შესაძლებელია

სპეციალური თვალების ნიღბის საშუალებით მეცნიერებმა უკვე შეძლეს სიზმრების „კონტროლი“.



ამერიკელი პროფესორები დუნკან ფრეიზერი და სტივენ მაკგიგანი კარგა ხანს მუშაობდნენ თვალის ნიღბის შესაქმნელად, რომლის საშუალებითაც ადამიანს შეეძლება მართოს საკუთარი სიზმრები. ნიღაბი თვალებს „აბნელებს“ და მასში ჩამონტაჟებული დიოდები და აქსელერომეტრი.

თვალის მოძრაობით ნიღაბი განსაზღვრავს, როდის იწყება ძილი ამ მომენტში დიოდები ხურდება გარკვეულ ტემპერატურამდე. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ შუქის პერიოდული იმპულსები ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედებს, ტვინში წარმოიქმნება ნათელი ორნამენტები, როგორც ილუზია, რაც აკონტროლებს ცნობიერების და მართავს სიზმრებს.

ნიღბების შემქმნელები მიიჩნევენ, რომ ეს შენაძენი ადამიანისთვის იმითაც იქნება სასარგებლო, რომ გამოასწორებს მძიმე, სტრესულ ხასიათს, ამასთანავე, ხელს შეუშლის თვალის ირგვლივ ნაოჭების გაჩენას.

## რას ვერ პატიობენ რუსი ქალბატონები მეუღლეებს

რუსი ქალები იტანენ ქმრის უხასიათობას ოჯახში, იმასაც, რომ მათ თავიანთი „მეორე ნახევარი“ კომპლიმენტებს არ ეუბნება, მაგრამ ვერ ითმენენ ალკოჰოლიზმს.

სოციოლოგებმა შეადგინეს პრობლემების ნუსხა, რომლებიც ყველაზე მეტად აუტანელია ქალბატონებისათვის ცხოვრების მანძილზე. ესენია:



მოწევა, ალკოჰოლიზმი, ნარკომოხმარება. შემდეგი ადგილი უყურადღებობამ დაიკავა — როცა არ უძღვნიან საჩუქრებს, არ ეუბნებიან კომპლიმენტებს.

ქალთა 3 პროცენტს, სამწუხაროდ, უწევთ მოითმინონ მეუღლეების გაუთავებელი ფლირტი — სხვა ქალებთან რუსი ქალბატონები ამასაც მოთმინებით იტანენ. პრინციპში სხვა გზა არის, რო?

## თოვლის კაცი ინგუშეთში დაიჭირეს



ინგუშეთის საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, რომ მესაზღვრეებმა თოვლის კაცი დაიჭირეს.

ფსბ საგანგებოდ იტყობინება, რომ უცნაური არსება ორი მეტრის სიმაღლისაა.

„ზოგიერთის აზრით, ის გორილაა, მაგრამ იგი ადამიანისმაგვარად ფლობს ხელებს, დაჭერისას ორ ფეხზე იდგა, როგორც ადამიანი“, — აცხადებს ინგუშეთის შს მინისტრი; იგი შეშინებული იყო, კანკალებდა და გამოსცემდა გაურკვეველ ბგერებს“.

**მოამზადა**
**ანა ვადაჭკორიამ**





ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!


## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — ამ პერიოდში თქვენ მთლიანად დასვენებასა და გართობაზე გადაერთვებით, რაც გარკვეულწილად შეცდომა იქნება, მით უმეტეს, რომ თქვენი ინერტულობა და უპასუხისმგებლობა საქმიანი ურთიერთობებისა და გეგმების დამუხრუჭებას გამოიწვევს. ეს კი ცხადია, გარკვეულ პრობლემებს შეგიქმნით.

**კურო** — შესაძლოა, თქვენი აქტიური ხასიათის საწინააღმდეგოდ, თავი მოწყენილად და დეპრესიულადაც კი იგრძნოთ. ეს თქვენს საქმიან ცხოვრებას უკუპროცესით წარმართავს და გამორიცხული არ არის, მომავალი პოტენციური პროექტებიც ჩააგდოთ. ამიტომ ტემპს მოუმატე.

**ტყუპები** — ერთდროულად მრავალ ფრონტზე მოგიწევთ ბრძოლა. ბევრი მოუგვარებელი პრობლემა თქვენს ჩარევას მოითხოვს და როგორ გაართმევთ ამ ყოველივეს.

**კირჩხიბი** — შესაძლოა, რაღაცეები მოულოდნელად შეცვალოთ, რაც მეტესწილად პოზიტიურ შედეგს მოგცემთ, თუმცა ამ ცვლილებების გამო გართობასა და სიამოვნებაზე იტყვით უარს.

**ლომი** — ამ პერიოდში შეგექმნებათ არა ერთი შესაძლებლობა, მოაგვაროთ ყოფითი პრობლემები. ამისთვის ემოცია უკანა პლანზე უნდა გადასწიოთ.

**ქალწული** — მიმდინარე პერიოდში ფინანსური საკითხების მოგვარებით იქნებით დაკავებული. არ არის გამორიცხული, ახლობლებმა მატერიალური დახმარება გთხოვონ.

**სასწორი** — ამ პერიოდში მოვლენები ისე სწრაფად და ამასთან, მოულოდნელად განვითარდება, რომ შესაძლოა, ამ ყოველივეს ფეხი ვერ აუწყოთ და შეცდომებიც დაუშვათ. ასე რომ, მზად იყავით ნებისმიერი ექსტრემალური მოქმედებისთვის.

**მორიელი** — მოსალოდნელია ადმინისტრაციულ ან სახელმწიფო პირებთან ერთად გარკვეული პროექტების განხილვა და მათთან ერთად ამ პროექტების განხორციელებაზე ზრუნვაც მოგიწიოთ.

**მშვილდოსანი** — მოუხმეთ ორგანიზატორულ შესაძლებლობებს, რადგან თქვენს გარშემო მიმდინარე მოვლენები ქაოტურ სახეს მიიღებს, ეს გაიძულებთ, რაღაც-რაღაცეები გადააფასოთ.

**თხის რქა** — მოგიწევთ ლიდერის როლის შეთავსება და ინიციატივის საკუთარ თავზე აღება. ამას დაემატება თქვენი მხრიდან იმიჯის შეცვლაც. ეს ყოველივე საწინააღმდეგო სქესის ადამიანებს თქვენდამი დადებითად განაწყობს.

**მერწყული** — ენერგიულობა და შემოქმედებითი აღმაფრენა დაგეხმარებათ, წარმატებით დაასრულოთ ადრე წამოწყებული საქმეები და ახალი პროექტების დაგეგმვაზე იზრუნოთ.

**თევზები** — მოგიწევთ ადრე დაწყებული საქმეების დასრულება, თუმცა არ გირჩევთ, მკვეთრ მოქმედებებსა და კატეგორიულ ტონს, ეს კონფლიქტური სიტუაციების ალბათობას ერთი-ორად გაზრდის.

**ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:**
**სკანვორდი**

1.ტიმბერლეიკი. 2. კეტჩუპი. 3. კორსიკა. 4. ტერნერი. 5. უდღეური. 6. ღრუ. 7. იაგუნდი. 8. ემინემი. 9. აკაპულკო. 10. გალვანი. 11. თრია. 12. კალიუმი. 13. გენუა. 14. ანემია. 15. სეხნია. 16. პოკერი. 17. კოლბოხი. 18. გვინეტ. 19. ბლოკადა, 20. კირჩხიბი. 21. სპეისი. 22. სიგი. 23. ჩირიკი. 24. რენკლოდი. 25. ტვისტი. 26. ლორნეტი. 27. ასავალი. 28. იგუანა. 29. სეტერი. 30. ხარიპარია. 31. პოზა. 32. ასპინძა. 33. ბურნუთი. 34. სექტანტი. 35. აზბესტი. 36. იულიუს. 37. ორატორია. 38. ვრონსკი. 39. რჯული. 40. იუკონი. 41. სიფონი. 42. რისვი. 43. შნაიდერი. 44. ბურგომისტრი. 45. პაგოპაგო. 46. სკიპტრა. 47. ფონი. 48. შაჰი. 49 დაიკა. 50. მაზდა. 51. სუნელი. 52. კოდი. 53. არაქისი. 54. დიაპაზონი. 55. გრაალი. 56. პარა. 57. არგანი. 58. პრადო. 59. ბზა. 60. კანოე. 61. ასტრახანი. 62. ფერია. 63. პრუსი. 64. ქუხილი. 65. ხანი. 66. როსელინი. 67. პიპინია. 68. ნენე.